

56/2



მედიუმობა

10

მედიუმობა



1956



ყ რ ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი ლ ი ბ რ ა ბ უ რ უ ლ - მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი
და საზოგადოებრივი-კოლბიტიკური შუკნალი

წელაწადი 33-ე

№ 10

ოქტომბერი, 1956 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ბ რ ს ი

6916

გიორგი ლეონიძე — ქართული სიტყვი: *ჯ; *ჟ; ლექსები	83
ლევან ზაინდრავა — გარიერაჟი, მოთხრობა	3
გიორგი შატერაშვილი — გულმა ისევ გაიძინდვარ; ჩვენი უღელი; საკალმასო; აღსარება, ლექსები	4
ზინვილ ქველიძე — დედის ხსოვნას; *ჟ; *ჟ; უკანასკნელი, ლექსები	18
დავით ჯიუცი — ზამირათი, მოთხრობა, თარგმანი ოსურიდან ა. შამისთვალისა	20
შალვა ფორჩხიძე — დედა; ინჟინერ ქალს; ტვერის ბუღარში; ნეტავი ასე გათენდეს ყველგან, ლექსები	21
ვასილ გვეტაძე — ხალმოსახლე; ერთი პატარა; ბონდი; ისევ გიგონებ; ლექსები	25
ვალ. იმედაძე — სამოქალაქო ომის გმირი ლეკიანე თაბუკაშვილი	28
ლადო ხულაბერიძე — დედა, ბაღადა	30
გიორგი კრეტიანი — წარბშეუხრელად, ლექსი, თარგმანი კალე ბობოხიძისა	35
ნიკოლოზ ტიხონოვი — ზემ გარშემო, მოთხრობები, თარგმანი რევაზ ჯაფარიძისა	37
რაბინდრანად თაგორი — მინიატურები, თარგმანი ლავრ. შიშინგერისა, ფოსტის უფროსი, თარგმანი ლილი კალანდოძისა	38
სამეღ ვურდუნი — არ შეჩქარება, ლექსი, თარგმანი აზერბაიჯანულიდან ლეილა ერაძისა	54
სოფოკლე — თადიბოს მეფე, თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა	65
	65

ქ რ ი ბ ი ა და კ უ ბ ლ ი მ ი ს ი ბ ი ა

ბ. ძნელაძე — ლენინური პარტიისათვის თავდადებული მებრძოლი	94
ილია ფანცხავა — ტაბურობის შესახებ	99
სიმონ ყაუხჩიშვილი — ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის	109

ლ ი ბ რ ა ბ უ რ უ ლ ი მ ი მ ა მ ი დ რ ი მ ა

მოხე ვოგინერიძე — რუსთაველის ლექსის ენამზებობა; მუსიკალური ფერი და მხატვრობა	120
აკაკი კენჭოშვილი — ხალხთა შორის მშობის იდეები ილია ქაუქეჯაძის შემოქმედებაში	129
ნ. ორლოვსკაია — ნიკო ნიკოლძე ფრანგული ეურნალისტის შესახებ	139
ვახტანგ მარგველაშვილი — პიუტი და რევოლუციონერი	146
იხ. მე-2 გვ.	





გ. პაიჭაძე — შოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიისათვის 148

ხელოვნების საკითხები

როდიონ ჭორჭია — ალექსანდრე წუწუნავა 151
მიხეილ თოფურია — ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სახეობის ხელოვნება 152

კუბლიკა

Акакий Церетели — Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“
(მუბლაკაცია და შენიშვნები ან. აბრამიშვილისა და ალ. ლლონტისა) 162

წიგნების მიმოხილვა

ვასო გორგაძე — ლექსები ხალხთა მეგობრობაზე 173
ფ. ჭანტურაია — ბონდო კეშელავის ლექსები 174
ნ. აღანია, აკ. ხინთიბიძე — მონოგრაფია შალვა დადიანის დრამატურგიაზე 176
გრიგოლ მაჭავარიანი — ცოცხალი მემკვიდრის წიგნი 178
ნოდარ რუხაძე — შილერის პიესების თარგმანები 179
დავით გოგობერი — საყურადღებო გამოკვლევა 181
ზ. ქუმბურიძე — იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის საკითხები 182
პროფ. ივ. სურგულაძე — საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს
წარმოშობის საკითხის შესახებ 184
თეიმურაზ შიქელიძე — არმიზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 187
დავით კომახიძე — ნარკვევები ქართულ მეტალურგებზე 190
ფ. კირვალიძე — პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში 191

ახალი წიგნები — გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი,
ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. ანაწილის
ზომა 7 1/2 x 12 1/2, ქაღალდის ზომა 70 x 108. ტირაჟი 6.000. შეკვ. № 562. უფ 06728.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზაროლოგიაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



ქართულ სიტყვამ!

პირველ მოწყვეტილ ივების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თათლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

შენ უკვდავი რძით დამაძუტურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!

შენზე უკნობი და დიდებული
ჩალამ შექმნას და ვილამ დახატოს.

გულზე ხარ ცეცხლით მოჭიდებული. —
ქართველი ხალხის სულის ღაღადო!

ფოლად-ნადებო, ვარდში ხვეულო,
თუ დაგივიწყო, — შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.

შენ — უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებატ ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო,
ქართულო სიტყვავე,

ქართულო სიტყვავე!



ალარ მსურს ნაკადულის
მყუდროული ცხოვრება;
ვაშლის ფერფლი მათოდეს,
მეცემოდეს გვირილა;
ალარც ერთი ძველი ხმა
ალარ მემახსოვრება,
როცა გული გაგლიჯა
ნაღვარის ყვირილმა.

მე მიყვარს ლაყვარლების
ღარაღა შრილა,
ზედ ღრუბელი ნაფანტი
ჯეირანის ჯოგებად,
მირჩვენია ვიარო
თავშიშველა-მშიერმა,
ვიდრე მე ცხოვრებასთან
მომიხდეს დაჩოქება.



გაქრა, წარვიდა,
უცბად განივლტო,
ყრმობის დღეები
სამარგალიტო,
ყვავილიანი,
სიმღერაიანი, —

სამაგალითო...
სამაგალითო...
შეი, ამინდო,
ეპეი, ამინდო!
ნუთუ კალარამ
მეც არ დამინდო?!



გარეგანი

მოთხრობა

ლიუ ბაო-უი ელექტროზარის მკვეთრმა წკრიალმა გამოაღვიძა. მან წამით თვალი გაახილა, ხამი შალის საბანი სახეზე წაიხურა და თავი ისევ ძილს მისცა. ჩამდენიმე მტანჯველი წუთი ებრძოდა იგი თავის თავს. სიცოცხლით სავსე ჯანმრავარი სხეული დასვენებას მოითხოვდა, მაგრამ აუცილებლობას შეგნების ამ საძაგელსა და მომბეზრებელ გრძნობას, რომელსაც ზოგჯერ მოვალეობას უწოდებენ, დიდი ხანია ბასრი დანის მსგავსად გაეფხრჩოა ტუბილი ძილის ცისფერი ფარდა და ახლა ამ ნაფხრეშიდან მომავალი სიფხიზლის წვრილმანები იცქირებოდნენ.

ძილის მარწუხებიდან თავი პირველად სმენამ დააღწია, აქედან დაიწყო გამოფხიზლება. მან მოიტანა სერჟანტის ბრანჩარევი ხმა, ჩვეული უხეშობით რომ აჩქარებდა ხელქვეითებს. მერე გაისმა არეულ-დარეული, თუმცაღა უჩუმი მარტი ხმაური, რომელშიც არეულია თეთრეულის შრიალი, მძიმედ ნაქედი წალების რაკუნის ცემენტის იატაკზე, მთქნარებისათვის დამახასიათებელი თავშეკავებული ზმუილი, ზამბარიანი საწოლების ჭრიალი და ის გაურკვეველი, მაგრამ ყურისათვის მისაწვდომი ფარული, რასაც ოთახში უთვალავი ხელისა და ფეხის ერთდროული მოძრაობა იწვევს.

ყაზარმაში ყველას გაღვიძებოდა და, როგორც ეს გამოუძინებელ ხალხსა სჩვევია, უჩუმრად, ცხვირჩამოშვებულ იცუამდნენ.

— ჰეი! ლიუ, მწყობარში ჩადგომას არ აპირებ, თუ როგორაა შენი საქმე? — დაივივრა ცელის უფროსმა კაპრალმა სიპო-დუნმა.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ისა

და ლიუ ამფსონებად ითვლებოდნენ, მაგრამ რაკი სიპომ კაპრალის სიგელი მიიღო, მათ შორის შეემა კატამ გაირბინა. სიპოს ხელს აღარ აძლევდა საქმას დაქერა ამ აულაყულა, გულმართალ ლიუსთან, რომელსაც იგი გულის სიღრმეში მუდამ ისეთ ჩერჩეტადა თვლიდა, ვისაც ხალხში გამოსვლის ფხა არ გააჩნია.

სიპო ახლა დიდი კაცი გახდა. პოლიციის უფროსის ბრძანებებში „უმცროს მეთაურად“ იხსენიებოდა, ლიუ კი დარჩა და ალბად შემდგომშიც დარჩებოდა უამბოდ დაკარგულ კენჭად, კენჭად, რითიც ის ბილიკია მოკირწყლული, რომელზედაც სიპოსთან საზრიალი და იღბლიანი ადამიანები აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცედ მიაბიჯებენ წარმატებისაკენ.

სიპოს ახლა სხვა მისწრაფება ჰქონდა, სხვა საზრუნავი. არც არის გასაკვირი: იგი ერთი საფეხურით მაღლა ავიდა და ხელადედა იმას, რის დანახვაც უიღბლო ლიუს არ შეეძლო.

ალარც ლიუს ეხატებოდა გულზე ძველი მეგობარი. რახან სიპო კაპრალი გახდა, მათი აზრები, ადრე რომ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევოდა, ახლა ერთმეორის საწინააღმდეგონი გახდნენ.

თუ უწინ ლიუ და სიპო, განრიგში ყოფნისას, თანაბრად იყოფდნენ ყოველგვარ ნადავლს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდათ, ახლა დაუწერელი, მაგრამ უთუო კანონი მოითხოვდა, რომ უფროსს ლომის არჩივი რგებოდა. სწორედ ეს აღვიძებდა სურვილს ნაშოვნის წვრილმანი კაპრალისათვის გადაემალა ლიუს; სიპომ კი საკუთარ გამოცდილებიდან საუცხოოდ იცოდა ხელქვეითთა ამგვარი მისწრაფების ამბავი და მათ-

დამი უნდობლობით ჰქონდა გული სავსე.

ამიტომ იყო, რომ ლიუმ როგორც კი კაპრალის ხმა გაიგონა, გუნებაში ერთი ლაზათიანად შეუკურთხა უფროსებს, სამსახურს, არც საკუთარი თავი დიშურა, უცებ წამოხტა, საბანი გადაიგდო, ფეხები წაღებში წაყო (წინდებით ეძინა) და ზონრების გაყრას შეუდგა. გონება დაეწმინდა, ოდნაეი სისუსტე ფეხებში და გულის კოვზთან შერჩენილი მოთენთილობა-ლა თუ აგონებდა ცოტა ხნას წინათ შეწყვეტილ ნეტარ ძილს.

ფიქრებმა ჩვეული მიმართულება მიიღო. მთავარი, რაც ამ წუთში აინტერესებდა ლიუს, ისე, როგორც ყველა მის ამხანაგს, იყო ის, განრიგში სად მოეხვდები და ვისთან მომიწევს სამსახურის გაწევაო.

ყველაფერს ისა სჯობდა, მარტო გაეშვათ, ანდა თავის მშაკაც რიგით პოლიციელთან ემორიგევა. აქ იშლებოდა ინიციატივის მთელი თავისუფლება, ამას გარდა შეიძლება წაეძინა კიდევაც, თუკი რომელიმე თავშესაფარში შეივლიდა. აქ კი სახლის პატრონს მუდამ ჰქონდა საუფქველი პოლიციასთან ურთიერთობა არ წაეხდინა.

ყველაზე უარესი განრიგში ევროპიელთან მოხვედრა იყო. სდღე სულელივით იმ ქერა, გრძელცხვირა შტერს, რომელსაც არც ამ ცხოვრებისა გაეგება რამე, არც თავისი ხელობისა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ამ საქმეში გაუტარებია, მაინც ვერ მიხვდარა, ვის რა უნდა წაგლიჯოს და რომელ ქუჩაზე უფრო სახეიროა სამსახური.

ფართო, გვარიანად მოკირწყლულ ეზოში, რომელიც ამ გვიანი ღამით გაუნათებინათ რამდენიმე ფანრიოთ, ორასამდე პოლიციელი ჩამწყობივებულიყო.

მღუმარე რიგებდ იდგნენ, ყამდაყამ ფეხს ინაცვლებდნენ და უსმენდნენ ჩაჩრგვალბულ, მწითურ ინგლისელ სუბინსპექტორს, რომელსაც ხელში პოლიციელთა ნომრებით ჩაჭრელებული ქაღალდის მოზრდილი ფურცელი ეჭირა. ლიუს ხონკიუს არხის სანაპიროზე,

ქვედა ხიდის მიდამოებში ხელა წილად მორიგეობა. მან შეებით ამორსუნოქა:

ხილზე ხუთი საათიდან განუწყვეტილ ნაკადად მოედინებოდა ბაზრისკენ მიმავალი სოფლის ხალხი, რომელიც ბოსტნეულით, მწვანელით, ბრინჯით, თევზითა და კიდევ ვინ მოსთვლის, რა სანოვაგით დატვირთულ ურიკებს არ ჩაატარებდა. აი, აქ კი მოითბობდა ხელს მარჯვე კაცი!

უიპისოდ ვერაფერს გააწყობ, — მცირე ხელფასი საით გასწვდება ექვსი სულისაგან შემდგარ ჯალაბს.

გუშინ ცოლმა მთელი დღე ლანძღვასა და ტირილში გაატარა, რატომ იმ წუთსავე მეხი არ დამეცა, როცა ამ ბედღანავსულ სახლის ზღურბლს გადმოვაბიჯეო.

„განა არა ვცდილობ?“ — ფიქრობდა გაოგნებული ლიუ ბაო-უი, თან უკაცრიელსა და ვიწრო, ბურუსით დანესტიანებულ ქუჩებზე მიაბიჯებდა. სინანულით გაახსენდა ის სამი დოლარი, გასულ თვეში სამსხვერპლო სანთლებზე რომ დახარჯა.

იღვა მუხლმოყრილი მუქი თითბრის, კეთილდღეობისა და სიუხვის ღმერთის ალაღმის წინაშე და დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს შავმოიისფრო ნისლში მცურავი ღმერთის მრგვალი და მსუქანი სახე იღუმალად და დამციანავდ ილიმებოდა.

„იქნებ მართალიცაა კანტონელი ხუნი, — ფიქრობდა ლიუ, — ამ ღმერთებს ვერაფერს გაუგებო. ეგ კიდევ არაფერი, მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ვამბობო. იქნებ მართლაც იცის? ლერწმისფეხება იაო და დუნ იუ-მინი, კიდევ ბევრი სხვაც მთელი საათობით ერთრულეზიან ხოლმე და, როგორც ეტყობა, ხუნის გავლენაშიაც უნდა იყვენენ მოქცეულნი“.

უწინ იმათ განაყოფში მარტო ხუნი არ იღებდა ქრთამს, ახლა სხვებმაც იმას წაბაძეს. ეს კიდევ არაფერი! აღარც თვითონ იღებენ და აღარც სხვებს აძლევენ გასაქანს, რომ აიღონ!

ლიუს გუშინდელივით ნათლად ახ-

სოციალური არასასიამოვნო შეჯახება კანტონელთან. ერთხელ ლიუ რიქშის დაჯარიმება დააბრა. რიქშის მგზავრმა დაუძახა და ისიც, — ვითომ სხვებს მივასწორო, აჩქარა და კინალამ ტრამვაის ქვეშ მოექცა. რიქშამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა, მაგრამ ჯგლითში მოექცა და დაჯარვა ბალიში, რომელზედაც მგზავრები სხდებოდნენ. ლიუ ბაიუიმ აიღო ეს თეთრშალითიანი ბალიში და როგორც ერთი კარგი სამხედრო ნაღველი, ილღაში ამოიჩარა.

უბედურ რიქშას ისლა-ღარჩენოდა, ცოტაოდენი წუწუნის შემდეგ თავი დამარცხებულად ეცნო და დათანხმებულაყო კონტრიბუციის გადახდაზე.

სწორედ ამ დროს მას დამცველი გამოუჩნდა კანტონელი ხუნის სახით, იქვე ახლოს რომ მორიგებობდა.

— კაცმა შემოგხედოს, ჩინელსა ჰგავხარ და დრუნჩიანი უცხოელივით კი აქცევი, — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მან თავის მცნავანა სამხრეთულ კილოზე, — რად წაართვი ბალიში? როგორღა უნდა იმუშაოს უბალიშოდ, ის არ ეყოფა ეტლის პატრონი და საგადასახადო ბიურო ცხრა ტყავს რომ აძრობენ, ახლა შენც გინდა დაუმატო?

ლიუ შეაერთო მრისხანე სიტყვებმა, რალაც ჩაიბურტყუნა, შემეცოდაო თუ რალაცა ამის მსგავსი, რიქშას დანაშაული აპატია და, მისდა გასაკვირველად ბალიში უსასყიდლოდ დაუბრუნა.

ამ პატარა ამბავმა რალაცნაირად დააახლოვა ლიუ და ხენი.

როცა ლიუ ხიდს მიუახლოვდა, სარდანაც მისი საგუშავო იწყებოდა, გულში სიხარული იგრძნო, რადგან მეზობელ უბანზე ხენი მორიგებობდა. შემოწმებელი გაივლის თუ არა, იმასთან გადავალ და ცოტას წავილაყებებ, გულის ქიას გავახარებო, — ფიქრობდა ლიუ.

გრძელი დახლი თანდათან უჩინარდებოდა სულისშემხუთავ ბინდებულში. ნიკელის სამფეხა, მრგვალი და პატარა, დასაჯდომად მოუხერხებელი ტაბურეტ-

ბი ისე გაეკეთებინათ, რომ ზედ დიდხანს ვერ დაჯდებოდი.

მიუხედავად ამისა, ხალხი ამ ტაბურეტებზე მაინც დიდხანობით იჯდა. აი, უკვე თითქმის სამი საათია, რაც ორი მათგანი ელაღობიან ახმახებს ეკავა. მათ ტრადიციული ინგლისური ჰიჯაყები და არანაკლებ ტრადიციული ნაცრისფერი ფლანელის შარავლები ეცვათ. ჰალსტუხს ქვემოდან ოქროს ქინძისთავებიანი შეებნათ პერანგის საყლოები, რის გამოც მკვირივად გაეკანაძული ჰალსტუხები იპონურ კუზიან ხიდებს მოგავგონებდათ.

შესახედავად ერთი ოცდაათი წლისა იქნებოდა, მეორე — ორმოცს მიღწეული.

ორივენი საერთაშორისო სეტლემენტის პოლიციელები იყვნენ. ერთი გვარად ჯეფერსი, მეორე — პრატი.

თუ ანგარიშში არ ჩავავლებთ ზოგერთ წვრილმანს, მათ ბიოგრაფიებიც ისეთივე მსგავსი ჰქონდათ, როგორც შესახედაობა.

ზობ ჯეფერსი, უფროსი რომ იყო, ჩინეთში ჩამოვიდა მეფის მსროლელობა არგაილის პოლკთან ერთად. ჯერ ჰომკონგში იღვა მთელი პოლკი, შფოთიან ათასეზრას ოცდაშვიდ წელს კი, როცა კანტონის რევოლუციურმა არმიამ ფეოდალები ნაცარტუტად აქცია და ჩინეთის ეკონომიკის ნერვულ ცენტრს, შანხაის უახლოვდებოდა, იგი პოლკთან ერთად გაგზავნეს ბრიტანეთის ინტერესების დასაცავად.

დონალდ პრატის წარსული მარტო იმით განსხვავდებოდა ბობის წარსული-საგან, რომ პრატიმა ჩინეთი ხუთი წლით უფრო გვიან იხილა. პოლიციაში სავაქრო ფლოტიდან იყო გადმოსული. თავისი დღენი და წუთისოფელი ქალებს დასდევდა კულში და იმგვარადვე, როგორც თვითონ მიიღწია უმცროსი სერჟანტის წოდებიდან უფროსი სერჟანტის ჩინს, მისი ეშხიანი მოახლუ არაოფიციალური ცოლის მღვთმარებობამდე დაწინაურდა.

ჯეფერსი და პრატი უკვე მესამე საათია, რაც ისხდნენ ლუდხანა „ნევიდა-

ში“, ერთმანეთს მოკლე რეპლიკებს ესროდნენ და ზარს თამაშობდნენ. ყოველი პარტიის შემდეგ წაგებული იხდიდა ვიკის ლირებულებას, კვლავ უკვეთავდა და თამაშს განაგრძობდნენ.

დაბლის მეორე მხარეს კოკტილით ნახევრად საესე ქიქასთან მეტად ლამაზი, იაპონური ფაიფურის ქანდაკებით შეღებილი ქალიშვილი იჯდა.

ღარბაზი სიბნელით იყო მოცულა. მხოლოდ მუსიკოსთა სანოტეებზე აქაიქ მოციმიციმე ნეონის იასამნისფერი ნათურები და ზოგიერთ მაგიდაზე ქაობის ჩირალდნებივით მბეჭუტავი წითელი, ყვითელი, იისფერი, მწვანე და ლურჯი მაგილის ციციქნა ლამპები თუ აფრქვევდნენ ნაზ მუქს ჩრდილში მჯდომ ინტიმურ წყვილებს.

თეთრ ლივრებში გამოწყობილი ოფიციატები უხმაუროდ დასრიალებდნენ ღარბაზში, წინასწარ ზედებოდნენ სტუმართა სულ მცირე სურვილსაც კი და თითქმის მიწიდან ამოძვრენო, აღმოჩნდებოდნენ მაგიდასთან, რათა ასანთი გაეკრათ სწორედ იმ წუთში, როცა მსურველი სიგარეტს პირთან მიიტანდა, რის შემდეგ კვლავ გაუჩინარდებოდნენ ხოლმე წყვედიანში.

პრატი ღროდადრო, წელში რომ გამართულიყო, სკამიდან დგებოდა და ის ქალი საცეკვაოდ გაჰყავდა.

ასე იყვნენ ისინი „ნევადაში“ ღამის ორ საათამდე, ვიდრე უფრო წინდახედულმა ჯეფერსმა არ დაიხედა მაჯას საათზე, კამათლებიანი ტყავის ქიქა დახლზე დადგა და საქმიან კილოზე წარმოთქვა:

— მგონი, წასვლის დროა, დონ.

— შენ მართალი ხარ, ბობ.

მეგობრებმა ანგარიში გაასწორეს, ქუჩაში გავიდნენ თუ არა, რიქმაზე დასხდნენ და სახლისაკენ გაემართნენ. სამი საათიდან რეასათიანი მორიგეობა უნდა დაეწყათ.

ქალაქი მოთეთრო ნოტიო წყვედიადს ჩაენთქა. ასფალტი კირხლით დაფარულსა ჰგავდა და ზედ მოტყავუნე რიქმების

შიშველი ტერფები მოლაპლაპე კვალსა სტოვებდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა ჯეფერსი და პრატი ამთავრებდნენ ზარის უკანასკნელ პარტიას, სიუ ვენ-კუეი თავის ზანჯგვლიან, ღმერთმა უწყის როდის დავარცხნილ თავს ჯუტის ტომრის ზემოთა ნახვრეტში ჰყოფდა, რომელიც მისთვის პალტოც იყო და კოსტუმიც. ტომარა გრძელი იყო, ტანდაბალ სიუს იგი მუხლებამდე სწედებოდა, მაგრამ ერთი არსებითი ნაკლიც გააჩნდა, სულ მცირე ქარიც კი ძვალ-რბილში დაუვლიდა ხოლმე მის პატრონს.

იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ეს უსიამოვნება სიუმ მთელ ტანზე გულდაგულ დაიხვია ქუჩაში წინასწარ მოგროვებული გაზეთები, ასე რომ, ქალაღის ჯავშნით შემოსილი სხეული გვარიანად იყო დაცული ქარისაგან. მართალია, ფეხები სრულიად ტიტველი რჩებოდა, მაგრამ სიუს ეს სულაც არ აწუხებდა.

ახლა იმაზე ფიქრობდა, წვიმაში არ მოვხვდეთ.

დასველდები და ხათბალა! ქალაღი მაშინათვე იხევა, სორსოლდება და დარჩები ცარიელ-ტარიელი გამჭოლი ზღვაურის პირისპირ, მოკავშირედ კი მხოლოდ დახვრეტილი, სველი ტომარა გეყოლება, რომელიც იმის მაგივრად, რომ გაგათბოს, სულ ძაგძაგს დაგაწყებინებს.

სიუს დილაადრიაანად ადგომა სულაც არ აიხსნებოდა იმით, რომ იგი მეტისმეტად მოუტყელი იყო, პირიქით! ამ სისხამ დილით ქალაქის ქუჩებში ხეტიალი სულაც არ ეპრიანებოდა. ღამის სათევის პატრონი ძალიან პუნქტუალური კაცი იყო და თავის ბინადრებს საათში ზუსტად სამ კოპერს¹ ახლევინებდა, სიუმ კი მხოლოდ თვრამეტი კოპერი ვადაიხადა და მაშ ბინაც სამი საათისათვის უნდა დაეტოვებინა.

— მე ისედაც ძალიან ცოტას ვახდევინებ, — ეუბნებოდა სახლის პატრონი

¹ სპილენძის ფული. შესამედი ნაწილი ვერცხლის დოლარისა.

მეზობლებს. — აგე ცალხელა ჩენი თხუთმეტ ცენტზე ნაკლებად ფეხს არავის შეადგმევიანებს.

ბინადრებს კი, თავს რომ არ გასელოდათ, წიხლის კერით აღვიძებდა ხოლმე ვადის გასვლამდე ზუსტად შეოთხენდი საათით ადრე.

წიხლი, რომელშიც სიუ ამჯერად გააღვიძა, საკმაოდ ზომიერი იყო, მაგრამ რაკი იგი სწორედ მტკივან ფერდში მოხვდა, სიუმ წამოიყვირა და ხელი ნატკენ ადგილზე წაივლო. ამის შემდეგ თავის ქექვითა და ზმორებით შეუდგა ჩაცმას.

ბუნებით ის არ იყო ნიქსმოკლებული, ფილოსოფიურად მოჰყიდებოდა ცხოვრების დაუდგრომლობას. ამიტომ მან სწრაფად მოძებნა ის დადებითი ჩანასახი, რომელიც ადრე ადგომით გამოწვეული გარეგნული უხერხულობის მატურ ნაქუქში იმალებოდა.

უპირატესობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ მას შეეძლო უთენია შეპარულიყო ბაზარში, იქ გაძვრებ-გამოძვრებოდა გამოუძინებელ, უგერგილო მებოსტნე გლეხებს შორის, ფარდულიდან რაივე საქმელს ასწავნიდა და შენაყრდებოდა კიდევ.

მოუხარშავი კომბოსტოს ან ქარხლია დილითვე შეკმა ბევრ რამეს ნიშნავდა. ეს აძლევდა ძალ-ღონის მარაგს ელიჯნა რამდენიც სურდა, აგრეთვე დალოდებოდა იმ დალოცვილ საათს, როცა რესტორანის ბიჭები უთვალავი კანტორებიდან სადილის ნარჩენებს გამოიტანდნენ. კანტორის წვრილ მოხელეთათვის სადილი სამუშაო ადგილზე მიჰქონდათ და სიუ სხვა მათხვრებთან ერთად, რომელნიც კი ახერხებდნენ ცენტრალურ ქუჩებზე გაძრომას, აჩერებდა უკანმომაველ ბიჭებს, კალათს თავს ახდიდა და თავის ქურჭელში — უფრო ხშირად ცარიელ კონსერვის ქილაში გადააჭმონდა მთელი ის სიმდიდრე, რაც იქ იმყოფებოდა.

რას არ ნახავდით იქ! გემრიელ საწებელში მკურავ, ჯერ ისევ თბილ ვერძში შელსა და მთელ გროვა თეთრ, გაფუეხულ ბრინჯის მარცვლებს, მოხარშულ

მწვანილსა და ხანდახან ხორცის მცირე ნაჭრებსაც კი!

სიუ ყოველივე ამან გულმოდგინედ აგროვებდა თავის ქილაში, დამტარებელი ბიჭი კი მოთმინებით, ხმისამოუღებლად უცდიდა. ეს იყო უცილობელი, ტრადიციულად დაკანონებული უფლება მათხვრისა და არავინ, თვით უბირი უცხოელიც კი ვერ გაბედავდა მის გაქვლვას.

დილის გამქვალავი ნისლი თავს დასწოლოდა არხს, რომელშიც ბუნდოვნად მზინავი მდინარე თავის შავსა და ცივ ტალღებს მიაგორებდა.

გრძელი, მიხვეულ-მარხვეული ქუჩა გარინდულიყო, გულის ძილით შეპყრობილი. კიდევ ერთი საათი და იგი გამოცოცხლდება, გამოეფინება მშრომელი ხალხი, აღრქილადებიან პირველი ტრამვაები, დაუსრულებელ ქარავნად გაიჭიმებიან ცალთვალა ურიკები.

მადისალმძვრელი სურნელით გაქლენთილ „ნევადაში“ გატარებული მყუდრო საათების შემდეგ, ღარიბთა უბნის სინესტისაგან მოლიბულ და ატალახებულ ქუჩებზე მორიგეობა უფრო აუტანელი ეჩვენათ ჯეფერსსა და პრატს. განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს პრატი. მას ყველა სხვა უსიამოვნებასთან ერთად, რაც სამსახურის გაწევასთანაა დაკავშირებული, დაემატა კიდევ ერთი ყველაზე მტანჯველი გრძნობა — ექვი.

რალა სწორედ ლუდხანიდან ე. მოსვლისას შეეხება პირისპირ იმ საძაგელ, გასივებულ ჯუჯა დელორმს.

ეს ფულით გატენილი ჩარჩი სწორედ ლუდხანის დაკეტვისას მოვიდა. განა ვერ მიხვდებოდა კაცი რატომ უნდა დაეხარჯა ტყუილუბრალოდ ყაირათთან ფრანგს ან ფული, ან დრო და დახლთან მჯდარიყო, როცა სიუზის წაყვანა ადვილად შეიძლებოდა სადმე მყუდრო თავშესაფარში, სადაც ბევრად უფრო უშფოთველად გაატარებდნენ დროს!

ქარგი კი იქნებოდა, ეშმაკისათვის მიეფურთხებინა პრატს, ჩამჯდარიყო ტაქ-

სში და წაასწრებდა თუ არა დანაშაულის ადგილზე, ერთი ლაზათიანად მიუბეგვა ის დელორმიც და ის მაცდური კოკობზიკაც!

— ღონ, გესმის? დაგრაჩა კიდევ რამე? — გააწყვეტინა ფიქრი ჯეფერსმა.

სამორიგოდ როცა მოდიოდნენ, ორივე მეგობარმა ბრტყელი ბოთლებით წამოიღო ეგრედწოდებული ჯიბის ვისკი. მაგრამ ჯეფერსმა, წამდაუწუმ რამ ყლურწავდა, თავისი ბოთლი კარგა ხანია გამოსცალა. სუფთა პაერზე გამოსულებს ვისკი მოეკიდათ და ახლა როცა კიდევ დაუმატეს, სასმელმა თავისი ჰქნა.

პრატმა მეგობრის პასუხად ჯიბიდან ბრტყელი ბოთლი ამოიღო, შუქზე გახედა და დარწმუნდა, რომ მასში სულ რაღაც ორი მოზრდილი ყლუპი-ღა დარჩენილიყო.

— The last comes fast! ¹ — თქვა გულნაკლულად, — მოდი, ამოვიღო, ერთი ყლუპი შენც გერგება. ჩემი უკანასკნელი იყო.

ჯეფერსს ხეყწა არ დასჭირებია, ბოთლი მოიყუდა, მერე სუფთა ცხვარსახოცით გაწმინდა და საბოლოო ყლუპისათვის პრატს გადასცა.

პრატმა ბოთლი გამოცალა და არხში გადაისროლა. ბოთლმა მდოვრე წრე მოხაზა და შავ მდინარეში ჩაეშვა.

— ეიბ, ეს წყეული ცხოვრება!.. — ჩაიბურტყუნა პრატმა.

მის წინ კელავ აღსდგა მომღიმარე, გულზევიადი ფრანგის სახე. საღ იქნებოდა ახლა ისინი? ალბათ უკვე დელორმთან... პრატმა ბრაზისაგან მუშტები შეეკუმშა. მან თვალების ცეცება დაიწყო, ჯავრი ვისზე ვიყარო, მაგრამ ამ უიღბლო საათზე ირგელივ კაცის კაქანება არ იყო, რიქმებიც კი არსად ჩანდნენ — ეს კაცნი განტყეებისა, — რომელთა არსებობის თვით ფაქტიც კი ევკონებ უკვე ითვლება მუნიციპალური წესების დარღვევად.

ამ დროს მან კედელ-კედელ კოჭლობით მომავალი მაწანწალა დაინახა. მას ისე მოეჩვენა, თითქოს მათხოვარი შე-

უმჩნევლად გაძვრომას ცდილობდა. „ალბათ რამე აწანწალა დელორმის შემოღება — გაიფიქრა პრატმა, — უნდა შევამოწმო...“

მან მიიხედ-მოიხედა, თვალებით ჩინელ პოლიციელს დაუწყო ძებნა, რომ მისთვის დაევალებინა მათხოვრის შეჩერება და გაჩხრეკვა. თვითონ არ სურდა ამის გაკეთება, რადგან ამას საკუთარი ღირსების შელახვად თვლიდა. თითქოს ჯიბრზე, ვერაფერ დაინახა.

— ეს შეჩვენებული ჩინელები! — უთხრა მან ჯეფერსს, — როცა არ გინდა, გადააფურთხებ და, ჩინელს დაეცემა, ახლა კი ერთიც არ ჩანს.

— ერთი იმ უსაქმურთაგანი იქით მხარეს უნდა იყოს! — და ჯეფერსმა თავი არხისაკენ მიაბრუნა.

ამასობაში მათხოვარი უკვე სულ ახლოს მიბაჯბაჯებდა და შთაბეჭდილება, რომ მას შეუმჩნევლად გაძრომა სურდა, უფრო გაიზარდა.

— შენ, ეი! — დაუყვირა პრატმა. მას ასე თუ ისე ეხერხებოდა ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკი, მაგრამ ამ შემთხვევაში არა სთვლიდა საჭიროდ ზედმეტი სიტყვების დახარჯვას.

მათხოვარმა, ვითომ ვერ გაევიგო, ნაბიჯს უმატა.

— ეე, პისე !! — თავი ველარ შეიკავა და დაიღრიალა პრატმა, თან მუქარის ნიშნად მათხოვრისაკენ ნაბიჯი გადადგა.

სიუ ვენ-კუეის ტანში გააერკოლა, მოიკუნტა, თავი მხრებში ჩამალა და ბაჯბაჯს უმატა. მას დღეს ჯერ არაფერი აეწაპნა და ჰქონდა საფუძველი არაფრად ჩაეგლო კანონის წარმომადგენელი, მაგრამ შიშის თანდაყოლილი გრძნობა არ შორდებოდა უსახლკარო აღამიანებს.

ჩინელის აშკარა ურჩობამ პრატი საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან და სიუს გამოეკიდა, მათხოვარმა კი ერთი ისეთი მოჰკურცხლა, რომ სულაც არ იფიქრებდით, ეს დღენიადაგ შიმშილისაგან დაუძლურებული აღამიანი არისო.

¹ აღსასრულს დიდი ლოდინი არ უნდა (ინგლ.)

¹ ავარა (ჩინ.)

მაგრამ ახა სოდ გაექცეოდა ფეხათრეული ჩანჩურა მძლარსა და ბრვე სპორტსმენს! სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯი გაგრძელდა ეს უნაყოფო ცდა და სიუ, როგორც კუთხეში მომწყვდეული წრქუწუნა, მთელი ტანით აეკრა აგურის ყრუ კედელს და თავზარდაცემული გაიჩინდა. იგი არასოდეს შეხვედრია ასე პირისპირ უცხოელ პოლიციელს და ამიტომ მისი შიში კიდევ უფრო გაძლიერდა.

პრატმა უკვე მოასწრო დაშოშმინება. ახლა იდგა სიუს წინაშე და არ იცოდა, რა ექნა მისთვის. ალბად ერთი ორ სილასაც გააწინაგდა წესრიგისათვის, მაგრამ ხელის შეხება ეზოზღებოდა — იმდენად ბინძური იყო ეს მაწანწალა.

ყოყმანი ჯეფერსმა შეაწყვეტინა.

— უნდა გაიხზრიკოს ეს ნაბუშარი, — თქვა მან ისეთ კილოზე, რომ პრატს ბრძანებლური ტონი მოეჩვენა, — იქნებ რამეც კი აქვს მოპარული...

— მეტისმეტი ბინძურია... — გულზადიანად უარყო პრატმა, გულში კი გაიფიქრა: „შეხედე ერთი ამ მსახურას! ჩხრიკე ახლა ეს მაწანწალა! დიდი ამბავია, დამნაშავე დაიჭირა!“

ჯეფერსმა თვითონაც იცოდა, რომ მათხოვრის გაჩხრეკა საკუთარი ძალეებით შეუძლებელი იყო. მას არ ჰქონდა უფლება ამის შესახებ პრატისათვის ებრძანებინა, თვითონ კი, მით უმეტეს ხელებს არ დაისერიდა, იქნებ უკურნებელი სენიც კი აიკილოს კაცმა!

— სადგურში წაიყვანათ, — უთხრა მან პრატს. — ბარემ ცოტასაც გავთბებით და კანტინში თითო ჰქიქასაც გადახეხავთ!

მაგრამ ამის ვაკეთება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სიუმ გაიგონა თუ არა საბედისწერო სიტყვები: „სიმ-პუ ჩუი ლა“¹, მიწაზე განერთხო და საზარლად აღრიალდა.

სიუ არაერთხელ იყო ნამყოფი უბანში და საუცხოოდ იცოდა, რომ არაფერს ზამინელს იქ არ უზამდნენ. ბევრი-ბევრი

ერთი ორი წაუთაქონ, მაგრამ იმის გახსენება, რომ მთელი ნახევარი დღის განმავლობაში უსმელ-უქმელს დილეგუს ჯდომა მოუხებოდა და კანტორებში სადილობის ეპისაე გამოჩნებოდა, მას სულაც არ ახარებდა.

ამიტომ ისე ღრიალებდა, თითქოს ყელსა სკრიანო და ადგილიდან არ იძვროდა.

— შეხედე ერთი ამ ძაღლის ნაშიერს! — გულჯავრიანად წარმოსთქვა ჯეფერსმა და წალის ცხვირი უთავიზა.

— აეთრიე! — დაუყვირა პრატმა და თვალები გადმოჟარკლა, თან მუშტიც მოუქნია, თითქოს გარტყმას ლამობდა.

სიოს შეეშინდა, მართლა არ გამარტყასო და წამოხტა. მას ის-ღა დარჩენოდა წასულიყო იმ მიმართულებით, რომელიც უცხოელმა უჩვენა.

გლაზა უფრო ხმადალალი ტირილით, ვიდრე სინამდვილეში ეტირებოდა, წაჩანჩალდა რკინის ხიდისაკენ, რომელიც ლამის ბურუსიან მწუხრში რაღაც უზარმაზარი ცხოველის ჩონჩხს წაავაგდა.

ჯეფერსი და პრატი უკან მიყვებოდნენ. ახლა, როცა მათხოვრის ჭირვეულობით გამოწვეული აღელვება რამდენადმე დაცხრა, ჯავრისაგან გულზე სკდებოდა ორთავე.

„მანც რა ეშმაკად წამოიწყეს ეს დავიღარაბა? ვთქვათ, მიიყვანეს უბანში, იქ გაჩხრეკენ, დაეუშვათ, რომ რაიმე უპოვეს კიდევ... მერე რა მოხდა? ერთი რამ ცხადია, ეს გლაზაკი ასე თუ ისე ძვირფასს ვერაფერს მოიპარავდა. ეს ხომ პროფესიონალი ქურდი არაა, მხოლოდ მათხოვარია, მაწანწალა. მას რომ გაქცევა არ ეცადა, მათ აზრადაც არ მოუედილოდათ დროისა და ყურადღების დახარჯვა. ახლა კი მიდი და სდიე მთელი ექვსი კვარტალის სავეალზე. იქ კი მტრაკვეცა უიკოქსონი გაკვირვებულად დაღობიკება, აინუნშიც არ ჩააგდებს ამ ამბავს და ხელა კლუბში უთუოდ მასხარადაც აიგდებს.“

ისინი უკვე შუა ხილამდე მისულოყენენ. მათხოვარი თითქოს ამათ ჯიბრზე ფეხებს ძლივს მიათრევდა.

¹ პოლიციაში წაიღეთ! (ჩინ.)

„ემშაქმა წაილოს ეს მაიმუნნი—გუნე-
ბაში შეიგინა ჯეფერსმა და ჯავრი იმით
იყარა, რომ სიუს ზურგში წაჰკრა, ჩქა-
რა წაეთრიეო“.

სიუ არ მოელოდა, უცარი ბიძგისა-
გან წონასწორობა დაკარგა და წაიქცა.
მას იმდენი არაფერი უტყენია, რამდენა-
დაც შეშინდა.

მთელი თავისი ზნელით მოცული არ-
სებობის განმავლობაში, უსახლკაროდ,
უოჯახოდ, სიხარულისა და იმედის გა-
რეშე, მან მხოლოდ ორი წესი აითვისა
ყოველგვარი უბედურებისაგან დაცვი-
სა — გაქცევა და ტირილი. და ახლა წა-
იქცა თუ არა, ტირილი მორთო, უფრო
ძლიერი და, რაც მთავარია, წედანდელ-
ზე უფრო გულწრფელი.

თუმცა ამ ტირილს, როგორადაც
გულწრფელი არ უნდა ყოფილიყო იგი,
ჰქონდა თავისი დანიშნულება. ჯერ ერ-
თი, ეს იყო ცლა, თუმცა ამო, გამოეწე-
ვია სიბრალული ამ მტანჯველებში და
მეორეც — სურვილი მიეპყრო შემთხვე-
ვით გამვლელთა ყურადღება. ისინი ჯერ
კიდევ ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ
მაინც უკვე გამოჩნდნენ ნამძინარევი,
ღმერთმა უწყის სადაური მუშები, რიქ-
შები, რომელნიც არასოდეს ისვენებენ,
გლებები, ბაზარში რომ სურსათი მიჰ-
ქონდათ და კიდევ რომელიღაც გაბურძ-
გნილი პირები, არავინ რომ არ იცოდა,
საიდან გაჩნდნენ ქუჩაში ამ აღრიან ღი-
ლით.

სიუ იწეა ტროტუარზე და ღრიალებ-
და ენამქვერად, რამდენადაც ამის სა-
შუალებას აძლევდა მისი შეზღუდული
ლექსიკონი, მოსთქვამდა თავის ავბედო-
ბაზე და მოწყალებისაკენ მოუწოდებდა
დიდ უცბოელ უფროსებს.

— ტურტლიანი ძაღლი! — დაიღ-
რილა მთლად გაცოფებულმა ჯეფერს-
მა — როგორ გგონია, დიდხანს დაგი-
წყებ ლოლიავს?

ამ სიტყვებმა, მეტადრე იმიტომ, რომ
ისინი უცხო ენაზე იქნენ წარმოთქმული,
სიუზე საშინლად იმოქმედა და მან
ღრიალს უფრო უმატა. ახლა კი ვერაფე-
თარი შიში ვეღარ აიძულებდა გაყო-

ლოდა ამ უღმობელ უცხოედებს, რო-
მელნიც თვითონვე გააჯვრებდნენ.

— ბობ, სულ ტყუილად კი ავეყვით
ამ მაწანწალას! — უთხრა პრატმა. —
ახლა ეს ეგდება აქ და იმდენ ხანს იღ-
რიალებს, მანამ ბრბო არ შეგროვდება!
— არა, მე ვერ მივცემ დიდხანს წო-
ლის უფლებას! — გამოეხმაურა ჯე-
ფერსი.

იგი დაიხარა, სძლია ზიზღს, მათხო-
ვარს ქეჩოში სწედა და მოეკრდა. ასწეე-
და კიდევ, მაგრამ სიუმ ხელი ჩასჭიდა
მოაჯირის ატურულ წნულს და მისი ავ-
ლეჯა ისე ადვილი არ აღმოჩნდა.

პრატი ცოტა ხანს უსიტყვოდ უთ-
ვალთვალებდა ამას, მერე იფიქრა უნდა
ჩავეერიოო. ორივემ შედარებით ადვი-
ლად მოგლიჯეს მოაჯირს მაწანწალა და
რამდენიმე ნაბიჯზე გაათრიეს, შემდეგ
კი მან ისევ მოახერხა ჩასჭიდებოდა ჯერ
ფეხით, ხოლო მერე კი ცალი ხელით ბა-
ლუსტრადას. ამ წარმატებამ შეგროვილ
გამვლელთა მცირე ჯგუფში სიცილი და
გაუბედავი, წამაქეზებელი შეძახილები
გამოიწვია.

ჯეფერსი და პრატი კვლავ შეუდგ-
ნენ სიუს მოაჯირიდან მოცილებას. ახ-
ლა ისინი იმდენად გამხეცდნენ, რომ
აღარ ერიდებოდნენ იმას, რომ უღვთოდ
დაისერებოდნენ.

— მურტალო ნეზვო! — კბილებში
გასცრა პრატმა. — ეს ახლა იმდენს
იხამს, რომ ავიღებ და არხში გადავის-
ვრი!

— მართალია, დონ, არხში გადავაგ-
დოთ, რაღასა ვცოდვილოვთ!

მათ ჩაავლეს სიუს ხელი ხელებსა და
ფეხებში, გააქან-გამოაქანეს და...

სიუმ შემზარავად დაყვირებდა-ლა მო-
ასწრო უკანასკნელად, ყირამალა გადა-
ტრიალდა, ხელები მოუხეშავად გაასავ-
სავა და წყაოში ჩავარდა. ფსკერისაკენ
ისე წაფიდა, როგორც ქვებით გატენილი
ტომარა და ცივმა, შავმა წყალმა იმ ად-
გილზე პირი ისევ შეიკრა.

ერთ ხანს ჯეფერსი და პრატი გა-
რინდებული იდგნენ და გასტყეოდნენ
ხიდ ქვეშ გამეფებულ აღუშფოთველ

სიბნელეს. ჯეფერსი ღრმად სუნთქავდა, ქოშინი ავარდნოდა შინაგანი ბრძოლის გამო. პრაქტიკა გაოფლიანებულ სახეს ცხვირსახოციით იმშრალეზდა და ჯერ კიდევ კარგად ვერ შეეგნო, რაც მოხდა.

პირველად ჯეფერსი გამოერკვა. იგი მობრუნდა და ჩინელების ჯგუფი დაინახა, ჯერ ისევ რამდენიმე წამის წინ ნიშნის მოშვებად რომ შესცქეროდნენ ამ ცოდვილობას. ახლა აღარავინ იციანოდა. ხალხი იღვა გაუნძრევლად და კრინტს არავინ სძრავდა. ვინ შეშინებულა, ვინ დაბნეული, ვინ კიდევ მრისხანებით შეჰყურებდა პოლიციელებს.

ჯეფერსმა ჩუმად მოუხმო პრატს და ორთავემ სასწრაფოდ გაუანტეს უსაქმურთა ბრბო, იქ რომ აღმოჩნდნენ, სადაც არაფერი ესაქმებოდათ.

ლიუ ბაო-უი არხის იქითა მხრიდან უყურებდა მთელ ამ ამბავს. სწორედ იმ წუთს გაშორდა კანტონელ ხუნს. ხუნი თავის საგუშაგოზე დაბრუნდა, ლუი კი, როგორც ამას ინსტრუქცია მოითხოვდა, ხილთან მივიდა.

ის, რაც ხილზე თავიდან ხდებოდა, დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა და ლიუს გულშიც არ გამოუწვევია არაერთარი ემოცია, გარდა ჩვეულებრივი ჭურვილისა — სხვის საქმეში არ ჩარეულიყო;

მაგრამ დასასრული ისეთი მოულოდნელი და თავზარდაშემცემი აღმოჩნდა, რომ პირველ მომენტში ლიუ გაშეშდა. ლიუ შინახელი იყო, აქ დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდანვე ეწაფებოდა ჩინელი ხალხისათვის მომზადებული დამცირებისა და აბუჩად აგდების ფიალას, მაგრამ ასეთი რამ მას თავის დღეში არ ენახა.

მის სიცოცხლეში პირველად ალაპარაკდა ეროვნული გრძნობა ასე მწვავედ და მბრძანებლურად. აქამდე მისი ერთადერთი გამოვლინება იყო ყრუ და ანგარიშმიუცემელი მტრობა უცხოელები-სადმი, ვინც ყველგან ეჩხივებოდა არამარტო მას, არამედ მის მშობლებსაც, ნაცნობებსაც და საერთოდ ყველას,

ვინც მის ირგვლივ იმყოფებოდა. ვინც შორისაც იგი ცხოვრობდა.

მაგრამ იმან, რაც ახლა მოხდა, გადააქარბა ყველაფერს, რის წარმოდგენაც კი შეიძლო. ჯერ თავად მოიწადინა, იმ ოკეანისგალმელ ურჩხულებს ხილზე მიეფუარდებო, მაგრამ მერე? ჩხუნს ხომ ვერ დაუწყებდა! ჯერ ერთი, იმათთან ვერაფერს გახდები, მეორეც, კიდევ რომ გახდეს, რა მოჰყვება ამას? არა, აქ სხვაგვარად უნდა მოიქცე, მაგრამ როგორ?

აქუსს რა ცუდ დროს წაეიდა ხუნი — ორივენი ალბათ რაიმეს მოიფიქრებდნენ!

ამ დროს მის გვერდით ჩაიარა ორმა კაცმა. ერთი ხნიერი იყო, მეორე — ახალგაზრდა. ისინი აღშფოთებული კამათობდნენ მომხდარის თაობაზე და უცხოელებსა ლანძღავდნენ.

ლიუ-ბაო-უის თავში აზრმა გაუელვა. მან ტკბილად დაუძახა მათ, რომ არ დაეშინებინა და ჰკითხა, ნახეთ თუ არა საკუთარი თვალით, რაც მოხდაო. ხნიერმა, უცხოურ ფორმას უნდობლად რომ მიაჩერდა, სცადა მივიბულ-მოკიბული პასუხი გაეცა, მაგრამ მისმა ახალგაზრდა თანამგზავრმა გულწრფელად ჩაურთო:

— დიახ, ბატონო უფროსო, ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ, ჩვენ სწორედ იმ დროს ხილზე ვიყავით.

— სად ცხოვრობთ? — ჰკითხა ლიუმ ყოველგვარი მომზადების ვარეშე და ამით საქმე გააფუჭა, რადგან ამჯერად ქაბუციც შეშინდა.

ისინი მდებარედ თავს უკრავდნენ, უარობდნენ და არწმუნებდნენ, არსად კრინტს არ დავძრავთო.

— მე კი სწორედ ის მინდა რომ ეს ამბავი ყველამ გაიგოს. მინდა წაეიღე და ამის შესახებ უფროსებს მოვახსენო.

საქმის ახალმა ვითარებამ, რომელიც უკიდურესად საწინააღმდეგო აღმოჩნდა იმისა, რასაც ისინი ვარაუდობდნენ, მგზავრები კიდევ უფრო შეამფოთა. ისინი შეშინდნენ, ვაითუ ცუდ საქმეში

გაეუბათო და ამიტომ უფრო უარზე დადგნენ.

ლიუ გაჯაერდა.

— ჩინელები არა ხართ? — ხმის აწევით უსაყვედურა მან. — თეთრი ტარტაროზები ჩინელებსა ელტუნ, თქვენ კი ხმის ამოღებასაც ვერა ბედავთ!

— მაგრამ დიდად პატივცემულო და ბრძენო ბატონო უფროსო, მე დიდი ოჯახის პატრონი ვარ, მე ძალიან ღარიბი ვარ, ძალიან პატარა აღამიანი.

— კაცმა რომ შემოგხედლოს, ჩინელსა გეუბარ და დრუნჩიანი უცხოელივით კი იქცევი, — მრისხანედ წამოისროლა აღელვებულმა ლიუმ და უეცრად გაახსენდა, რომ სადღაც გაეგონა ეს სიტყვები. გული სიამაყით აღევსო: არც ისე ჯაბანი ყოფილა, არც ისე ცუდი ჩინელი ყოფილა. ბოლოსდაბოლოს, ის ახლა თვითონ არწმუნებს სხვებს მოიქცენ ისე, როგორც საჭიროა. აფსუს, რამ ხუნი არ არის სადმე ახლოს, გაიგებდა, რა კაცი ყოფილა ლიუ ბაო-უი.

ლიუს სიტყვებმა სქელკანიანი მოხუცი ვერ მოაღბო, მაგრამ, სამაგიეროდ, ყმაწვილი აღაპარაკდა:

— ჩვენ ჩრდილო ბაოდინის ქუჩაზე ვცხოვრობთ, სამი კულტურის თეატრთან. ბებერი ლინის დუქანი იქითხეთ. ჩვენ სწორედ დუქნის თავზე ვცხოვრობთ.

მას შემდეგ, რაც მისამართი გამოიჩვენა, მოხუცმაც თავი გაანება ჯიუტობას. მან დაასახელა თავისი გვარი და ისიც, რომ შეუძლია კიდევ რამდენიმე კაცი მოიყვანოს, რომელნიც ხილზე იდგნენ და ყველაფრის მოწმენი გახდნენ. ამბავთა შემდგომმა მსვლელობამ ცხადჰყო, რომ ჯეფერსსა და პრატს, სულ ცოტა, დიდი სამსახურებრივი უსიამოვნება ელოდათ.

ინსპექტორმა უილკოქსონმა — იმ დამით რომ მორიგეობდა, დიდი სინანულით მოისმინა ჩინელი № 786 პოლიციელის პატაკი იმაზე, რომ უცხოელებმა — № 32 სუბ-ინსპექტორმა და № 84 უფროსმა სერჟანტმა ის-ის იყო ხონკა-

უს არხში ვილაც მაწანწალა დაიორჩევს.

ჩინელისათვის რომ არ ეგერძნობინებინა, შენი დასმენისა არა მჯერაო, უილკოქსონმა იგი შემდგომი მორიგეობიდან გადააყენა, იარალი ჩააბარებინა და დააპატიმრა საგუშაგოს თვითნებურად მიტოვების გამო.

უილკოქსონი არც ისე სულელი კაცი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამ საქმას განმეინება არ ღირდა. მაგრამ ყველაზე ძვირად უილკოქსონი თავის სამსახურს აფასებდა. იგი წარმოშობით ერთი ლივერპულელი დალაღის ღარიბი ოჯახიდან იყო და ყოველთვის ბედნიერგვით იფანებდა იმ დღეს, როცა ვილაცამ ჩაგონა შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის პოლიციაში სამსახური დაიწყეო. უკვე თორმეტი წელია აქ მსახურობდა, მაგრამ არც ერთი შენიშვნა არ მიუღია, საუცხოო ანგარიშზე ითვლებოდა და დღე-დღეზე უფროს ინსპექტორად დაწინაურებისა და უზნის უფროსის მოადგილედ დანიშვნას ელოდა. ამიტომ მას ფიქრადაც არ მოსდიოდა ამ ორი თავზედი ლოთის გულისათვის საკუთარი მამავალი გაეწირა.

მოვალეობა უქარნახებდა დაუყოვნებლივ შეემოწმებინა № 786 ჩინელის პატაკი და მოხსენება წარედგინა ზემდგომი ინსტანციისათვის.

ასეც მოიქცა.

მინდორში იზრდება ხმელი რტოხშირი ბალახი. მას დროდადრო მოსწყდება ხოლმე ეკლიანი რტო, რომელსაც ქარი აიტაცებს და კოლბოხებზე ხტუნვით მინდორში დააქროლებს მანამ, სანამ მეორე ასეთსავეს არ გამოედება. ისინი ერთმანეთს ჩაეხუტებიან, როგორც ღვიძლი დანი დიდხინის განმორების შემდეგ. ქარის მიერ დევნილი ეს ორი ეკალი კოტრიილს განაგრძობს, თან ვზაში სულ ახალსა და ახალ რტოებს აკრებს, ვიდრე ბოლოსდაბოლოს ორი ეკლის შენაერთიდან არ წარმოიქმნება უზარმაზარი, ველზე სწრაფად მოგორა-

ვე ბურთი, რომლის შეჩერება არავის ძალუძს.

ასე დაემართა ჯეფერსისა და პრეტის საქმესაც.

ჯერ ისევ კარცერში გზად მიმავალმა ლიუ ბაო-უმე მოასწრო ხიდზე მომხდარი ამბის შესახებ შეეტყობინებინა ამხანაგისათვის, რომელსაც იგი მიჰყავდა. იმან, როცა მორიგეობიდან საერთო საცხოვრებელში დაბრუნდა, მომხდარის ირგვლივ მთელი ცეცხლის ხალხს უამბო. დილის ათ საათზე, როცა ხონკიუს უზნის უფროსი, პოლიციის კომისრის უმცროსი თანაშემწე ბრიგსი სამუშაოზე გამოცხადდა, მაშინვე იგრძნო, რომ მოხდა რაღაც არაჩვეულებრივი.

უზნის ეზოში, თუმცა დაღზავნის დრო ჯერ შორს იყო, ჯგუფ-ჯგუფად იღვწენ ჩინელი პოლიციელები. ისინი რაღაცაზე ილწოთოებულნი ლაპარაკობდნენ. ზოგერთი მათგანი ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფთან გადადიოდა, ჩაერეოდა საუბარში და ისევ უკან ბრუნდებოდა.

ბრიგსი თავის კაბინეტში შეშფოთებული შევიდა, თუმცა გარეგნულად ისეთივე მიუკარებელი და დინჯი ჩანდა, როგორც ყოველთვის. იგი გაეცნო ინსპექტორ უილკოკსონის მოხსენებას და ჩვენებებს, მორიგეობისას რომ ჩამოართვეს სუბინსპექტორ ჯეფერსისა და უფროს სერჯანტ პრატს და ვერც კი მოასწრო მდგომარეობის აწონ-დაწონვა, რომ ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

ბრიგსი უკმაყოფილოდ დაიღრჩავა: რეკნენ ინგლისურ ენაზე გამომავალ გაზეთ «ცენტრალური ჩინეთის ვარსკვლავის» რედაქციიდან. რეპორტიორი, ინგლისელი პრინგლი ითხოვდა უარეყო ან დაემოწმებინა ცნობა იმის შესახებ, რომ დღეს ღამით, სამსა და ხუთ საათს შუა, ხონკიუს ხიდის რაიონში პოლიციელებმა მოჰკლეს ჩინელი რიქმა.

— წყეტული გაიძვერა! — გაიფიქრა ბრიგსმა. — უკვე მოასწრო სუნის აღება! მას გაახსენდა, რომ პრინგლი ფრიად არასასიამოვნო პიროვნება იყო. მასზე ამბობდნენ, წითელიაო. ყოველ შემთხვევაში მისი კავშირი მემარცხენე პროფ-

კავშირების ხელმძღვანელებთან უდავო იყო. მაშ ტყუილად ხომ არ დაიფხოვეს ჰონკონგის მუნიციპალიტეტიდან და შეფის კოლონიიდანაც გააძევეს. «ასეთ აღმანიანთან ყური მახვილად უნდა გეპიროს! — გადაწყვიტა ბრიგსმა. — თორემ შესაძლებელია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდე!»

— როგორც ვიცი, — ცივად, მაგრამ უალრესად ზრდილობიანად უპასუხა ბრიგსმა ტელეფონში, — დღეს ღამით ხონკიუს ხიდის რაიონში არავითარი რიქმა არ მოუვლავთ.

ასეთ პასუხს შეიძლება შეცდომაში შეეყვანა გამოუცდელი რეპორტიორი, თღონდ პრინგლი კი არა. ბრიგსის პასუხის ფორმამ პრინგლი დაარწმუნა, რომ იგი სწორ გზას აღვა.

— დღიად გამდლობთ, მისტერ ბრიგს! — უთხრა ბრინგლმა, როგორც კი შეიძლებოდა თავაზიანად. — მაშინ გთხოვთ, ოფიციალურად განაცხადოთ, რომ დღეს ღამით ხონკიუს ხიდის რაიონში საერთოდ არავითარი მკვლელობა არ მომხდარა.

— ამას მე თქვენ ვერ განგიცხადებთ, — თავშეაყვებით, ისე რომ გაღაზიანებას ძლივსა ფარავდა, უპასუხა ბრიგსმა.

— ძალიან კარგი, სერ, კიდევ ერთი შეკითხვა: მართალია, თუ არა რომ ხონკიუს ხიდის ინციდენტთან დაკავშირებით დისციპლინარული წესით სამსახურიდან გადაყენებული არიან ორი უკხოელი და ერთი ჩინელი პოლიციელი?

— დისციპლინარული სასჯელი, რომელიც პოლიციის მოსამსახურეთ ეღებათ, პრესაში არ ქვეყნდება. მე ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით. მისტერ პრინგლ, ნახვამდის!

ყურმილი დაიკიდა თუ არა ბრიგსმა დაუყოვნებლივ გამოიძახა პოლიციის კომისარი ოუენი. არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ორი საათისათვის გამოვიდოდა «ცენტრალური ჩინეთის ვარსკვლავი» — დღის ნომერი, რომლის მკლანელებიც ფერებს არ დაიშურებდნენ...

ბრიგისი შიში ტყუილი როდი გამო-
დგა: „ცენტრალური ჩინეთის ვარსკე-
ლავი“ ნახევარ საათში გაიყიდა. პირველ
გვერდზე მყვირალა სათაურის ქვეშ მო-
ყვანილი იყო საკმაოდ სწორი აღწერა
იმისი, რაც მოხდა, ოღონდ დაღუპულს
რატომღაც დაეინებოთ რიქმად სთვლი-
დნენ და ჯეფერსისა და პრატის გვარე-
ბსაც რიგთანად ამახინჯებდნენ.

ცხადი ხდებოდა, რომ ინფორმაცია
გაზეთმა ჩინელებისაგან მიიღო, დაბალი
ჩინის პოლიციელებად რომ მუშაობდნენ
ხონკიუს უბანში, რომელთა შორის, რა-
გორც ეჭვობდა ბრიგისი, კომუნისტებიც
ერივნენ.

სალამოს, როცა ჩინური მოსტიკური¹
გაზეთები გამოვიდა, სენსაცია ქალაქის
მთელ პრესას მოედო და მეორე დღეს
საერთაშორისო სეტლმენტის პოლიციას
კომისარმა ბრძანება გასცა დაეპატიმრე-
ბინათ სუბ-ინსპექტორი: ჯეფერსი და
უფროსი სერკანტი პრატი.

აღშფოთებული საზოგადოებრივი აზ-
რის მძაფრი ქარით დევნილი ქაჩქვეტა
შეუჩერებლოვ წინ მიისწრაფოდა და
თან სულ დიდი და დიდი ხდებოდა. არა-
ვის შესწევდა საკმაო ძალ-ღონე ეს სვლა
შეეწყვიტა. სვლა შეჩერდებოდა მხო-
ლოდ მაშინ, როცა ამოიწურებოდა მიწა
წარმომშობი წყარო — ქარი.

ამაზე იყო აგებული მთელი ამბავი.

სენსაცია ფარვანაა. იგი ეფექტურია,
მაგრამ დღემოკლე. გაზეთების პირველი
გვერდები სხვა მასალებმა დაიკირეს.
ჟინიანი, სურნელოვანი საყვებით განე-
ბიერებული საზოგადოების ყურადღება
მოარიდეს დრამას, რომელიც წინა და-
მით ხონკიუს არხის ზიდზე გათამაშდა.

იმ დღეს კი, როცა ბრიტანეთის საელ-
ჩო-სახამართლოში დანიშნული იყო ჯე-
ფერსისა და პრატის საქმე, რომელთაც
ბრალდებოდათ ოცდაათოთხმეტი წლის,
გაურკვეველი პროფესიისა და საცხოვ-
რებელი ადგილის მქონე, უმუშევარი
სიუ ვან-კუეის მკვლელობა, ამ ამბით და-

ინტერესებას განაგრძობდნენ მხოლოდ
ჩინური მემარცხენე გაზეთები და მოუხ-
ვენარი „ცენტრალური ჩინეთის ვარსკე-
ლავი“.

ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ
არა სცნეს. მათ სასამართლოს უჩვენეს,
რომ დაზარალებული ექვმიტანილი იყო
ქურდობაში და ამიტომ დააკავეს, და-
პატიმრებისას წინააღმდეგობა გაუწია
მათ და გაქცევა სცადა. ამ აღიაქოთში
იგი მოაჯირიდან როგორღაც გადაიხარა
და ხიდიდან გადაეარდა. სიბნელისა და
წყლის ჩქარი დინების გამო თავის დრ-
ზე სხეულის ძებნა ვერ მოხერხდა. ისიც
კი განაცხადეს ბრალდებულებმა, შესაძ-
ლებელია სიუ ვენ-კუიმ ცურვა იცოდა
და ხიდის ქვემოთ საღმე ნაპირზე გამო-
სცურაო.

მრავალმა ჩინელმა მოწმემ დაადას-
ტურა, რომ დაკავებული წინააღმდეგო-
ბას უწყევდა, ევიდებოდა მოაჯირს, ეცე-
მოდა მიწაზე და უცხოელ პოლიციე-
ლებს უხდებოდათ მისი წამდაუწუმ წა-
მოყენება და თრევა.

მაგრამ მთავარი ნაწილი მათი ჩვენე-
ბისა არ იყო ბრალდებულთათვის მაინც-
დამაინც სახარბიელო. ყველა, როგორც
ერთი ამბობდა: ბრალდებულებმა ბო-
ლოს და ბოლოს სტაცეს ზელი სიუ ვან-
კუეის ხელებში და ფეხებში, ერთი გააქ-
ნიეს და მოაჯირიდან არხში გადაუძა-
ხესო.

აქ კი საქმეში ჩაერია ბრალდებულთა
დამცველი, სისხლის სამართლის საქმე-
ებში ფრიად დახელოვნებული ადვოკა-
ტი და თავის თანაშემწესთან ერთად მო-
აწყო მთავარი მოწმეების ჯვარედინი
დაკითხვა, რამაც მათ ჩვენებაში გამო-
ამკლავნა ზოგიერთი შეუსაბამობა.

ასე მაგალითად, ერთნი ამბობდნენ,
ხელები ჯეფერსს ეჭირა, ფეხები კი
პრატსაო, მეორენი კი პირიქით; საერთო
აზრი არც იმ საკითხზე გამოთქვეს ზუს-
ტად, რომელი ადგილიდან გადაეარდა
სიუ არხში და მთელი რიგი სხვა წერილ-
მანები. ყოველივე ამან საფუძველი მის-
ცა ადვოკატს ეჭვს ქვეშ დაეყენებინა
მოწმეთა ჩვენებანი საერთოდ.

¹ ხელნაწელი.

ბრალდების მთავარი მოწმის-სეტლმენტის პოლიციის ყოფილი მოსამსახურის ლიუ ბაო-უის ყველაზე ზუსტი, დამაჯერებელი და საფუძვლიანი ჩვენებანი დაცვის მიერ გიბიაბრლებული აღმოჩნდა, ვინაიდან მათ მიერ წამოყენებულმა მოწმემ — კაპრალმა სიოა-დუნმა თქვა, ლიუ ბაო-უი ბრალდებულებზე ნაწყენი იყო, რადგან ამას წინათ ამ უკანასკნელთ იგი შენიშნეს როცა მორიგეობის დროს თამბაქოს ეწეოდა და დანციპლინარული სასჯელი დაადესო.

ცხარე სიტყვიერი შეჯახება, რომელიც წარმოიშვა ორ მოწმეს შორის, იმის გამო, რომ ლიუ ბაო-უი კატეგორიულად უარყოფდა კაპრალის ჩვენებას, მოსამართლემ შეწყვიტა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრალდების მთავარ მოწმეს ჩრდილი მიადგა...

ხანმოკლე თათბირის შემდეგ სასამართლო დაბრუნდა სხდომის დარბაზში და ვერდიქტი გამოაცხადა. მკვლელობის ფაქტი აღიარებულ იქნა დაუმტკიცებლად და ბრალდებულნი სამხილის ნაქლებობის გამო პატიმრობიდან თავისუფლდებოდნენ.

თავზარდაცემული და დაჩაგრული ლიუ ბაო-უი სახლში ბრუნდებოდა.

ძალიან ბევრი ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში იმ ღამის შემდეგ, რაც მათხოვრის დაჯორჯვილმა და არაქათგამოლეულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალმა და თბილმა სხეულმა არხას ციქსა და კუპრივით შავ წყალში ტყაპანი გაადინა.

ბევრი რამ ახლებურად გაიზარა. მის თავში აირია და დაიხლართა ყველა ცნება, აღრე თუმცა შეუზღებლად, მაგრამ მკაცრ და მწყობრ რიგად რომ იყო დალაგებული. უპირველესად მან სხვაგვარად შეხედა საკუთარ თავსა და სამსახურს უცხოეთის პოლიციაში.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იქ სამსახურს დაიწყებდა, მის ტვინში პოლიცია გაიგივებული იყო ცნებასთან წესრიგის შესახებ. შეიძლება ეს წესრიგი მისთვის უცხოა, მკაცრი, ზოგჯერ მტრულად, მაგრამ მაინც წესრიგია. და ამიტომ პო-

ლიციაში სამსახური ანიჭებდა ერთგვარ მორალურ კმაყოფილებას იმის შეგნებით, რომ იგი რალაქს წარმოადგენს, ეკუთვნის რომელიღაც მათრგანიზებულ და წარმართულ ძალას. ლიუს ახსოვდა რომ მისი ქცევა ამ ორგანიზაციას რიგებში არ იყო წუნდაუდებელი, ყველა ეს წვრილმანი ქრთამები და ჯარაბები გაღატაკებულ რიშებსა და წვრილვაქრებს რომ ახდევინებდა, სულაც არ უწყობდა ხელს მისი ავტორიტეტს ამაღლებას, ოღონდ ამას იგი აუცილებლობით გამოწვეულ გარდუვალ ბორბტებადა სთვლიდა და გულში რცხვენოდა კიდევ ასეთი საქციელისა, თუმცა ოდესღაც გარეგნულად ყოყმანობდა კედეც ამით.

ახლა კი ეს წარმოდგენა — მთავარი ღერძი მისი შინაგანი წონასწორობისა — პირქვე დამხობილი აღმოჩნდა.

ლიუ არ იყო შეჩვეული ცხოვრებას მოვლენები კრიტიკულად შეეფასებანა, — ამისათვის მისი ტვინი არ იყო საკმაოდ განვითარებული, მაგრამ თანდაყოლილი საღი აზროვნება და შანხაიელისათვის დამახასიათებელი საზრიაზება დაეხმარა მას სწორად შეეფასებინა ბევრი მოვლენა, რისი მოწმეც, ანდა უნებური მონაწილეც თვითონ გახდა.

ეს მეტისმეტი მკაცრი სასჯელი საგუშავოს დატოვებისათვის, სამსახურიდან მიულოდნელად დათხოვნა რაც მიუხედავად გამოუცდელიობისა არ შეეძლო არ დაეკავშირებინა თავის გულბრყულო თხოვნასთან, — სხვა მოწმეებიც დაკითხეთო, და, ბოლოს, სიოა-დუნის სულმდაბლური გამოსვლა ფანტასტიკური მტკიცებით რალაც პირად ანგარიშებზე, რომელნიც თითქოსდა არაებობდნენ ლიუ ბაო-უისა და ორ ინგლისელ შორის, ლიუს გულს ურევდა.

თვით სასამართლო კი... მთელი ეს სხდომა, მიუხედავად რწმენისა, რომ დამნაშავენი დაისჯებიან, სტოვებდა და უკმაყოფილებლობის გაურკვეველ შეგრძენებას, ისეთსავე, როგორც მშვიერი აღამიანის წინაშე დადებული კერძით მოპირთავებული თეფში, რომელსაც მკ-

ნამ აართმევენ ცხვირწინ მშვიერს, სანამ ეს უკანასკნელი თითის დაწებას მოასწრებდეს.

მაშინ კი, როცა ვერდიქტი გამოაქვეყნეს და ლიუ ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ ეს ორი მწითური, წყლისფერთვალემა თავხედი, რომელთაც მის თვალწინ აღამიანი მოკლეს, დაუსჯელნი დარჩებოდნენ და რომ ერთ-ერთი დაზარალებულთაგანი ამ დავიდარბაში, საცოდავ მაწანწალას გარდა არის თვითონ ის, ლიუ ბაო-უი, რომელმაც დაკარგა სამსახური, დასტოვა ოჯახი ულუკმაპუროდ, მაშინ მან უეცრად იგრძნო, რომ მარად ურყევი ქვეყნიერება შეტორტმანდა.

კლდე გაიბზარა, ბზარი სულ უფრო დაუფრო იზრდებოდა და ბოლოს უფსკრულად გადაიქცა.

უფსკრულის ერთ მხარეზე ლიუ ბაო-უი აღმოჩნდა, მეორეზე კი დარჩა ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მის სამყაროს შეადგენდა: სამსახური, უფროსები, სამსახურთან დაკავშირებული ყველა ინტერესი და თვით სიაო-დუნიც კი—ახლო წარსულში მისი მეგობარი და თანამშრომელი, ახლა კი ბილწი და საზიზღარი არსება, რომელ-

საც როგორც ჯოჯოს, ფეხითაც კი ვერ შეეხები.

ყველაფერი კარგი, მაგრამ რა ქნას? ვისი და რისი უნდა სჯეროდეს ამიერიდან?

თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ დაეხეტებოდა უზარმაზარი ქალაქის ქუჩებში, დაიარებოდა უცნობ რაიონებში, გამვლელთ უაზროდ აცქერდებოდა და სულ ფიქრობდა და ფიქრობდა.

ძვირი სტუმრები—აზრები ხალხზე, აღამიანთა ბედზე, მართალისა და ტყუილის შესახებ მძიმედ და უშნოდ ირეოდნენ მის თავში.

სალამო მიიწურა. ქალაქს თავზე ვინჯლიანი ღამე ეფარა—ისეთივე ბურუსიანი და უკუნი, როგორც მაშინ.

ლიუ შეჩერდა. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, მოისაზრა; სად იმყოფებოდა და მტკიცედ შეუხვია გვერდით ქუჩაზე—არც ისე პატარა გზა ედო კანტონელ ხუნამდე.

ლიუ ბაო-უიმ ნაბიჯს უმატა. მას მხრებზე აწვა უკუნი ღამე, მაგრამ სადღაც წინ, შენობებს იქით, ჯერ კიდევ უხილავი გარიცხავეი კიაფობდა.

6916



გიორგი შაგვაიას ძე



გულმა ისევ გაიმიწვინდა

გულმა ისევ გაიმიწვინდა,
კუჭები მთები მე რად მინდა?
სამუხრანოს აივნიდან
ერთი გადამღერა მინდა.

მე გაშლილი ველი მინდა,
სამუხრანოს კალო წმინდა,
დავდიოდე, ვიხარებდე,
მზის და მთვარის ამოსვლითა.

ამოქუხდეს, ამოდუღდეს,
ბერძენისკენ წყარო წვიმდეს,
თან ისეთი ჯამი მქონდეს,
უკვდავებას ამოსცილდეს.

ქვეშ დამეგოს მუხის ჩრდილი
ნაბღის თარგზე გამოქრილი.

მუხაზე ზის თეთრი მტრედი,
თეთრია თუ მტრედისფერი,
იმ შორეულ თეთრი ქედის,
დათოვლილი მთების ფერი.

მე გაშლილი ველი მინდა,
ბერძენისკენ წყარო წმინდა,
მხარზე მაჯდეს მე ის მტრედი,
მეტს არაფერს ვინატრებდი.

სამუხრანოს ტრიალ ველზე
ვიდგე, როგორც დანახვისი,
ხოდაბუნებს ჩრდილი სცემდეს,
ჩემი იყოს, განა სხვისი.

ველი, ველი, უღვევი,
სხვისი ფეხით გაუვლელი,
სარეველა ურეველი,
თავთუხის და დოლის ველი.

გვირილის და შროშნის ტყერი,
სხვისი თვალთ დაუთვლელი.

აი რატომ ვიშვირები
სამუხრანოს აივნიდან,
აი რატომ ატყდა გული,
აი რატომ გაიმიწვინდა.

ჩვენი უღელი

შენც დამიბერდი, მეც დაგიბერდი,
მოდე, აშკარად ვთქვით გაუმხელი
მაგრამ ეწვეა კვლავ ჩვენი ქედი,
კვლავ სიყვარულის გვადგას უღელი.

ამ უღლის უნდა ვიყოთ მლოცველი
და სიკვდილამდე მისი გამწვევი.
შიგ რომ შევები, ვიყავ მოზვერი,
მართლის ზიდვით მოუქანცველი.

ვწიეთ და ვწიეთ საძნე ურემი
და აღზევანსაც ერთად წავედით,
დაგვიწყდა გზაში აბეურები,
ვერ გვაშინებდა მაინც შევითი.

კვადეთ უღრანში კოჭი და თავზე,
ვთალეთ აკვნები, ვამენეთ ზვრები,
დაღმართებს დაყუეთ, აღმართებს აყუეთ,
ვზიდეთ მამების კუბოს ფიცრებზე.

მარნად ვაქციეთ ნამარნალები,
გატეხილ ურემს ვუცვალეთ ფერსო,
დაკორძდა ქედი, გაეცდა ნალები,
მაგრამ ხელახლა აყვავდა ეზო.

მივალთ და მივალთ, აღარ იღვევა,
თუმც დაგვრჩენია გზის ნახევარი,
წამოგვაშველეს ქედი შვილებმა,
და ცალუღელი გავხდით ყვევარი.



შვილებს თავისი აქვთ აღზევანი,
ნატვრა, ფიქრები, გზა გასაგნები,
მარილზე წასვლა, უღლის წვევანი,
მეტი ოცნება, მეტი აკვნები.

მაშ ნულარ მეტყვი, რომ დამიზნურდი,
ალარც მე გეტყვი, რომ დამიზნურდი
ერთგულად ვწოით ჩვენი უღელი,
ჩვენ ხომ ამ უღლის გეჭონდა იმედი.

საკალმასო

გულმა როდის დაიყვდა
სულბირველად,
ალარც მახსოვს,
მაგრამ გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!

აჰა, ჩემი საკალმასო,
ტრფობის კალო-საიგავო,
გული უნდა მოგაბარო,
ეგებ ლექსი გამიქარვო.

სიკაბუყემ რაც დამაკლო,
ბედმა ახლა მომიშვილდა,
მკრა ისარი, ამამღერა,
გულს ლექსები მომიშვიდა.

მითხრა რაშე სამეგობრო,
გულით ლექსი დამიოქრო,
მე ისეთი ლექსი მინდა,
შენსკენ გზეში დამიმოკლოს!

რა ქვეყანა არ მიხაზავს,
რა გზეები არ გამივლია,
აქაც კარგი ყვავილია,
იქაც კარგი ყვავილია!

მე ისეთი კვესი მინდა,
ლექსის ყანწი დამივერცხლოს,
სიკაბუყე დამიბრუნოს,
გული ისევ გამიმერცხლოს.

ეს რამდენი ყვავილია,
დავდივარ და მიხარია,
ამივლიან, ჩამივლიან,
სადაც არ ვარ, იქ არიან.

მე იმ კვესით ცეცხლს გავაჩენ
ჩემი გულის ნაფოტებზე,
გეტყვი, გეტყვი, ლექსებს გეტყვი —
ღამით ძილში გაბოდებდეს!

აჰა, შენი საროჟიკო,
თავო ჩემო, შევერცხლილო,
მე რად მინდა სხვისი ვარდი,
ბულბულს რატომ შევეცილო?

მაგონდება შენი სახე...
მახსოვს, მახსოვს, ალარც მახსოვს,
ეს რა გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!

ალსარება

წინაპარ პოეტებს

ყველა საოქმელი უკვე სოჭვეს სხვეებმა,
მე მათი სევდა შემყვარებია.
მე მათ სინაზეს თუ განრისხებას,
როგორც ხის ჩრდილებს,
შეეფარებოვარ...

სიყვარულის და სამშობლოს გარდა,
რამდენი დარდი ჰქონიათ ძველად,
გმობდნენ საწუთროს და თან უყვარდათ
ჩვენზე ხანგრძლივად და ჩვენზე
მწველად!

მათ შრიალს ვუსმენ,
მათ ფესვებს ვნატრობ,
მათ ნაფუძარზე ამოსვლას ვცდილობ,
იქნებ საწუთრომ არც მე დამაზროს,
ვინ იცის,
ერთ მგზავრს მეც მოვუჩრდილო!

მათ ნახეს შტრობაც, ლალატაც, შურიც
და სამშობლოდან შორს გადაქარგვაც...
დიდ მდინარეთა მე ვარ ნაყური,
ჩემს მცირე ნაღველს მე რა დავარქვავ?!
ჩემს მცირე ნაღველს მე რა დავარქვავ?!
ჩემს მცირე ნაღველს მე რა დავარქვავ?!
ჩემს მცირე ნაღველს მე რა დავარქვავ?!



დედის ხსოვნას

უკვდავება

აქ მომიტანეს ერთადერთ ფიჭვთან
და ერთადერთი ადგილი ნახეს...
სასაფლაოზე სიჩუმე იჯდა
სასოწარკვეთით იხოკდა სახეს.

ლოდივით ეგდო ღრუბელი ლეგა,
ზეცას თვალები გაეხსნა ფართო
და როცა ყველა წავიდა ჩემგან,
შენ არ დამტოვე სხვებივით მარტო...

ნუ სტირი, შეილო... ადექი, კმარა.
ვაყკაცის თვალებს არ შევნიხს რიდე.

მეძნელება შენს საფლავთან მოსვლა.
დედა, ვინ თქვა ქვეყანაზე არ ხარ?
მე სიცოცხლეს ყვაველებით ვმოსაყ,
ყვაველებში მწუხარებას ვმარბავ...

მე შენთან ვიყავ იმ წუთს, დედიკო,
არ ვტირი ეხლაც... თუ ჰხედავ, ნეტა?
ოღონდ არა მსურს — ჩემთვის უცნობის
ტყვე იყო, დედა!
მე შენი სულის სიუხვე მათბობს,
შენსავით ქვეყნად სასწაულს ველი,
მე უშენოდაც არა ვარ მარტო,

სანამ შენ ცოცხლობ, მეც დავრჩი კიდევ.
შენ უნდა ჩემთვის იცოცხლო მარად
და სილამაზის ზამზახებს მკიდევ..

და როცა გულზე მოგაწვეს სევდა —
ამოდი ჩემთან...
მე ხომ შენი ხმა ყოველთვის მესმის,
მე ხომ ყოველთვის პირისპირ გიმზერ...
აქ ჩამოჯექი, საფლავის ქიმზე,
მითხარი შენი ახალი ლექსი.

სულ ვიციანი... ეხლა უფრო მეტად!
აბა, ვინმემ დამიწუნოს ქცევა?!
ჩემთან ერთად — ცოცხალი ხარ, დედა...
შენთან ერთად — მეც საფლავში
ვწევარ...

შენ ჩემში ცოცხლობ განუსაზღვრელი...
შენ ჩემში ცოცხლობ და თუმცა ბნელა,
ცოცხალის გზებით განთიადს უხმობ...
დაედივარ,
ვფიქრობ,
და ფიქრი ყველა
საფლავის ქვესთან ჩერდება უხმოდ.

უკანასკნელი

ნულარ ახსენებ მას ვინც არ არი,
ვისიც უკვალოდ გაჰქრა ხატება,
მასზე ფიქრი და მასზე ვარამი
მერწმუნე სიკვდილს აღემატება.
ო, მის ხსენებას ნუ შეეცდები,
ვისაც ფიქრითაც ველარ შესწვდები,

ვინც თვით დაჰკარგა ფიქრის უნარი
და გახდა მარად შეუცნობელი —
მარადისობის ჩუმი სტუმარი
მასავით ცივი და უგრძობი.



ჯერ კიდევ მაშინ, როცა საშუალო სკოლაში სწავლობდა, ზამირათს ძალიან უხლებოდა შავი, მკიდროდ დაწნული ნაწნავები, ლამაზად რომ ეყარა ბეჭებზე. ნაწნავები მას მუდამ ღია ვარდისფერი ლენტით ჰქონდა შეკრული. ხანდახან ახლაც გამოიღებს ხოლმე კარადიდან იმ სანუკვარ ლენტებს და გულისძვერით რომ დააკვირდება, თვალწინ ბავშვობის წლები გაუელვებენ, ერთხანს დაცქერის ლენტებს და მერე ისევ შეინახავს კარადის უჯრაში. წავიდა ის ასაკი. უკვე დადგა დრო, როცა მისი თეთრ-ყირომიზი ლოყები ბევრი ახალგაზრდის მშერას იპყრობს. ისინი რომ შეხედავენ, უცებ შეკრთება ხოლმე ზამირათი, ლოყებზე აღმური მოედება, თავს დაბლა დახრის, გრძელი, ლამაზი წამწამები უფარავენ მაცვალავით შავ თვალებს. მერე განზე გაიხედავს ხოლმე და აღელვებით დაუწყებს წეწვას თავის მსხვილ ნაწნავებს.

ზამირათი ძალიან მორიდებული ქალიშვილია; საკმარისია რომელიმე ჰაბუტმა ქათინაური უთხრას, რომ იმწამსვე სახეზე სიწითლე გადაურბენს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მასთან ხშირად ხედავენ მისივე თანასოფელს — ახალგაზრდა ტრაქტორისტ ბარისბის. ჰაბუტი ზოგჯერ ფერმაში შეივლის, ზოგჯერ სახლში ეწვევა ხოლმე ზამირათს. ბარისბი მასთან თავდაპირველად იქცევა. ამიტომ ქალიშვილი მასთან შეხვედრისას როდი იბნევა, პირობით, ღიმილით გამორბის მისაგებებლად. სულ ერთთავად მასთან რომ იყოს, მაინც არ მოსწყინდება.

ბარისბის არ მოსწონს, როცა ზამირათი თავის მშვენიერ თმას თავშლით იფარავს. რამდენჯერმე დააპირა კიდევ ერთჯე — ნუ მალავ მაგ საუცხოო ნაწნავებსო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა მართლაც-და, რა მნიშვნელობა აქვს, რას მოიხვევს თმებზე ზამირათი. ესეც რომ არ იყოს, განა ვინმეს შეუძლია მისი სიყვარული ამოგლიჯოს ბარისბის გულიდან!

ზღაპრულ მზეთუნახავზეც კი არ გაცვლის.

ახლა ზამირათი დიდილილობით სკოლაში წასასვლელად კი აღარ ემზადება, როგორც ოდესღაც. კოლმეურნეობის ფერმაში მიდის. დედამისი გოსადა საყვედურით წაიბუტბუტებს ხოლმე:

— უკეთესი იყო სწავლა გაგეგრძელებინა...

ზამირათი გამთენიისას დგება ლოგინიდან, შუქს აანთებს, ელექტროქურას ჩართავს და ზედ ჩაიდანს დგამს. მერე პირს დაიბანს, კუთხეში დაკიდებულ სარკესთან მივა, რბილ თმებს დაივარცხნის, თავს თოვლივით თეთრი თავშლით წაიკრავს და აშიშინებული ჩაიღნის ხმას რომ გაიგონებს, სხარტად მიბრუნდება მისკენ. გაღმობილებს პურს, კარაქს, ზედმეტი ცხიმისაგან შეყვითლებულ ყველს და სუფრას გააწყობს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც მზიარულად დაიკნავლა ქრელმა კატამ და ქალიშვილისაკენ ისეკუპა. ზამირათი მასაც გაუმასპინძლდა და მერე სიმღერით გაემზადა წასასვლელად.

თქვენ გგონიათ ზამირათი იბუღრება? არა, მას არ უყვარს ხელოვნური საღებავები. ბუნებამ ისედაც უხეად დააჯილდოვა ყველაფრით, რაღა საჭიროა ხელოვნურ შელამაზებაზე ზრუნვა!

ზამირათმა სიყვარულით დახედა მძინარე დედას და ფრთხილად გაიხურა კარი, რომ არ გაეღვიძებინა.



მდიდარია მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელს ბევრი ლამაზი სახლი ამშვენებს, მაგრამ შარშან, სოფლის განაპირას რომ ორსართულიანი სახლი აშენდა, ამაზე უკეთესი შენობა მთელ სოფელში არ არის.

ამ სახლს რომ ჩაუვლის, ზამირათი ნაბიჯს შეანელებს, ნაცნობ ფანჯარას შეხედავს და გული სიხარულით შეუტოკ-

დება, საბეზე ბედნიერების ღიმილი აუთამაშდება.

შინ დაბრუნებისას ზამირათს დედა საყვედურით მიმართავს:

— ეს რაა, გოგო, სამუშაოზე წასვლისას ყოველთვის რომ შენ ალაგებ ოთახს? განა მე ხელები არა მაქვს?

ზამირათი მხოლოდ მზიარული კისკისით პასუხობს.

ახლა ზამირათის ოთახში შეიხედეთ! საწოლის თავზე ჰკიდია მის მიერვე ლამაზად ამოქარგული ტილო, რომელზეც კოსტა ხეთაგურგოვია გამოსახული. სურათი ისე კარგია, ჩვენი გამოჩენილი მხატვარი მუხარბეგ თულანოვი ცოცხალი რომ იყოს, ალბათ, გადაეხვეოდა და მიულოცავდა გოგონას. ამავე კედელზე ბევრი ფოტოსურათიცაა, უმთავრესად ზამირათის დობილებსა.

წიგნების კარადის ახლოს პატარა საწერი მაგიდა დგას. ზამირათი, როცა მაგიდასთან მივა, უჯრას გამოსწევს და იქიდან სურათს ამოიღებს. სურათზე ხუჭუჭუმინანი ჰაბუკია გამოსახული. ჰაბუკს დიდრონი შავი თვალები აქვს. ქალიშვილის გაბადრულ სახეზე სიყვარულის შუქი გაბრწყინდება ზოლზე ამ სურათის დანახვაზე. სურათს მაგრად მიიკრავს მკერდზე, შემდეგ თავშლის ბოლოთი გადაწმინდს და კვლავ ფრთხილად დებს ალბომში, თავისი სურათის გვერდით.

ზამირად, ხშირად აღებს ზამირათი ამ სანუკვარ უჯრას, რომელშიც სურათების ალბომია. ამავე უჯრაში ინახავს ქალღლების მთელ დასტას. ეს დასტა სულ ლექსებია. ლექსები სხვა ქალღლებისა და წერილებისაგან განცალკევებით აწყვიდა. ზამირათი ხშირად კითხულობს ამ ლექსებს. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად დასტიდან ერთ ფურცელს გამოიღებს, პიანინოს მრგვალ სკამზე ჩამოჯდება, ნაწინებს უკან გადაიყრის, კლავიშებზე თითებს აათამაშებს და ნარწარი ხმით იწყებს სიმღერას:

წითელლოყა მშვენიერო,
მე შენს ღიმილს მწვეს ვადარებ, ჰეი!
შენს ზომიბილავ ტურფა სახეს
მუდამ გულით დავატარებ, ჰეი!

თვალში ცრემლი აგნთებია,
მოღუნულა წარბი რკალად, ჰეი!
შენს ეზოში ბრგე ხეებზე
ჩვენი ტრფობის მოწმედ დგანან, ჰეი!

ბევრი სხვა სიმღერაც დაუწერა ბარისბიმ, ზამირათმა სცადა კიდევ მუსიკაზე გადაეტანა, მაგრამ არ გამოდის. განა ზამირათია ამაში დამნაშავე? სხვა ლექსები მშრალია. ამ ლექსში კი დამწერს თითქოს თავისი გულის სიხარული ჩაუქსოვია. ზამირათს გატაცებით უყვარს ის, ვინც თავისი გულის სიხარული მისცა. უყვარს ახალგაზრდა ტრაქტორისტი ბარისბი.

დღეს დილით ბარისბიმ ფერმაში შემოიარა და ახალი ლექსი მიუტანა. გამოლაპარაკება კი ვეღარ მოახერხა. ეკი სასწრაფოდ მტს-ში გამოიძახეს. წასვლისას ქალიშვილს გაუცინა და თოვლივით თეთრი კბილები გამოაჩინა. მისი მოულოდნელი წასვლით გაშტერებულ ზამირათს ქუჩიდან მანქანის ხმა მოესმა და კინადამ ფურცელი ხელიდან გაუვარდა. მანქანის ხმა მალე მიწყდა.

რა მოხდებოდა, ცოტახანს მაინც რომ დარჩენილიყო თავის გულის ტოლთან? განა ორიოდე წუთის დაგვიანებით საქმე გაუფუქდებოდა? — იკითხავ შენ, მკითხველო; რა თქმა უნდა, ბარისბის არ სურდა ქალის მიტოვება, განა მას კი არ ენატრება ზამირათის გვერდით ყოფნა. მაგრამ რას იზამ! ვაზაფხული უკვე კარზეა მომდგარი. ტრაქტორი დროზე უნდა შეაკეთოს. ახალგაზრდა ტრაქტორისტებსაც ხომ უნდა დაეხმაროს.

ასეთი რომ არ ყოფილიყო ბარისბი, განა ზამირათი მას გამოარჩევდა მთელი სოფლის ახალგაზრდებში! სწორედ ამიტომ გოსადაც, ბარისბის რომ დაინახავს, გაიღიმებს და თავისთვის იტყვის:

— გაიხაროს დედაშენმა შენი ბედნიერებით, — თანაც ფიქრში თითქოს საყვედურით დაუმატებს: „რა არის, რომ აქამდე მაქანკლებს არ გზავნი?“

მართლაც-და, თუკი ზამირათი თავის გულს სასიყვარულოდ გახსნიდა, განა შეეძლო, რომ ბარისბის გარდა სხვა შეყვარებინა? ის ხომ მთელი სოფლის

თვალთ. მეორე წელია მის ტრაქტორზე ფრიალებს გარდამავალი დროშა! — ხშირად ფიქრობს ასე გოსადა. მას ახარებს თავისი ქალიშვილის ბედნიერი ხედარი.

ვინ არ იცნობს სოფელში ზამირათს! მისმა მამამ და უფროსმა ძმამ სამშობლოს ბედნიერებას შესწირეს თავი, აღარ დაბრუნებულან ბრძოლის ველიდან. ზამირათი გულში წმინდად ინახავს მათს ხსოვნას. მისი ოცნებაა მთელი სიცოცხლე იმ ბედნიერი ცხოვრების ამწეებას მოახმაროს, რომლისთვისაც მამა და ძმა იბრძოდნენ.

ზამირათი ფერმის შენობაში შევიდა, კარადიდან თეთრი ხალათი გამოიღო. წვრილ წელზე მჭიდროდ შემოიჭირა ქამარი და ძროხებისსაკენ გაეშურა. მის დანახვაზე მწოლიარე ძროხებმა თავები ქალიშვილისაკენ მიაბრუნეს.

ზამირათი შეაშფოთა მარტო ერთი ძროხის „გარამის“ მდგომარეობამ. გარამს კოლმეურნეები ხუმრობით „რძის აუზს“ უწოდებდნენ. ძროხა როგორღაც ნაღვლიანად გამოიყურებოდა. საერთოდ წელს გარამი ძველებურ ჯანზე ველარ არის. რას იზამ, დაბერდა. წამოდგება ხოლმე და ძლივს დაიარება. დღეს კი სულ ველარ ადგა, ზამირათის დანახვამაც კი ველარ უშველა. ადგომა კი სცადა, მაგრამ რაკი არაფერი გამოუვიდა, ერთი ნაღვლიანად შეხედა ზამირათს თავისი დიდი, გადმობურცული თვალებით, თითქოს შეელასა საზოგადო. ქალიშვილი რომ მიუახლოვდა, გარამმა ხელები დაულოფნა ზამირათს, მან კი აღერსიანად გადაუსვა შუბლზე ხელი.

ზამირათი დაუკვირდა გარამს. უშველებელი ცერი ძლივს ეტევა უკანა ფეხებს შუა. ფერმაში განა ცოტაა მისი ნაშიერი! აი, ახლაც მეთორმეტე ხზო უნდა აჩუქოს კოლმეურნეობას.



საღამოა. ბარდნის. ხის ტოტები ლამის მიწაზე დაიხნიქონ. ირგვლივ სამარისებური სიწყნარეა.

გოსადამ რამდენჯერმე გაიხედა ფერ-

მისაკენ, თავი გაიქნია. გადაწყვიტა წასულიყო და გამოეღანძლა თავისი ქალიშვილი, მაგრამ ისევ საოჯახო საქმეებით გაერთო, შინ გამოხდილი ლუდი გაწურა, ერბოში დაბრაწული ინდოური კარადაში შეინახა, ცომი მოზილა და კვლავ ფანჯარაში გაიხედა. ახლა კი ძალიან გაბრაზდა და საყვედურით თქვა, თითქოს ვილაცას შესჩივისო!

ერთი დამიხედეთ ჩემს ქალიშვილს! დღეს მაქანკლები უნდა მოვიდნენ, რას ატყვიან, სახლში რომ არ დაუხვდებთ? ან რას აკეთებს აქამდე ფერმაში? — ამ ფიქრით გავიდა საეუქნაოში, კასრიდან არი თავი ყველი ამოიღო, დაფხვნა და შემდეგ ცომს დახედა.

— თვითონ მინც გამოცეხო ხაბიზგინები. ის ზომ ამ საქმის ოსტატია, ვერავინ შეედრება. იქნებ სასიძოს ის თბილისელი ბიჭი მოჰყვეს, ძმადნაფიცები არიან, — გაახსენდა მტს-ის ინჟინერი.

ოთახში ზამირათის ბიძა შემოვიდა, ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე და თეთრ წვერზე ხელი გადაისვა.

— ჭაშნიკი გაუსინჯე ჩვენს ლულს, მოხუცო, — შესთავაზა გოსადამ.

მოხუცმა ლული მოსვა. მერე ზამირათის ამბავი იკითხა.

გაუკვირდა, სტუმრები უნდა მოვიდნენ და აქამდე ფერმაში რას აკეთებდნო.

— შეერცხვებით, ჩემო რძალო! სათრეველა სიმღერას გამოგვიტყვემენ.

— მე მას ვიცნობ... ბარისბი საქმიანი ბიჭია და ქალიშვილი სახლში თუ არ დაუხვდა...

მანქანის გუგუნმა მოხუცს სიტყვა შეაწყვიტინა. ეზოში ბარისბის ცისფერი „პობედა“ შემოგრიოლდა. მოხუცი ბარისა სტუმრების შესაგებებლად გაეშურა და სახლში მოიპატიჟა. გოსადა მოსულეებს მიესალმა და თავისი საქმე განაგრძო. ბარისბი რამდენჯერმე შეხედა ბარსას. მის მოღუშულ მხერას რომ წააწყდა, გოსადასთან მივიდა, უნდოდა ეთქვა რამე. ეუხერხულა, ვერ გაუხედა. მერე თვითონ გოსადამ დააარღვია სიჩუმე:

— ბიჭო, გოგო არ მოსულა ფერმიდან... ზომ არაფერი შეემთხვა.

ბარისბის ყრუანტელმა დაუარა ტანში. გაკონილი ჰქონდა, ახალ აგრონომს ზამირათისათვის ბარათი მიუწერია, სიყვარულს ეფიციებაო. იქნება ამის თქმა სურდა გოსადას? ბარისბი ვერ მიხვდა მოხუცი ქალის გულსნადებს, სახე გაუფიფრდა, უცებ უპალტოოდ და უჭულოდ გავარდა გარეთ, მანქანაში ჩაჯდა და გაქანდა. მისმა მეგობარმა პალტოს ხელი დასტაცა, ისიც გარეთ გავარდა, მაგრამ მხოლოდ მიმავალი მანქანის გუგუნე შემოესმა.

ბარისბი ჯიქურ შევარდა ფერმაში, მერე საძროხის კარს ფეხი მიჰკრა, ზამირათმა შიშით შეკივლა. ბარისბამ ფოცხვერივით მიმოავლო თვალი იქაურობას, თითქოს ვილაცას ეძებსო, მერე ზამირათს შეხვდა და მის თვალბში ცრემლი რომ შენიშნა, ელდანაცემივით შეჩერდა. ზამირათმა მასთან მივირბინა, თავი მკერდზე მიაყრდნო; ვაჟი მთლად დაიბნა. მან ქალიშვილი გვერდზე გაიყვანა და ჰკითხა:

— რა მოხდა, ზამირათ?

— ბარისბი, ჩემი გარამი... რამდენი ხანია წვალობს, ექიმი კი არსად ჩანს... დღეს სასოფლო საბჭოში წავიდა.

ბარისბიმ სული მოითქვა. მამე, მეტი არაფერი მომხდარა! იგი მოეზვია ზამირათს. მერე უცბად შემოტრიალდა, ქუჩაში გავარდა და იქიდან დაუყვირა:

— ზამირათ! ერთ წამში ექიმი აქ გაჩნდება! გარამს გადავარჩინეთ. მერე კი თქვენსა წავიდეთ, იქ გველოდებიან.

ლოდინის წუთები საათებად ერევენება აღმაინანს. ზამირათს მოთმინება ეკარგება. სუსტი ხმით, საცოდავად ზმუნს გარამი, ქალიშვილს ნადვლიანი თვალბებით შეჰყურებს. ზამირათი მას თეთრ ხალზე ხელს უსევამს და იმეორებს:

— ჰო, მოითმინე, ცოტა კიდე მოითმინე, საცოდავო...

„სად დაიკარგა ბარისბი? იქნება ვერ იპოვა ექიმი ან მანქანა ნამქერში გაუჩერდა?“ — ნადვლიანად ფიქრობს ზამირათი.

თოვლი კი მოდის და მოდის. ზამირათი წამდაუწყუმ გამოვბის საძროხიდან: ხან მოტორის ხმა მოესმის, ხან თითქოს დარაჯი ეძახის...

არა, მან უნდა გადაარჩინოს გარამი... აგონდება მეცხოველეთა საოლქო თათბირი, სადაც პირობა დასდო, რომ მისთვის მინდობილი თვითეული ძროხისაგან წელიწადში სულ ცოტა ხუთი ათას ლიტრ რძეს მიიღებდა. და კიდეც — ნამატს მთლიანად შევიწარჩუნებო.

„რას იტყვიან კოლმეურნეები, გარამი რომ დაეცეს?“ — ვერასხვით ვერ მშვიდება ზამირათი. კოლმეურნეობაში ხომ გარამი ყველაზე მეტ რძეს იძლევა. ზამირათი ხომ სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ შარშან მედალი მიიღო!

ზამირათმა ვერ გაიგონა, როგორ მოგრიალდა „პოხედა“, როგორ შემოვიდნენ საძროხეში ბარისბი და ვეტექიმი. ამ დროს ის და დარაჯი თავს დასტრიალებდნენ წითელ ხბოს, რომელიც ის-ის იყო მოეგო გარამს. ხბოს თეთრი ხელსახოცით უწმენდნენ თვალბს, ტუჩბს... ახალდაბადებულს შუბლზე ისეთივე თეთრი ნიშანი აქვს, როგორც მის დედას. გარამი მშვიდად ზმუნს და შვილისკენ მიიწევს, თოკის გაწყვეტას ლამობს, ჩლიქბს სცემს იატაკს...

— აი, ექიმიც მოგიყვანე, — წარმოთქვა ბოლოს ბარისბიმ.

— მხოლოდ, როგორც ჩანს, ყველაფერი უჩვენოდ გაკეთებულა. შეხედეთ, რა დიდი ხბოა, სწორედ საოცრებაა. აგვეწონა ერთი...

— ეს გარამის მეთორმეტე ხბოა! — სიხარულით უხსნის ზამირათი. — და ყველა ასეთებია, სულ ერთმანეთს გვანან.

ეზოში გამოვიდნენ. ექიმს სურდა დამშვიდობებოდა და წასულიყო, მაგრამ ზამირათმა და ბარისბიმ აცნობეს თავიანთი ბედნიერების ამბავი და თხოვეს სახლში წამოსვლა ოჯახურ ზემოზე. უარის თქმა არ შეიძლებოდა.



დედა

ენახე დედაჩემი... ისევ უჭრის თვალი,
ისევ აკვირდება ეზოს მომღიმარე...
ბალახს დაუფარავს ჩვენი ქურისთავი
მამა წაეიდა და...

— დედა ჩვენზე ფიქრით ხომ არ მოიღალე...

გახსოვს შემოდგომა?—წვიმა წამოვიდა,
მე რომ მეშინოდა შორი შებინდების...

ჩალა დაგვისევლდა. — და როს გადაიღო
მთვარე ამოვიდა...

და ჩვენს დობილოში დაედგით ჩერგილები,
მაშინ მამა იყო...

მაშინ მამა იყო...

რთვლობაც ახლო იყო...

— გახსოვს, რომ დაბერტყა დიდი კაკლის ხენი!..

მერე საღამოზე ღვინო ამოიღო
და აქ ქიხივინებდა ჩვენი თაფლა ცხენი.

...მერე სასაფლაოს ქარიშხლებით სავსე —

მამა შეეხიზნა ცოტა მოღალული...

და შენ ჩვენს ეზოში:

კერიასთან ასე,
დარჩი ნაღვლიანი როგორც მოღალური.

მე კი სიკბატუკე შფოთით გაეატარე,
შუქი მიზიდავდა დიდი ქალაქების.
ჩვენი სოფლის ზეცა რატომ ვერ ვიკმარე
ამას მერე გეტყვი უფრო დალაგებით...

...დედა დობილოსკენ თეთრი ქორი მიჰქრის,

ხომ არ წაიყვანა ნეტავ ქოჩორები?..

კარგი! მოიცილე წამით ჩვენზე ფიქრი,
მოდი ვათამაშოთ ქასთან ბოჩოლები!..

თვალს ნუ დხისველებ,

მოდი დაისვენე! —

ეზოს რძალი დაგვის...

ხედავ? —

მოგიყვანე:

ეს ხომ ხათუნაა,

ეს ხომ მანანაა.

ასე დარცხვენილი ყელს რომ მოგეხვია!

შენ ნუ შეწუხდები,

მე თვით შევაკეთებ,

ქიშკარს მუხის ბოძი როგორ მოგრებია.

არქანგელის
მელოდიისა

მე ხვალ მეზობლებთან წავალ ჩვენს ქალებში,
მათთან ვიმუშავებ... გამოვყვები ურმებს...
იქ მზე ჩაიდრება ვიცი ტბის ქველებში,
იქ მე ტირიფები მიმელიან თურმე...

იქ თავს დამსძახებენ ალბათ ტოროლები,
და ხმას მოუძებნი კილოს უმიზეზოს...
უკან დაებრუნდები მაღალ ოროველით, —
რომ კვლავ ახმაურდეს ჩვენი ჩუმი ეზო...

შენთან ვიოცნებებ დიდხანს მთვარის შუქზე,
ნულარ შემომხედავ მწარე სინანულით...
— დედა მე შენს ახლოს ჩემს ბავშვობას ვუმზერ, —
მასთან ვენახებში ვივლი მხიარული!

და მეც დავისვენებ დედა შენთან ყოფნით,
ჩემს გულს ქარიშხალი განა დაკლებია!
ვივლი წისქვილებთან ჩვენი ფიქთა თოფით,
წრეულს თურმე ყველგან ბევრე კაკბებია...

ენახე დედაჩემი... ისევ უკრის თვალი...
ისევ აკვირდება ეზოს მომღიმარე
ბალახს დაუფარავს ჩვენი ქურისთავი,
მამა წავიდა და...

— დედა ჩვენზე ფიქრით ალბათ მოიღალე...

ინჟინერ ქალს

ჩვენ გვაოცებდა ლინის ფერი —
ათასწლოვანი ყინულის ქერქის...
და მხრებს გვეყარა ტალღების მტვერი,
აზავებულნი თავნება თერგის!

ვაკვირდებოდით პირქუშ ქარაფებს,
ქედებს ირმების ფეხით გათელილს,
და თითქოს გვწვავდა მზე მოქათქათე:
დარიალქვის დიდი ნათელის...

კლდენი ჩახერა ქარსა და დელგმას,
გზებზე ეყარა ხრეში... ნაფოტი...
მან მოგვიხაზა ახალი გეგმა

ჩვენ დარიალის ზღვის კალაპოტის!
მერე დაეტოვეთ უღელტეხილი,
ხევები თეთრად გადანისლული.
და მთას ეკიდა გადატეხილი
ელვა ხმალივით პირგასისლული.

თეთრ მოსასხამში იდგნენ ხეები,
ტვერის ბულვარში თოვდა...
შეკირხლულიყვინენ შესახვევები,
და ცივი ქარი ქროდა!

ჩვენ მოვდიოდით... სადღაც არაგვი —
თოვლისფერ კბორდეს ჩახარხარებდა...

არ შეუნიშნავს მაშინ არაგვის
მე ასე ძლიერ რა მახარებდა!

მან შეიფერა ქათინაური,
გაიღიმა და სხვა არაფერი...
შორს დარჩა მლეთი, კაიშაური,
და მაღალ მთების ზავით, ნამქერი.

ასე მოვედით მუხრანის ბოლოს,
და გზაზე ლამეც ერთად ვათიეთ...
მე ამ ლექსს ვწერდი და ის კი მხოლოდ
ჩუმად უცქერდა ცაზე თეთრ მთიებს...

გვიან თბილისში დავშორდით უხმოდ,
ის რომ მოგაგდა შრილა ალვას. —
დღეს დარიალში არწივებს უხმობს
და თერგის პირას მიგონებს ალბათ...

ტვერის ბულვარში

ჩვენ მივდიოდით თოვლში...

სურვილი —

ჩუმი აღერსის თვალებში გვენთო...
ცა იყო თეთრად ჩამობურვილი,
და ჩვენც გვათოვდა ერთობ...

მოაქანებდა ცივას გოგონა, —
ჩვენი მანანას ტოლი
და თოვლში ასე გვეგონა!
მოფართქალებდა გნოლი...

უცებ შევდექით... და როცა გვერდით —
მან ჩაგვიქროლა სწრაფად,
თითქოს სიყვარულს თვალებით
ვეწვდით

ცა იყო თეთრი დაფა...

...და მივიღოდით თოვლში ჩურჩულით,
მის ნაკვალევზე ორნი...

თითქოს გვესმოდა მერცხლის
ქლურტული,
ძირს იხრებოდნენ რტონი!

დიდხანს ვიარეთ ასე...
და როცა —

ბავშვს დავეწიეთ დათოვლილ ბუნქთან,
მისმა ტიკტიკმა ჩვენ გაგვაოცა
და გული მაინც რამ აგვიჩუყა?

ჩვენ შორს ვიყავით ქართლიდან მაშინ,
გვერდით არ გვახლდა ჩვენი მანანა!

და როცა ენახეთ იმ დილით ბაღში —
კარგი ბავშვების მთელი აზღვრული

ჩვენ მოგვეწონა მახსოვს საოცრად
ქერთამიანი პატარა გოგო.
ციხფერ თვალბში სითბომ გამოსცრა
და მოვეფერეთ...

მერე და როგორ!

მახსოვს შენ იგი ჩაკოცნე თბილად,
თითქოს ხელთ გეპყრა ყვაილი ნუშის...
(ეს იყო თეთრი მოსკოვის დილა)
რალაც დიადი ვიგრძენით სულში.

მერე წავედი გორკის ქუჩაზე,
იქ ჩვენს მანანას წერილებს ვწვდით...
და ვიღაც მიხვდა ჩვენს საუბარზე:
რა დიდ სიბარულს იტყვდა მკერდი!

...მერე ქუჩაში ფიფქებს ვიჭერდით,
თოვდა და თოვდა სწრაფად...
და სიყვარულსაც თვალბებით

ვეწვდით —

ცა იყო თეთრი დაფა!

ნებავი ასე გათენდეს ყველგან

ამ მთებს წუხელი ნისლი ფარავდა
და იქ ჩუმად რომ დასხდნენ

კვირტები —

არგვლივ მტრედების გუნდი ავარდა
და მათ მოხაზულ ცას ვაკვირდები...

თენდება... მთვარე ისე დამდნარა
თითქოს მოვარდა სხივების წარღვნა...
ცაში ტოროლამ შეპკრა კამარა
და აფრთხილდა მტკვრისპირას ღალღა.

თენდება... თითქოს აგერ ცის ყურეს —
ბროწეულების ცეცხლი ედება...

თენდება... მე ჩემს თბილისს
გავყურებ...

და განა ყველგან ასე თენდება!

გავცქერი ცას და... შრიალებს ფიქრი,
და ქადრებს ქარი რომ არ ასვენებს,
შორს ახლა განგის ნაპირებს იქით —
ვიღაც ცრემლებით მიწას ასველებს.

იქ მას სინათლე მოსტაცეს ძალით
და დაუმძიმეს სევდით თვალბი...
არ ადგას თავზე სხივების რკალი
და შუქს დაეძებს ფერნამკრთალეზი.

იქ მისთვის ცაზე არ ბრწყინავს მთვარე,
იქ მისთვის ცასაც ბინდი ედება...
დადის ქუჩებში ფიქრს ვერ ამთავრებს
და ნეტავ მისთვის რად არ თენდება?

თენდება... აგერ შეირხნენ ხენიც,
შორს ცას გაკვრია ქარხნების ბოლი...
ბალებს ჩიტი იკლებენ ღებნით
და დუღს სიცოცხლე სინათლის ტოლი.

მტკვრისპირ კი ღალღა დაფრენს
სილაზე

და ქუჩებს ვერცხლავს სხივების
დეღამა...

ნეტავი ასე დედამიწაზე —
სამარადამოდ გათენდეს ყველგან!



ახალმოსახლე

რომ ბალნარებით მიწა ახაროს,
მსუყე, უხნავი და უბარავი,
დგას უსატევრო და უფარხმალო
და შიშველ ველზე დასცა კარავი...

და შიშველ ველზე, სადაც მანამდი
არ დაუნახავთ ძეხორციელი,
არა ჯავშანით და მუზარადით, —
გუთნით მოვიდა კაცი ძლიერი.

გაპკრა, გალესა სახნის-საკვეთი,
ჩასკრა, ჩაპკაფა შავი ბარდნარი.
არ დაუნახავთ დღემდე ასეთი
პურის მთესველი და ბინადარი...

და მინდვრის მძინარ ძარღვთა შემრხევი
დადის, შეპყურებს ირგვლივ რაც არი.
ტეხა ყამირი გაუტეხელი
და შიგ გულივით ჩაღო მარცვალი.

მაღე ზღვასავით ყანა წამოვო
და ველს მოავლებს ოქროს არშინას.

დღეა, დილაა, თუ საღამოა,
მისი ოცნება ამ თავთავშია.

მისი ოცნება ამ ჯეჯილშია, —
აქ ხომ უძირო ზღვია სამკალი.
პურის ყანები ფაფარს იშლიან,
დახრილ ღეროებს გააქეთ კანკალი...

გაშლილ ყამირზე, სადაც მანამდი
არ დაუნახავთ ძეხორციელი,
არა მახვილით და მუზარადით, —
დგას კომბაინით კაცი ძლიერი.

რომ ბალ-ბოსტნებით მიწა გატევროს,
დღემდე უხნავი და უბარავი,
დადის უხანჯლო და უსატევრო
და ტრიალ ველზე დასცა კარავი.

ცაა ლილისფრად ფრთაგადმოშლილი,
რის საღარდელი, რა საწუხარი?!
ხვალ აქ გაჩნდება ტკბილი ცოლშვილი
და ილუღუნებს მყუდრო ბუხარი.

ერთი პატარა...

ერთი პატარა ქალი ხარ სათნო,
მხარში მიდგეხარ და მაიმედებ.
მე შენს კეთილ გულს ვერა, ვერ
დავთმობ,
შენს კარგ ქალობას ვერ გავიმეტებ.

შენი თვალები თან წამყოლია,
სადაც წავედი, სადაც ვიარე.
ახლა ვერ გხედავ, მაგრამ მგონია
თვალწინ ნაცნობი კაბა შრიალებს.

სულს, რომ მოედო ტრფობა ფარული,
ეს ზღვია, მარტო ტრფობა კი არა, —
და რა ლალია გზა სიყვარულის,
ამ გულს შორის რომ გაიარა.

მე ამ გზის დიდი სინათლე მადგას,
მე ამ გზას მივდევ სულგანაბული,
ჩემი გულიდან გამოდის, რადგან
შენს გულთან შექად არის გაბმული.

ეს გზა — ციმციმი სიცოცხლის ფერთა,
შენი ლიმილიტ სტროფში აენთო, —
და ორ გულს მისთვის აერთებს ერთად,

რომ ვერ გავძელით უერთმანეთოდ.
სადაც არ წავალ, უკან მომძახი
და ამ დიდ გზაზე მარჯვედ მატარებ.
არ გამიცივე მყუდრო ოჯახი,
უფლი სახლკარს და მიზრდი პატარებს.

შენი დანახვაც იმედით მავსებს,
შენი შეხედვით ვხდები ძლიერი.
მივალ დიდებულ ცხოვრების გზაზე,
მე გულმართალი და ჯანიერი.

ამ გზას, ო, ვერა, მე ვეღარ დავთმობ,
ამ გულს, შენს კარგ გულს ვერ
გავიმეტებ.

ერთი პატარა ქალი ხარ სათნო,
წინ შექად მიძღვი და მაიმედებ.

გონდი



ჩენი მდინარე კვლავ ჩვეული დუღუნით მოდის,
 კვლავ საფანტევით უკან რჩება სილა და ხრეში...
 არ ვიცი რატომ და რატომღაც შენ მომაგონდი,
 ჩვენ ხომ აქ ორნი დავდიოდით და სილურჯეში
 მუქ ზოლად ჩანდა ჩელტიანი, პატარა ბონდი, —
 ორ ნაპირშუა, მდინარეზე გაბმული ბონდი...

როდი ვცხრებოდით და სიმშვიდე გვიყვარდა როდი,
 ჩაეიმუხლებდით, ვდგებოდით და გავრბოდით ისევ...
 სულმოსათქმელად არ ვირჩევდით დუმისს და ლოდინს.
 როგორც ეს წყალი, ჩენი ფიქრი დიოდა ისევ,
 როგორც მდინარე, ჩენი გული იწევდა ზღვისკენ
 და დიდ ცხოვრების გვეძახოდა დრტვინვა და შფოთი.
 გვიყვარდა ტალღა და სიცოცხლე გვინდოდა მისებრ
 და გაკიდული ერთ ადგილზე გვაკრთობდა ბონდი.

დღეს კვლავ სიცოცხლედ გადმოღვრილი მდინარე ენაზე,
 ჩენი მდინარე... და რატომღაც შენ მომაგონდი...
 ჩვენ ხომ აქ ერთად ვთამაშობდით, — ეს იყო როდის?..
 დამწდარ ჩქერებში ჩარჩენილი ჰერტის შენი სახე...
 დაძინებულ ჩელტებს ძველებურად ქარი არ არხევს.
 სად არის ბონდი, ხავსიანი, უსახო ბონდი?!

ისევ გიგონებ

მთები მოჯარდნენ ყაზბეგის კართან
 და ფლატეებში წვანან ბინდები.
 შენ ასე კეთილს, შენ ასე მართალს,
 კვლავ გაგიხსენებ და გავრინდლები.

ცერზე შემდგარა პიტალო რუხი
 და ველარაფერს ვხედავ სრულიად,
 რას არ გაიარს გამძლეები მუხლი,
 თუმც გზა შენამდეც ვერ გაუვლია.

წელან თხემებზე ღრუბლები თვლემდნენ,
 ახლა არც ღამე, აღარც ბინდია, —
 მე კი, ასეთი პატარა დღემდე,
 მაგ გულის ყინვა ვერ გამიდვნია.

აღბათ, ძირს მინდვრებს გაშლია კალთა
 და უფრო ქვევით ჰლუის ატმები.
 შენ ასე კეთილს, შენ ასე მართალს,
 ისევ გიგონებ და მენატრები.



სამოქალაქო ომის გირი ლუკიანე თაბუკაშვილი

უკრაინელი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მისი დამოუკიდებლობის დაცვის წმინდა საქმეში 1917 — 1920 წ.წ. აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველი ხალხის ღირსეულმა შეილმა, სამოქალაქო ომის გმირმა ლუკიანე მაღანჩოს ძე თაბუკაშვილმა.

ლუკიანე თაბუკაშვილი დაიბადა 1890 წ. სოფ. უარცხნალში (ხარაგაულის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისი — მაღანჩო ჩაღვადრობას ეწეოდა. ცხენით ზიდავდა მარგანეცს მაღაროდან სადგურამდის. პირველდაწყებითი განათლება ლუკიანემ ხარაგაულის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. აქ მას ასწავლიდა ცნობილი რევოლუციონერი სამეფელ ზუგრიძე.

ლუკიანეს თავიდანვე ბქონდა სწავლის დაუმრეტელი წყურვილი. იგი იყო მუსყამითი და დიდად ნიჭიერი ადამიანი.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლუკიანე ბორჯომში წავიდა და ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. იქ მ — 7 თვე დარჩა. შემოათა წრეში ცოტა ხნით ყოფნაც დატოვო მას. ს. ბუჩინის პროპაგანდით მომზადებულმა ყმაწვილმა ვახსწრო სოფელში დარჩენილ ტოლ-ამხანაგებს, ლუკიანე აცვიფრებდა მათ საღი, მომწიფებული მსჯელობით, პოლიტიკური გათვითსწობიერებით... მამინ ხომ ის მხოლოდ 15 წლისა იყო.

1906 წ. მიწურულს ლუკიანე მიემგზავრება ბაქოში თავის მმასთან ლავრენტი თაბუკაშვილთან, რომელიც მსახურობდა მსხვილ ტყვისმრეწველ მულტიგინის შპალეების ქარხანაში, შემდეგ ჩააბარა გამოცდები ტელეგრაფისტობაზე და დაიწყო მუშაობა ტელეგრაფში, სადაც იმსახურა 1910 წლამდე.

3—4 წელი დაჰყო ლ. თაბუკაშვილმა ბაქოში, იგი მომსწრე და მონაწილე იყო ორდღიანი მძლავრი საპროტესტო გაფიცვისა აშხ. ხანლარის ვერაგული მკვლელობის წინააღმდეგ, 1907 წ. 22 ნოემბერს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისა, რომელიც მიმართული იყო II სახელმწიფო სათათბიროს ს. — დ. ფრეკციის გასამართლების წინააღმდეგ. — 1908 წლის გრანდიოზული საბირველ-მანოს გაფიცვისა და სხვა. ბაქოს პერიოდმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ლუკიანეზე და შეაშინა იგი შემდგომი რევოლუციონერი მოღვაწეობისათვის. ვახუთი „კომუნისტი“ 1921 წლის 17 აპრილს წერდა:

ლუკიანე თაბუკაშვილი ბაქოში „იმთავითვე“ შეზარდა მუშებს, მათ წრეებში აღიზარდა და

გაიწერთა. პროლეტარიატის ცხოვრების აუტანელმა პირობებმა და გაყვლეფილი კლასის დაუდევარმა დეღვამ აღქურგა ის ძლიერი ნებისყოფით, რკინის დისციპლინით და გამოცდილებით, შეასწავლა მას პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდები, შეაფერა მუშათა წრეები და ყოველ წამს მზად იყო აეტანა ყოველგვარი გასაჭირი მათი კეთილდღეობისათვის“.

1910 წ. ლ. თაბუკაშვილი გაიწიეს სამხედრო სამსახურში, გაგზავნეს კიევიში, რკინიგზის ბატალიონში. როგორც ორკლასიანი სასწავლებლის კურსდამთავრებულს, შედეგათი ერგებოდა და მან სამხედრო ბეგარა მოიხადა სამი წლის მაგიერ ორ წელიწადში. მას შემდეგ იგი მუშაობდა უკრაინის რკინიგზებზე — ჯერ სადგურ ბარაშოში, შემდეგ ზელიანში, ხოლო 1915 — 1916 წ.წ. — ბოროღისკაში. 1916 წლის მიწურულიდან 1917 წლის ბოლომდე მუშაობდა მსხვილ საკვანძო სადგურზე — კოროსტენო. კოროსტენი მსხვილი სადგური იყო, ფრონტთან დაახლოებული. ლუკიანე კარგად იცნობდა მუშათა კლასის სულისკეთიუბას, იცნობდა, აგრეთვე, ფრონტელთა განწყობილებებს, ფრონტის მდგომარეობას. მან კარგად იცოდა გლეხობის მდგომარეობაც. ამიტომ გასაგებია, რომ ბაქოს რევოლუციონერ პროლეტარიატის ერთგულ მოწაფეს ღრმად სწამდა რევოლუციის აღმავლობის აუცილებლობა და იგი გულის ფანცქალით ელოდა ცარიზმის დამხობას.

ეს მტკიცე რწუნა რევოლუციის მოახლოება-გამარჯვებისა სავსებით ბუნებრივი იყო ბაქოს მუშების მიერ შთაგონებული ახალგაზრდა რევოლუციონერისათვის.

მაღე აღსრულდა თაბუკაშვილის ოცნება და ბოლშევიკურად განწყობილი ახალგაზრდა რევოლუციონერი თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში კომუნისტურ პარტიაში შევიდა.

დადი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის კოროსტენის მუშები საკმაოდ მომზადებული შეხედნენ. აქ პირველ დღეებშივე შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სთავადა მათედა ძალა-უფლებას.

უკრაინელი მუშებისა და გლეხების მიერ ჩამოგდებულმა კონტარევოლუციონმა ცენტრალურმა რადამ ჩაიდინა ეროვნული დღატი: დახმარება სთხოვა უკრაინელი ხალხის დაუძინებელ მტერს — გერმანიის იმპერიალისტებს. და აი, უკრაინის დახმარობად დაიძრა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის საოკუპაციო ჯარი 500.000 კაცის

რაოდენობით. გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრაინა ხელთ იგდო მტერმა და გერმანულ ხიშტივზე დაყრდნობით გაბატონდა ცენტრალური რაიონის ხელისუფლება. მალე გერმანელმა დამპყრობელებმა ეს რაიონი გარკვეს და ძალაუფლება გადასცეს აშკარა რეპუბლიკის, შეიხსუნვერალ სკოროპადსკის.

მაგრამ უკრაინელმა ხალხმა არ მიიღო თავზე მოხვეული ხელისუფლება. გაპარდა სისხლისმღვრელი ომი სკოროპადსკის რეპუბლიკის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლუკიანე თაბუკაშვილიც. ერთ დღეს იგი ტყვედაც კი ჩავარდა. კიევი — ლუკიანოვის ციხეში — ჩასვეს, მაგრამ აქედან მან მალე მოხერხება გაქცევა. როგორც კი მტერს თავი დააღწია, ლუკიანე კვლავ შეუდგა იატაკქვეშა მუშაობას.

1918 წ. ივნისის მეორე ნახევარში კოროსტინში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. მის შემქმნაში და ხელმძღვანელობაში აქტიური როლი შეასრულა ლ. თაბუკაშვილმა. ამ არალეგალური კომიტეტის პირველი სხდომა ჩატარდა თაბუკაშვილის ბინაზე.

ჩინებული კონსპირატორი, მგზნებარე რევოლუციონერი ლუკიანე თაბუკაშვილი წარმატებით აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას — ეკავი პქონდა დამყარებული კიევის, ციტომირისა და ხარკოვის არალეგალურ ცენტრებთან.

გერმანელი ოკუპანტებისა და სკოროპადსკის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლაში ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა უკრაინელ რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა 1918 წლის ივლისსა და აგვისტოში. ეს იყო უკრაინელი ხალხის ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმაღლესი გამოხატულება. და იგი ყველაზე უფრო ორგანიზებულად კოროსტინის კვანძზე ჩატარდა. ამ გაფიცვაში ხელმძღვანელი როლი შეასრულა ლ. თაბუკაშვილმა, რაც, ცხადია, არ გამოუპარათ გერმანელ ოკუპანტებსა და სკოროპადსკის „ობრანკას“ (ვარტას). პროვოკატორების დახმარებით თაბუკაშვილი დაპატიმრეს და მყისვე საყოველთაო ბანაკში მოათავსეს.

1918 წ. ნოემბერში ლუკიანემ გამოიყენა გერმანიის რევოლუცია, თავი დააღწია ვოლკელის ჯოჯოხეთს და საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცეული კიევი გახდა. უმაღლესი პარტიული ორგანოებიდან ლუკიანეს აძლევენ სერიოზულ დავალებას — ხელი შეუწყოს გერმანელთა იმ ჯარების განიარაღებას, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. კოროსტინი-მსხელიან სარკინიგზო ჭკვანძი — კიევის დასავლეთითა და მასზე გავდა დასპირდებოდა ბევრ გერმანელ ოკუპანტს. ამოცანა ასეთი იყო: არც ერთმა გერმანელმა ჯარისკაცმა განუიარაღებლად არ უნდა გაიაროს კოროსტინი; გერმანელებს უნდა დაეტოვებინათ აგრეთვე ისიც, რაც მათ დაიტაცეს და მიითვისეს

უკრაინის მიწაზე. ეს არც ისე უბრალო ამოცანა იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ვარკებობას, რომ გერმანიის ჯარი უკან იხევდა საუნებო ორგანიზებულად, დარაზულად. მიუხედავად იმისა, რომ განიცდიდა საერთო რღვევასა და დაშლას. ამას ისიც უნდა დაეროთ, რომ გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ანტანტამ ბრძანება გასცა გერმანიის სამხედრო სპურველის შენარჩუნების შესახებ. ანტანტის სურდა საოკუპაციო ჯარები კვლავ გამოეყენებინა. უკრაინელი მშრომელი ხალხის დაუთმებული მტრები — პეტლიურელები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გერმანიის ჯარების განიარაღებისათვის, რადგან ეს თვით მათი ნაციონალისტური მიზნებისათვის იყო საჭირო. ლუკიანე თაბუკაშვილს დაეცინა ძნელი და სასასუსხისმგებლო ამოცანის შესრულება.

ოცდაათ ეწელიწადზე მეტი ჯარი განიარაღა კოროსტინის პროლეტარიატმა ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელების — ლუკიანე თაბუკაშვილის მეთაურობით. გერმანელთა იარაღი დაურიგდა კოროსტინის მშრომელ მოსახლეობას პარტიზანული რაზმების შესაიარაღებლად.

კოროსტინის მუშებს პარტიის სერიოზული დავალების შესრულების საქმეში დიდად უშლიდა ხელს სადგურის უფროსი — მონარქისტი ა. კრაჩკოვსკი. ბოლშევიკებმა ფიზიკურად მოსპეს იგი. კრაჩკოვსკის სეიფში აღმოჩნდა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელთა სია, რომლის ერთი პირი მან გერმანელებსა და გეტმანის ობრანკას (ვარტას) გადასცა. ეს სია ლუკიანე თაბუკაშვილის გვართთ იწვევბოდა.

შემდეგში თაბუკაშვილმა ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმები, რომელთაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. ეს რაზმები თავს ესხმოდნენ სამშობლოში მიმავალ გერმანულ ჯარებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯარებს ხშირად მცველად პეტლიურის ნაწილებიც კი მიჰყვებოდნენ.

როდესაც კოროსტინში საბჭოთა ხელისუფლება აღდგა, თაბუკაშვილი დაინიშნა კოროსტინის რაიონის კომისრად, რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელად. იგი ენერგიულად შეუდგა საბჭოთა ორგანოების აღდგენასა და განმტკიცებას. საბჭოთა ქვეყნის მოადგა მეორე საფრთხე — ანტანტის დაშტრობა რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ. ამ დროისათვის პეტლიურა გააქვებული იყო კიევიდან, მაგრამ მასთან ბრძოლის ჯერ კიდევ არ მიიღებოდა ბოლო.

სამოქალაქო ომის პირველი წლის გამოცდილებაში, კერძოდ, კოროსტინთან სამი კვირის გააფრთხელებმა ბრძოლებმა, ცხადმყვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ საბრძოლო საშუალებებს, როგორცაა ჯავშნოსანი შტარტებელი.

სამხედრო ნიჭით და ნათელი გონებით დაჯავლდებულმა ლუკიანე თაბუკაშვილმა ადვილად განჭვრტა ამ ახალი საშუალების მძლავრი შესაძლებლობანი სამანევრო ომში: არტილერიის

მძღვარი ცეცხლის კონცენტრაცია ერთ ადგილას. მისი სწრაფად გადანაცვლება მეორე ადგილზე, სამრეწველო ცენტრების, სარკინიგზო კვანძების ალბა-დაცვაში სერიოზული როლის შესრულება. ჯაფნოსანი მატარებლის მნიშვნელობა მით უფრო მეტი იყო ჩვენს ქვეყანაში, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში ჩვენში ნაკლებად იყო განვითარებული ტრანსპორტის სხვა სახე. გარდა რკინიგზისა, ცუდი იყო გზებიც, ხოლო ყოველივე ეს აძნელებდა ტვივით ჯარისა და კავადერიის მოძრაობას, განსაკუთრებით, გაზაფხულის პერიოდში.

და აი, ლ. თაბუკაშვილი გამოდის კოროსტინში ჯაფნოსანის მატარებლის აგების ინიციატორად. შესაძლებლობა სინამდვილედ იქცა. კოროსტინის პირველი ჯაფნოსანი მატარებლის შეთარაფად ლ. თაბუკაშვილი დანიშნა. მატარებელს ბევრი რამ აკლდა, ფოლადის ჯაფნაიყ კი არ ჰქონდა, მაგრამ მას მოუპოვებოდა ისეთი ძლიერი ფოლადი, როგორცაა პროლეტარული სიმტკიცე და შემართებლობა.

დამახასიათებელია, რომ ლუკიანე თაბუკაშვილი, რომელიც ცნობილი იყო ვაკეკაცობით, წინადაქედულებას იძენდა რევოლუციის მტრების მიმართ, ფხაზად ითვალისწინებდა მტრის შესაძლო ოინებებსა და მანევრებს.

სულ მალე თაბუკაშვილი გახდა ჯაფნოსანი მატარებლის სამავალიოთი მეთაური. „კოროსტინის კომუნისტის“ სახელობის ჯაფნოსანი მატარებლის სადადებელი სიტყვები პირიდან პირზე გადადიოდა მთელ საბჭოთა უკრაინაში, მისი განთქმული მეთაურის სახელის გავრცელებაც კი შიშის ზარსა ბევრიდა მტრებს, ხოლო ხალხის გულში, მგოვრებში იწვევდა აღტაცებასა და მადლობის გრძობას.

ჯაფნოსანმა მატარებელმა — „კოროსტინის კომუნისტმა“ სულ რამდენიმე დღის შემდეგ თავი გამოიჩინა პეტლიურას ჯაფნოსან მატარებელთან — „ვიანქსთან“ ბრძოლის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მტრის მატარებელი შეიარაღებული და ჯაფნოთი უფრო ძლიერი იყო, „კოროსტინის კომუნისტმა“ შემაღვენლობის მორალური სიმტკიცითა და გამძლეობით მაინც წარმატება მოიპოვა: „ვიანქსა“ დამსხვრეულ იქნა.

ჯაფნოსან „კოროსტინის კომუნისტს“ შექმნა დროული გამოდგა, რადგან კოროსტინის რაიონში მალე დატრიალდა ფრიალ მნიშვნელოვანი ამბავი, რომელთა მსვლელობაში ამ მატარებელმა დიდი როლი შეასრულა.

1919 წლის მარტის თვის განმავლობაში საბჭოთა დივიზიები შურეგრებლად ერეკებოდნენ პეტლიურას ჯარებს. საბჭოთა ჯარებმა აიღეს ისეთი სტრატეგიული პუნქტები, როგორცაა ფრტომორი, ვინიცა, ტვრინკა, კროსკუროვო, კამენეც-პოდოლსკი. პეტლიურას „მთაერობა“ („დირექტორია“) თავზარდაცემული გარბოდა ერთი ქა-

ლაქიდან მეორეში. ამ დროს შექმნა გესლიანს და მახვილი „ჩისტუშკა“:

„В вагоне директория,
Под вагоном территория“.

1919 წლის მარტში პეტლიურამ წამოიწყო ავანტიურა კოროსტინისა და ფრტომორის მიმართულებით. ამ დროისათვის მან გალიციის ნაციონალისტების მეშვეობით და ანტანტის ფულით შეაკოწიწა ე. წ. სეჩის რამდენიმე პოლიკი.

პეტლიურებმა ისარგებლეს იმ მდგომარეობით, რომ უკრაინული საბჭოთა ჯარების მთავარი ძალები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებდნენ და 15 მარტს მოლოდინლად გადამოვიდნენ შეტევაზე. მათი შეტევისა და იერიშების მთავარი მიმართულება იყო კოროსტინი-ნოვოვრად-ვოლინსკი-კოროსტინსკი-კიევი. ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მათ აიღეს კოროსტინი და გაიჭრნენ კოროსტინ-ნოვოვრად-ვოლინსკი-კიევის ხაზით სადგური ბოროდიანკამდე. მალე პეტლიურებმა დაიწვეს შეტევა ფრტომორის მიმართულებითაც. ძლიერ უძიმდათ კოროსტინიდან უკან დაბევა ჯაფნოსან „კოროსტინის კომუნისტს“ მებრძოლ, ბევრ მათგანს ცოლ-შვილი ჰყავდა იქ. ოჯახის დატოვება პეტლიურული ჯაღათების ხელში სამიში იყო, განსაკუთრებით კომუნისტებისა და მრეშებისათვის. თაბუკაშვილის გმირობამაც ამ მიმე წუთებში იჩინა თავი.

მისი ორგანიზატორული ნიჭის მეოხებით 25 მარტისათვის პეტლიურულთა წინსვლა შეზღუდული იქნა, ხოლო მეორე დღეს საბჭოთა ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე.

მალე მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია კოროსტინის მიმართულებით მთელ ფრტონზე. ნაციონალისტური ბანდები თავზარდაცემული გარბოდნენ, ჯაფნოსანი „კოროსტინის კომუნისტს“ მათ კვლადაკვალ მისდევდა, მისდევდა ისე, რომ მტერი კავშირგამწელობის საშუალებათა დაზიანებასაც კი ვერ ასწრებდა.

საბჭოთა სარდლობამ ღირსულად შეაფასა „კოროსტინის კომუნისტს“ შემაღვენლობის თავდადებული ბრძოლა. პეტლიურას წინააღმდეგ ბრძოლებში და, კერძოდ, პეტლიურას მარტის ავანტიურის ლიკვიდაციის საქმეში მათი დამსახურებისათვის სარდლობამ გადაწყვიტა აეგმა ნამდვილი ჯაფნოსინისა, რომელიც მართლდელი სამხედრო ტექნიკის სიმაღლეზე აღმოსმდებოდა სათანადო შეკვეთა მიეცა კიევის მანქანათმშენებელ ქარხანას. ქარხანაში გაიგზავნა ჯაფნოსან „კოროსტინის კომუნისტს“ შემაღვენლობიდან ათი კაცი. და აი, მოკლე ვადაში, ორ კვირაში მათ ააგეს ახალი ჯაფნოსანი, რომელსაც, მისე წინაპრის დამსახურების აღსანიშნავად, „კოროსტინის კომუნისტის“ ეწოდა. ახალი ჯაფნოსანის დამთავრება დაუმთავრა სადგურ კოროსტინის ალბას ძველი ჯაფნოსინებით. ახალი ჯაფნოსანი

ჯერ არ ჩაუბარებინა „კოროსტენის კომუნისტის“ შექმდგენლობას, რომ ძველ ჯაგშოსანს კვლავ დასჭირდა მტრის წინააღმდეგ გალაშქრება.

დღითადლე ახალი შარავანდელით იმოსებოდა ჯაგშოსანის საბრძოლო სახელი, იზრდებოდა მისი მეთაურის ავტორიტეტი და პატრიოტიზმა საბჭოთა ხალხი, საშვედრო სარდლობა მალალ შეფასებას აძლევდნენ ნიჭიერი ქართველი კაცის საბრძოლო ოსტატობას, თავდადებულობასა და მხნეობას. ამიტომ, როდესაც კიევის მიმართულე ზის საბჭოთა ჯარების ჯგუფი რეორგანიზებული იქნა პირველ უკრაინულ საბჭოთა არმიად, ხოლო უკრაინაში მოქმედი ჯაგშოსანთა მატარებლები თავმოყრილი იქნა ერთი სარდლობის ქვეშ „ჯაგშოსანთა კოლონის“ სახელწოდებით, ამ სახსუსისმგებლო პოსტზე — ჯაგშოსანთა კოლონის უფროსად — დაინიშნა ჯაგშოსანთა მეთაურებს შორის ყველაზე სახელმწიფეილი და ღირსეული, „კოროსტენის კომუნისტის“ გმირი მეთაური ლუკიანე თაბუკაშვილი.

სამი თვე გავრძელდა თაბუკაშვილის მოღვაწეობა ამ მნიშვნელოვან პოსტზე — 1918 წლის შუა აპრილიდან შუა ივლისამდე, მაგრამ ეს ხანმოკლე პერიოდი ბრწყინვალე ფურცელია ამა. ლუკიანეს სამხედრო-რეგულაციური ზიოგრაფიაში. მტრები ყველმხრივ ცდილობდნენ რეკოლუციის უნიშარი რაინდის ფიზიკურ მოსპობას, მას მკვლელებსა და მომწამელელებსაც კი უგზავნიდნენ. შემოგზავნეს ერთი უკრაინელი მეამბულე-პეტლურეისის ქალიშვილი, რომელიც თავს მოწალეობის დად ახალბედა, შემდეგ იგი შემანქანეც გახდა და შეეცადა თაბუკაშვილი მოეწამლა ჩაიში ჩასხმული ციანის კალიუმით. თაბუკაშვილი ამ შიამს შემთხვევით გადაურჩა.

ასე სძაღვდა ლ. თაბუკაშვილი არა მარტო უკრაინულ ნაციონალისტ-კონტრარეგულაციონერებს, არამედ დენიკინის თერეგარდელეებსა და პოლონეის ინტერვენტებსაც. მის მკვლელებს ფურადი ჯილდოც კი დაუნიშნეს. როდესაც 1920 წელს წითელი არმიის ნაწილებმა კიევი გაათავსულეს, მის ქტუბზე და კედლებზე ნახეს სრული საპარადო ფორმით დახატული ლ. თაბუკაშვილის სურათებიანი პლაკატები, სადაც პოლონელთა სარდლის — რამ-სივლის ხელმოწერით გამოცხადებული იყო, რომ, ვინც ცოცხლად მოიყვანდა ან მოკლავდა ლ. თაბუკაშვილს, მიიღებდა 40 ათას მანეთს ოქროთი.

1919 წლის მაისში, როდესაც ატამანმა გრიგორიევმა მოაწყო კონტრარეგულაციური ავანტურა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მის სწრაფ ჩაქრობა-ლიკვიდაციაში დიდი როლი შეასრულა ლ. თაბუკაშვილის ჯაგშოსანთა კოლონამ. ამის დამადასტურებელი მასალები მრავლად მოიპოვება უკრაინის იმდროინდელ პრესაში.

ცხარე ბრძოლები გაჩაღდა პროსკუროვის მიმართულებით. აქ გაგზავნილი იყო ჯაგშოსანთა 3. „მნათობი“ № 10.

მატარებელი „კოროსტენის კომუნისტი“ რომელიც რამდენიმე ცურას ანერტედა, მტრებს ეგვრიებდა მის გამაგებულ იერიშებს. საბჭოთა ჯარებს რეზერვები ან გაჩნდა, პეტლიურას კი დამამარე ძალა ემატებოდა. პეტლიურელები პროსკუროვ—კოროსტენ—კიევის მიმართულებით უტეოდნენ. მაშინ იქ გაჩნდნენ უკრაინის თავდაცვის ხელმძღვანელი მუშაკები, მოვიდა უკრაინის I საბჭოთა არმიის ჯაგშოსანთა კოლონის უფროსი ამა. ლ. თაბუკაშვილი, აქვე ჩამოვიდა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის საშვედრო და საზღვაო კომისარა ამა. ნ. ა. პოლოისკი. ვანუწვეტილი პროლეტებით დაქანეულ „კოროსტენის კომუნისტს“, სათავეში ჩადედა თვით ჯაგშოსანთა კოლონის უფროსი ლ. თაბუკაშვილი და ჯაგშოსანმა კვლავ გამოავლინა თავისი ტრადიციული პროლეტარული სიმტკიცე და გამძლეობა. ამ საარაკო ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის ლუკიანე თაბუკაშვილი დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის ორდენით.

1918 წლის 15 ივლისს უკრაინის I საბჭოთა არმიის ჯარებისაგან შეიქმნა მე-12 არმია. ჯაგშოსანთა კოლონა და მისი ხელმძღვანელი ლ. თაბუკაშვილი გადავიდნენ ამ ახალი არმიის განკარგულებაში, ხოლო როდესაც კიევიდან, დენიკინის მოახლოებასთან დაკავშირებით, 1919 წლის ივლის-აგვისტოში შეიქმნა „კიევის გამაგრებული რაიონი“, ლ. თაბუკაშვილს დაევადა იმ საბჭოთა ჯარების მეთაურობა, რომლებიც იცავდნენ კიევის რკინიგზის კვანძს.

კიევის დატოვების შემდეგ თაბუკაშვილი ნონეენებას არ აძლევდა დენიკინელებს. ერთხელ ის დღისით შეიკრა კიევი. მისი ჯაგშოსანთა მატარებლის დანახვაზე პანიკა ატყდა. „თაბუკაშვილი შემოვიქა!“ — გაატყობოდნენ დენიკინის ოფიცრები, რომლებიც იმ დროს რესტორან „კონტიენტალში“ ქეიფობდნენ. ჯაგშოსანმა თავისი საქმე გააკეთა და, ტყვეებით დატვირთული, უუნებლად დაბრუნდა მტრის პანაიკიდან.

მალე თაბუკაშვილი დაინიშნა მე-12 არმიის რეგულაციური საშვედრო საბჭოს რეზერვულად. ნიკოლოზ ილიას-ძე მანუილესკის მემკვიდრით ვლადიმერ ილიას-ძე დენიკინმა შეიტყო. ლ. თაბუკაშვილის საარაკო გმირობა. ლუკიანეს ხომ საბჭოთა ქვეყნის პირველი საშვედრო ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი, სასატიო ოქროს იარაღი და სახელდებული ოქროს საათი ჰქონდა მიღებული. საათზე ამოტიფრული იყო: „მუშურ-გლეხური წითელი არმიის პატროსან მეზრძოლის რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან“. დენიკინმა მოინდომა ლუკიანეს პირადად ნახვა. და აი, 1919 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში, წითელი დროშის ორდენის მიღების შემდეგ, თაბუკაშვილი კრემლში ეწვია დიდ დენინს. ლუკიანეს თან ახლდა ადიუტანტი ნ. სიხარულიძე.

ნ. სიხარულიძე ასე იგონებს ამ შეხვედრას: როდესაც თაბუკაშვილი კრემლის კომენდატორა-

მი ლენინთან შესასვლელად გამოცხადდა. კრემლის მორიგე წარაუღმა ჰქონდა:

„იარალი თანა გაქეთ?“

„დიად. ყველაფერი, გარდა არტილერიისა“, ხუმრობით მიუგო თაბუკაშვილმა.

იარალი შესვლა კრემლში აკრძალული იყო. თაბუკაშვილი კი მთავრობისაგან უცოდლოდ მიღებული ოქროს იარაღს არასდროს არ იმორებდა. დაურეკეს ვლადიმერ ილიას-ჰესს. ლენინის განკარგულებით თაბუკაშვილი ვაკატარეს შეიარაღებული.

თაბუკაშვილი შემდეგშიც რამდენიმეჯერ იყო ვლადიმერ ილიას-ჰესთან. ლენინი ქართველ გმირს ყოველთვის სიყვარულით ხედაობდა და „ლუკიანეს“ ნაცვლად „ლუკას“ ეძახდა.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. უკრაინელმა ხალხმა დიდი რუსი ხალხისა და ზგენი ქვეყნის სხვა ხალხების დახმარებით გაანადგურა უცხოეთის ინტერვენტები და შინაური კონტრრევოლუცია, გარკვეა ანტანტის შემოსული ჯარები. მოსკო თეთრგვარდიელი გენერლები, პოლონელი პანები და პეტლიურის ნაციონალისტური ბანდები, უკრაინელმა ხალხმა უზრუნველყო და შეინარჩუნა ოქტომბრის რევოლუციის დიდი მონაპოვრები, თავისი დამოუკიდებლობა. ამ ქვილიშობილ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველმა გმირმაღ.

15 წელი არ ენახა ლ. თაბუკაშვილს საქართველო. მის გულში მშობლიური ხალხისადმი სიყვარული შეუნელებლად გიზგიზებდა. მას კარგად ესმოდა, რომ წითელი არმიის რიგებში უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაც იყო.

მოსკოვიდან ბაქოში თაბუკაშვილი 1920 წლის სექტემბერში გამოემგზავრა იმ საქეციალური მატარებლით, რომელსაც მოჰყავდა დელეგატები ბაქოში მოწვეულ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე. მატარებელში იყვნენ ა. ვ. ლუხანაშვილი, ფილიპე მახარაძე, სიღვა თოდრა და სხვები. ბაქოში თაბუკაშვილი პირველად ეწვია ამხ. სერგო ოჯოხნიძეს, რომელმაც იგი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით მიიღო.

ლუკიანე ბაქოში დარჩა თოქშის ერთი თვეს. ოჯოხნიძის დავალებით იგი აშანაგების ჯგუფთან ერთად გაემგზავრა კრასნოვოდსკში და იქიდან 1918 წელს დახვეტილი 26 კომისრის ნეტელ ჩამოსაყენის ბაქოში.

მაღე ბაქოში საქართველოდან ჩამოვიდა ს. კოროვი. მან შესთავაზა თაბუკაშვილს, მასთან ერთად გამგზავრებულიყო საქართველოში ყრილობის დამთავრების შემდეგ. ლუკიანე სიამოვნებით დათანხმდა კიროვმა დაპლაშატური წესით შეთანხმდა შეწვევიერ მთავრობასთან ლ. თაბუკაშვილის უშიშრად ცხოვრების შესაძლებლობის

საკითხი საქართველოში, მაგრამ შეწვევიერმა მთავრობამ ჩამოსვლის უშაღვე დაანატანა იგმ. დაპატონების მოტივი ასეთი ხელს — დაპატონებულბლია შინაგან საქმელა მინისტრის განკარგულებით. როგორც პოლიტიკურად არაკეთილსამიშეო პიროვნება“.

1921 წლის 3 მარტს ზესტაფონის ციხის უფროსთან მოვიდნენ მილციონერები და მოსთხოვეს, გაეყოლებინათ მათთვის ტრესალი ლ. თაბუკაშვილი. ციხის უფროსმა იგანე მაჭუკარიანმა და მისმა მოადგილემ შესხმა კატეგორიული უარი განცხადდეს ამის შესრულებაზე. თუ სათანადო წერილობითი განკარგულება არ იქნებოდა ერთბის თანჯდომარე კონსტანტინე ზუაბიასაგან. ციხის მესვეურები, ალბათ, კარგად მიხედენენ, რა შინით სურდა შეწვევიერ მილიციის ტრესალ თაბუკაშვილის წაყვანა. იცოდა ციხის ადმინისტრაციამ ისიც, რომ შეწვევიეები გასაქცივად ეშაღებოდნენ, ხოლო საბჭოთაა ჯარების ვამოზენა დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო. თავის გასასამართლებლად მან მიითხოვა ოფიციალური განკარგულება მაზრის უფროსისაგან. ასეთი დოკუმენტი — კ. ზუაბიძის ხელმოწერით — მიღებული იქნა.

სადამოს ცხრა საათზე ლუკიანეს გამოუძახეს. ლუკიანე ადგა, მშვიდად ჩიიცვა პალტო, აშანაგებს გამოეხოფა.

მრავალჯერ სიკვდილის პირისპირ მდგარა ქართველი გმირი თავის გზას ახლაც ამჟამად თავაწეული გვიდა.

ციხიდან ლუკიანეს გამოსვლის 15 — 20 წუთის შემდეგ ხუთჯერ გაისმა თოფის გრიალი. გერაგულად მოკლულმა გმირმა კიდევ მოასწრო შესახება: „გუმარჯოს მუშერ-გლეხურ ხელისუფლებას!“ სული განუტეგა. რამდენიმე დღის შემდეგ ზესტაფონში საბჭოთა ხელისუფლება დამარდა.

1921 წლის აპრილის დასაწყისში ზესტაფონში შედგა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგზე სიტყვებით გამოსული მუშები და გლეხები ზიზიოთა და კრულეთი იხსენიებდნენ ქართველი ხალხის საამაყო შეილის მკვლელებს, მოწინებთა და სიყვარულით ადიდებდნენ ამ ადამიანს, რომელმაც უწყომანოდ შესწირა მიღელი თავისი სოცოსლუ და ენერჯია მშრომელთა კეთილდღეობას, მათთვის ბედნიერი ცხოვრების მოპოვების წმიდათაწმინდა საქმეა.

ზესტაფონის ის ქუჩა, სადაც ასე უღრროდ დაიღლა ლ. თაბუკაშვილი, დღეს მის სახელს ატარებს.

ლუკიანე თაბუკაშვილის სამხედრო-რევოლუციური მოღვაწეობა მომიზღავ ფურცელს წარმოადგენს ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების შეგობრობის ისტორიამი.



ბალონები

ბალონები

უკან გაბრუნდნენ სარკინოზები...
ორივე მხარემ ომის დროშები
დაკეცა... დიდხანს აღარ მოშრება
სისხლი ნაომარ ველზე დაღვრილი...
მიუშვეს დალილ ცხენებს აღვირი...
ვერ შემოღეწეს ციხის ბოძები, —
უკან გაბრუნდნენ სარკინოზები.

მრუმე მთაგრეხილს მიეფარა მზე
და სანაპირო სოფლის შარაზე
შინ ბრუნდებიან აუჩქარებლივ
კამარჯვებული ქართლის ჯარები.

ქიშკართან ღვას და დედა მაიას
მხრებზე მოხვეულ რუხ დარაიას
ნიაფი კრძალვით ეთამაშება,
წინ ჩაუარეს გამირთა რაშებმა, —

ლურჯა არა ჩანს... ლურჯა სად არი?!...
რად არ აკვესებს თვალებს ჭკვიანთა?!
ცხენი არ იყო მისი ბადალი,
ნეტავი რისთვის შეაგვიანდა?!...
შესცქერის ლაშქარს, დაეძებს ბეჭას,
ყური ვერ მოჰყრა შვილის ხმას მკვექარს.

მზე მიეფარა გორს და ჩათავდა
ამხედრებული ლაშქრის დინებაც...
დედა ქიშკართან ისევ რადა ღვას?...
ბინდი წელ-წელა მხრებს ეფინება

და ისევ გასცქერს მაია შარას,
ეგებ კვლავ ვინმე გამოჩნდეს ჩქარა,
იქნებ თვალი ჰკრას თვალთა ჭკვიანთა,
იქნება ცოტა შეაგვიანდა...

დალამდა... გერე წელა გაბაცდა
მთები, მინდვრები... მერე გაშავდა...
დათალბა დედის რუხი კაბაც და
როს ცას მოენთო შუქი ვარსკვლავთა, —

ეზოდან დედა გზაზე გავიდა
და გაჰყვა შარას... იქნებ დაშავდა
ბიჭი და სისხლი მოსჩქეფს მკლავიდან, —
ველარ ერევა თვით დამაშვრალ თავს.

ფეხს აუჩქარა... სოფელს გასცილდა...
ფიქრებს მიჰყვება გზაზე ლანდივით
... ვაჰ, თუ ნიაფმაც დაჰყრა, გაცივდა
და ენატრება დედის მანდილი.

შინაც უყვარდა იმის დახურვა,
როცა ტაცხვებთან მიიძინებდა...
... ფეხს აუჩქარა, ტანს შეახურა,
და წინ გასწრებულ ფიქრებს მინებდა.

ვერ შეამჩნია, ნაომარ ველზე
ისე შევიდა... მიდის და ეძებს.

მთვარე ღრუბლიდან გამოცურდა რა,
მკრთალი ნათელი, როგორც სულდარა,
ველს დაეფინა... დახოცილები
ჰყრია იჭა-აქ, ღრუბლის ჩრდილები
იმათ გულ-მკერდზე ჩუმად ცოცავენ...

ზოგნი მუხლებზე წამოჩოქილინი
დარჩენილან და
ჰგვიანან უცნაურ ღამის მლოცავეებს.
წამოიხრება, ხან ერთს დახედავს
და ხან მეორეს... ნაცნობი ჩოხა
არ ჩანს... „ — ბეჭაო!..“ — დაუძახებდა,
მაგრამ არ ისმის დაჰრილთა ოხვრაც,

ცოცხალი არ ჩანს აქ კაცთაგანი
და ამ მინდვრისა სიგრძე და განი
მხოლოდ სიკვდილის ფრთებს

დაუფარავს,
მკედრებს დაჰფენიათ მთვარის სულდარა.

შუა მინდორში უეცრად შედგა:
ჩუმი ქვეითი მოესმა ერთგან.
მიუახლოვდა, ათი ვაჟკაცი
ერთუროთის ახლოს ჰყრია, კამკაში
გააქეთ მთვარეზე ხმლებს და მახვილებს,
იმათ შუაში მოხუცი ქალი
ზის და ცრემლიან მის შეძახილებს
ვაშლილ მინდორზე იტაცებს ქარი.
ცხრა სარკინოზის შუა დალანდა
ბეჭას ჩოხა და ბეჭას ბეგთარი.

აგერ, აგდია თათრის ჩალამთან
მკერდგაპობილი ლურჯას მხედარი,
გულალმა გდია, შუბლზე ხუჭუჭა
თმა ასწეწია, ხელთ ჩაუბლუჯავს
პაპისეული სატყერის ვადა...
არ დაიკვლა, არ შეიცხადა,

ისე მიეჭრა მათა ბექას,
დაემხო მკერდზე, მაგრამ აღარა
სუნთქავს, გაპობილ მკერდს დაყვარა
თავის ქალარა თმები და ლეგა
ფერის ახალისს ჩამოფხრეწილი
კალთები ზრუნვით შემოუსწორა,

თითქოს სძინავსო... გაყოფილს ორად
ულვაშებს, აშლილს ნუკრის ბეწვივით,
შეეხო ფრთხილად ხმელი თითებით...
ერთხანს უცქირა შვილს გარინდებით,
მერე გარშემო შემოყრილ გვამებს
შემოატარა თვალი გამშრალი...

„— ცხრა სარკინოზი შეპბმია... ვაპმე!..
დაღლილა ბიჭი, წვეს დამაშვრალი.
ცხრას დახვედრია, ქვეყნის საოტად
არც ერთი კი არ შემოლუშვია,
დაღლილა ბიჭი... იძინოს ცოტა...
უსმინოს მშვიდად ბალახის შრიალს“.

უცებ შეტოკდა: მოხუცი ქალი
აგერ სულ ახლოს ზის, ჩაცუცქული
შეშტერებია მიმჭრალი თვალით,
ლაწებზე ცრემლი მოსდის წურწურით.

არ ჰკითხა „ვინ ხარ!“ ისედაც ზედავს,
წამოსულა და ცხრა შვილის დედაც
ახლა დასტირის თავის გაზრდილებს
და მთვარე ორივე დედის მანდილებს
ერთნაირად ჰფენს სხივებს ნარნარას...

„... სარკინოზია, მაგრამ ისევე
უშვილოდ ისიც ვერ მოისვენებს,
მან ცხრა დაკარგა ვაჟი... მაგრამ რა
განსხვავებაა დედათა შორის?!..
შეხედე, ისე მოსულა შორით,
არც კი ჩაუტყავს ფეხებზე წულა.
ისიც წუხს ახლა, როგორც მე ვწუხვარ“.

ერთხანს უცქირა ცხრა ვაჟის დედას,
ის შეიშმუნა და შემოხედა.
და მერე იმან რაღაც ჩუმჩუმად

თავის ენაზე ჩაიხურჩღლა, ენაზე
თუმც ვერ გაიგო მთავრად
სიტყვები, მარა მის ხმაში ისმის
გამოუთქმელი წუხილი დედის.

ერთხანს უცქირა დედას, კინალამ
აღვა მათა, ეტყვის სამძიმარს,
მაგრამ ბექა რომ კვლავ დაინახა,
რად არის ასე, რამ დაამძიმა,
ვერ აითრია წელი, ვერ აღგა,
მოხუცზე მზერა შეაჩერა და
ბექას გულმკერდთან წამომართულმა
ცხრა ვაჟის დედას უთხრა ქართულად-

„— რად გამოგზავნე, შე საცოდავო,
სიმწრით დაზრდილი ეს ვაჟაკები,
მოვიდოდი და გეტყოდი დაოს,
მაგრამ გაიგებს ბექა, გაწყრების.“

ძლიერ უყვარდა სამშობლო მიწა,
(შე შევაყვარე აგრე ძალიან),
კი არ მომკედარა, კვლავ ცოცხალია,
დაიღალა და ცოტა ხნით მიწვა.

ნუ დამიწყევლი იმას, ცხრა ვაჟი
რომ განგიგმირა ამ სისხლის დვრაში.

წა, წაიყვანე შენი ვაჟები,
მე აქვე, ბექას ახლოს დავრჩები,
წა, დაიტირე მდულარე ცრემლით,
დარდი ერთთა შენი და ჩემი.

ნეტავი, ქალო, ჩვენ შვილთა შორის
არ ყოფილიყო მტრობა საქვეყნო
და მწუხარება ერთიმეორის
ახლა ნეტავი ერთად გაგვეყო.

წალი, წალიე ცხრავე და ბარემ
მშობლიურ მიწას იქ მიაბარე.

მაგრამ თუ ისევ წამოდგენს, ნულარ,
ნუ გამოუშვებ, შე საცოდავო,
თორემ ისევ რომ შეგხედები მწუხარს,
ვერ მოვალ, ქალო, ვერ გეტყვი „დაოს“.

და შეაქცია ზურგი, თავშალი
გადაახურა ბექას სათუთად
და წუხილისგან ცრემლებგამშრალი
დედა სამარის ქვისებარ დადუმდა.

გიორგი კაიხიანი



წარბშეუხრელად

შე ვერ ვიტყოდი —
ვიყო მხდალად დაბადებული,
თუმც სიღარიბე
ქედს მიხრიდა, როგორც უღელი.,
ვცაგებებოდი
ხნალთა ელვას გულანთებული
და ნაღმთა გრიალს
შეეხედრევიარ წარბშეუხრელი.
გაბასრულ ხანჯალს
ვაგებებდი მრისხანე ძალას,
მტარვალთა მიმართ
ელვარებდა ჩემი მახვილი.,
ბრძოლების ცეცხლი
შორს მოჩანდა ჩაუქრობელად
და გაისმოდა
ჩემ ფეხთა ქვეშ მიწის ძახილი.
ვიბრძოდი მედგრად

მე ქვეითი და ცხენოსანი
და სიყმაწვილის
წლები უკან ასე დაეტოვე.,
აღლელვებლად
შევეყურებდი მძაფრ დღეს მგოსანი,
წლები წარვიდნენ,
სიყრმის ხსოვნაც განვაშარტოვე.
და ვიცი, მალე
შევიქმნები სამოცი წლისა,
მალე მომწვედება
სუსხიანი სიბერის ხელი,
მოვეკვდები, მაგრამ
ჩემი ლექსი უმღერებს წინსვლას
შეუღრეკელი,
ჩემებრ მტყიცე, წარბშეუხრელი.

თარგმანი ქალე ბოგოზნიძისა



ჩემ გარემო

1. პირველი ცდა

პატარაობისას ქვებზე მიყვარდა. აღტაცებაში მოგყავდი მათ ბრწყინვას. სტუმრად რომ წამიყვანდნენ სადმე, სულ პირველად სამზარეულოში ამოვყოფდი თავს თაროებზე ჩამორიგებულ სპილენძის დიდი და პატარა ქვებების საცქერლად. ჩამომიღებდნენ თაროდან ყველაზე პატარა ქვებს და მეც იმნაირი სერიოზულობით ველოლიავებოდი, ვინც მიყურებდა, ყველა იმას გაიძახოდა, მზარეული გამოვაო. მერე აედგებოდი და თავზე ჩამოვიცვამდი ქვებს. სალდათი გამოვაო, — იცინოდნენ მოზრდილები და აინუნშიაც არ მოსდიოდათ, რომ ზუსტად წინასწარმეტყველებდნენ ჩემს მომავალ ბედ-იღბალს: მთელი სიცოცხლის მანძილზე ოთხ ომში მივიღე მონაწილეობა.

შვიდი წლისა ვიყავი, წერა-კითხვა რომ ვისწავლე. კითხვით ყველაფერს ვკითხულობდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა, ჩემი უფროსი ძმის ყურისგდებაც მიყვარდა, ხმამაღლა რომ მიკითხავდა ხოლმე რაღაც-რაღაცებს. მახსოვს, თხელ-თხელი, ვარდისფერი წიგნები გვქონდა, — პუშკინის ნაწერების ცალკე გამოცემები. რა გამოცემები იყო, არ ვიცი, მაგრამ შიგ ცალ-ცალკე ბეჭდავდნენ თვითიველ პოემას. ორ კაპიკად იყიდდი ამ პაწია წიგნებს. მერე ერთმანეთის მიყოლებით გადავიკითხე უშველებელი რომანი, რომელსაც „შალკ ბურგერის ქალიშვილი როზა ბურგერი“ ერქვა. ამ წიგნში ბურგები და ინგლისელები ეომებოდნენ ერთმანეთს. რომანს რომ ვკითხულობდი, ყურში სულ ვასია ბიძიას საყვარელი სიმღერა ჩამესმოდა: „ტრანსვალ, ტრანსვალ, ჩემო ქვეყანავ“.

რუსეთ-იაპონიის ომი დაწყებული იყო. რვა წლის ვიყავი. ერთ საღამოს ჩემი ძმა ხმამაღლა კითხულობდა ზოლას „განადგურებას“. მე მოჯადოვებულვით ვიჯექი, თვალს ვერ ვაშორებდი ძმას და მთლიანად ვიყავი შეპყრილი ბრძოლის სურათებში, რომლებმაც საფრანგეთის ბედი გადაწყვიტეს. იმ ღამეს ცუდად მეძინა. ხან ცხენები მესიზმრებოდა, უმხედროდ რომ დაჭენობდნენ ველზე, ხან ჯარისკაცები, სახლებიდან რომ ისროდნენ, ხან ცეცხლმოკიდებული ხეები, ხან გვამებით მოფენილი მინდვრები, ხანაც უთვალავი კავალერისტი, ზარბაზნების პირისპირ რომ მოჰქროდნენ. შუალამისას გამომეღვიძა. ჩემს თვალწინ ისევ ფაფარგაქაფული ცხენები ტრიალებდნენ, ყურებში კი სროლის გრუხუნი ჩამესმოდა. დილით ქაშაყის გასახვევი რუხი ქალაქის მოზრდილ ფურცელს წამოვაველე ხელი, შუაზე გავკეციე, მერე ვიღვე გადავკეციე.

— რად გინდა? — მკითხა ძმამ, — კიდევ რაღაცას დააწებებ, ისედაც დაწებებული ხარ. შეხედე, რამდენი წებო გისვია შარვალზე!

არა-მეთქი, სხვა რამეს ვაკეთებ-მეთქი — ვუპასუხე.

მყუდრო კუთხეში მივჯექი. უხსოვარდროინდელი კაცივით ვასია ბიძიას ვეება საღურჯლო ფანქრით დავიწყე იმის წერა, თუ როგორ ვმონაწილეობდი თვითონ მე ზოლას მიერ აღწერილ ბრძოლაში. ვატაცებთ ვწერდი, ისე ვწერდი, თითქოს ყველაფერი ჩემს თვალწინ მომხდარიყო. წვრილმანებს ვიხსენებდი, ახალსაც ვიგონებდი. მოთხრობა გამომდიოდა. ახლა იმ სქელი, ნაცრისფერი ქალაქის მეორე ფურცელიც გადმოვი-

ლე, წელანდებურად გადაეკეცა, მივა-
წებ-მოვაწებებ და იმნაირი გრძნობა და-
მებადა, რომ ჩემს მოთხრობას კიდევ
აკლდა რაღაც. მივხვდი: ნახატები არ
იყო. ავდექი და, როგორც შევიძელი,
თვითონ მივახატე უმხედრო ცხენები და
მსროლელები, რომლებიც გრძელი სა-
ხლის ფანჯრებიდან ისროდნენ. მუშაო-
ბას რომ მოვრჩი, ამაყად ჩავიკითხე ჩემი
პირველი ქმნილება. შინაურები სიცი-
ლით იხოცებოდნენ ბატიფებურა ნაწე-
რისა და ნახატების დანახავზე.

— მწერალს დამიხედეთ! — თქვა ვა-
სია ბიძიამ, — შენ რა, ძამია, რაღაცა...

— მხატვარი! — თქვა ძმამ, — შეხე-
დეთ ერთი, ცხენები დაუხატავს თუ ძა-
ღლები?

ავიმღვივრი. დაწერილი განცდილ-გა-
დახარშული მქონდა, მაგრამ ეს ხომ არ
იყო ის, რაც მე მინდოდა? მაგრამ ნამ-
დვილი მწერლები როგორა წერენ? ეს
ზოლა აღბათ თვითონ ესწრებოდა იმ
ჩხუბს, ასე კარგად რომ დაუმახსოვრე-
ბია ყველაფერი.

ვცდილობდი ის ჩემი პირველი ცდა
დამევეიწყებინა, მაგრამ სქელი, რუხი
ფურცლების დაკეცვა, ზედ წერა და ნა-
წერის დასურათება მაინც საოცრად მი-
ზიდავდა. ოღონდ ეგ იყო: ხმამალა
აღარ ვკითხულობდი, ვიცოდი, ამასაც
გამიქილიკებდნენ.

მამაჩემი პარიკმახერი იყო, კაცებს
კრეკდა ერთხელ სტუმრად წამიყვანა
თავის მეგობართან, რომელსაც ავეჯით
გაწყობილი ოთახები ეჭირა ვონსენსენ-
სკის პროსპექტზე. მოხუცებული ფრანგი
იყო, ისიც პარიკმახერი. კეთილი სახე,
ფაფუკი უღვაშები და სუსტი, თეთრი
ხელები ჰქონდა. წელში ისე მოქნილად
იხრებოდა და თითქმის დახტოდა ოთახ-
ში, რომ ცირკის ბებერი მსახიობი, ჯო-
მარდი ან ოინბაზი დაგიდგებოდა თვალ-
წინ. ჩემი შეტყობით მსაიარული კაცი
იყო, ხუმრობა უყვარდა. რუსულს თით-
ქმის სუფთად ლაპარაკობდა, რუსეთში
დიდხანს ნაცხოვრები იყო, მაგრამ ზო-
გიერთი სიტყვა მაინც სასაცილოდ გა-
მოუღიოდა.

— ბიშო, — მომაგება მე, — რამხელა
ბიში ყოფილა! რა ხნისაა? *არაქანსული*
მე ვუპასუხე. *ბიშლიონისაა*

პარიკმახერი შეხტა გაკვირვებისაგან,
თითქოს რაღაცა საოცარი მეთქვას.

— სწავლობ, ბიშო?

— სკოლაში დავდივარ, ქალაქის სამ-
კლასიან სასწავლებელში, — მივუგე მე
ამაყად და სერიოზულად.

— რომ გაიზრდები, რა უნდა გამო-
ხვიდე, ბიშო?

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

— მწერლობა უნდა, — სიცილით ჩა-
ურთო მამაჩემმა, — ერთი კიდევ დაწე-
რა, ომზე...

— ომზე? — გაიკვირვა ფრანგმა, რო-
მელსაც უკეცნის ეძახდნენ, — რო-
მელზე, იაბონელებთან რომ გეკონდა?

— არა, — მივუგე მე და მის სათნო,
ფრანგულ თვალებს მივაჩერდი, — გერ-
მანელებთან. დიდი ხნის ამბავია. გერმა-
ნელები ფრანგებს ეომებოდნენ მაშინ.
ერთი მწერალია, ზოლა, იმან...

— ზოლა! — შეჰყვირა უკეცნისა, —
საფრანგეთ-პრუსიის ომი! სედანი! შენ
ამაზე ამბობ, პატარა ბიშო?

— ჰო, — მივუგე მე და თან იმას მო-
ველობდი, ახლავ სიცილი წასკდება-მე-
თქი. მომწონდა ეს კაცი და არ მინდო-
და, იმასაც სხვებივით საციინად ავე-
გდე, — დიახ, მე ცხენებზე ვწერდი, იქ
კავალერისტები იბრძოდნენ...

— მერე იცი, ბიშო, — უცებ წამოი-
ყვირა კენსიმ, ხელი ჩამავლო და დი-
ვანზე გვერდით მომიჯინა, — მე თვი-
თონ იქ ვიყავი, კავალერიაში. მე თვი-
თონ მივაქუნებდი ცხენს. რა ერქვა, მარ-
თლა? ჰო, მიტრალაოზი, ბიშო, მიტრა-
ლიოზი! იმისთანა იყო, როგორც ახლა
ტყვიამფრქვევია. ლაჯებქვეშ მომიკლეს
ცხენი. ვადმოვევრდი ძირს, დაქრილი.
ახლაც მეტყობა ნაიარევი. ე რა საინტე-
რესო ბიში ყოფილა! ესე იგი იმასა
სწერდი, რაც ომში იყო? ოცი წლის ვა-
ყავი მაშინ. ჩემი ძმაცკები სასაფლას
გზას გაუყენეს (მაშინვე მივხვდი, „სა-
საფლას“ თქმა რომ უნდოდა კენსის)

მე კი ცოცხალი დავრჩი, ცოცხალი! ბიშო, მე გადახტებული ბერიკაცი ვარ, შენ — ახალგაზრდა. ბევრ რასმე მოესწრები კიდეც. მამ მწერალი გინდა გამოხეიდე?

ვაუჩერებლად ლაპარაკობდა, პასუხის გაცემის საშუალებასაც არ მაძლევდა, ვუყურებდი და ვუყურებდი. აუწერელ სიამოვნებას განვიცდიდი იმით, წიგნიდან ამოსული კაცი რომ იყო ჩემს წინაშე. ახლა რომ შეზობელი ოთახიდან სალაშქრო ცხენი გამოეყვანა, ჩემოდნიდან მუზარადი ამოეღო და კუთხეში მიყუდებულ ლაპლაპ ხმლისათვის ხელი წაეტანებინა, არ გამოიკვირდებოდა. მაგრამ ამაზე უფრო გამაოცა, როცა სახე ყურთან მომიახლოვა და საიდუმლოდ, თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— შენ ერთი ეს მითხარი, ნამდვილი მწერალი გინახავს სადმე?

არა-მეთქი, — თავი გავექნე.

— აი ახლა გაჩვენებ, — ფრანგმა კართან მიიბრინა, გამოალო, მერე საათს წაატანა ხელი, ჟილეტის ჯიბეში რომ ედო, რატომღაც დახედა ზედ და ისეც უკან გამობრუნდა. მამაჩემი სურათებიან ფრანგულ ეურნალს კითხულობდა და ყურადღებას არ აქცევდა ჩვენს ლაპარაკს.

— ბიშო, იმ ოთახებში ნამდვილი მწერალი ცხოვრობს, — მეუბნებოდა კენსი, — აი, ახლა სააბაზანოსკენ გაივლის, ამ დროს მიდის ხოლმე. ერთი ათი წუთი მოვუცადოთ. ნამეტნავად ზუსტი კაცია, ნამდვილი მწერალია.

ათიოდე წუთის შემდეგ მართლაც შემომესმა ფეხის ხმა დერეფნიდან. ფილაც უახლოვდებოდა ჩვენს ოთახს, მერე გავვიარა და თანდათან დაგვშორდა.

ამ დროს კენსიმ ტუჩებზე თითი მაიდო, სხარტად გამოალო კარი, დერეფანში გამიყვანა და ისე მიმანება მარჯვნივ, რომ მხარზე ხელი არ მოუშორებია. მე გავიხედე და დერეფანში ნელი ნაბიჯით მიმავალი კაცის ზურგს მოვატანე თავი. მსხვილ-მსხვილი კაცი იყო, მოყვანილი. მწვანე კუბოკრული კოსტუმი ეცვა, ზედ დიდრონი შავი ზოლები ჩაუ-

დიოდა. შარვალიც ამავე ფერისა იყო. წვივებზე შავშემოვლებული მწვანე წიწვები მოუჩანდა. მხარზე უანეროდ პირსახოცი გადაეკიდა, ხაოიანი. მისი განიერქუსლიანი სქელ-სქელი ტუფლები თათქოს შიგ ეფლობოდნენ იატაკზე დაფენილ ხალიჩაში. რაღაცას უსტკვენდა და თან თითებს ატკაცუნებდა. კენსიმ ხელი წამავლო და ისეც ოთახში შემიყვანა.

— დაინახე? — წამოიძახა მან, — ნამდვილი მწერალია, ბიშო, წიგნებსა სწერს, ბირჟეცკაში წერს...

ბირჟეცკა — ბირჟის უწყებანი გაზეთი იყო. იმ ხანად დიდი გასავალი ჰქონდა. ბირჟეცკასთან ერთად ისიც რომ გავიგონე, ეს მსხვილ-მსხვილი, კისერმოკუთხული კაცი იქა სწერსო, კენსისადმი ნდობით აღვიჭურვე. დარწმუნებული ვიყავი, რომ კენსი არ მატყუებდა, სულ სიმართლეს მელაპარაკებოდა, რომ ეს კაცი ნამდვილად მწერალი იყო და ბირჟეცკაში წერდა.

— რა ჰქვია, იცი?

არ ვიცი-მეთქი, — მივუგე.

— ბრეშკო — ბრეშკოვსკი ჰქვია. ბირჟეცკაში არაფერი წაგიკითხავს მაგისა?

— არ ვკითხულობ ბირჟეცკას, — ავიბუზე მე.

— ეგ არაფერი, ბიშო, — გამამხნევა კენსიმ, — ნამდვილი მწერალი ხომ ნახე! შენც მწერალი გამოხვალ, ნახე თუ არა! და მოულოდნელად ხელში ამიყვანა, ლოყაზე მაკოცა.

მერე წავიკითხე ბრეშკო-ბრეშკოვსკას რომანი. მოკიდავეებზე იყო, ფრანგულ ჰილაობაზე, მაგრამ არ მომეწონა. ცირკის სულ ზედა გადმოსახედეზე რამდენჯერ აფუყვანივარ ვასია ბიძიას, მაგრამ იქიდან რომ ჰილაობას ვუყურებდი, ბევრად უფრო მომწონდა, ვიდრე ისა, რომ მანში რომ იყო აწერილი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ჩემი ხელით ნაცოდვილარი რუხი რვეულებას ნასახიც აღარ იყო ქვეყანაზე, შიგ რომ მსხვილ-მსხვილი პუკარები გამყავდა და თან მოუტენელ ნახატებს ვურთავდი. მოთხრობა „ომსა“ ვწერდი და როცა იმ თავს მივაღეკი, სადაც გერმანელები

პირველად უშვებენ გზებს და იმპერიალისტური ომის სანგარში ჩამდგარი ფრანგი ჯარისკაცი გამოეძვრწე, უცრად სამოცდაათიანი წლების ჯარისკაცი გულკეთილი ფრანგი თავ კენსი გამა-

სენდა და მისი სახელით ის ჯარისკაცი მოენათლე, რომელიც გახმა მოახტო საბრძოლო საგულშაგოზე. ვარკვი იმას და რომ დაიღუბა, უზომოდ დამწყდა გული.

2. მიწლაპრი

წამოზრდილი ბიჭები ვიყავით, იმდენად წამოზრდილი, რომ ფეხბურთის შორით ცქერას არავინ დაგდევდა, თვითონაც გატაცებით ვთამაშობდით. ეს ამბავი პეტროგრადის მახლობლად მოხდა, თუმცა არა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო პეტროგრადი, — დედაქალაქი, სანქტ-პეტერბურგი ერქვა, უფრო მდამბურად პიტერსაც ეძახოდნენ. ჩვენ პავლოვსკას ახლოს ვცხოვრობდით, სოფელ გლანოვოში, აგარაკზე.

ვინ ითავა პირველად აღარ მახსოვს: წესად გვექონდა შემოღებული ყოველ საღამოს ერთმანეთისათვის ახლადწაოთხული წიგნები გვეამბნა. გვეამბნა კი, მაგრამ მოსაყოლო წიგნი ძალიან მიმზადველი უნდა ყოფილიყო. ავღგებოდით და, ძველ მორებზე და აგარაკის მესერზე ჩამომგდარანი ამ ჩვენს კლუბში მორიგეობით ვყვებოდით იმ დროის აზრთა მპყრობელების წიგნებს: ეიულ ვერნის, ეაკოლიოს, ბუსენარის, ლორის პემბერტონის, ჯექ ლონდონის, გუსტავ ემარის, ფენიმორ ეტერის, სალიგარის რომანებს. ნაკითხი ბიჭები კი იყვნენ. ზოგი ბიბლიოთეკიდან თხოულობდა წიგნებს, სხვებს შინ მოსდიოდა „ვოკრუგ სვეტა“ ანდა „პირიროდა ი ლიუდი“.

თვითელი ჩვენთაგანი ისე პყვებოდა წიგნის შინაარსს, რომ სხვებისათვის დაეხარბებინა, ერეოლვა მოეგვარა, — დახე, ამას წაუკითხავს ეს განსაცვიფრებელი წიგნი, მე კი არაო. რიგი რომ მომიწევდა ხოლმე, მეც ვყვებოდი წაქითხულს, მაგრამ მალე შევინიშნე, რომ სათქმელი გამომელია, რაღაც საკვირველის მოყოლას უკვე ველარ მოვახერხებდი, რადგან, რაც რომანები წავიკითხე, ყველა მოყოლილი მქონდა, ახალი რომანები კი აღარხად იყო. თანაც გამორ-

ჩეული ვიყავი ჩემს ტოლბიჭებში. ძლიერად, ფერადოვნად ვყვებოდი, ქესტს ვიხმარიებდი, მონათხრობით დიდ შთაბეჭდილებას ვახდენდი და ამ პირველობის დაქარგვა არ მინდოდა.

პაშა ტირდანოვი იყო ერთი, ის მიწევდა მეტოქეობას. კიდევ ვეჯიბრებოდა ერთმანეთს თხრობის ოსტატობაში, მაგრამ ახლა გასაქირში ვიყავი. თუ მომავალ საღამოს პაშა ახალი მოთხრობით მოვიდოდა, ჩემი საქმე წასული იყო. რა უნდა მექნა? პარკში, ეგრეთწოდებულ ბილის კომისის მახლობლად, ხის ქვეშ წამოეწექი და ღრმა ფიქრებში წავედი. ავიღოთ თუნდაც ეიულ ვერნი, რითაა ის ძლიერი? მე არ შემძლია ეიულ ვერნობა თუ? მისი რომანების გარჩევანსჯაში შევედი. აქამდე მე აზრადაც არ მომდიოდა, როგორ წერდა ეიულ ვერნი რომანებს, მაგრამ ახლა გარჩევა დავიწყე, რათა სათაგვადსავლო რომანის რთული მექანიზმი მიმეკლია. ფიქრის მსვლელობამ თანდათან ასეთ შედეგამდე მიმიყვანა: აიღებენ ქვეყანას, შეძლებისდაგვარად შორეულ, უცნობ ქვეყანას; აიღებენ ამ ქვეყნის პავსა და ცალცალკე ჩამოსწერენ, ბუნების რომელი მოვლენაა ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი. დავუშვათ, სილის ქარაბლიჩი იცის იქ ან ტაიფუნი ან ქარბუქი, თუ ჩრდილოეთია. დავუშვათ, წყალმა იცის მოვარდნა ან ვულკანები ამოხეთქავენ ხოლმე. ახლა ავიღოთ და გადავხედოთ, რა მხეცები ბუდობენ ამ ქვეყანაში? არიან თუ არა მტაცებლები: ვეფხვები, ლომები, ჯიქები, მხამიანი ქვეწარმავალი არის თუ არა? რა მცენარეულობა იზრდება, ადამიანის მომშაამი, დიდი თუ პატარა? ახლა სიუჟეტია მოსამძინი. ყველაფერს საიდუმლოება სჯო-

ბია ან მეცნიერული აღმოჩენა. თითქოს და, რაღაცა არის ამაში საინტერესო.

მაშ ასე: გმირები ერთი ქვეყნიდან გერმანიაში მიემგზავრებიან, მაგრამ ვინ ცხოვრობს იქ, იქნებ, საბედნიეროდ, კაციკამიები ცხოვრობენ ან შემხართებელი გოლიათები და ან კიდევ მოხერხებული ჩიკაიები?

ახლა მიდი, წავა მოქმედება! ნაბოენა საიდუმლო შიფრირანი წერილი: ეტყობა, განძია ჩაფლული საღადაც. მიემგზავრებიან-მის საძებნელად. ფათერაკი ფათერაკს მოსდევს. ხან ჰავას მოაქვს უსიამოვნება, ხან ველურების მუქარას, ხან მხეცების გამოჩენას, ხან კიდევ სხვა რამეს, ვულკანი იქნება თუ ქარიშხალი. ძალიან კარგი, მექანიზმი ამუშავებულ ა!

სანახჩოზე მოსაყოლად გამზადებულ რომანით მივედი. დიდხანს ვეყვებოდი, გზადგზა ათასნაირ ახალ თავგადასავალს ვიგონებდი. ჩემმა წარმატებამ დახრდილა პაშკა ტირდანოვი, რომელიც ძალზე გაუგებრად და უხეიროდ მოყვა რაიდერ ზაგარდის რომანს — „ის“. გუნებაზე არ იყო თუ ჩემმა ბრწყინვალე წარმატებამ დააბნია, მისი მონაყოლი გრომდაც არ ღირდა ჩემს რომანთან შედარებით. ატყდა ყიფინა, გვითხარი და გვითხარი, ვისი დაწერილიაო. მეც მივაშველე: ამერიკელი მწერლის კაპიტან სმიტისაა-მეთქი.

— ჩემს დღეში არ გამიგონია მაკოსთან ვინმე; — თქვა მოლუშულმა პაშკამ, — სად იშოვე ეგ წიგნი?

— აღრე წავიკითხე, ბავშვობაში, — დაუდევრად მივუტეე მე. — სურათებიც კი მახსოვს.

ამ საღამოდან მოკიდებული ჩემი პირველობა უყოყმანო იყო, მაგრამ მუშაობა ბევრი მჭირდებოდა, ხომ უნდა გამოემგონებინა ახალი და ახალი რომანები, სადაც სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი აუარებელი ფათერაკი იქნებოდა მოთხრობილი. მე, მართალი ვითხრათ, რომანების წერა არ მიხდებოდა, იმით ვკმაყოფილდებოდი, რომ გეგმას ვაღგენდა, კონსპექტს, მოკლე შინაარსს, სწრაფ სცენებს ვიწერდი და ეს ჩანაწერები იმა-

სა ჰგავდა, რასაც ახლა სცენარს ეძახაან.

რადგანაც იმ ხანებში სამხედრო-ტორიით ვიყავი გატაცებული, ჩემთვის იმაზე ადვილი არაფერი იყო, რომ იქიდან თემები ამომეკრიადა, მერე კი თავათვე გამევითარებინა და შემეყოს ჩემი დაუშრეტელი წარმოსახვით. თხრობის მანია შემეყარა და ეს სნეულება ჩემს მსმენელებსაც შევეყარე. კაპიტანი სმიტი და მისი რომანები უკვე მთელი რიგი გამოგონებული ავტორებით შეიცვალა. უკვე მოყოლილი მქონდა რომანებში, სადაც მოქმედება ავსტრალიაში, აზიაში, ტიბეტში, აფრიკაში მიმდინარეობდა და რომლებისთვისაც სიუჟეტები აღებულნი მქონდა არაბთაშის და მახდის აჯანყებიდან, რომელიც ეგვიპტეში მოხდა. კონსტანტინებოლიდან უკვე განდევნილი მყავდა თურქები, ჩინეთიდან ევროპელები, სუმატრიდან და იაიიდან — პოლანდიელები, ინდოეთიდან — ინგლისელები, წვრილმანებისათვის ჯიბეში ხელს არ ჩავიყოფდი. ამათგან მიინც გათეთქვებზე მქონდა თავი.

პაშკა ტირდანოვიმა გულისტყვილით დამითმო პირველი ადგილი. სათავგადასავლო სამყაროში უკვე აღარ იყო რომანი, რომლითაც პაშკა ჩემი დავოკებული ფანტაზიის უწყვეტი ჩანჩქერის შეჩერებას მოახერხებდა. აზრად არავის მოსდიოდა, რომ აქ ტყუილად იყო გარეული საქმეში. ხტოდნენ აღტაცებისაგან, მხოლოდ ჩემი ავტორების გადამკიდე ვარდებოდნენ უხერხულობაში. მეკითხებოდნენ, ვინ არიანო, ნაცნობებსა და მშობლებსაც ეკითხებოდნენ, მაგრამ ჩემს გარდა არავინ იცოდა ეს გაუგონარი მწერლები. მართალია ხანდახან იმასაც ვსინჯავდი ხოლმე ჩემი რომანები ცნობილი ავტორებისათვის მიმეწერა, მაგრამ არც ეს წიგნები ჰქონდა ვისმე წაკითხული.

წარმატებით გატაცებული ჩემს თავს ნებას ვაძლევდი უფრო ღრმად შევჭრილიყავი თემში. ისტორიულ სიუჟეტებზე გადავედი. მოეტიყუილე, კიდევ ერთი გრძელი, ხუთნაწილიანი რომანი მომაგონდა, რომელსაც „გარსკვლავებიანი

მოსასხამი ანუ კვერტაროს ტრადედია“ ჰქვია-მეთქი. მექსიკის იმპერატორ მაქსიმელიანზე იყო აქ ლაპარაკი, რომელიც აჯანყებული მექსიკელების სახალხო ბელადის ბენიტო ხუარესის ბრძანებით დახვრიტეს. ამდენი ომის წიგნი მქონდა წაკითხული და აბა ჩემს გარდა ვის შეეძლო უმძიმესი სურათებით აღსავსე ამ ძველი ისტორიის წვრილმანები სკოდნოდა.

ჩემი ჯოჯოხეთური მეხსიერება შეუჩერებლივ ამუშავებდა უზარმაზარ მასალას, მაგრამ მეც კი მიძინებდებოდა წინასწარი ჩანაწერების გაუკეთებლად იოლად გავსულიყავი. ფურცლებზე ცალცალკე თავებს, გმირების თავგადასავალს და ისტორიულ ამბებს ვიწერდი.

გამარჯვებით მთვრალი ვიყავი, ამ რომანებს რომ ვყვებოდი, პაშვა ტირიდანოვი თვალებით მჭამდა, გავებით კი ვერაფერს გებულობდა. ეშმაკურად მოწკურულ თვალეზე ვამჩნევდი, რომ რაღაცის მოწყობას მიპირებდა. ავტორი ვინ არისო, უკვე აღარ მეკითხებოდა, მოსასმენად კი წესისამებრ დაიარებოდა, რადგან ეს ამბავი არაჩვეულებრივი ნომერი იყო. ყოველ საღამოს გაგრძელებიდან გაგრძელებამდე ვყვებოდი. ამ როლში ისე შევედი, რომ აღარც კი მიძინებდა ჩემი გმირების თავგადასავლის დამთავრება. მეჩვენებოდა, თითქოს ეს თავგადასავალი დაუსრულებლივ უნდა გაგრძელებულიყო. მონათხრობით მოხიბლული ბიჭები მემუდარებოდნენ, შეუმოკლებლად მოყვითო. მაგრამ რომ გავგოთ, ჩემი მონტაჟის დაბოლოება რომ ხელსა და ხელს შუა გამიქრია რით უნდა დამემთავრებინა, თვითონაც აღარ ვიცოდი. ერთხელ თავში ისიც კი მომივიდა, მოდი, ბიჭებს ვეტყვი, რომ წიგნს ბოლო ფურცელი მოხეული ჰქონდა და მისი არაფერი ვიცი-მეთქი, მაგრამ როგორც კი სახეზე შევხედე მსმენელებს, მივხვდი, რომ ამას არავინ მამატებდა. თავს ვიმტვრევედი დაბოლოების მოსაგონებლად. დღე დღეს მისდევდა, პაშვა კი უფრო და უფრო იღუშებოდა. ჩემს მონათხრობს მაინც ისე აღრე მოელო ბო-

ლო, რომ აღრე წარმოდგენაც არ შემეძლო.

როცა მორიგი ნაწილი მოვუყვებოდა ბიჭებს ვუთხარი, ხვალ დასასრული იქნება-მეთქი.

პაშვამ ჩაიცინა თვისთვის და მკითხა: —სამი შეკითხვა მაქვს, შეიძლება? — ოთხი გქონდეს, თუ გინდა, ხუთი მოიტა! — მივუღე მე და იმ უპირატესობის გამომახატველი მწერით გადავხვდი, რის უფლებასაც ჩემპიონობა იძლევა.

— პირველი შეკითხვა: ავტორი ვინ არის? — მკითხა პაშვამ, — ბიჭებო, ერთი ყურადღებით დააკვირდით მაგას...

ამ შეკითხვით ჩემი დაბნევა უნდოდა: მაგრამ ვერა, არ გამოუვიდა.

— მე უკვე ვთქვი, რომ ამ რომანს პირველი ფურცელი მოხეული ჰქონდა. ყდა და მეორე გვერდიც ვილაცხა მოეგლიჯა, თუთუნი თუ შეახვიეს შიგ. რას შემომიჩნდი სულელურად. მე საიდან მოგიტანო ახლა მისი სახელი და გვარი!

— აჰა, — მოსამართლესავით გააგრძელა პაშვამ და ეს კი აღარ დამიჯდა კკუაში, — მეორე შეკითხვა: გვაჩვენე ერთი ეგ წიგნი, შენ ამბობდი, ბიჭებო-სას იყო.

ამაზედაც ვითხარით მე, კეთილი გენება და გაგვეგონა იყო, მაგრამ მერე ვილაცხა გააყოლა ხელს, ბინას რომ ვარემონტებდით, მაშინ... მე რომ ვნახე სულ ზეთის საღებავებში იყო ამოთხვრილი და ზედ აღარაფერი წაიკითხებოდა.

აჰა, — ახლა სულ ჩამოუშვა ცხვირი პაშვამ, — მესამე შეკითხვა: როდის გადაედება ეგ შენი ამბავი, ეგ სიბრძოვე?

— ჯერ ერთი, ეს სიბრძოვე არ არის. სიბრძოვეს ასე არავინ დაუგდებდა ყურს, არც შენ აბილბილდებოდი აგრე. გოგრაში რაღაცა მოგეშალა, გატყობათჯერ ნათქვამს რომ ხელახლა მეკითხები. მე ვთქვი და ახლა შენთვის ვავიშორებ: ხვალ იქნება ბოლო, გაიგე?

— არა დღეს იქნება! — დაიყვირა პაშვამ და ხელუბნის ქნევით მორზე შეხტა.

— არ იქნება, — წავილაპარაკე მე, — დავიღალე უკვე.

— არა, დღეს იქნება! — დაიღრიალა

პაშკამ, — ახლავე იქნება. მე განზრახ ვეკითხებოდი, გამოსაცდელად. არავითარი ავტორი არ არის და არც ეგ წიგნი არსებობს. იტყუება, ყოველწამს გვატყუებდა ეგ ჩვენი ყველაფერი თვითონ გამოიგონა, აი საბუთი!

იგი მორზე დახტოდა და თავს ზემოთ რალაც ქალაღებს იქნევდა. როგორც კი ქალაღები დაეინახე, მაშინვე ჯიბეზე ვიკარი ხელი. ჯიბე ცარიელი იყო. პაშკა ჩემს ჩანაწერებს იქნევდა, ჩემ შავ ნამუშევრებს. ბიჭები ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან ამ ქალაღებს და სიცილხარხარით კითხულობდნენ გადახაზულ პუქარებს, უკანასკნელი თავების ვარიანტებს. ეს ფურცლები პილის კოშტთან დამარჩა სკამლოგინზე. პაშკა, ეტყობა, ჩამსაფრებოდა სადღაც და ეს ფურცლები ცხვირწინ აეცალა, ახლა კი აღარსად იყო გასაქცევი, საბოლოოდ გამომამძღავნებდნენ.

დაპირება არ შეასრულა, ათას სისულელეს ასალებდა ჩვენთან, წაკითხული წიგნების პატიოსნად მოყოლის ნაცვლად. გავაძეოთ კლუბიდან — ღრიალებდა პაშკა და ბევრი სხვაც უერთდებოდა მას.

ჩემის აზრით, ყოველ მათგანს ქვენა

გრძნობები ალაპარაკებდა: შური, პატივმოყვარეობა და დამცირებულ სიამაყე. არც მე ჩამოვრჩი ყვირილში: რა შენაღვლება, თქვენ დაზარალებით, თორემ მე რა-მეთქი, იმას ხომ მაინც ვერ გაიგებთ, ამბავი რით მთავრდება-მეთქი.

ყურს არავინ მივლებდა, უსტვენდნენ, ყვიროდნენ, რომ მე ქონა-ტყუილა ვარ, მეზღაპრე ვარ. ამას იმგვარი გულისმომწყველი დამცინავობით გამოხსობდნენ, რომ მიგხვდი, კლუბში აღარ მედგომებოდა, გამაძევებდნენ.

— კეთილი, — წამოვიძახე მე, ისე, რომ მყვირალებისა და პაშკას ხმა ჩამეხშო, — წავალ, წავალ. ეყარეთ აქ თქვენს პაშკასთან, მაგან დაგიტყბოთ სმენა! თქვენ იმან გაგაბოროტათ, რომ მე პირობა შევშალე, იმან გაგაბოროტათ, რომ თქვენდათავად არაფრის გამოგონების უნარი არა გაქვთ. არც პაშკას, არა. თავათ ვერაფერს ახერხებთ... იღვეით და სხვისი ნაწერები იკითხეთ მთელ სიცოცხლეში, სხვისი და არა თქვენი, საკუთარი...

ამ სიტყვებით სამუდამოდ მივატოვე მთხრობელთა კლუბი, რომელიც პავლოვსკის მახლობლად, სოფელ გლაზოვოში მორებზე და აგარაკის ღობეებზე იყო შეკოლიკებული.

მ. ატოკის ხილი

სიყრმიდანვე მიტაცებდა აღმოსავლეთი. ხარბად ვსწავლობდი ისტორიას, გეოგრაფიას, ომების ისტორიას. მინდოდა, ერთსა და იმავე დროს სამხედრო ისტორიკოსიც ვყოფილიყავი, არქეოლოგიც და მოგზაურიც. ბავშვები რომ ვთამაშობდით, თავს პრეფეაღსკის ქარავანში წარმოვიდგენდი ხოლმე და იმასთან ერთად მივაბიჯებდი აზიის მიყრუებულ უდაბნოებში. ლექსებსაც ვწერდი ინდოეთზე, სადაც მისი ქალაქებისადმი მიძღვნილი სტრიქონებიც მოიძევებოდა:

მე მოვალ თქვენთან, ჭანო, უღრმესო,
 წმინდა სპილოებს ვინახულბ, გატის
 მწინდა მთებს.
 მე მოვალ თქვენთან, თუმც ერთი წლით,
 ასე ხანმოკლედ.

თქვენთან, ბენჯაპურ, ბენარესო და ელოთო...

მაგრატის ომებზე, ნანასაიბის აჯანყებაზე, რომელიც უდიდესი სახალხო მოძრაობა იყო, რამდენიც ვნებავთ, იმდენს ვილაპარაკებდი; ინგლისელებთან პუშტუნების ბრძოლის, სერინგაპატამის ალყის, მახაბზარატუს და სივაპურანუს ამბებიც ვიცოდი. ვყვებოდი ინდოეთის უძველეს ეპოსს ჯუნგლებსა და ჰიმალაიზე, კამპირის სილამაზესა და ბაბურის ლაშქრობაზე. ეს ის ბაბური იყო, რომელმაც მოგოლების დინასტია დააარსა. რისთვის ვიმახსოვრებდი ახლა ყოველივე ამას? სკოლაში როცა დავდიოდი, ჩემს პაწია მეგობრებს ვუყვებოდი ინდოეთის ამბებს და რომ არ მოწყენოდით, სურა-

თებსაც თვითონვე ვხატავდი. ამ სურათებზე ქალაქები, ადამიანები, ინდური ბუნების სურათები გამომყავდა. ნამდვილი ჯადოსნური ჩირაღდანი მე არა მქონდა. ჩირაღდანი, უფრო სწორად, მისი მსგავსი რაღაც ჩემი ხელით გაეკეთებოდა. ამ კვადრატის წინ სურათს დავაყუდებდი, სულთა მხარეს პატარა მაყურებლებისავე მივუქცევდი, უკან სამზარეულოდან გამოტანილ ლამპარს დავდგამდი ისე, რომ ოთახი წინასწარ ჩაბნელებული იყო. ლამპარი ანათებდა სურათს და მაყურებლის წინაშე წარმოსდგებოდნენ სქლად დადობილი პეიზაჟები და ქალაქები, სპილოები და ადამიანები. მაინც მიჭირდა ბავშვების დაყოლიება, რომ ჩემი ლექციები მოესმინათ ინდოეთის შესახებ. ორ-ორ, სამ-სამ კაპიტსაც კი ვურიგებდი თითოეულ მათგანს, რათა ყური ეგდოთ და მაშინვე არ დაფანტულიყვნენ. მერე რამდენი რამის მოყოლა მინდოდა ამ შორეულ, სიოცარ ქვეყანაზე.

მე გავიზარდე და ინდოეთის გარშემო ბევრი რამ ახალი გავიგე. მრავალმა წელმა განვლო. ინდოეთი უკვე ორ ქვეყნად — ინდოეთად ანუ ბხარტად და პაკისტანად გაიყო. პაკისტანის შემადგენლობაში შევიდა პენჯაბის პროვინციის დასავლეთი ნაწილი თავისი უძველესი დიდებული ქალაქით, ლახორით. ამ ქალაქში, პროგრესულ მწერალთა კონფერენციაზე მიწვეული ვიყავით საბჭოთა მწერლებიც და სწორედ ამ დღეგაციასთან ერთად გავეშავებურე პაკისტანს. ჩვენ მწვანე ოაზისში, ტაშკენტში ჩაერთინდით, შუა აზიის პარკში. ამ ქალაქს კარგად ვიცნობ, მიყვარს იგი, რადგან ბევრ ტყბილ მოგონებასთანაა დაკავშირებული. მერე ჩვენ თვალწინ გაიქროლა ზერაფშის დაბლობის თოვლიანმა სიერცემ, თოვლიანად გაშავებულმა გისარის ქედმა, ერთი წუთით დავეშვით თბილი თერმეზის თავზე, რათა აქედან ხელახლა ავპირილიყავით ცაში და პინდიკუმის მთები გადაკვედრინა.

მერე ჩვენ დიღხანს ვიარეთ ავღანის-

ტანის გაუთავებელ გზებზე. შორით/სამხრეთული, მწვანეში ჩაფლულ ჯვალაბადი შემოგვეგება, შემდგურ ზანაბერის ულელტეხილის ქვა-ლორდიანი მისახვევ-მოსახვევები დაიწყო. ყოველივე ის, რაც ბავშვობაში ვიცოდი, ახლა ხელახლა დგებოდა ჩემს წინაშე, დგებოდა. როგორც ცოცხალი, ნამდვილი ცხოვრება ყოველგვარი რომანტიკული შეღამაზების გარეშე. მე თითქოს ვინსენტი კიდევ ნაცნობ ადგილებს, ეს ადგილები თითქმის ისეთი იყვნენ, როგორც ადრე წარმომედგინა. სიახლე იყო ყველაფერი ჩვენს გარშემო, მაგრამ ამასთან ერთად ისეთი განცდა შეუფლებოდა, რომ ხელახლა ვბრუნდებოდი ადგილებში, სადაც არაერთჯერ დამედგა ფეხი წინათ. მთების, მდინარეების, დაბლობების თუ ქალაქების სახელები არ მეუცხოვებოდა. მდინარეებსაც ვცნობდი, ქედებსაც, მწვერვალებსაც, კარგად ვიცოდი ამ დაბლობების ისტორია.

შელამებულზე პეშევარში შევედი. ჩვენი ორი მანქანა სასტუმროს დაცარიელებულ ეზოში გაჩერდა. ამ სასტუმროს ნომრები ერთსართულიან ფლიგელებში იყო განლაგებული. საღამოს ჩაის ვამბა მოატანა. უნდა გადავწვიყვიტა, რით წავსულიყავით აქედან, მატარებლით, თვითმფრინავით თუ მანქანით? სულ ხუთი ვიყავით დღეგატები. მანქანები საელჩოსი იყო, ჩვენი საელჩოსი, ქაბულში რომ იდგა. ესენი ლახორამდევ ჩავიდოდნენ, მაგრამ შორი იყო ძალზე. ყოყმანი რომ შეიტყვეს, შოფრებმა გვითხრეს, წასვლა, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ ბენზინი არ გვეყოფათ. სად უნდა გვეყიდა ბენზინი პეშევარში, ისიც კვირა საღამოს, არცერთ ჩვენთანს წარმოდგენაც არა ჰქონდა. ჩამოსულთ არავინ შეგვხვედრია, ანდა ვინ უნდა შეგვხვედროდა, როდესაც პაკისტანში არც საელჩო იყო ჩვენი იმ დროს და არც სავაჭრო წარმომადგენლობა. მხოლოდ ერთმა პაკისტანელმა ქაბულმა მოგვინახულა. ალაღმართალი, ცოცხალი სახის ყმაწვილი იყო, მზიარული თვალები ჰქონდა, მიმოხვრა სწრაფი.

მოზომილი. ლაპარაკი იმით დაიწყო, რომ ბოდიშს იხდიდა, თქვენთვის არავის წარმოუდგენია, ჩამოსულები ბრძანდებით, იქნება გჭირდებათ რამე, სულითა და გულით მინდა დახმარება აღმოგიჩინოთ.

ბენზინს სად ვიყიდით-მეთქი, — ვკითხვით, როცა იმან ჩვენი ვინაობა გაიგო და ჩვენც შევიტყვეთ, რომ ყმაწვილი კაცი აქაური მაცხოვრებელი იყო, უნივერსიტეტის სტუდენტი და საბჭოთა ადამიანებს მეგობრის თვალით უყურებდა.

— ბენზინს ყიდვა არ შეიძლება, წიგნაკებით იძლევიან, მაგრამ თქვენ რათ უნდა იყიდოთ ბენზინი ბაზარში, თქვენ ხომ ოფიციალური სტუმრები ბრძანდებით. ბენზინს მოგცემთ...

ვერ მივუხვდით, ვის უნდა მოეცა ბენზინი, ვილაც მაღალ მოხელეს თუ თვითონ გუბერნატორს. მეო... ესე იგი თვითონ სტუდენტი მოაგვარებდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო, თუკი ერთი ჩვენთაგანი ჩვენივე მანქანით წაყვებოდა იმ მაღალ ჩინთან.

დღეგაციის ორი წვერი გაეყოლებოდა. დარჩენილებმა თათბირი გაემართეთ. ერთნი ამბობდნენ, თუ ბენზინი ვიშოვებთ, ამაღამვე ავიკრათ გულა-ნაბადიო, მეორენი ყოყმანობდნენ, მთელი დღე მოკონებებით ვიყავი შეპყრობილი. ყველაფერი, რაც კი ამ მხარის გარშემო წამეკითხა, თვალწინ მიტრიალებდა. ყოველი ადგილი თავისებური საღებავებით შესახებოდა. და უცებ მთელი ამ ქრულ-ქრულა ქაოსიდან ორი სიტყვა ამოტივტივდა: ატოკის ხიდი. ატოკის ხიდი! მართლაც არის ასეთი ხიდი, ესაა, მდინარე ინდზე, იქ, სადაც წყალუხვი ქაბული ინდს ერთვის. ორსართულიანი ხილია, ერთი სართული უბრალო ტრანსპორტისათვისაა, მეორეზე რკინიგზა გადის. მეტად მნიშვნელოვანი ხილია, სტრატეგიული გზის ნამდვილი დავეირვებინება. ღამით ასე ალაღებულზე ზედ გავლა საზიფათოა. ახლო-მახლო კაციშვილი არ ჰქანებს, ირგვლივ ყოველივე პირქვეშ და უდაბურია. ღირდა კი წასვლა? მე ყველაფერი ნათლად გამახსენდა. გაყვი-

თლებული ფურცლების სიღრმიდან ჩემს წინ წარმოსდგა შავი წარსული და მძიმე მებული ატოკის ხიდი. ღირდა კი ამ მხარახი ადგილების ღამით გავლა? ჩემის აზრით, არ ღირდა. ამხანაგებს მოვეუყვი ყველაფერი. ისინიც დამეთანხმნენ. ავიღეთ ნომრები სასტუმროში და დავრჩით, რათა დილაადრიან გავდგომოდით გზას.

— მაგრამ ამხანაგებმა რომ ბენზინი მოიტანონ? — იკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— აეუხსნით რა ბედენაცაა ეგ ატოკის ხიდი! — მიუუგე მე.

— მაგრამ ეგ ყველაფერი რომ თქვენ წარმოსახვის ნაყოფი აღმოჩნდეს? — შემინიშნეს ფრთხილად.

— იქნებ სხვა გზა გამოგვეჩაბა...

მე გამეღიმა და მტკიცედ განვატყავე, სხვა გზა არ არის-მეთქი, თანაც საბოლოოდ მომაგონდა, რომ ხიდი ზარბაზნებით იყო შეიარაღებული. რა გეიჭირს ღამე სასიარულო, რა ძალა გვადგია, ისიც ამისთანა დროში, ამისთანა გზაზე... ბეშევარში კაცი არაა ჩვენს გარდა საბჭოელი.

ნომერში ვიდექით, ფანჯარასთან, ზედ რომ სანახევროდ გადაეცლო სუროს, რომელიც კედლებს გარედან შემოხვეოდა. აქედან ცარიელი ეზო და ჩვენი მანქანა მოჩანდა.

უეცრად ვილაცა კაცი დავინახეთ, რომელიც ჩვენდამოულოდნელად გამოჩნდა, ეზო გადასჭრა და იმ ფლიგელისაკენ წავიდა, სადაც რესტორანი იყო მოწყობილი. ჩვენ ზურგიდან ვხედავდით მას. ჩასხმული კაცი იყო, მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა. ხაყისფერი ჯუბა ეცვა, ასეთივე ფერის შარვალი და მაღალყელიანი ჩექმები. რაღაცთა წააგავდა საღვთისარ-დარიის მიდამოებში მომუშავე პასუხისმგებელ პირს. სახე ვერ დავინახეთ მისი, მაგრამ მერე თვითონ მოიხედა. ვერ შეგვნიშნა, სურო თუ გვეფარებოდა. ჩვენი მანქანისაკენ გასწია, თან იქაურობას ათვლიერებდა.

წითელი საელჩო ალამი სწორედ ამ დროს გაიშალა. ოქროს ვარსკვლავი და

ჩაქუჩ-ნამგალი გარკვევით მოჩანდა. კაცი ისე დაესო ერთ ადგილას, თითქოს ვიღაცამ დააქედა მიწაზეო. მანქანას უყურებდა და ფეხის მონაცვლებასაც ვეღარ ახერხებდა. მერე ნებისყოფის უზარმაზარი ღიძებვით გადადგა წინ ნაბიჯი, ისევ გაჩერდა და მანქანისაკენ შემობრუნდა. ახლა ახლო მივიდა. ოქროს-ვარსკვლავიანმა წითელმა ალამმა მონუსხა თუ რა იყო, კაცი აქეთ-იქით დაბორიალებდა, წავიღოდა, მერე ისევ დაბრუნდებოდა მანქანასთან, უყურებდა, მხრებს იჩინავდა უფრო შიშისაგან, ვიდრე გაკვირვებისაგან, ქუდს ისწორებდა, სინჯავდა, საიმედოდ მახურავს თუ არაო, რაღაცას ბუტბუტებდა და ხელახლა ესობოდა ერთ ადგილზე. თვალბინსათვის ვეღარ დაეჯერებინა. მაგრამ ვინ იყო ეს უჩვეულო სტუმარი, აქ რომელმა ძარბა შემოაგდო?

მსახურს ვაეცინა, ეზოში მობოროილე კაცისაკენ მიგვახედა და გვითხრა:

— ეგ გენერალი მა არის, ჩანკაიშელი გენერალი. წითლებმა ნეკნები ჩაუმტვრიეს. სინძიანიდან თვითმფრინავით მოკურცხლა, ამ წუთის ჩამოსულია. შეშინდებოდა, რასაკვირველია, რაო, აქაც, პეშევარშიც წითლები დამიხდნენო? აეტომობილზე ხომ წითელი ალამია. გული გადმოუტრიალდა, ეს არის მოვირბინე და სულსაც აღარ მომათქმევიებენო. აქედანაც უნდა გაიქცეს, სწორედ ეგ აცეკვებს თქვენს აეტომობილთან.

გენერალმა ფეხი აითრია ეზოში, თან ფრთხილად იყურებოდა აქეთ-იქით. შიშობდა, ახლა ვიღაცა დამიძახებს, ანდა უკანიდან მტაცებს ხელს ვინმეო. როგორც კი იმ რესტორანის კარს მიეფარა, ჩვენმა მეორე მანქანამაც მოაყვირა. ჩვენებმა ნომერში გვწახეს.

— თქვენ რა, უკვე გადაწყვიტეთ ღამის გათევა? — მოგვძახებს მაშინვე, — ჩვენც ეგ გვადგა ენაზე.

— რათა? — შევეკითხეთ ჩვენ, — ბენზინი ვერ იშოვეთ თუ?

— ბენზინი ვიშოვეთ, მაგრამ ატოკის ხილი...

— რა ატოკის ხილი? — გავუტრიაზვე

მე, თითქოს პირველად მესმოდა ეს სახელწოდება.

საქონეში

— რა და, ისა... იმ მაღალ-მარსხელტურს რომ მივადექით, ეძინა. ვაღვიძეს. თავაზიანი ბერიკაცი გამოგვეგება, გამარჯობათო, გვითხრა, ძალიან მოხარული ვართქვენი გაცნობისაო. ბენზინი გინდათ? ბენზინს მოგცემთ, მაგრამ წასვლას ამაღამ აპირებთ? მერე ატოკის ხილიო? და გვიყურებს ასე, გამომწვევად. ახლა ჩვენ ვეუბნებით, მაგ ატოკის ხიდს რა მოსდის-თქო. ბერიკაცმა აღერსიანად აგვიხსნა, რომ ატოკის ხიდი ღამლამობით იკეტება. იმაზე გადავლა მარტო საშვით შეიძლება, საშვზე კი პირადად ჩემი ხელმოწერა უნდა იყოსო, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებ უსიამოვნებასაც გადაატყდეთ. ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით ყოფილა დაცული. დიდად მნიშვნელოვანი სამხედრო ხილია და ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, თუ გაბედავთ ამაღამ წასვლას, საშვს მოგცემთო....

თანაც ეშმაკურად გვიყურებს.

ამ დროს სტუდენტმა გეიურჩიულა, ნუ წახვალთ, ღამით ფეხსაც ნუ გაადგამთ, ნაძარბი ადგილებია, დილით წადითო.

აგდექით და, თქვენდადაუკითხავად გადაწყვიტეთ დარჩენა, თქვენ საიდან მოგივიდათ თავში?

— როგორ თუ საიდან, აბა ატოკის ხილი?

— თქვენ რა იცით ატოკის ხილი! — შეიცხადეს ამხანაგებმა.

— სწორედ მაშინ ვლაპარაკობდით ჩვენც მაგაზე, როცა თქვენ ბჭობა გქონდათ გამართული, ამაღამვე წავიდეთ თუ არაო და ჩვენც მაგ აზრზე მივიდით, ატოკის ხილი ვაგვახსენდა. მაგას ვერც გადაივლი და ვერც შემოუვლი. ხედავთ რანაირად დაემთხვა აზრები! აბა, დავიძინოთ ახლა, ხვალ, დილის სისხამზე დავინახავთ, რა ბიჭიც ბრძანდება ეგ ატოკის ხილი!

და მართლაც დავინახეთ, დავინახეთ ფოლადის ჭიშკრები, რომლებიც ღამლამობით იკეტებოდა, დავინახეთ, რომ ტყვიამფრქვევების ბუდეები ერთყა ირ-

გვლივ, დავინახეთ, რომ ნამდვილი ავანტურა იქნებოდა აქ ღამით გამოვლა.

და როდესაც მანქანა გუჯუნებდა ატოკის ხიდის მძიმე კონსტრუქციების ქვეშ, ოცნებაში დრამატული სცენა მხატვრობდა. თავიდანვე რომ ბენზინი გვეკონოდა, ჩვენ ხომ წამოვიდოდით და ტყვიამფრქვევის ბუდეები სროლას აგვიტებდნენ. აბა რომელი ჩვენთაგანი მიხვდებოდა რამეს! ამოდ ვეცდებოდით უჩინარ მტრისაგან თავის დაღწევას და სწორედ ტყვიამფრქვევებს გამოვეჭიმებოდით წინ. არ იქნებოდა სეირი! პროგრესიულ მწერალთა კონფერენციის დელეგატებს იერიში მიჰქვედნოთ, სტრატეგიული თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვან ატოკის ხიდზე და ისიც ღამით!

როდესაც ინდის შეიარაღებული ძალები, მე მოვიხედე და დავაკვირდი ატოკის ხიდს. ის ისეთივე იყო ახლა, როგორც ატოკის ხიდს. ის ისეთივე იყო ახლა, როგორც ატოკის ხიდს.

როდესაც ინდის შეიარაღებული ძალები, მე მოვიხედე და დავაკვირდი ატოკის ხიდს. ის ისეთივე იყო ახლა, როგორც ატოკის ხიდს. ის ისეთივე იყო ახლა, როგორც ატოკის ხიდს.

4. მხ მოქმადს მოთვი

სამაპულთ ომის დაწყებამდე ყოველ წელიწადს მთებში დავდიოდი. როდესაც მხარზე ალპინისტის ტომარას წამოვიკიდებდი, მთის პირველ ბილიკზე ფეხს დავადგამდი და მთის ნიავი შებლს გამიგრძობდა, ვგრძნობდი, რომ ხელახლა შევიდიოდი დიდ საკვირველებათა სამყაროში, სადაც ყოველ ცისმარე დღეს თვალწინ მედგომებოდა მთის დაუსრულებელი გრეხილები, მთის მწვენი ბალახზე მივლულავდი თვალს ან ქვებზე ჩავთვლებდი უღელტეხილის ახლოს ან თოვლზე გაშლილ სიფრიფანა კარავში, ყურს მივეუფლებდი მთის მღუმარების, თავს მოვევლებოდი ყინვის კოშკებით მოზარნიშებულ მწვერვალებს, კოცონის პირას მოვუსმენდი მთებზე შეყვარებულ ადამიანებს, სულ უბრალო საქმელით მოვიკლავდი შიმშილს, უბრალო წყალს დავლევდი და მთათა უბრალო ბედნიერებას საგზლად წამოვივლებდი.

რუსი პოეტები ეტრფოდნენ კავკასიას, სხვადასხვანაირად ეტრფოდნენ. არც პუშკინსა და არც ლერმონტოვს ფეხი არ შეუდგამთ მთათა იმ იდუმალ სამეფოში, სადაც ახლა თავისუფლად დაიარებიან მოგზაურები და მთამსვლელები. ისინი არასოდეს არ ასულან მყინვე-

რებზე, იალბუხსაც კი შორიდან ვერცტდნენ. იალბუხთან მიხლოება სიკვდილით ემუქრებოდა იმ დროს ადამიანს. ლერმონტოვი ბერძამიტიდან ხატავდა იალბუხს. საბჭოების ხანაში გაიხსნა მთის ყველა გზა, მრავალი შესაძლებლობა გადიშალა მთაში მოგზაურობის მოყვარულთა წინაშე.

ახლა არ იკითხავთ, რა ღამაშია მთაში გაზაფხული! ფირფხისფერი ცა უცებ მოიქუფრება ყომრალი ღრუბლებით, დაუშვებს კისკასა, კამკამა წვიმა. მებს ჰკვეთს სიერცეს და მთები რომ სამჯერ შეაშველებენ გამოჩახილს, კისრისტებით გადაემგება ყველაზე უფრო ღრმა უფსკრულში, ღოდები მოგორავენ ციციბოზე, ამოძრავდება ქვის მთელი ნაქადი, ღრიალებენ მოდილებული მდინარეები, სწრაფზე უსწრაფესად მოექნებიან ნაქადლები, ერთვიან აქაფებულ, აბუყბუყებულ სტიქიას, სეობებში რომ თარეშობს, სიმწვანე ლივლივებს უთვალავი თვალმარგალიტით, ცის მანანით განზანდილი აბრეშუმის სინატიფით შრიალებს ქარის შემობერებაზე, რომელიც მწვერვალებიდან ეშვება ქვემოთ და დემონური ზეიმით მიილტვის ციციბოზე დაკიდებული ტყეების თავზე, ქოჩორს უფარცხნის ცადატყორცნილ

ნაძეებს და ალბიური მინდვრების სა-
თაფლეში იძირება, სადაც ჯერარანხუ-
ლი სურნელბაა გაბნეული, დაბლო-
ბებში კი, სადაც ბალახში ცხენიანი კა-
ციე კი დიამალბა, მარმარილოს ლო-
დებზე გამოქვირვალ წყალი მოედინება
და მალლა, ცაში, არწივები დასცურავენ
ანდა ქორი შერჩენია ცას, თითქოს ზედ
ვილაყას მიუქედებიათ.

სალამოს ეამს კომუნტის ერთ ძვე-
ლისძველ ქოხში ვიჯექი. ჩემს მასპინ-
ძლებს, დიგორელ ოსებს ველაპარაკე-
ბოდი. უცებ მომჩვენა, რომ მეტყვე-
ლების უნარი წამერთვა. თვალმოუშო-
რებლივ მივჩერებოდი შავებში გახვე-
ულ ქალს, რომელიც სახლის დირეზე
გადმომდგარიყო და ჩამავალი შვის
შუქზე ძაფს ახვევდა.

ქვემოდან, ციცაბო ბილიკზე ზანტად
მოიზღაშნებოდა რქებმოგრებილი ვეე-
ბა ხარი. ხარი ზარმაცად ღეჭავდა ბა-
ლახს, რქებშუა კი მთელი აული მოჩან-
და, აი ისა, მეზობელ კალთას რომ შეჰ-
ფენოდა ხეობის გადაღმა. მოწითალო
ნათელი ასხივოსნებდა მთელ ამ სანახა-
ობას. მე ისე აღმიტაცა ყოველივემ, რომ
ლექსი დავწერე, რათა აღმებეჭდა დანა-
ხული.

როდესაც მე და რეჟისორი არშტამი
მასალბს ვკრეფდით სცენარ „მეგობ-
რებისათვის“, ინგუშეთის ყრუ ხეობაში
შევედით, ოსეთის შუაგულში, ყაბარ-
ლოსა და ბალყარეთის შუაში მივიცე-
ლედით გზას, კვალდაკვალ მივსდევ-
დით ოქტომბრის გამრთა ნაფეხურებს.
გზადაგზა გვხვდებოდა გამოქვაბულები,
სადაც სამოქალაქო ომის ეპოქის პარ-
ტიზანები ათევდნენ ღამეებს. ინგუშე-
თის სოფლების ქვის კოშკებში ვრჩებო-
დით, ბილიკების მაგივრად ქვის კიბეებს
ავყავდით მალლა და მალლა, გზას ვიკა-
ფავდით მქუხარე თერგის ნაპირ-ნაპირ,
უსიერ ტევრში, ვსველდებოდით ტრო-
პიკულ წვიმაში, მუხლამდე ტალანში
ამოსვრილნი მივაბიჯებდით გადარეც-
ხილ გზებზე.

მოთხრობა იყო ირგვლივ ყველაფე-
რი, ლეგენდა, სიმღერა. ახალ გრძნობა-

სა და აზრს ბადებდა ყოველივე. შხ-
ტაგის მწვანე საძოვრების ზემოთ მე
დაეინახე სატევირით წყაროში, ვერცხ-
ლისფერი ნაკადული, რომელიც ცერად
ემშვებოდა კლდეებს შუა. საღამომ მოა-
ტანა. დადგა ცივი, მთვარიანი ღამე,
მთებში რომ ციცი ხოლმე. მე კარგად
ვხედავდი იმ ნაკადულს, ახლა იგი აღარ
იძროდა, გაყინულიყო, ვერცხლის ქარ-
ქაშთან ხანჯალივით დაჰკიდებოდა რუ-
ხი კლდის ჩერქეზულ ჩოხას. დილით
ისევ გადნა. ვუყურებდი, როგორი მსუ-
ბუქი მოძრაობა მიჰყვა შვის ვარდის-
ფერ სხივებს. მთებში დათბა და შუა-
დღისას კვლავ წამოვიდა ვერცხლისფე-
რი ნაკადი, რომელიც დაბლობისაკენ
მიისწრაფვოდა, სადამდეც ვერასოდეს
ვერ ჩააღწევს მისი უნაზესი ქავლი.

იმ გზას მივყევბოდით, რომელზედაც
ოდესღაც სერგო ორჯონიკიძემ და სერ-
გეი მირონის-ძე კიროვმა გაიარეს. ასი-
ნის ხეობის ვიწროებში ინგუშეთის ერ-
თი ძველებური აულია შეეუფული.
პუის ეძახიან. როცა ერთი აქაური დე-
დაბერი ლოგინს მიშლიდა, მითხრა, აქ
სერგოს ეძინათ.

დილაბნელზე ჩვენ უკვე წავადექით
იმ ბილიკს, რომელსაც ხევსურეთში გა-
დაყავხართ. გაზაფხული ზეიმობდა ირ-
გვლივ. განუწყვეტლივ გვესმოდა მდი-
ნარის ხმური, კალთებზე შეფენილი
ბუჩქნარის შრიალი, თოვლიანი მთები-
დან მონაბერი ქარის ქშინვა. ბილიკი
უეცრად გათავდა. ეს ბილიკი ოცი წლის
წინათ მივევიწყებინათ, რადგან მდინარე-
ზე გადასასვლელი არსად იყო, ეს კი
იმის გამო მოხდა, რომ ინგუშებსა და
ხევსურებს შუა შავკატას გაერბინა. ამ
შუღლის გაღვივება ადვილი იყო; ერთ-
ნი ნახევრად წარმართი — ნახევრად
ქრისტიანები იყვნენ, მეორენი კი ნა-
ხევრადწარმართი, ნახევრად მუსულმა-
ნები.

თითქმის ოცი წლის წინათ სერგო ორ-
ჯონიკიძე მანც უგზოუკვლოდ გადა-
ვიდა აქედან ინგუშეთში. ეს იყო თქმუ-
ლება, კაციშვილს რომ არ ჩაუწყერია და
არც არავის გაუგონია. ჩვენ შევყურებ-

დით ხეობის უღრან ტყეებს და გვეჩვე-
ნებოდა, რომ მომწვანო სიბნელეში
უშიშრად მიდიოდა წინ ორი მხედარი,
ტყბილ ხალხურ სიმღერებს მიიმღერო-
დნენ... ვხედავდი მათ შავ ნაბღებს და...
თვითონ მათ — კაცასიის ოქტომბრის
ლევანდარულ გმირებს: სერგო ორჯო-
ნიკიძეს და მის მხნე თანამგზავრს ალბა-
გაჩივს. ამ ქედიდან შორს აღარ იყო
იალბუზი. აქ ხომ ოდესღაც გულადი
ქაბუჯი ბეტალ კალმეოვი სერგეი მი-
რონის ძე კიროვის აცილებდა დიდ მთა-
ზე. ალბათ მაშინაც ასევე ბრწყინავდა
ახალი თოვლი იალბუზზე, როდესაც
ჯანღონით სავსე ადამიანები კიროვის
ხელმძღვანელობით მიაბიჯებდნენ მა-
მისონის უღელტეხილზე. ჯარს არ გა-
დაესვლება აქ ზამთრობითო, ამტყიცებ-
დნენ სამხედრო სპეციალისტები, მაგ-
რამ წითელი არმიის მეომრებმა შეუძ-
ლებელი შესძლეს.

თუკი კაცასიონის მყინვარეთში შეი-
ჭრებით, საკუთარი თვალით დაინახავთ
ყინულის მრავალსართულიან კოშკებს,
რომლებიც გამაყრუებელი გუგუნით
იმსხვრევიან, დაინახავთ ატლასის კე-
დელთა ნაბზარებს, რომლებიც უძირო
უფსკრულში ეშვებიან, გაივლით თოვ-
ლიან ბილიკებზე, ციცაბოს პირას რომ
გაგიყვანენ. აქედან იგაემიუწვდომელი
სანახაობა ეშლება ადამიანს. დაინახავთ
მომწვანო ცამდე აზიდულ უშბისა და
შხელდის დიდებულ კოშკებს, ანდა გუ-
ზინგის კედელს გაადევნებთ თვალს
მზის ამოსვლისას, თავისი მთელი სიდი-

დით რომ ამოიშართება დილის ნისლი-
დან და ეს მთის სამყარო ისეთი გრძნო-
ბას გაგატანთ თან, რომელსაც დღესას
ვერ დაივიწყებთ.

მე მიყვარს მთები, როდესაც შემოდ-
გომა წითელ-ყვითელი ფოთლებით მო-
ჭფენს დაბლობებს, ფაფუკი თოვლი
ამოავსებს ყოველ პატარა ორმოს და
ყოველ პაწია მწვერვალს მიუღვრემელ,
ამაყ ციხე-დარბაზად აქცევს, როდესაც
კოწახური კოცონივით ანთია თოვლზე
მთის მყუდრო ტყეში, სადაც არ ისმის
ფრინველთა ჭიკჭიკი, ხეობას თავს დას-
ტრიალებენ მშვიერი ქორები და დაღ-
ლილ, გადაფრენის დროს გუნდს ჩამორ-
ჩენილ მწვერებზე ნადირობენ, საიდან-
ღაც კი გარკვევით ჩაგვსმის, როგორი
გუგუნით მოექანება მთებიდან ზევეი და
როგორ იმეორებს ამ გუგუნს ხეობა.

მე მიყვარს მთები, სადაც გულადი
მთამსვლელები ციცაბო კედლებს უტე-
ვენ, უფსკრულის თავზე დაკიდებულნი
საქანელასავით ქანაობენ, ზემოთ და ზე-
მოთ ეძებენ ახალ გზებს, ნაბიჯ-ნაბიჯ
მიჰყვებიან ფლატეს და ბოლოს და ბო-
ლოს ძალა გამოლულნი და ამაყნი ადი-
ან მწვერვალზე, საიდანაც სულ სხვანაი-
რი მოჩანს ქვეყანა, სადაც გული დიდი
სიხარულით იმსკვალება.

მიყვარხართ, მთებო, მიყვარხართ
ძველი და დიდი სიყვარულით. ვერც
ზღვა, ვერც ტყე და ვერც ტრამალი ვერ
შეგედრებათ თქვენ. ყველა კარგია, მაგ-
რამ თქვენ უკეთესი ხართ ყველაფერზე.

6. ნების პროსპექტი

ჯერ ავეკვროდი კედელს, მერე ასევე
სწრაფად ჰოეწყდებოდი, ნახტომს გვა-
კეთებდი, სუნთქვაშეგუბებული ველო-
დი უშიშარ წუთს, სმენა-გამახვილებუ-
ლი ვადგამდი ნაბიჯს, ჩემი სხეული
კვლავ კედლის გასწვრივ ინაცვლებდა
ადგილს, ხელიკივით მიცურავდა, მერე
წელში გავიშართებოდი და ტროტუარის
შუაგულში გამოსვლას ვებდავდი. შემ-
დეგ კვლავ კედლისკენ მივიჩქაროდი

ელვისუსწრაფვსად. ყოველივე ეს არა-
ფრით არ ჰგავდა ცეკვას, თუმცა ყოვე-
ლი მოძრაობა გამოზომილი იყო და რი-
ტმიულად მეორდებოდა. მისი დანახვა
არავის შეეძლო, რადგან ეს ამბავი
წყვდიადში ხდებოდა. ქვეყანაზე არავის
უნახავს სრული წყვდიადი. ამ წუთებ-
შიც ასე იყო. მაგრამ იმ სიბნელეში,
რომელიც გარს მერტყა, მე დროდადრო
ვარჩევდი ვარდისფერი ნათელის

შერთალ ლიცილს სახურავებზე და მაშინ სიბნელიდან იკვეთებოდნენ შენობათა მრუმე კუთხეები, სახურავების დაფერდება, ყრუდ ჩაკეტილი უსიციოხლო ფანჯრის ზოლები და მოსრიალეზული უდაბური ფილაქანი. შემდეგ ისევ იძირებოდა ყველაფერი შავი კვამლივით აბოლებულ ნისლში და ადგილის შონაცვლებასაც მხოლოდ მაშინ მოახერხებდი, თუკი ზედმიწევნით იცოდი, გზა საით გედო.

თუნდაც მუხლისჩოქით გაფწვედი წინ, დანახვით მაინც ვერაინ დამინახავდა, თუმცა ნევის პროსპექტზე ვიყავი. ნევის პროსპექტზე? იტყვიან, რაღაცას ურევსო. ყველაზე უფრო ბნელ ღამეებში, შემოდგომისა და ზამთრის ყველაზე უფრო ყრუ დროს ფანჯრები მაინც კიაფობენ ნევის პროსპექტზე, სახლებში სინათლე ანთია, არის განათების რაღაც ნიშანწყალი. მაგრამ ეს მაინც ნევის პროსპექტი იყო საუკუნის ამ შავბნელ დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლენინგრადის ალყის დღეებში. ერთი სანთელიც არ უნდა ნთებულოყო ყიამეთში და აკი არც ენთო! ამას გარდა ასე უცნაურად იმის გამო კი არ მივდიოდი, რომ სიმარტოვით მესარგებლა და საკუთარ თავისათვის მანქაგრების სრული თავისუფლება მიმენიჭებინა.

სიბნელეში მივიწვედი წინ. ყველაფერს სული გაენება ირგვლივ, ყველაფერი დაღუმებულიყო. დროდარო მესმოდა, რომ სადღაც სულ ახლოს ყუმბარები სკდებოდა. ყოველ აფეთქებას თან სდევდა მინების მსხვრევა, ყრუ ბაგუნი, თითქოს აგურის კედელს ანგრევს ვინმეო. ეს ქალაქის ყრუ ამოკენესა იყო. ირგვლივ ერთის წამით ყველაფერი გაქაშვამდებოდა ჯერ მომწვანო-ლურჯი, ხოლო შემდეგ მოვარდისფერო ალით და ამის მერე ჰაერი ათასნარი ხმებით ეხებოდა. გეჩვენებოდათ, რომ წიოდა რაღაც, უსტვენდა, რაღაც გულის ამრევად ღრქიალებდა ყურის ძირას, თითქოს ჰაერში მხამიანი, ადამიანის თვა-

ლით უნახავი, რკინის ფრთხილიანი გაშმაგებული მწერები დაფრინავდნენ.

საადმირალოსაკენ მარტოდმარტო როდი მივდიოდი. გეზი სამხედრო გაზეთის რედაქციისაკენ მეჭირა, ნევის პროსპექტისა და სასახლის მოედნის შესაყარში. მე არც შეცვლა შემეძლო ამ გზისა და არც შემსუბუქება. რაიონს ესროდნენ, თავს ზემოთ ძალა არ იყო. ჩემს წინ ვილაც ოხრავდა და ხანგამოშვებით იწყევლებოდა, ეშმაკსაც წაუღიხარო. ამის შემდეგ ქალის იგივე ხმა იმავე კილოზე, ყრუდ, მოულოდნელად უმატებდა: „ო, ღმერთო ჩემო!“ წამოძახილების ეს ცვალებადობა იმ გრგვინვისთან, წივილთან და ღმუილთან იყო დაკავშირებული, რომელიც ჩვენს გარშემო მეფობდა.

მაგრამ ამ ხმაზე ადრე მეორე, უფრო ახალგაზრდა, შეკავებული ხმა მოისმოდა, რომელშიაც საწყალობელი კენესა გამოერეოდა ხოლმე:

— რა არის? რა იყო?

ისე ახლოს ჩამიჭროლა შემზარავმა წივილმა, რომ მე უნებურად ისევ კედელს მივაწყდი. წამით თვალებიც კი დავხუჭე. უეცრად კინალამ გამეცინა. ეს ხომ ისაა, ნევის პროსპექტი, ლენინგრადი! შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი!

აი, ახლა თვალებს გავახელ და დროის მატარებელზე ამხედრებული ჩემს ბავშვობას მოვინახულებ. რას დავინახავ? მზის სხივებით მოფენილ ნევის პროსპექტს. ირგვლივ აუარება ზალხია. ვილაც ლამაზი მხედრები ცხენებს მოაგელვებდა. რამდენი არიან, ცხენები კი ყველას ერთნაირი ჰყავს, ერთი ჯიშისა! მხედართა ერთ ნაწილს არწივანი ჩაჩენები ახურავს, მეორეთ — ზუხრის ქუდები, სხვებს კი მაგარი კივერები. ელავენ ჯავშანმუხლსაკრავები, ატლასივით ბრწყინავენ ცხენები. ეს გვარდია, სამაისო აღლუმზე მიიჩქარის. მერე ნევის პროსპექტს შავად ააბრწყინებენ ექიპაეები და კარეტები: ელჩები და ათასნარი დიდკაცობა მიიჩქარის აღლუმზე. დამითაც კი ნათელი ხუფეცს აქ, რადგან

კრაქებში ზეთია ჩასხმული. რამდენი კრაქია, რამდენი! ტროტუარის პირებზეც დაუდგამთ. ფანრიანი კარეტები და ასეთივე ფანრიანი, მაღალფარფლებიანი ავტომობილები არხებინად მიმოდიან წინ და უკან.

თვალებს ვახელ. ჯოჯოხეთის გოგირდის ალი კვეთს სიბნელეს საღაც სულ ახლოს. შავი ჩრდილები ეფინებიან ირველივ. თითქოს თავზე გადამიარა ყრუ გრვენივამ და ხელახლა ახრიალდა, აწივლდა, აზუზუნდა რაღაც ჰაერში. საიდანღაც აგური ჩამოვარდა, კედელს მიენარცხა და იქვე დაიმსხვრა, თითქოს გოლიათის მარჯვენას გამოეტყორცნოს აქეთ. მრუმე ღრუბელს რაღაცნაირი ყავისფერი მტვერი შეერია.

წამოძახილმაც არ დაახანა ზედ ჩემს წინ: „წაგიღოს ეშმაკმა“ და მის კვალდაკვალ: „ო, ღმერთო ჩემო!“ მეორე აგურმა გვერდით ჩამოიქროლა და თითქოს გადნა ბნელში. ყურის ძირას დაუსტვინა რაღაცამ. მე ისევ გავიგონე გოგონას ხმა, რომელიც კვნესით კითხულობდა:

— რა არის? რა იყო?

შევიცადე, სანამ შეწყდებოდა ჰაერში ამ უსიამო საგნების ტრიალი. მომაგონდა ნევის პროსპექტის ეს ადგილი ომის წინა დღეებში. არცერთ ადამიანს, რომელსაც ახლა ეს ქუჩა ავესო, მაისის აღლუმები აღარ ახსოვდა, ნევის პროსპექტი ისე ახლებურად გამოიყურებოდა, თითქოს ას წელზე მეტს გაეწლო. ერთ სიტყვასაც ვეღარავინ გეტყვოდა ძველ სამაისო აღლუმებზე, ელჩთა კარეტებსა და კრაქებზე. ელექტრონის სინათლე ასხივოსნებდა ნევის პროსპექტს. ავტომობილის სანათურებმა და ტრამვაის სინათლემ უკან მოიტოვა მეფის დროინდელი განათება. ათასობით ადამიანი მიისწრაფვოდა თავის საქმეზე, შედიოდნენ მაღაზიებში, კინოთეატრებში, ტყეპნიდნენ ტროტუარებს, კითხულობდნენ გაზეთებს, მასლაათობდნენ, უცდიდნენ ტრამვაისა და ავტობუსებს.

ყველაფერი ცოცხლობდა, მოძრაობდა, მაგრამ ახლა საქმარისია თვალები

გავახილო, რომ ხელახლა შთამნთქას ადამისდროინდელმა წყვედიდან და ამ წუთს რომ კუთხის იქიდან შამონტი გამოვიდეს, — მე არ გამიკვირდება. მთელი სიცოცხლე ამ ქალაქში გავატარე. მამ ამ დღის ნახვასაც ვერ ასცდები, ვერ გაექცევი. მაინც რა უნდათ, რას ერჩიან ამ რაიონს? ჩემს წინ რომ დედებერი მიდიოდა, მეც მისებურად მივინდა წამოვიყვირო, ეშმაკსაც წაუღიხართმეთქი, რომ აბზრიალებულმა ლითონის უწმინდურობამ ხელახლა წამოიწყოთ თავისი. გოგონამ წამოიყვირა:

— რა არის? რა იყო?

და იქვე გავიგონე, რომ გაშმაგებულმა დედაბერმა მთელი ქუჩის გასაგონად დაიყვირა გოგონას ხმაზე:

— რა არის? რა იყო? ნამსხვრევები იყო, ნალეწები, ეს იყო, ბრიყვო, ნამსხვრევები!

ახალი აფეთქების შუქზე შევნიშნე, რომ ჩვენ ყველა რედაქციის წინ ვიყავით. მერე ხელახლა ჩამოგვაწვა მხრებზე სიბნელე, მაგრამ სანამ ნათელი მიიღეოდა, მე თვალი შეევსწარი: დედაბერმა მუჯღუგუნით შეაგდო გოგონა ქიშკარში და თვითონაც თან მიჰყვა.

წყვედიანი ჩამოწვა.

...მე ისევ ნევის პროსპექტზე ვდგავარ. ის უკვე აღარა ჰგავს იმ შორეული დროის ნევის პროსპექტს, როცა აქ ვარიაციისა და კორეელის გმირები მიიბიჯებდნენ, ის აღარა ჰგავს ომის წინა დროინდელ პროსპექტს... იგი ხელახლა ქათქათებს შუადღის გულზე და ათასი ცეცხლით ბრდღვიალებს ღამის ბინდუნდში. უთვალავი ხალხი ირევა, ტრამვაი ბევრი აღარ არის, მაგრამ ავტომობილები, ავტობუსები მომრავლებულან, ტროლეიბუსები დაუსრულებლივ მიაცურებენ რკალებს. ფანერისკედლებიანი ჩამოქცეული სახლის მაგივრად ღვას ახალი, ნამდვილი სახლი. მე ახლაც შემძილია თვალები დავხუჭო და იმ ადამისყამინდელ ღამეში გადავვარადე, ვარდისფერი ცეცხლი რომ ლიცლიცებდეს სახურავებზე, მაგრამ არა მსურს.

აქ, ამ ქალაქში გამიტარებია მთელი

სიცოცხლე. გაჰქრნენ კედლის წარწერები: „ქუჩის ეს მხარე საფრთხილოა სროლის დროს“, გაჰქრნენ ნაქდევეები და ნატყვიარები, დრომ ნანგრევები აჰგავა და მოგონება დასტოვა მარტოოდენ.

ბოლავენ ჭარხნის მიღები, ნევაზე ხომალდებია, ბაღებში მოსეირნენი. მე, მოხუცებული, ჰალარა კაცი მივყვები ახლა იმ ადგილებს, სადაც ასე ნაცნობია ჩემთვის ყველაფერი და რის გახსენებაც იქნებ აღარცა ღირს. აი, იმ სახლს მივადექი, სადაც დაებადებულვარ, კართან დაფა ჰკილია და მე ვკითხულობ: „ამ სახლში ცხოვრობდა გერცენი“. მომდევნო ქუჩა გოგოლის ქუჩაა. ჩემს წინ ძერეინსკის ქუჩა იშლება. ბედი მქონია:

სწორედ იმ სახლში დავიბადე, რომელიც ორი მწერლისა და ერთი განთქმული რევოლუციონერის ქუჩების შესაყარში დგას.

„ამ სახლში ცხოვრობდა გერცენი“ — ვკითხულობ ხელახლა, ვკითხულობ სიამაყითა და გულისტკივილით. ამ სახლში დავეწერე ჩემი პირველი ლექსები, ჩემი პირველი მოთხრობები. ამ სახლმა მოინელა გერცენი და ალბათ მეც მომინელებს, მაგრამ ჭალაქი ხომ სამარადისოდ აუშენებიათ. და მე მიხარია, რომ ეს სახლი კომუნიზმის დროსაც იდგომება, იდგომება, გაძლებს...

თარგმანი **რეზა ჯაფარიძისა**

ტიბონოვის ეს გამოუქვეყნებელი მოთხრობები პირველად ქვეყნდება ჩვენს ჟურნალში



მინიატურები

• • •
 მაღალი ბალახით დაფარული მდინარის სათავესთან ვკითხე მას: მითხარი, ქალო, ტანისამოსის სანათურს რომ აფარებ, საით მიეშურები?

სახლი ჩემი განცალკევებით დგას და ჩაბნელებულია!

მომეცი მე სინათლე!..

მან წამით ასწია თავი და დაისის ფერ-მკრთალ სინათლეში შავი თვალებით შემომაცქერდა...

„მე მოვედი აქ, — მიპასუხა მან, — რათა მდინარის მიმართულებით სანათური ჩაეშვა იმ დროს, როცა დღის სინათლე ჩაქრება!“

მე მარტოდ მარტო ვიდექი მაღალ ბალახებში და შევცქეროდი სანათურს, რომელიც უნაყოფოდ მიჰქონდა მდინარეს და მკრთალად ანათებდა... ჩამომდგარ ღამის სიჩუმეში მიემართე მას:

„ქალო, სინათლე ყველგანაა ანთებული!“

სად მიგაქვს სანათური?

სახლი ჩემი განცალკევებით დგას და ჩაბნელებულია!

მომეცი მე სინათლე!“

ქალმა ისევ შემომხედა შავი თვალებით და წამით შეჩერდა გაურკვეველი...

„მე აქ მოვედი, — თქვა მან ბოლოს, — რომ ზეცას შევწირო იგი!“

მე ვიდექი და შევცქეროდი სანათურს, რომლის შუქი ცარიელ სივრცეში უსარგებლოდ იკარგებოდა.

უმთვარო შუალამის სიბნელეში ვკითხე მას:

„ქალო, რა გაიძულებს შენ, ასე ხარბად რომ იკრავ გულში სანათურს?“

სახლი ჩემი განცალკევებით დგას და ჩაბნელებულია!

მომეცი სინათლე!..*

ის შეჩერდა!

წამით ჩაფიქრდა და დაისის ფერ-მკრთალ სინათლეში ისევ ჩამხედა სახეში!

„მე მოვიტანე ჩემი სანათური, — თქვა მან, — სანათურთა დღესასწაულზე“.

მე ვიდექი და შევცქეროდი იმ სანათურის პატარა შუქს, რომელიც სხვა შუქთა შორის უნაყოფოდ იკარგებოდა...

• • •
 ო, იმ დღეს. როცა ლოტოსი ყვავილედებოდა!

ჩემი ფიქრები სადღაც შორს, შორს მოგზაურობდნენ!

და მე არ ვიცოდი ეს!

ჩემი კალათი დარჩა აღუცხებელი და ყვავილიც შეუმჩნეველი!

მხოლოდ ხანდახან მიპყრობდა მწუხარება!

მაგრამ მე თანდათან ვცხიზლდებოდი იმ დროს და სამხრეთის ქარში ვკრძნობდი რაღაც ტბილსა და მათრობელა სურნელებას!

ეს ძნელად დასაქერი სიტყვობა გულს მილევადა სურვილებით!

და მე მეჩვენებოდა, რომ ეს იყო მხურვალე სუნთქვა ზაფხულისა, რომელიც ეძებდა თავის განსხეულებას!

მე ვიცოდი მაშინ, რომ ის ასე ახლო იყო ჩემგან!

რომ ის იყო ჩემში!

და რომ ეს სრულყოფილი სიტყვობა ჩემი საკუთარი გულის სიღრმეში იყო გაშლილი!..

• • •
 მე არაფერი მითხოვნია!..

არც ჩემი სახელი გამიმხელია შენთვის!

და როცა შენ მიდიოდი, მე ჩუმად ვიდექი!

მე ვიდექი ქის მახლობლად, ხის ირიბ ჩრდილში.

და ქალები პირამდე სავსე თიხის კუკებით სახლებსაკენ ეშურებოდნენ!

ისინი მიხმობდნენ მე და მალალი ხმათ გაიძახოდნენ:

„წამოდი ჩვენთან!..“

დილა უკვე მობრუნდა შუადღისაკენ!..“

მაგრამ მე ისევე ვიგვიანებდი და ვიტანჯებოდი, გაურკვეველი ფიქრებით შეპყრობილი!..

მე ვერც კი გავიგე, როგორ მომიახლოვდი!..

შენი გადმოხედვა სევდის მომგვრელი იყო, როცა თვალები მომაპყარ!

შენს ხმას დალილობა ემჩნეოდა, როცა შენ ჩუმად მითხარი:

„ო, მე ვარ მგზავრი, წყურვილისგან შეწყუბებული!“

მე სრულიად გამოვფხიზლდი ძილისაგან და ჩემი კოკიდან ავივსე პეშეი!..

ჩვენს თავზე ფოთლები შრიალებდნენ!

წალკოტის სიღრმეში დულუნებდა გუგული...
 და გზის მოსახვევიდან ნიავს მოჰქონდა ბაბლის ყვავილთა ტყბილი სურნელება!

მე ვიდექი სირცხვილისაგან დამუნჯებული, როცა შენ ჩემი სახელი იკითხე!

და მართლა, რა გავაკეთე მე შენთვის ისეთი, რომ გახსოვდე!

მაგრამ გახსენება იმისა, რომ მე შეეძელი წყალი მომეწოდებინა შენთვის, რათა შენ წყურვილი მოგეკლა, წარუშლელ მოგონებად დარჩება ჩემს ხსოვნაში და უნახესი გრძნობებით აღავსებს ჩემს გულს!

შუადღე ახლოვდება!

დალილი ხმით გალობენ ფრინველები...
 ჩემს თავზე შრიალებენ ნიმის ფოთლები!

მე კი ვზივარ მარტოდ მარტო და ვფიქრობ... ვფიქრობ!

ზღაპრული ქვეყანა

თუ აღამიანები როგორმე გაიგებენ, სად არის აგებული ჩემი სამეფო სასახლე, ის სანთელივით გადნება ცის სივრცეში!

მისი კედლები ვერცხლისაა და სახურავი შოვლევარე ოქროსი!..

შეიდ ეზოიან სასახლეში განმარტოებით ცხოვრობს დედოფალი, რომლის ლამაზ გულმკერდს ასხივოსნებს შეიდ სამეფოთა ყველა საუნჯით მოპოვებული თვალმარგალიტი!..

მაგრამ, ნება მომეცი, ჩემო დედა, ყურში წაგჩურჩულო: — სად არის აგებული ჩემი სასახლე!

ის ჩვენი ყაფარის კუთხეშია!

სწორედ იქ, სადაც პატარა ქოთნიდან წარმტაცად გამოიციქრება ტულსის ყვავილი!

შეიდ გაუვალ ზღვათა შორეულ ნაპირზე სძინავს დედოფალს...
 და ჩემ გარდა მთელ სამყაროში ვერაფერს იპოვის!

ვერაფერს მიაგნებს მას!..

ოქროს სამაჯურები ამკობენ მის ხელებს!.. და ყურებს — ბრილიანტის საყურეები!

მისი თმები ტალღების რბევით ეცემიან მიწამდე...
 და იღვიძებს მხოლოდ მაშინ, როცა შევახებ ჩემს პატარა ჯოხს.

და როცა გაიღვიძებს, ლამაზ ბაგეთაგან ძვირფასი თვალმარგალიტი გადმოცვივდება!..

მაგრამ, ნება მომეცი, ჩემო დედა, ყურში წაგჩურჩულო, რომ ის ჩვენი ყაფარის კუთხეშია!

და საჩუქრად მე მხოლოდ სილარობე მომაქვს?

ო, მე დაემალე ეს სიამაყე ჩემი გულის უღრმეს ხვეულებში!

მე ბალახებზე ვზივარ და თვალს არ ვაშორებ ცას!

და ვოცნებობ იმაზე, თუ როგორ მოხდება შენი მოულოდნელი და უეცარი გამობრწყინება!

როცა უჩვეულო სინათლე გაანათებს ყველგან.

და ოქროს მარათები აფრიალდებიან შენი ეტლის თავზე!

ო, რა დიდი, დიდი გაოცება იქნება იმ დროს, როცა შენ ეტლიდან დაეშვები მხოლოდ იმიტომ, რომ მიწიდან აიყვანო და გვერდით მოისვა დაფლეთილ სამოსელში ჩაცმული ქალი. რომელიც სირცხვილისა და სიამაყისაგან ვერხვის ფოთოლივით იწყებს თრთოლვასა და კანკაღს!

სადღესასწაულო პროცესიები ყოფილია და შეძახილებით მიიმართებიან...

მაგრამ შენი ეტლი კიდევ არა ჩანს! ნუთუ შენ ისევ განაგრძობ მდუმარედ დგომას ჩრდილში, ყველაზე უკან...

და მხოლოდ მე მომიხდება მარტო ლოდინი და გოდება ფუჭი და ამოო სურვილებისათვის?..

ჩემო ღვთაება... რატომ დგახარ შენ ჩრდილში, ყველაზე უკან და იმალები?

გამვლელები გეჯახებიან... ვერ გამჩნევენ, და ისევ განაგრძობენ გზას მტერიან ქუჩაზე!

მე გამზადებული მაქვს შენი სამსხვერპლო და კარგა ხანია გულგადაღუვით გელოდები!

გამვლელებს მიაქვთ ჩემგან თითო-ოროლა ყვავილი... და ჩემი კალათაც დაცარიელდა თითქმის!

დილა-შუადღემ ჩაიარა!

სალამოს ბინდში თვალები დამიშპიმდა მთენარებისაგან!

შინ მიმავალი მგზავრები გაოცებათ შემომტკეპრიან და ილიმებიან!

და მე ვიწვი სირცხვილისაგან!

როგორც გზადაკარგული მთხოვარა, ისე ვზივარ და თვალებზე ტანსაცმელს ვიფარებ!..

და როცა მეკითხებიან, თუ რატომ ვარ აქ და რა მაწუხებს, — თავსა ვხრბი და არას ვაშობ!

ან კი როგორ უნდა გავამხილო, რომ მე შენ გელოდები?

რომ შენ შემპირდი მოსვლას?

როგორ უნდა წარმოვთქვა, ჩემდა სამარცხვინოდ, რომ შენდა სადიდებლად

ჩამპაჰის ყვავილი

ღედა, თავის გასართობად წარმოვიდგინოთ, რომ მე ჩამპაჰის ყვავილად ვიქციე!

და აი, ამ ხის ყველაზე მაღალი ტოტადან გადმოგტეპრი!..

ვითომ, ქარის ფრთებზე გამობმული, სიცილ-ხარხარით დავჭროლავე ტოტებში და ახლად გაშლილ ფოთლებზე დავთამაშობ!..

იმ დროს ნეტა ვიცოდე, თუ კიდევ მიცნობდი, ღედა?

მაშინ, ალბათ, ასე იტყოდი:

„ბავშვო ჩემო, სად დაიკარგე.“

მე ჩუმად დავიწყებდი სიცილს და კრინტსაც არ დავძრავდი!

ნელ-ნელა გაეშლიდი ჩემს ყვავილებს და შორიდან გადევნებდი თვალს, თუ რას აკეთებ შენ!

და როცა ბანაობის შემდეგ მხრებზე გადაიწყობდი შეუშრალ თმებს და ჩამპაჰების ჩრდილებში გაელით მიუახლოვდებოდი იმ პატარა ეზოს, სადაც შენი სამლოცველო ადგილია, იმ დროს იგრძნობდი ყვავილის სურნელებას, მაგრამ შენ ვერც კი მიხვდებოდი, რომ ეს სურნელება ჩემგან მოდის...

და როცა შუადღის სადილის შემდეგ, ფანჯარასთან მიმჯდარი, დაიწყებდი რამაიანას კითხვას და დიდი ხნის ჩრდილი გაშლილ თმებსა და მუხლებზე და-

გადგებოდა, იმ დროს მე ვესროდი ჩემს პაწაწინა ჩრდილს შენი გადაშლილი წიგნის სწორედ იმ სტრიქონებს, რომლებიც შენი თვალების ბადეში იქნებოდა მოქცეული.

მაგრამ წარმოიდგენდი თუ არა შენ, რომ ეს პაწაწა ჩრდილი შენი ბავშვისაა? საღამო ეამს, როცა ანთებული სანათურით ხელში ძროხების მისახედად ბავისაკენ გაეშურებოდი, მე უეცრად ისევ მიწაზე დავეშვებოდი...

ისევ შენ ბავშვად ვიქცეოდი და დაგიწყებდი მუდარას, რომ ზღაპარი გეთქვა ჩემთვის...

„სად იყავი, შე ცელქო, შე აბეზარო?“

„ამას ნუ მკითხავ... ამას არ გაგიმხელ, დედა!“

აი, რას ვიტყვოდიტ მაშინ მე და შენ!..



აი, ჩემი სიზარული: გელოდო შენ და გზასთან თვალი ვადევნო ცას, თუ ჩრდილი როგორ ცელის სინათლეს და როგორ მოდის უეცარი და მოულოდნელი წვიმა!

შეუცნობ ქვეყნების მახარობლები მესალმებიან მე და ისევ მიიჩქარიან...

გული ჩემი აღსავსეა სიზარულით!
და სუნთქვა გაფრენილი ქარისა მათრობს მე!

განთიადის დაწყებიდან სრულ დაღამებამდე კარებთან ვზივარ და ვიცი, რომ უეცრად დადგება საბედნიერო წაშ, როცა მე შენი ეტლის დანახვა შემეძლება!

მარტოდ-მარტოს მელიძება და ვიმღერო!

და პაერი იმედის სურნელებითაა გაფენილი!



წადი, გამშორდი!

კრეონი

აჰ, მიედივარ შენგან უღუთოდ შეგინებული,
ხოლო მათ თვალში—სიკეტაკი და ცამდე მართალა.

(კრეონი იოკასტეს და ხოროს თავის დაბრით
გამოეთხოვება. ოდიპოსი ზიზღით გაპყრებს
მიშაველ კრეონს. ამ დროს იოკასტე უხუცესე-
თან მივა, თვალებით ვეითხება, რა მოხდაო.
შაგრამ ისინი პასუხს თავს არიღებენ).

ხორო

ო, დედოფალიო ნულარ აყონებ...
სჯობს ქმართან ერთად პალატს შებრძანდე.

იოკასტე

თქვით, აქ რა მოხდა? რაზე დაობდნენ?

ხორო (დაზარებით)

რალაც ზუნდოვან სიტყვებს ამზობდნენ...
საწყენი არის ფუტი ბრალდებაც...

იოკასტე

ერთიმეორეს ბრალს დებდნენ?

ხორო

დიხ.

იოკასტე (შტყივად)

რა ბრალსა დებდნენ? მამენეთ უოველა.

ხორო

ვახოვე დედოფალიო, ნუ აღვიძებ მძინარ
ქარიშხალს...
ნურაფერს გვეითხავე... ეშარა, ეშარა უს
განსაცდელი.

ოდიპოსი (საუფედურით)

თუშეა შენ ჩემთვის კარგი ვინდა, ჯერ ცუდსა
გზედავ...
ო, ბოლმა მახრბობს... ამოტყდება კვლავ...
ქარაშხალი...



ხორა

დიდო მეფეო, რამდენჯერ ვითხარ,
ბრმა უნდა ვიყო ან უგუნური,
პატრიი არ ვსცე შენს ხელმწიფებას...
ან გილატო შენ, ვინც ქვეყანა
იხსენი გამა ავბედლობისა
და ჩვენი ზედი სწორად წარმართე...
ეხლაც მეფეო, იყავ მოწყალე,
ჩვენი მფარველი და წინამძღვარი.

(ოიდიპოსი ნაღვლიანად თავს ჩაიკიდებს. საზარელი ფიქრები აეშალა)

იოკასტე

გაფიცვბ ღმერთებს, მეც მითხარი, ჩემო
ხელმწიფეებ...
ვანა რა იყო, ეგრე ძლიერ რომ განჯარისხა?

ოიდიპოსი

როგორ არ გეტყვი, ჩემო ერთავ, ტკბილო
ნუგეშო!
კრუნნი ამბობს, რომ თითქოს მე...

იოკასტე

პო, დაასრულე...

ოიდიპოსი

ცილს მწამებს, თითქოს მე ვარ მკვლელი
ლაიოსისა.

იოკასტე (გაოცებული)

თვითონ შეუთხზავს თუ ეს კორი სხვამ ჩაავონა?

ოიდიპოსი

არა, სხვას თვითონ ჩაავონა, ო, მოლატატე,
ფულით მოსყიდულ ვერავ მისანს ალაპარაკებს...

იოკასტე (უეცარი აღვზნებით)

ეგ ნუ გაფიქრებს, ო, დამწეიდედი ჩემო ხელმწიფეებ!
მოყედავს არა აქვს ნაივლხილვის მაღლი
ციური. —

ამის საბუთად ხელმწიფეო ერთ ამბავს გეტყვი:
მეფე ლაიოსს უმკითხავეს ერთხელ ქორეუმა,
რომ მას მოკლაედა მისივე შვილი ჩემგან

შობილი...

(უხუცესნი შემოთუბუბლნი ერთმანეთს გადაუ-

ლაპარაკებენ)
ასე არისო ზედისწერით განჩინებული.

ოხ, შვილო ჩემო! ჩემს პაწია სამი დღის ვაჟსა,

ვანთიადისას მაშამ თანმით შეუკრა ფეხნი
და თაყის მსახურს უღრან ტყეში დააგდებონა
ლაიოსი კი, როგორც მთელმა ქვეყანამ უწყის,
ავაზაკებმა მოკლეს სამი გზის უვარედინზე.

(ოიდიპოსი უცვბ შეერთება იოკასტე მოგონე-
ბით გატაცებული განაჯარბობს და ვერც ამჩნევს.
რომ იდიპოსი მას აღარ უსმენს).

ახლა ზომ ხედავ? არც ინება დიდმა აპოლომ
რომ ჩემს პაწიას მაშის სისხლში გასეროდა ხელი...
პირიქით, მაშის დაეკვებას თვით შეეწირა.

აი, მეფეო, რა ფასი აქვს მისან უბედობას...
ყურს ნუ ათხოვებ... თუ ღმერთებს სურს რამე

გვაუწყონ,

მაშინ საბურველს თვით ახდიან იღუმალებას.

ოიდიპოსი (თითქოს გამოერკვევა.
ხმა ათრთოლებული)

ეგ რა მითხარი, სული ჩემი შეფოთავს და
დრტვინავს...
გულიც საგულეს აღარ დგება, ო, იოკასტე!..

იოკასტე

აშას რად ამბობ?.. იდიპოს... შენ შოლად
გაფითრდი...

ოიდიპოსი

შენ თქვი, სამი გზის უვარედინზე მოკლეს
მეფეო...

იოკასტე

ასე ამბობდენ მაშინ, ეხლაც ასე ამბობენ.

ოიდიპოსი (ნაძალადევი სიმშვიდით)
სად მოკლეს მეფე, რა ადგილზე?

იოკასტე

შორს ფოკიადში,
სადაც ფელფოს და დავლიის გზა ერამანეთს
სტრბან.

ოიდიპოსი

ეგ როდის მოხდა?

იოკასტე

სალხს ეუწევა ცოტა ხნით ადრე,
ვიდრე ამ ქვეყნის მბრძანებელი შენ გახდებოდი.

ოდიპოსი (თავზარდაცემული)

ოდიპოსი



ღმერთნი მაღალნი ეს წამება რად განმიზადეთ?...

ველაფერს მიცხვდი... პოი ღმერთნი! მაგრამ ქალაქში

იოკასტე

ამბავი ვინა მოიტან?

ეგრე რად შფოთავ, ოდიპოს?

იოკასტე

ოდიპოსი

ერთმა მსახურმა, რომელიც მცვლელებს გამოიქცა.

მაგას ნუ შეითხავ... გერ ეს მოთხარი, ღაიოსი როგორი იყო? რამდენი წლისა?

ოდიპოსი

და ის მსახური აქ, ჩვენთან არის, სასახლეში?

იოკასტე

იოკასტე (მწუხარედ)

იყო იგი წარმოსადეგი, ოდნავ ჭიკარა, ხოლო სახით (ოდიპოსს სახეში წაავრდებია) შერ ჩამოგვაქვდა. (უხუცესნიც უნებლიეთ ოდიპოსს აკვირდებიან, ჩერჩულით ოდიპოსის და ღაიოსის მსგავსებას ადასტურებენ)

არა, მეფეო!

რა ეს ამბავი მოიტანა და ღაიოსის ტანტზე შერ განახა, ეს ქეთინიო ფერხთ ჩამიფარდა... მთხოვა, სოფელში გამიშეო ნახირის მწყემსად... ან მსურს ვნახო ეს ქალაქი ამერიდან... და მეც უარი ვერ ვუთხარი, მწყემსად გავუშვი. ვთო ერთგულ ვმასა, ეკუთვნოდა მეტი წყალობაც.

ოდიპოსი (სახოწარკვეთილი)

ოდიპოსი

ვაი, საბრალო ჩემო თავო, ნუთუ ეს შერ ხარ? ვისაც შერ თვითონ დაატეხე წყველა საზარი?...

არ შეიძლება, რომ საჭკაროდ აქ მოიყვანონ?

იოკასტე (გაუბედავად)

იოკასტე

რა თქვი? ო, თვალსაც ვერ ვისწორებ, სამინელი ხარ...

ებ შეიძლება, მაგრამ მწყემსი რაში გპირდება?

ოდიპოსი

ოდიპოსი (მოუთმენლად)

ვინ იცის, იქნებ ბრმა მოხუცი სიმართლეს ამბობს... მაგრამ ამ საქმეს მეც გაჯარჯვენი, თუ ერთსაც შეტყვი.

შეშა შემოპყრო... როგორ ვიბნა, ო, იოკასტე, ძალზე დიდა ეს მიზეზი... ჩქარა მოვიდეს...

იოკასტე

იოკასტე (აღურბიანი საყვედურით)

თუმც ძლიერ მაკრთობ, რასაც შეითხავ ველაფერს გეტყვი.

პო, ჩქარა მოვა, მაგრამ, მეფე, მეც ხომ ვარ ღირსი. რომ ვე წუხილი შენს მეგობარს განიზიარო?

ოდიპოსი

ოდიპოსი (საბოთად)

ღაიოს მეფე გზას გაუდგა მცირე ამალით, თუ შეგერი ახლდნენ, როგორც პშევისს ქვეყნის მბრძანებელს?

ღირსი ხარ ჩემო მეგობარო, მაშ ვინა ვანდო, ვის გავუშვილო მშფოთვარ სულის იღუმალება, თუ არა ძვირფასს ჩემს მეუღლეს?.. პოდა, მისმინე:

იოკასტე

მაცნესთან ერთად ზუთნი იყვნენ და ერთიც ეტლი, რომელშიც იჯდა თვითონ მეფე.

პოლიპოს იყო მამაჩემი, კორინთოს მეფე, დედას კი, ტომით ღირიდეულსა, ერქვა მერობე, ვაყვ მეფის ძე, პედნიერი, სახელოვანი, ვიდრე ერთი რამ არ შემეშინებო, რამაც ერთმაშად თავზარი დამცა, გამაოცა, თუმცა პირველად, ერთხელ ნადიმზე, ვიდაც მთვრალმა, არ ვიცი, რატომ.

მივდებულო, — წამომჩახა... სისხლი ამემღერბ,
ცოტა-ღა აყლდა. დასახრჩობად ყელში

წვეწვდომოდი
და, როგორც იყო, მოვითმინე... მეორე დღეს კი
მშობლებს შევჩვიე... ო, ისინიც დიდად
განრისხდნენ,
მთქმელი დასაყეს, მომეფერნენ და მეც

დავწყნარდი.
მაგრამ ის სიტყვა ისე მწაფრად გულს
აღმებეჭდა,
ისე მტანჯავდა, რომ ერთ ღამეს, მშობელთ
უძძრახად,

შორეულ დღეფოს გაემგზავრე, მაგრამ აპოლომ
ჩემს შეკითხვაზე არა თქვა რა, სამაგიეროდ,
მამცნო ამბავი. საზარელზე უსაზარელიც,
ზენაარ ღმერთთა რისხვა ჩემს თავს გარდასახადი..
მან ნათლად მითხრა, რომ მე მოგვლავ ჩემს

მოხუც მამას,
ხოლო დედასთან მიმდგომელი გავაჩენ შეიღოა,
ცისა და ქვეყნის საძლეველთა უწყობისამდე...
რა ეს მომესმა, მწუხარებით გაოგნებულმა,
ზურგი ვაქციე ჩემს საყვარელ კორინთოს მიწას
და ღამის ვარსკვლავთ მინდობილი გავერდექ

გზასა...
გავრბოდი, რათა ვაქციეოდი ჩემს ბედისწერას...
დადხანს გავრბოდი... და პა, ვხედავ
გზაჯვარედინთან,
სწორედ იქ, სადაც შენი სიტყვით ხელმწიფე

მოკლებს,
ბედაურები ეტლს შარაზე მოაქროდებენ...
ეტლში სულ ორი მგზავრი იყო, ერთი მოხუცი,
თვალტანადობით სულ ისეთი, როგორც შენი

ოქვი,
მეორეც მაცნე... და როდესაც მომიახლოვდნენ,
ინდოვს, გზიდან გადავივლო ან ვავეთლეუთ,
ვერ მოვითმინე და შეეტლეს უფერად დაეკარ,
რომ იმ მოხუცმაც ორგზის შოლტი

გადმომიჭირა...
მაგრამ წედმეტად ვაზღვევინე ეს თავებუობა...
კვრთხი ვაჭერე და მოხუცი ძირს გაინართხა...
გავეტიტე სხევიც... მართალს ვამბობ, ო,

იოკასტე!
თუ იმ მოხუცსა და ღაიოსს საერთო რამ აქვთ,
მამინ ამ ცისქვეშ ვინა იყოს ჩემზე ბედურული
და ღმერთებისთვის საძლეველი, ო, იოკასტე!..
არც უბინაოს ზინა მომცენ, არცა საღამო...
და წყველა-კრუღვის მოძახილით შორს

გარდამეწვიონ...
ნუთუ ჩემს თავსვე ვიწყვედიდი მე უბედური?
ნუთუ ამ ხელით მე უღუნურს მომიკლავს მეფე
და ამ ხელითვე შევურყვანი მას სარეცილი?
მამინ ვინა ვარ? განა მარტო მკვლელი, ზოროტი?
თავით ფეხამდე სიბილწე ვარ... უნდა გავიტყვ...
და სად გავიტყვ? თუ კორინთოს კვლავ

დავზარუნდი,
მოგვლავ პოლიბოსს, ჩემს საყვარელ, ჩემს კეთილ
მამას,

ხოლო ჩემს დედას, აპოლოს თქმით, ცოლად
შევირთავ,
აბა ვინ იტყვებს, რომ ესოდენ სასტიკი ხეიღრი
არ მომიხსჯა თვით დემონმა უბაროტესმე?
ო, აბა, ღმერთო, ზენაარო! აქვე დამლაზერეთ!..
ნუშე გამითენებთ იმ შავ დღესა, საზარელ
დღესა!..

(იოკასტე შეძრწუნებულია, თავდახრილი ღმის-
უსუცესნი რადაცას ნაღვლიანად ჩურჩულებენ).

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი

ო, ამ ამბავმა ჩვენც შეგვწარა, მაგრამ, შეფეო,
იმედს მოწმეთა მოსმენამდე ნუ ვარდაიწყებტ...

ო ი დ ი პ ო ს ი

მწყემსს დაველოდოთ... ეგლა არის ერთი იმედი...
მაგრამ, გაითუ ამ იმედსაც დიდი დღე არ ატვის...

ი ო კ ა ს ტ ე

მაინც მწყემსისგან რას შეიტყობ?
ო ი დ ი პ ო ს ი

თ უ შე ნი ს ი ტ ყ ვ ა

მწყემსის ჩვენებას დაემთხვევა, მამინ გადავრჩი,
ი ო კ ა ს ტ ე

რომელი სიტყვა?
ო ი დ ი პ ო ს ი

რო მ ხ ე ლ მ წ ი ფ ე მ ო კ ლ ე ს ყ ა ბ ლ თ ა

თუ მანაც ეს თქვა, მე არა ვარ ხელმწიფის
მკვლელი,

არ შეიძლება ერთი მრავლად მოსჩვენებოდა:
მაგრამ თუ იტყვის, მკვლელი მარტო ერთი იყოო,
მამინ ეს ცოლდა ჩემს თავზეა...

ი ო კ ა ს ტ ე (შეიარული გამოცოცხლებით)

ღ ი ა ბ, შეფეო!

ბერნი იფენო, მეც და ყველას ეს განგვიცხადა.
რა საკადრია დღეს გადაოქვას, და თუ გადაოქვამს,
(წუთიერი დაღიქრების შემდეგ, გულისწყრომით)
ღეთის სიტყვას მაინც სად წაუვა? აპოლონ
ბრძანა,

რომ მამას მოკლავს მისზე შეილი ჩემგან
შოზილი...

თუმც ჩემს პატარას მის მოკვლამდე აღმოხდა
სული.

ოხ, არა, არა... ღმერთის სიტყვაც აღარა მჯერა...
(უხუცებთ შორის დიდი აღშფოთება)

ოიდიპოსი

სიხარულს ამბობ... მაინც მწყვესთან კაცი
გავზავნე.

იოკასტი

პალატს შევიდეთ. პო, გავზავნი, ჩემო
ხელმწიფე.
შზად ვარ ყოველი აღვასრულო, რაც შენ გაამბობს.
(ოიდიპოსი და იოკასტი სასახლეში შედიან)

ხორო

ო, ბედისწერავ, შენ მომეც სიმხნე,
რათა საქტაკი სიტყვით, თუ საქმით
ციო მონიკებულს ვიცავდე სჯულსა,
რომლის მამაა თვით ოლიმპოსი.
ხოლო ეთური — სამშობლო წმინდა.
არ შეუქნიათ იგი მოკვდავთა
და დაეწყუბაც ვერ წაშლის, რადგან
მასში ღმერთთა ტაბუი მარად...

ამპარტავნება შობს თვითნებობას,
ხოლო სიხარბე ბრმა, უგუნური,
მრავალ ცუდის ქმნით, უკეთურ გზითა
მალალ მწვერებალზე აიყვანს კაცსა,
რათა დიდებულ ამ სიმადლიდან
სამინელების უფსკრულში დანოქას
და იქ აღმოხდეს სული ბოროტი...
ო, გვიწინამძღვრე, ღმერთო მალალო,
გვედრიო, წყალობის მსახურებულო.

ვინცა ქედმაღლობს დიდებით შოვრალი,
არღა გერძალვის მართლშაჯულებას
და არც პატივს სცემს ზენაარ ღმერთთა,
დაე ბოროტი ნეტარებისთვის
მას მივნიკოს ხვედრიც ბოროტი.
ვინცა ცრუ სიბრძნით გაწკვებას ხელყოფს
და მისდევს შზაკერულ მომწვეტელობას,
ზნელ საქმეთათვის რომ ეთქმის გული,
დე ნუმც ვადურჩეს ღვთის მრისხანებას...
თუ ამგვარ საქმეთ პატივსა სცემენ,
რა საჭიროა ეს ღალადისი?

ყუდ საქმეთათვის მოკვდავს ყოველსა
თუ არ მიეწვივს შესადგურისად!
თუ ღმერთი ძალას არ გამოიჩენს
წინასწარბეჭელების აღსრულებითა...
ლოცვა-ვედრებით რათა ვეწვიო
მიწის წმინდა გულს ან თვით ოლიმპოსს,
ანდა აბაის უძველეს ტაძარს.
ო, დიდო ზეცისო! თუ შენ ხარ მართლა
შემძლე ყოვლისა, ღმერთების ღმერთი,
უსაზღაუროდ, დე, ნუ დარჩება
მოკვდავთა ცოდვა შენს მუღუბას.
თორემ გაცუდდა სიტყვა ქერუმთა,

ლაოსისთვის წინასწარბეჭედი...
დღეს თვით აპოლოს პატივს არ სცემენ,
და იქებება ღვთაება წმინდა.

(სასახლის კიბეზე ჩამოდის იოკასტი. ერთ ხელ-
ში ყვავილების კონა აქვს, ხოლო მეორეში გუნდ-
რუკის პატარა კოლოფი).

იოკასტი

ერის მთავარნი! რომ იცოდეთ, ოპ, რომ იცოდეთ,
რარიც უზომოდ წუხს და შფოთავს ხელმწიფე
ჩვენი...

შავი ფიქრებით გაოგნებულს წარელო სიბრძნე
და გვრდა არბევს სიყრუება და სინამდვილეს...
ჩემი აღარ სწამს არაფერი, სხვისა კი სჯერა,
ოღონდ ის უთხრან, რაც შეზარავს მის ტანჯულ
სულსა...

მეც გადაეწყვიტე, ღმერთს მივართვა შესაწირავი:
ა ეს ყვავილი და გუნდრუკი სურნალოვანი.

(აპოლონის ქანდაკისაკენ ხელს გაიშვერს)
პოი, აპოლო ღიკიელო, შენ გვედრებო...
აღმოცისკრებით განგვიანთე ღამე უკუნი,
თორემ წყვედიადმი წინამძღვარი გზას ვერღა
იგვებს...
ჩვენც შიში გვიპყრობს... პოი, გვისხენ დიდო
აპოლო!

(ყვავილებს აპოლონის კვარცხლბეკზე და-
აწყობს, შემდეგ კოლოფიდან გუნდრუკს ამოიღებს
და ნაკვერცხლებზე მიმოაბნებს. სამსხერპლოდან
ცისფერი კვამლი ამოვა, იოკასტი ჩუმად, მხურ-
ვალედ ლოცულობს. მარჯვენა მხრიდან, სცენაზე
შემოდის კორინთელი მოამბე, თავით ფეხამდე და-
მტვრილი, ჩანს, შორეული ქვეყნიდან მოსულა).

მოამბე

უკეი, ხალხნი! აქ სად არის ხელმწიფის სახლი?
ანდა ამგამად თვით ხელმწიფე სადა ბრძანდება?

ხორო

სახლი ეც არის. შინ ბრძანდება ოიდიპოსი,
ეს კი ცოლია, თვით ხელმწიფის შეილების დედა.
(მოამბე დედოფალს მღაბლად თავს დუკრავს)

მოამბე

სალამი, ტურფა დედოფალო, დე ცხონდებოდე
ბედნიერთ შორის ბედნიერად უკუნისამდე!

იოკასტი

ამ დალოცვისთვის შენც იხარე, უცხო სტუმარო!
თქვი, რა ამბავი მოგვიტანე?



მთა მზე

სასიხარულო...
შენი ქმრისა და ოჯახისთვის.

იოკასტე

ნეტავ ასეთი
რა ამბავია, ვინ ვვიგზავნის?

მთა მზე

კორინთოს ხალხი...
სასიამოვნო ამბავია, თან სამწუხაროც...

იოკასტე

ეგ რა ხიტყვაა, დარღვს სიამე არ ეთავსება.

მთა მზე

მთელი ისეთია ოიდიპოსს თხოვს ხელმწიფებას.

იოკასტე

როგორ, იქ ტაბტი ხომ დიდებულ პოლიპოსს
ეპყრა?

მთა მზე

მავრამ სიკვდილის მეუღლებამ შეიპყრო მეფე.

იოკასტე (აღტაცებით)

გარდაიცვალა?

მთა მზე

თუ ეტეუოდე, დე, აქვე მოგვდე-

იოკასტე (შეველს)

მახხრო, გასწი, ბატონ მეფეს აქ მოუწოდე.

(მხვეალი მიდის. გახარებული იოკასტე ცისკენ
ხელს გაიშვერს).

აჰ, ღეთის სიტყვა, წინასწართქმა თუ რა
ყოფილა...

რომ ოიდიპოსს არ მოეკლა მოხუცი მამა,
შიშით ღტოლული ჭეთი ქვეყანას შორს
განერიდა...

ესლა ხომ ხედავთ? პოლიპოსი თავისით კვდება...
შვილი აქ არის, ხოლო მამა იქ აღესრულა.

(სახალისის კიბეზე სწრაფად ჩამოდის ოიდი-
პოსი).

ოიდიპოსი

რად მიხმე, ტურდა იოკასტე?

იოკასტე (აღტაცებით)

ჩემო ხელმწიფე...
ამ უცხო სტუმარს მოუსმინე და შენ გიგებ
თუ ვით სრულდება ზენაართა წინასწართქმული.

ოიდიპოსი

საიდან არის? რას ვეუწყებს?

იოკასტე

კორინთელია,
ვეუწყა, მამა პოლიპოსი აღესრულა...

ოიდიპოსი (შეშფოთებით)

შენი პირით თქვი, კორინთელი, ეს მართალია?

მთა მზე

თუ ეს ამბავი საჭიროებს განმეორებას,
გეტყვი: პოლიპოსს სამუდამოდ დაგეშვიდობათ.

ოიდიპოსი

შინც რამ მოკლა? კაცო მზაკრობამ თუ
სნეულებამ?

მთა მზე

შინწინდ სხეულში მშვეტავ შექსა სიოც
ჩააქრობს.

ოიდიპოსი

შამ უბედური სენმა მოკლა?

მთა მზე

და სიბერემაც.

ოიდიპოსი

ო, იოკასტე, ამის შემდეგ ვითლა გერწმუნო,
დეღფოს საშისნო საკურთხეველებს, ქურუმთა
ლადადს.

ან ცაში ფრინველთ, იღუმალ ხმით
შანიშნებულთა.

რომ კეთილ მამას ჩემი ხელით სულს
აღმობდილი?

ხომ გაიგონე? ხაუცუნოდ მან განისვენა,
ისე რომ მასზე შეიღის ხელი არ აღმართულა.
მხოლოდ ერთია... ეს, ვინ იცის, იქნებ პოლიპოსს
ჩემზე წუხილმა, იქმზე დარღმა მოუღო ბოლო...
გენმის? აწ იგი მიწამია, ქვესწიელს შთავიდა
და უგუნური წინასწართქმად წარიღო თანა.



იოკასტე

მეც ხომ, მეფეო, სულ გამზობდი...

ოიდიპოსი

ჰო, შენც ამზობდი...
და არ მჯეროდა... შენში იყო უფალი ჩემი...

იოკასტე

ეხლა ხომ გჯერა, ამგვარ შენა გული არიდე.

ოიდიპოსი

მამ ჩემი დედას ხარედილისა არ მშინოდეს?

იოკასტე

მაგას რაჯ ზრძანებ? რაოცა ბედი სიხარულს
გწყალობს,
და ყოველგვარი წინასწართქმა არის ამათ, —
სჯობს, რომ იცხოვრო სულ უზრალოდ და
უზრუნველად.
დედასთან სისხლის აღრევისა ნუ გეშინია...
ზოგჯერ მოკვდავი ამ სიბილწეს სიზმარში
სწადის,
მაგრამ როდესაც თვალს გაახელს, არაღურია...

ოიდიპოსი

თუმც მართალს ამბობ, მე რატომღაც ვკრიო,
იოკასტე...
ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემი დედა, მშობელი ჩემი,
და, ვიდრე ცოცხლობს, მშინია, ო, მშინია...

იოკასტე

მამა ხომ მოკვდა, აი, შენი დიდი ნუგეში...

ოიდიპოსი

ეგ მაიმედებს, მაგრამ დედა ხომ ცოცხალია?

მთამბე

მეფეო, ესდენ რომ გაშინებს, ვინ არის იგი?

ოიდიპოსი

მერობე, ქვრივი პოლიბოსის.

მთამბე

რატომ, მეფეო?

ოიდიპოსი

შემზარავია ბედი ლეთისგან? *გამიჩნებურსქქ*

მთამბე

საიდუმლოა თუ ჩემთანაც იოქმება იგი?

ოიდიპოსი

რატომაც არა... შენაარმა აპოლომ ზრძანა,
ოდესმე ცოლად შეირთავო შენს მშობელ დედას...
სწორედ ამიტომ მყის დავტოვე კორინთოს მხარე
და გადავიარგე... თუმც მეფე ვარ, ვარ ბედნიერი,
მანინ, მოხუცო, მშობლის ხილვა თვალს იამება.

მთამბე

განა ამიტომ გარდინებეწე?

ოიდიპოსი

და კიდევ მიტომ,
რომ ჰეში მამა არ მომეკლა...

მთამბე

ჩემო ბელმწიფეე,
კუთილი მიზნით აქ მოსულსა, მომეცე ნება,
რომ აი ეხლავე მივეცე ქარსა ეგ შენი შიში.

ოიდიპოსი

ნეტავი, მართლა... დირსეულად დავამწყალობებ.

მთამბე (შემზარავად)

მეც სწორედ მიტომ ვეახვლით, რომ კორინთოში
შინ მიყვანასას შენგან ვირგო მცირე წყალობა.

ოიდიპოსი (მტკიცედ)

არა, უნც მშობა, არც ეიხილავ მას არასოდეს.

მთამბე (სიცილით)

ო, შეილო ჩემო, თუ რასა იქმ, არც თვითონ უწყო.

ოიდიპოსი

სათნო მიხუცო, დმერთს გაფიცებ, ამისენ
დედალნი.

მთამბე

მშობლებს გაურბი და ამიტომ აქ დავიგანე?



ოილიაოსი

ემიშობ, არ ახდეს წინასწართქმა ღვთით
ბრძანებული...

შოამბე

და რომ არ ვახდებ წამბილწველი მშობელთ
სახლისა?

ოილიაოსი

ღიას, მოხუცო, ეგ შიში მდევს ყველგან და მარად

შოამბე

ეპ, რომ იცოდე, რა ფუქია ეგ მშფოთვარება...

ოილიაოსი

ფუქია? როგორ? მე ხომ ძე ვარ ჩემი მშობლების?

შოამბე

თუ პოლიბოსის წვეთი სისხლიც არ არის შენში?
(იოკასტე შეერთება, ამ ღაბარაკს აუადმყოფურ
რი დამახულობით უსმენს).

ოილიაოსი

რა თქვი, მოხუცო? პოლიბოსი მამაა ჩემი.

შოამბე (ზღმრობით)

ისე, როგორც მე... არცა შეტად და არც ნაკლებად.

ოილიაოსი

ჩემს მშობელ მამას უცხო კაცი როგორ ედრები?

შოამბე

ჩემებრ უცხოა იგი შენთვის.

ოილიაოსი

შვილს თუ შეჰახდა?

შოამბე

შეფე პოლიბოსს ამ ხელეშმა მიგგვარეს, შვილო...

ოილიაოსი

და მაც ხელთაგან აყვანილი ეგრე ვუყვარდი?

შოამბე

რადგან თავისი არა ჰყავდა, შენ შეგიყვარა.

ოილიაოსი

სადმე მიყიდე ბელმწიფისთვის თუ შენ ხარ მამა?

შოამბე

არა, გიპოვნე უღრან ტყეში კითერონისა.

(იოკასტე გულზე ხელს მიიპერს... ჩანს, უსა-
ზღვროდ იტანჯება).

ოილიაოსი

იქ რა გინდოდა?

შოამბე (თავმომწონედ)

მწყემსი ვიყავ, ნახირს დაედევდი.

ოილიაოსი

ნახირს დაედევდი?

შოამბე

სიკვდილისგან მე დაგიხსენი.

ოილიაოსი

თქვი, სასიკვდილო რა მივირდა?

შოამბე

ო, შვილო ჩემო!
ამას გაუწყებს შენს წვივებზე დაღი შთენილი
(იოკასტე სუსტად წამოიკიფლებს, ტანდაკის
კვარცხლბუკს მიუყრდნობა).

ოილიაოსი

ემარა, მოხუცო, ნუ მაგონებ ძველ პოროტებას!

შოამბე

თასმას წვივები ღრმად ჩავტრა... მე შემოგხსენი.

ოილიაოსი

არტახიდანეე სასირცხვილო დამყვა ნიშანი...

შოამბე

პოდა, აქედან წარმოიშვა შენი სახელიც.

ოილიაოსი

და ასე უღვთოდ ვინ გამწირა, დედამ თუ მამამ?

მოამხმე

ეს იმან იცის, შენი თავი ვინც ჩამაბარა...

ოდიპოსი

ვინ ჩამაბარა? განა ტყეში შენ არ მიბოგნე?

მოამხმე

არა, ვისგანაც შენ მიგბოგე, სხვა მწყემსი იყო.

ოდიპოსი

სხვა მწყემსი იყო? ვინ? მითხარი, ზქარა, მოხუცი!

მოამხმე

ლაიოსის ყმა იყო, ვგონებ...

ოდიპოსი

აწ გარდაცვლილი
თებეს ხელმწიფის?

მოამხმე

ღიას, იმის ნახის მწყემსაგდა.

ოდიპოსი

ეხლა სად არის? ცოცხალია? იქნებ მანჯუნით?

მოამხმე

თებეს მცხოვრებნი, ეს თქვენ უკეთ გაცოდინებათ.

ოდიპოსი

ხალხნი! თქვენს შორის ნუთუ იმ კაცს არ
სცნობს არაინ?
აქ თუ სოფელში თქვენ ის მწყემსი არ
შეგზებდრიათ?
ჰა, მოდის ეამი საიდუმლოს გამკლავებისა...

ხარო

ვგონებ, ის მწყემსი, თქვენ რომ უხმეთ, ის უნდა
იყოს...
სჯობს იოკასტეს შევკითხოთ... მან უკეთ იცის.

ოდიპოსი

შენ როგორ ფიქრობ, ეს მოხუცი რომ ასახელებს,
ჩვენს სწორედ იმ კაცს დავუძახებთ? თქვი
იოკასტე?

იოკასტე (ცდილობს მღელვარება დადაროს)
ვის ასახელებს? გთხოვ, ნუ უსმენ... სიყრუეს
გთხოვ...

ოდიპოსი

ო, არა-მეთქი, როს ხელთა მაქვს ყველა საბუთი,
ბარემ სათავეც ვაყოფო ჩემი წარმოშობისა.

იოკასტე (გამშაგებით)

გაფიცებ ღმერთებს! თავი ოდნავ თუ მიინც
გიყვარს,
ნულარ მოიძვე! ოდიპოსს, გთხოვ, გვედრები...
კმარა, ო, კმარა, რაც ვიტანჯე...

ოდიპოსი

ნუ გეშინია!
შვილიც რომ ვიყო უჯილაგო ყურმობრილ ყმისა,
ეს ვერ შეზღადავს შენს სიწმინდეს და
სათნობას.

იოკასტე

ნუ იძვე-მეთქი, ოდიპოსს, გთხოვ, გვედრები.

ოდიპოსი

ვერ დაგოჯერებ... თვით ქვესკნელში ჩავსდევ
სიმართლეს...

იოკასტე

სიკეთეს გირჩევ, შენთვის ვზრუნავ, შენს
სიცოცხლეზე...

ოდიპოსი (მოუთმენლად)

ეხლა ხომ ხედავ, რომ სიცოცხლე მომძულეზია!

იოკასტე (თავისთვის, სასოწარკვეთით)

ნეტავ არასდროს არ გაგვგო, ვინც ხარ საბრალე!

ოდიპოსი (მცველს)

გასწი და მწყემსი აქ მომგვარე... (იოკასტეს) შენ
კო, თუ გნებავს,
დე, იამაყე შენი გვარის დიდებულებით...
(იოკასტე უკანასკნელ ძალას მოიკრებს, ოდი-
პოსთან მივა და ჩუმიად ეტყვის)

იოკასტე

ო, უბედურზე უბედურო, აწ დაგდრელები...
ეს არის ჩემი აღმოცენისა უკანასკნელი.



(ერთხანს ჩაყვებით სახეში უცქერის; შემდეგ თავზარდაცემული სახეს ხელებით დაიფარავს და სახახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწევს)

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი

რატომ დაგვტოვა დედოფალმა? ფრთხილად, მეფეო!
ჩემი წუხილით გულმოკლული მსწრაფლ განგვერიდა...
ო, ეს სიჩუმე არ ამოტყდეს ქვეყნის გოდებად.

ო ი დ ი პ ო ს ი

დაე გარდაამხდეს გარდუვალი! ჩემს ფესვებს ვეჭბე...
რაცინდ მდბალი წარმოშობის არ უნდა იყოს, არ მეშინია... ხოლო ჩემს ცოლს, პატემოყვარეს, უგვარო ქმრისა, რა თქმა უნდა, რომ ერცხვინება... არაფერი... ჩემი დედა თვით განგებაა, მამა — დრო-გამი, ნათესავნი — გუნდნი ვარსკვლავთა...
მათი კალთის ქვეშ მე, არარა, ხელმწიფედ ვიქცე... და როცა ესდენ მწყალობს ზეცა, რად შეშინოდეს, შევიცნო ჩემი დაბადების იდუმალება?
(მწყემსის მომლოდინე ქვაზე ჩამოჯდება. იქვე მოკრძალებით დგას კორინთელი მოამბე)

ხ ო რ ო

თუ მეც შევძლებ წინასწარქმას, გულაც მართალს შეუბნება...
ო, კითერონ, დიდო მთაო! ოლიმპოსის ღმერთებს გფიცავ, ვიდრე მოვარე ხევში ჩაჭვლემს, გარს ფერხულით შემოგვივლით და დიდებას გიგალობებო...

რადგან ყრმისა ოიდიპოსის, სასიკვდილოდ განწირულსა, შენ გაუბნდი მწყალობელად და მამობრივ სიფხარულით კვლავ სიცოცხლეს აზიარე...
შენ სიკეთის წილი ხარ, რომ დაიხსენ ჩვენი მეფე...
პოი, ფუბოს, შეგვიწყალე და განსაძვლეს აგვაშორე!
ო, ეინ იყო უკვდავოვგან, ეინცა გშობა, ყრმავ, ნეტარო? იქნებ პანშა, მთის მცხოვრებმა ან აპოლომ ტყოს სტუმარმა ნახ ქალწულით გაგაანდა...
იქნებ ძე ხარ პერმესისა. იქნებ ბახუსს, მწვანე მოღზე სადმე ხვერი უპოენიხარ, გულიკონის უტურფუხა ნიშლასაგან მიგდებულდი...

რომელთანაც ზოგჯერ უფვარს ბახუსს ყოფნა საღალბოდ.

(მარტყნოვ, შორს გამოზნდება ლაიოსის მწყემსი, რომელიც ოიდიპოსის ორ მსახურს მოჰყავს).

ო ი დ ი პ ო ს ი

აგერ ის მწყემსიც... თუმცა წინათ არსად მინახავს, ყველა ნიშნებით, ჩვენ რომ ვეძებთ, ის უნდა იყოს, —
ღრმა მოხუცია, წლოვანებით მოამზის ტოლი...
ღიას, ეს ჩემი მოწებია, თან რომ ახლავან...
აღბათ თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ...

ე რ თ ე რ თ ი უ ხ უ ც ე ს ი

ღიას, მეფეო, ის უნდა იყოს, ლაიოსის ერთგული მწყემსი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ესლა კორინთულ გზისსაც ვკითხოთ... კარგად შეხედე, —
შენ რომ ამზობდი, ის მწყემსია?

მ ო ა მ ა მ ე

ღიას, მეფეო!
(ამასობანი მწყემსი შემოვა. აქეთ-იქეთ შემინე ბული იყურება)

ო ი დ ი პ ო ს ი (მწყემსს)

მოსტეო, თვალნი გამისწორე და მიპახუხე. —
შენ ლაიოსის ყმა იყავი?

მ წ ყ ე მ ს ი

ღიას, მეფეო, განა მიყიდა, შინ გაზრდილი მონა ვიყავი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა ხელობის ხარ?

მ წ ყ ე მ ს ი

რა და მთელი ჩემი სიცოცხლე ნახიბს ვმწყეცავდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

უფრო ხშირად სად ამოვებდი?

მ წ ყ ე მ ს ი

ხან კითერონის ფერდობებზე... ხან იქვე ახლოს...

ოიდიპოსი

ქარვად უცქირე, იქ ეს კაცი ხომ არ გინახავს?

მწყემსი (შეშინებული)

სად? რა საქმეზე, ვისზე ზრძანებთ? (ნაძალადევი სიმშვიდით)

ოიდიპოსი (მომაბეზე უჩვენებს)

შენ წინ რომა დგას...

ნუთუ ეს კაცი იქ არასდროს არ შეგხვედრია?

მწყემსი

(მომაბებს აკვირდება, ვითომ ვერ იცნო, უარის ნიშნად თავს გადაიქნევს)

აბა შევხედო! არა შედეგ, არ მაგონდება...

მოამბე

ნუ გიკვირს, მეფე, რაც არ ახსოვს, მე გავახსენებ...

მაშინ მას ჰყავდა ორი უოგი, მე კიდე — ერთი, და ამ საქონელს კითურონზე ერთად

ვმწყესავდიო,

ერთ იალაღზე გავატარეთ სამი ზაფხული...

ხოლო როს მიწა ზამთრის პირზე ჭირხვს

დაიღებდა,

წამსვე საქონელს შევრკეავდით მე — ჩემს

ზოსელში,

ის კიდე — თავის საჩრებში... (მწყემსს) ხომ

მართალს ვამბობ?

მწყემსი (დაფიქრების შემდეგ)

ვგონებ სწორს ამბობ... იმის შემდეგ დიდმა დრომ განვლო...

მოამბე

ესეც თუ გახსოვს, შენ მომეცი ჭუჭუთა ზაფხუი, და მოხოვე, რაბა აღმეზარდა, ვით დვიძლი შელიო.

მწყემსი (შეშფოთებული)

ეგ რატომ მკითხვ?

მოამბე (ამაყად იდიპოსზე უჩვენებს)

ბა ის ზაფხუი, დღეს ხელმწიფეა...

მწყემსი (თავზარდაცემული)

ხმა ჩაიწყვიტა!.. უგუნურო!

ოიდიპოსი (შეაცრად)

გუეო, მოხუცი!

იმას რად სტუქსავ, როს თვითონ ხარ სასჯელის ღირსი?

მწყემსი

ჩემო ხელმწიფე, რა შეგცოდე მე შეადლიანმა?

ოიდიპოსი

მან ზაფხუზე გკითხა, უპასუბე!

მწყემსი

მეფე, მერწმუნე, თვითონ არ ესმის, რასაც ჩმახავს... სულ სიცრუეა...

ოიდიპოსი

როცა სიკეთე უძალურია, სივე გასტრის,

მწყემსი (თვალცრემლიანი)

ღვთის გულისათვის? მოხუცი ვარ ნუ დამხუი, შედე!

ოიდიპოსი (მცველებს)

ბეი, მონებო, შეუტარით საბლით ხელები!

მწყემსი

ნეტა რად მტანჯავო, ხელმწიფეო, რა ვნებათ ჩემგან?

ოიდიპოსი

ტეშმარტება... ამ კაცს ზაფხუი ხომ შენ მიეცი?

მწყემსი (ნაღვლიანად)

პო, მე მიეცი... ნეტავ იმ დღეს მოგმკვდარიყავი.

ოიდიპოსი

ეხლა მოკვდები, თუ სიმართლეს არ აღმოიტყვი.

მწყემსი (ყრულ, თავისთვის)

ვაი თქმას, უი უთქმელობას... ეხ, დავიღუბე...

ოიდიპოსი (მოუღიმვრად)

შენს პასუხს ვეცდი, არ განერისხდე...



მწყემსი

ხომ მოგახსენეთ,

მივეცი-შეთქი...

ოიდიპოსი (მღვლეარებით)

შენი იყო თუ სხვისი შვილი?

მწყემსი

არა, ის ჩემი როლი იყო, სხვამ ჩამაბარა...

ოიდიპოსი

ვისი სახლიდან იყო ბავშვი, ვინ ჩაგაბარა?

მწყემსი (ოიდიპოსს ფეხებში ჩაუვარდება)

ჩემო ხელშიწიფვე, ნულარ მკითხავ, ღვთის
გულისათვის!

ოიდიპოსი (გაცოფებული)

თუ გინდა სული შეგარჩინო, პასუხი-შეთქი...

მწყემსი

აბა როგორ ვთქვა... ლაიოსის სახლიდან იყო...

ოიდიპოსი

(მცირე პაუზის შემდეგ, მითრთოლვარე ხმით)
მონა თუ მეფის ნათესავი?

მწყემსი

გაი ჩემს თავსა!

ამ პირობების თქმაც კი ისე საშინელია...

ოიდიპოსი (ყრუად, თავისთვის)

და უფრო მეტად გაგონება... (მწყემსს) თქვი,
დაასრულე...

მწყემსი

ის ლაიოსის ვაჟი იყო... (სასახლისკენ ხელს
გაიშვერს)

მეუღლეს ჰკითხე...

მან უკეთ იცის...

ოიდიპოსი (ბურანში წასული)

განა თვითონ მან მოგვცა შვილი?

მწყემსი

დიახ, მეფეო! თვითონ.

ოიდიპოსი

რისთვის?

მწყემსი

მოსაკვდინებლად.

ოიდიპოსი

შვილი გასწირა?

მწყემსი

უშინოდა წინასწართქმულის...

ოიდიპოსი

თქმული რა იყო?

მწყემსი

თავის მამას შვილი მოკლავსო...

ოიდიპოსი

მერე და ამ კაცს რად მიშეცი? რად არ მოშეალი?

მწყემსი

ვერ გაგიშვებ... თან ვიფიქრე, რომ შენ ეს კაცი
თავის შორეულ ქვეყანაში გადაგვარგავდა.
ამას კი მოპყვა ეგზომ დიდი სამინელეზა...
როგორც ეს ამბობს, თუ ის ბავშვი შენა ხარ,
შეწვე.
შენზე ცოდიელი ქვეყნად არცინ მოიძებნა...

(მწყემსი კუთხეში მიდგება. კორინთელი მო-
ამბე სადღაც გაიპარება. მცველნი სასახლის კა-
რებისკენ დაიხევენ. უბუცენი შიშით ერთმანეთს
ეკვრიან).

ოიდიპოსი

აწ ყოველივე ნათელია... გაი ჩემს თავსა!
თურმე ვყოფილარ დაწყველილი დაბადებიდან,
დედის სარეცლის წამბილწველი და მამის
მგვლედი...

აწ ჩაქრი, შუო, თელთა ჩემთა ნულარ უნათებ.
(თავზე მოსახსამის კალთას წამოიფარებს და
გაათრებული სასახლისკენ გარბის)

ხორო

ეს, რა ყოფილხარ, ადამიანო,
თუ არა ღანდი სწრაფწარმავალი?
ეს, რა ყოფილხარ კაცთ ნეტარებაზე,
თუ არა ფუქად მოსაზვენარი



და წამიერი ზმანება მხოლოდ.
 ჰე, ოიდიოს, როს თვალწინ მიდგას
 შენი წარსულის დიდებულება!
 და ნეტარება ქვეყნულს დანთქმული.
 აღარვინ მიჩანს სვე-ბედნიერად...
 შენ ვინც ამადლი ზელმწიფებამდე.
 ვინც სამინული ფრთოსნის განდევნილ,
 სამშობლოს ჩემსას გაუჩნდი მხსნელად.
 მხოვე სრულქმნილი ბედნიერება
 და შეუძება თებეს ძვეყნისა...
 ვისაც არასდროს არა გკლებია
 ხოტბა, თაყვანი და ნეტარება.

ესლა ვინდა ხარ, პოი ბედერული
 ვინ არის, ეგზომ რომ განეწიროს
 დაუდგრომელი ბედის ტრიანლა?
 ჰე, ოიდიოს, ზელმწიფეთ შორის
 სახელწოდებით სწორუბოვარო!
 ერთ სარეცელზე შეილი და მამა,
 ვით განცხრუბოდით ნეტარებითა?
 ანდა მშობელი მამის საწოლმა
 შეილისგან ეგზომ დიდი შებილწვა
 ნეტარე ამდენ ხანს ვით დიომინა
 მაგრამ დრომ, ყოვლის მამილიებელმა.
 ესლა საქვეყნოდ ახადა ფარდა
 შენი სიბრძავეთ ქმნილ შეყოფებას...
 პოი, ბედერული ძვე ლაიოსის!
 ნეტარე ჩემს თვალთა სულ არ ენახეთ...
 მაშინ არც ასე დაიმდებდნენ
 ხასოწარკვეთით მტირალნი თვალნი,
 რომ აღმიხილენ სასიხარულოდ
 და მწუხარებით კვლავ დამიბებენ.

მხეველი (სასამლიდან გამოჩნის)

ვაი რა მოხდა! ეს რა მოხდა!.. რა საზარლობა!
 ოდეს გაიკვებთ და იხილავთ, უფალნი ჩემნი!
 გული ზავწყდებათ, თვალნი ცრემლით
 დაგემდებლრებათ.
 თუ კიდევ გიყვარო ძველი სახლი ლაბდაკილების,
 ვერცა იატროსის, ვერც ფასისის შმაგმა ტალღებმა
 ვერცა წარეცხონ იგი ცოდვა და ზოროტება, —
 რაიც ნებხით თუ უნებლიეთ ამ ქერქვეშ ქმნილა
 და რაც საქვეყნოდ განცხადდება ამიერიდან.

პირველი უხუცესი

რაც ვიცით, ისიც ჰყოფნის გულსა, მეტს რაღას
გვეტყვიო?

მხეველი

აწ იოკასტე აღარ ცოცხლობს..

პირველი უხუცესი

პოი, საბრალო!

განა ვინ მოკლა?

მხეველი

არც არავინ, თავი მოიკლა
 ნეტარე თქვენა, რომ მის სიკვდილს არ
 დასწრებინარო!
 შე კი იქ ვიყავ, თვალთ ვნახე ეს საზარლობა...
 (გმინვა-წამება დედოფლისა უკანასკნელი)
 მამ მოისმინეთ: წუთის წინათ, როს იოკასტე
 სამინულ ქმნიეთ ფერმიხდილი თქვენ
 განგერიდათ,
 სწრაფად ტალანი გაიბრინა და თმების გლეჯით
 საწოლ ოთახში შეგარდნილმა კარნი დახურა:
 ჩვენც იქ დავდევით... და მოგვესმა, რომ

დედოფალი
 აწ განსვენებულ ლაიოსის ღანდს შესჩიოდა:
 „ო, უბედურო! თუ გახსოვსო ის ბენელი დამე,
 როს ჩვენ ერთობით გაგაბინეთ შენივე მკვლელი
 და ჩემი ქმრობით ბედერულ შეილთა

წარმოშობელი...
 თავის საწოლსაც დაატირა: „ქმრისაგან ქმარი,
 შეილისგან შეილინი მე, წყველმა, აქ დაგებადო!“
 შემდეგ, არ ვიცი, დედოფალი ვით აღესრულა...
 რადგან უყვრად შემოიჭრა ოიდიოსი,
 სამინლად სახეარული ითხოვდა ხმალსა,
 გაოჯნებული აქეთ-იქით რომ აწყვდებოდა...
 თან გაკვიროდა: სად არსოთ აქ თელი ჩემი,
 ცოლიც კი არა დეაქვმი... ღვიძლი დედაო?“
 ჩვენც ოიდიოსს შეეყურებდით ხმაგაყმენდილინი
 და იოკასტეს სიკვდილი კი გამოგვეპარა...
 ჩვენ როდი ვეითქვამს... აღნათ შევეს მწუხარე
 სულმა

ან თუ განგების იდუმალმა ხმამ ჩასწურბულა,
 რომ იგი წამსვე იოკასტეს ოთახთან განიდა,
 ერთი საზარლად დაიღმუვლა და მძალერი
 დარტყმით

შეღეწა კარნი თავის ურდულ-კოჭებიანად...
 შეიჭრა შივნით და რა ენახეთ... პოი, რა ენახეთ?!
 თაყუ ეკიდა დედოფალი და ირწვიდა..

საბრალო ქმარმა მარწყვიდან გამოხსნა იგი
 და როცა წაზად თბილი გვაში ძირს დაასვენა,
 აი აქ მოხდა უფრო მეტი სამინელებაც:
 ოიდიოსმა მიცვალებულ ცოლს გულზე ახსნა
 ზალთა ოქროსი, შესაჯვრელი მოსასხამისა,
 თვალნი მწმუნებარედ ქერს მიაპრო და ეს

წარმოთქვა:
 „თქვენ ვერ იხილეთ ჩემგან ქმნილი მორტებანი!
 თქვენ ვერ იხილეთ საყვარელი მშობელი ჩემნა.
 თქვენ ვერ იხილეთ ვერც მოყვანნი ჩემი
 ერთგულნი...
 და ვერცა ნახეთ, ვის ნახესაც ვერც ენატრობდი,
 რადგან გვერძალვით ყოვლის ზილვა აწ და
 მარადის...“

რა ეს წარმოთქვა, ზე ასწია უპე-წამწამნი
 და პარმასიელი ზალით თვალნი გამოითხარა...
 მყის დააღუბათ წამოვიდა სისხლის წვეთები...
 და განა მარტო სისხლი იყო? ო, სისხლთან ერთად
 ორი თვლიდან შავი წყალი მოთქრიალებდა...



ამრიგად ქმარმა ცოლის ტანჯვა გაიზიარა,
უძველესა, არ ჰკლუნიათ მათ ნეტარება,
ესლა კი სახლი ეგზომ დიდი სიხარულისა
იქცა სიკვდილის, სირცხვილის და ცოდვის
საგანედ.

ხორო

ესლა რას შერება უბედური?

მხევალი

ყვირის, მივინვარებს...

კარნი გააღეთ, ყველამ ნახოს მამისმკვლელო...
ვინც თავის დედას... ო, არ ძალმიზნა განვიშურო...
გარეთ შიშვევს, სურს, ესლავე რომ გარდისხვეწოს,
მაგრამ საბრალო ფეხზე ძლივს დვას და
უშვებუროდ,
რალა თქმა უნდა, ვერსად წავა... პა, უავე
მოყვით...

(მწყემსი, რომელიც ამას დიდი გულისფრით
უსმენდა, სანახლის აბლო კიბეზე ჩამოჯდა, ოდი-
პოსის ელოდება)

ო, მისი ზილვა თვით მოსისხლე მტერს მოჰგვრის
ცრემლსა...

პირველი უხუცესი

აი წამება ერთ უტყმელი!
ჯერ არნახული საშინელება!
რა შავმა ფიჭრმა დაატრიალა
შენს ტანჯულ სულში ეგ ქარიშხალი, —
რომ მთლად აღგაგა სიციოცხლე შენი?

თქვი, ვინ გარგუნა, რომელმა ღმერთმა
ეს დიდი რისხვა, ტანჯვა ესდენი?
მსურს რამე გკითხო — სიტყვა ვერ ვპოვე...
მსურს შემოგხედო, — თვალს ვერ ვისწორებ...
ო, სისხლს გვიყინავს ეს საზარლობა!

ოდიპოსი (შემოიპყეთ, იგი ჯერ
კიდევ პურიანშია)
ო... აქ სადა ვარ, სად მომიყვანეთ

რა უცნაურად ეღერს ჩემი ხმა ამ უკუნეთში...
ო, ბედისწერავ, საით მიმართავ?...

პირველი უხუცესი

შეცოდების გზით მწუხარების შავ უდაბნოში...

ოდიპოსი

ირგვლივ ღრუბლები, სულ ღრუბლები, შავი
ღრუბლები...
მხოლოდ წყვდიადი... უსასრულო...

განუშვებელი...
ო, თვალთა გუფა როგორ მეწიის!.. არაფერია!..
ათასჯერ უფრო მტანჯველია ხსოვნა წარსულის...

პირველი უხუცესი
სულაც და ხორციეც ერთად გტყდება...
აბა რა გითხრათ, ოდიპოს, რით განუგებოთ?

ოდიპოსი (იყნო)

ო, ჩემო ძველო მეგობარო, შენი ხმა მესმის...
გსურს მანუგეშო? კვლავ არ იშლი ჩემს
ერთგულებას?...
შენმა ხმამ ბნელში გაანათა და დაგინახე...
რატომ დაღუმი? სთქვი, ხომ გიცანი?

პირველი უხუცესი

ღიას, ეს მე ვარ, ოდიპოს, მაგრამ მითხარი,
ეტრე საზარლად თვალნი რატომ დაისახინრე?
ვინ გაიძულა, კაცმა თუ ღმერთმა?

ოდიპოსი

აპოლომ, ჩემო მეგობარო, დიდმა აპოლომ...
მან განმიშადა საშინელი ეს სატანჯველი.
თვალნი კი თვითონ ჩემზე ზელოთ ამოვიღადრე...
რისთვის შეტკირა!..

პირველი უხუცესი

ეს რა გითხრა... იქნებ სწორს ამბობ...

ოდიპოსი

თქვი, რალა დამრბა გასახარელი?
ვინ დამენახა, რა მყვარებოდა?
ო, მეგობარო, გთხოვთ, წამიყვანეთ...
უზღავ განმავდეთ, შორს გადამკარგეთ...
ღეთით დათრგუნელი... კაცთ საძულველი...

პირველი უხუცესი

შენ იმდენადვე უბედო ხარ, რამდენად ბრძენი...
ნეტავ, მეწყო, სულ არ მენახე!..

ოდიპოსი

წყევლიმც იყოს ავბედითი ის სიბრაღელო.
რამაც ჩემს ფეხზე მწყემსს თასებში შეახსენეინა
და მე დამისხნა სიკვდილისგან, ოდეს სიკვდილი
თვითონ ხსნა იყო ამ საშინელ სატანჯველისგან...
ო, ამ სიბრაღულს შეეწირნენ მოფასანი ჩემნი
და სათონება იქცა ცოდვა და ზოროტებად...

პირველი უხუცესი

მაინც ამ საქმეს ოდიპოს ვერ მოგიწონებთ...
უკუნ ღამეში მუდამ ყოფნას სიკვდილი სჯობდა.

ოდიპოსი

არა, არ მითხრა!.. ამოთა ეგ საყვედური!

ებლა ჩემთვის სჯობს უკუნეთი უკანთიადო.
 თვითონ განსაჯე, იქ, ქადესში მოყულულ
 მამისთვის,
 ტანჯულ ღედისთვის თვალხილულსა ვით
 შეშებედა?...
 ანდა ბედურული შეილუბისთვის ვიღაა მეტყირა,
 რომელთ წინაშე ისე დიდი მაქვს შეცოდება,
 რომ ამას თავის დახრჩობითაც ვერ გვაძასწორებ.
 არა, ო, არა! ეს ცა, მიწა, კოსმენი მაღალნი,

თუ ღვთის ქანდაკნი ჩემს საამოად არ
 გაჩენილან...
 მე თვითონ ვბრძანე, ოდეს მეპყრა ხელმწიფის
 სკიატრაჲ,
 რომ განედევნათ ცოდვისმქნელი, ღვთით
 მხილებული...

ებლა აღმოჩნდა, მკვლეელი მე ვარ, და თუ ეს მე
 ვარ,
 თვალცი რომ მქონდეს, ხომ სირცხვილით ვერ
 შეგბუდებდით?
 ნეტავ შეშქალოს სამუდამოდ დავიხშო ყურნი
 და ჩემი გვამი ჩემივე ტანჯვის ციხედ ვაქციო...
 არცა ხმა მესმას... არც არავინ შემოიხედოს...
 მშვიოთვარე სული იქნებ უფრო განისვენებდა...

ო, კითვრონო! რად მიმიღე წილასა შენსა?
 და თუ მიმიღე, რად არ მომკალ? მაშინ ეს
 ხალხიც
 ვერ შეიკნობდა ბედუელმართ ჩემს დაბადებას.

შენცა, კორინთოს ძველო სახლო! შენცა,
 პოლიბოს!
 ეგზომ თვალადი რად გამზარდეთ, თუ ჩემს
 სხეულში

შავი მღვწივი მწიფდებოდა ბოროტებისა?
 ო, მწვანე ტყეო, ვიწრო ხევო, გზაჯვარედინო!
 ანა თუ ვახსოვთ საზარელი ის მოგზაური,
 თავისი ზღლით მამის სისხლი რომ მოგასხურათ?
 განა ეს იყო გამარჯვება? შემდეგ... ო, შემდეგ...
 ქორწილი... ტურტა დედოფალი, ვინა ქმრობითაც
 ვაგხდი სათავე ენით უღმეულ საზიზრობისა:
 ქმარი დედისა, შეილი ცოლის, ძმა შეილუბისა...
 და ცხადად მოხდა, რაც სიზმრადაც

სარცხვინელია.
 ვთხოვთ, გვედრებოთ, ამ ქვეყნიდან შორს
 ვარდამხვეწეთ...
 მომკალით! ზღვაში გადამაგდეთ! ქვესკნულს
 დამშალეთ!..

ისე, რომ თქვენგან სამუდამოდ თვალს მივეფარო.
 ნუ გუზიზღებით... ბარემ მოდიო, ხელი ჩამჭიდეთ...
 ჩემი შეხების გემინიათ? ნუ გემინიათ...
 თუმცა ჩემშია ქვეყნის ბიწი, ცოდაც, ვეუბა...
 არა, ეს თქვენზე არ გადმოვა, ო, ძმანო ჩემნო!

ხორო

ავერ კრონიც... რასაც ჩვენ ვთხოვ, მას
 მოახსენე...
 უბლა იგია შენ მაგიერ მფუფე ჩვენი...

ოიდიპოსი

გამკვლელები

ვაგლახ! ო, ვაგლახს... მას განკრებდა რს მირიხი
 ვთხოვო,
 ვისდამივ ვიყავ ეგზომ მკაცრი, განუციოხველი...
 (მარჯვენა მხრიდან მხლებლებთან ერთად
 სცენაზე შემოდის კრონი, ოიდიპოსს დიხანს
 შეაყურებს დალონებული. შემდეგ ერთ მხლე-
 ბელს მოიხმობს და რაღაცას ჩასჩურჩულებს.
 მხლებული სასახლეში შედის, ხოლო კრონი
 ოიდიპოსს აღერისიანად მხარზე ხელს დაადებს).

კრონი

ნუ გემინია, ოიდიპოს, არას გაყვედრი...
 განა აქ მოვედ, რომ დავციხო შენს მწუხარებას?
 (ხალხს) თქვენ კი, კაცის თუ არ გრცხვენიათ,
 ამ ცას შეუბედო...

შვებს, ყოელის შემქმნელს, რად აკადრებთ ამ
 უხამსობას,
 რასაც ეს მიწა, წმინდა წვიმა თუ ღლის სინაოლე
 თავის წილში ვერ მოითმენს ვაშინწმლებულსა.
 ეხლავე იქ, სახლში შეიფანეთ ეს უბედური!..
 მხოლოდ ნათესავთ აქეთ უფლება, რომ
 თანაგრძნობით
 გასინჯონ წყლული მოყვასისა და უსაღებონ.

ოიდიპოსი

შენგან ამ ნუგეშს არ ველოდი, ო, ძმაო, კრონი!
 და რადგან ეხლა მოკვდეთ შორის უბოროტესთან
 კვილიგანზრახვით, თანაგრძნობით
 მობრძანებულხარ,
 ვთხოვ ჩემი სიტყვა მოისმინო უკანასკნელი...

კრონი

რას მთხოვ, მითხარი?..

ოიდიპოსი

(სასახლიდან ბრუნდება კრონის მხლებული,
 რომელსაც უკან მოჰყვებიან შავად შემოხილი
 გამდელი და ოიდიპოსის უწყოვანი შეიღები —
 ისმენე და ანტიგონე)

იქ, ჩემს სახლში უსულოდ რომ წვეს,
 როგორც კმეწოდებს, ღირსეულად დამარბზინე...
 მე კი, ქვეყანა ბიწისაგან რომ განიწმინდოს,
 სჯობს ვადამკარგოთ კითვრონი უდაბურ მოთასა...
 იქ, სადაც ერთხელ გადამაგდეს... ის მთა ჩემია,
 თვით დედ-მამისგან ჩემ სამარუდ მონიჭებული...
 მინდა იქ მოკვდე და აღსრულდეს მშობულთა
 ნება.

თუმცა კი ვეუბო... თუ სიკვდილმა დამინდო
 ბაღლი,
 მხოლოდ იმტიომ, რომ ეს მეხი თავს დამტეხოდა,
 იქნებ შიმშილი და ტარ-ყინვა არც ეხლა მღუპავს...
 მაგრამ ეს საქმე ბედისწერამ თვითონ განაგოს.

აი, რას ვატყვი... ჩემს ვაჟებზე ნუ სწუხხარ,
 კრეონი
 დაკაცებულნი თავის საზრდოს ყველგან პოუვებენ.
 მაგრამ ასულნი, უწყლოვანი ჩემი ასულნი,
 რომელთაც ცალკე ვერ არასდროს არ დგმით
 ტაბლა

და ჩემს ლეკვასაც სიყვარულით მათ ვთავაზობდი,
 მეცოდებოდა... ნუ მოაკლებ მათ ზრუნვას, კრეონი!
 ნეტავი ეხლა აქა მყვანდნენ, ხელს შევახებდი,
 და ამით თითქოს მათ სახესაც დავინახავდი...
 ერთს გაგიბედავ, ხელმწიფეო: მომეცი ნება,
 ჩემი ობოლნი გულს ჩაეკრა უკანასკნელად
 და მათთან ერთად დავიტირო ეს შწარე ხედერი...
 ჩუ! ეს რა არის? პოი, ღმერთო, ჩემი მტრეიდები!
 აქ სადღაც ახლოს ქვითინებენ... პო, აქ არიან...
 შეებრალებივარ... ჩემს ძმას, კრეონს,

შეგზარალებივარ!
 ჩემი შეილები აქ მომგვარა, ხომ მართალს
 ვამბობ?

კრეონი

პო, მართალს ამბობ, ოიდიპოს, შენს ახლოს
 დგანან,
 კარგად ვიცოდი, მათი ნახვა ვაგებარებდა.

ოიდიპოსი

ამ სიკეთისთვის, ძმავ კრეონ, კურთხეულ იყავ...
 რაც შე დამაკლეს, დე, ღმერთებმა შენ
 გიწყალობონ.
 თქვენ კი, სადა ხართ, შეიღწო ჩემო, მოდიო,
 შემხეთ...
 ჩემს ხელებს უფრთხიო? ეს ხომ თქვენი ძმის
 ხელებია,
 ეგზომ უწყალოდ რომ დასთხარეს თქვენი ძმას
 თვალნი
 და სინათლადან საუკუნო წუგვიადში დანთქეს.
 ეს, რა ვიცოდი, უბედურმა, ო, შეიღწო ჩემო,
 რომ ჩემი დედაც იყო იგი, ეინდ თქვენ დაგზადათ...
 აწ გვიან არის და დავტირით ჩვენს ბედშეგობას...
 ვიცო, ო, ვიცო, რა ტანჯვაშიც უნდა დლიოთ
 კაცთა აუცილ მოწამლული სიცოცხლის დღენი...
 განა სად ჰპოვებთ ისეთ ღმერთს, თამაშს, დღეობას,
 რომ თქვენ იჭიდან სახლს ქვითინით არ

მიაშუროთ?

შემდეგ, როდესაც დრო მოვიწევთ დავორწინებინს,
 განა თქვენს შერთვას ქვეყანაზე ვინმე გაბედავს
 და არ შეზარავს სამარცხვინო ეგ წარმოშობა?
 ნაზად ხელს თავზე ვინ დავისვამთ, ვინ
 განუტყუებო?
 არავინ, შეიღწო, სულ არავინ... განკიცხულეობი,
 უქორწინებლად უნდა დასქენით და

გარდავლინდეთ.

ერთი იმედი მხოლოდ შენ ხარ, მენეკოს ძვე,
 ამათ მშობელნი დავუღუპათ, აწ შენ ხარ მამა,
 დე, ნუ ინებებ, რომ საზრალო მოყვასნი შენნი
 ეხეტებოდნენ ვით გლახაკნი, უფრთხომონი.

და მათი ბედი დავმსგავსოს ჩემს-სახტო ბედს...
 შენც კარგად იცი, მათ შენს გარდა არ ჰყავო!
 კრეონი
 ვთხოვ, შენს კეთილ გულს შეგატანო: ვეწუწუქ
 ბაღდანი...

თანხმობის ნიშნად ხელი მომეც დიდსულოვანი!
 (კრეონი ოიდიპოსს მხურვალედ ხელს ჩამოართ-
 თმევს)
 ემადლობ, ხელმწიფე! თქვენ კი, შეიღწო სხვასაც
 გეტყობდი,
 მაგრამ ვერ სიბრძნეს ვერ შეისმენთ უსაკონი...
 მხოლოდ ვისურვებთ, ეს სიმწიარე გამორთო
 ღმერთმა.

კრეონი

ვთხოვ, პალატს შედი, ოიდიპოს!

ოიდიპოსი


არა, ხელმწიფე!
 წინ დიდი გზა მაქვს გასავლელი... მშვიდობა
 თქვენდა!

(ოიდიპოსი შეილებს მოეხვევა, კრეონსა და
 უხუცესებს გამოეთხოვება და რამდენიმე ნაბიჯს
 გაუბედავად გადადგამს, რომ ამ დროს მწყემსი,
 რომელიც აქამდე სასახლის კართან თავისთვის
 იჯდა, ოიდიპოსთან მივა. მას მარცხენა ხელში
 ხელს ჩასუიდებს, ხოლო მარჯვენაში ყავარჯუნს
 დააჭერინებს. შეცბუნებულ ოიდიპოსი უკან დაი-
 ხეხს... მოხუცი ჩემად ეტყვის თავის ვინაობას...
 ამ უცნაური შეხვედრით განცვიფრებული ოიდი-
 პოსი მოხუცს მარცხენა ხელს მხარზე ჩამოსდებს
 და მარჯვენა ხელში დაჭერილი ყავარჯუნის ცე-
 ცებით მწყემსთან ერთად მიდის, კრეონი, გამგე-
 ლი და ზავშევი კიბის ზედა საფეხურიდან გას-
 ცქერიან გარსკვლავედიან ცის ქვეშ უსასრულობა-
 ში მიმავლ ოიდიპოსს...
 უხუცესნიც თვალით აცილებენ თებეს დიდებულ
 ხელმწიფეს. ბავშვები უხმოდ ქვითინებენ).

პირველი უხუცესი

კადმოსის ხალხნი! ჰა ოიდიპოს, ბრძენი და
 ქველი...
 ვინცა შეიღწო ძნელ ამოყანის იღვალემა...
 ვინცა ამაღლდა თვით ყოვლისშემძლე
 ხელმწიფეებამდე
 და ვისი ბედიც ყოველ კაცობაგან იყო
 საშურველ,—
 ეხლდა ნახეთ, თუ რა საშინელ უფსკრულს
 დანთქმულა...
 გახსოვდეთ, კაცსა სეგებდნეირი არ ეწოდების,
 ვიდრე უნაღვლოდ, სრულად არ განვლის
 ცხოვრების გზასა.

თარგმანი დავით ბაჩიაილიაძისა



ბ. ძნადპძე



დენინური პარტიისათვის თავდადებული მებრძოლი

(ს. ორჯონიკიძის დაბადების 70 წლისთავის გამო)

მრავალმხრივი და მდიდარი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლსა და მოწაფის ს. ორჯონიკიძის ცხოვრება.

33 წელი ემსახურა იგი ზეენს დიად ქვეყანას. სერგო დაიბადა 1886 წლის 28 ოქტომბერს (ახალი სტილით) სოფელ ლორეშაში ხარაგოულის (ახლა ორჯონიკიძის) რაიონში. 1903 წელს სერგო უკვე რ. ს. დ. შ. პ. წევრია. 1905 წელს მას პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრად ირჩევენ. 1907 წელს ბაქოშია პარტიულ სამუშაოზე. მალე სერგო ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში შექყავთ. ბაქოს კომიტეტი მას ირანში გზავნის ირანის აჯანყებული ხალხის დასახმარებლად.

1911 წელს სერგო პარიზშია და ვ. ი. ლენინის მიერ გახსნილი ლენინების პარტიული სკოლის მსმენელია. მალე ვ. ი. ლენინის დაავადებით ის პრენდება რუსეთში და სათავეში უდგება პრადის კონფერენციის მოამზადებელ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის.

1912 წელს 27 აპრილს სერგოს პეტერბურგის პოლიცია ამტყობებს რევოლუციური მუშაობის გამო. მან შლისელებურგის ციხეში დაყო 3 წელი და 1915 წელს ეტაბით გაგზავნეს შორეულ იაკუტსკის ოლქში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სერგომ იაკუტსკში შექმნა იაკუტსკის საბჭო და შევიდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში.

სერგო იაკუტსკის რსდმპ პირველი მოწვევის წევრი იყო იაკუტსკში მან დატოვა ძლიერი პოლშეიკური ორგანიზაცია და სხვა გადასახლებულებთან ერთად 1917 წლის ივნისში პეტერბურგში ჩავიდა.

ახლოდებოდა პარტიის VI ყრილობის მოწვევის დრო პარტიის დავალებით სერგო მიდის ვ. ი. ლენინთან, რომელიც საღ. რაზლიგო (სენსორორეცის მახლობლად), კარაგში იმალბოდა. ვ. ი. ლენინმა სერგოს გამოაცანა პარტიის VI ყრილობისათვის მასალა. სხვა საკითხებთან

ერთად ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხი ვ. ი. ლენინის დროებითი მთავრობის სამართალში გამოცხადების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძემ ყრილობაზე აღნიშნა: „მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ბელადები გამოსტაკონ რევოლუციური პარტიის რიგებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცათ ამხანაგი ლენინი. ამხანაგი ლენინის საქმიად უნდა შევქმნან მეორე ბეილისის საქმე“¹.

ყრილობაზე გადაწყდა, რომ ვ. ი. ლენინი დროებითი მთავრობის სასამართლოზე არ გამოცხადებულიყო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინის დავალებით მიეზღვაურება კრასნოესლოვოში კერენსკისა და კრასნოვის წინააღმდეგ. სერგომ მოახერხა კონტრრევოლუციური გენერლის კრასნოვის დატყვევება. 1918 წლის 2 იანვარს სერგო ინიშნება უკრაინის ცენტრალური მთავრობის საგანგებო კომისრად. აქ იგი რაზმებს მუშათა და გლეხთა მასებს, ადგენს წითელარმიელთა რაზმებს, არწევს ერთგულ და საიმედო მეთაურებს. მალე მას დაევალა სათავეში ჩასდგომოდა თერგის ოლქის დაცვის საქმეს. სერგო ცალკეულ რაზმებისაგან ქმნის XI არმიის, რომელიც ანადგურებს კავკასიან მიმდგარ დენიკინის თეთრგვარდიელთა ბანდებს.

1919 წელს ივნისში სერგო დასავლეთ ფრონტის XVI არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად ინიშნება.

1920 წლის თებერვლიდან სერგო სათავეში უდგება კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს.

ს. ორჯონიკიძის უშუალო ზემოქმედებით გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში.

როგორც ცნობილია, რუსეთის თებერვლის

¹ რსდმპ VI ყრილობის ოქმები, გვ. 32.

ბურჟუაზიულ რევოლუციამდე ამიერკავკასია რუსეთის კოლონიის წარმოადგენდა, — მეფის შიშობა ჩაგრავდა არა მარტო განაპირა ნაციონალურ უმცირესობას, არამედ თვით რუს ხალხსაც. ვ. ა. ლენინის გამოქვეყნებით, მეფის რუსეთი ხალხთა საყრობილე იყო, საგლებო რეფორმის (1861 წ.) შემდეგ რუსეთში იყო განვითარება კაპიტალიზმში, ხოლო მეოცე საუკუნეში ის გადაიზარდა იმპერიალიზმში. შიშხუბაძის თანახმად ამისა, როგორც ვ. ა. ლენინი აღნიშნავს, რუსეთი მანც ვლუბური ქვეყანა იყო თავისი ჩამორჩენილი ტექნიკით. უფრო ჩამორჩენილი იყო ამიერკავკასია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგრვას განიცდიდა. ციხისში მანც ძილუბუღე იყო გაეყვანა ამიერკავკასიაში რკინიგზები, ამოღო წიაღისეული სიმდიდრე — ნავთი, ქვანახშირი. მარგანეცი და ხელი შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. ამიერკავკასიაში ნაციონალისტური მოღვრობის არსებობის პერიოდში სახალხო მეურნეობა ექ დაციმის გზაზე ედგა.

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. 1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა სომხეთში, 1921 წლის 25 თებერვალს ქართულში ხალხმა წითელი არმიის დახმარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოიხატა. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ბოლო ეწოდა რევოლუციულ შუღლს და დაიწყო ექ მოსახლე ხალხთა შორის მეგობრობის აღდგენა და განვითარება.

ვ. ა. ლენინის შიუთითებით და ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელშეწყობით, 1922 წლის 12 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია.

ძაღების ვერთიანებამ დააჩქარა სამეურნეო და კულტურული განვითარება ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში. დიდი როლი შეასრულა პარტიის X ყრილობამ ჩამორჩენილ ერებში მრეწველობის ქვრების შექმნისა და მათი გაფართოების საქმეში. ეს მით უმეტეს ადვილებული იყო ამიერკავკასიაში ადგილობრივი კადრების შესაქმნელად. გამოდინარობდა რა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ადვილებლობიდან, ვ. ა. ლენინი მოითხოვდა განვითარებლიონი მრეწველობა ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის ბაზაზე: „ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყუარჩელის მადარობეში), სილიქმი — ასეთი უდიდესი სამთმადელი სიმდიდრეთა ოდნავადე არასრული სია“¹, შიუთითებით ვ. ა. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტებს.

ვ. ა. ლენინს საჭიროდ მიანდა ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, — ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მორწყვა და სხვ. აშრავად, ამიერკავკასიის ბოლშევიკების წინამეიღვა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურ-

ნეობის განვითარების გადამდებელი ამოცანები. საუფელლოთ სწავლების შექოვება, უშუღლის სასწავლებლებსა და საშეცნიერ-კვლევის და მრეწველობებში მეცნიერული მტეშობის განაღება — ასეთი იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკების ამოცანა კულტურის ფორმზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, — რომელსაც ხელშეწყობდა ს. ორჯონიკიძე, — შეუბოვარი ბაზოლის წარმოება მოუხდა სახალხო მეურნეობის დაქსაქსელობისა და კუსტარული მის ლაკვიდაციისათვის. საჭირო იყო ადგილობრივ თავისებულებათა გათვალისწინება და, როგორც ამას ვ. ა. ლენინი შიუთითებდა, ბრძალ კი არ გადაეღო რუსი კომუნისტების ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეეფარებინათ იგი ადგილობრივი კონკრეტული პირობების სხვაობისათვის.

ს. ორჯონიკიძის მოთხოვნის საფუძველზე საბჭოთა რუსეთში დიდი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. მარტო 1921 — 22 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დახმარება მიიღეს: 1,704,661 ფუთი ბურეული, 19,180 ფუთი შაქარი, 5,226 ათასი მეტრი ფართულეული, 360 ფუთი ბრინჯი, 19 ვეგანი მედიკამენტი, 6,550,000 მან. ოქროთი. ვარდა ამისა აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო ყოველივერად ლეზულობდნენ საქართველოდან 60 ათას ფუთს ბურს, აზერბაიჯანი 50 ათას ფუთ ბურს და სომხეთი — 25 ათას ფუთ ბურს. საქართველოში ამ პერიოდში მოსკოვიდან გამოგზავნილ იქნა მიუდის ფაბრიკა, რომელიც ქუთაისში იქნა გადატანილი და ამეამადაც არსებობს. ასევე გადმოტანილი იქნა ამიერკავკასიაში მთლიანი მოწყობილობით ლენინგრადიდან, თამბაქოს ფაბრიკა, მარდის ფაბრიკა — ტამბოკიდან, საქსოვი ფაბრიკა — ფანოზოზნენსკიდან. 1924 წელს გამოგზავნილი იქნა 26 ორთქლმავალი. საბჭოთა რუსეთიდან ფაბრიკების გადმოტანის ამიერკავკასიაში არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტკურთი მნიშვნელობაც ჰქონდა. დიდი რუსი ხალხის დახმარებით ს. კ. ორჯონიკიძის ხელშეწყობით საგრძობლად წინ წაიწია სახალხო მეურნეობამ. თუ 1913 წელს საქართველოს მსხვილი მრეწველობის საწარმოებში მუშაობდა 11 ათასი კაცი, 1923 წელს მუშათა რაოდენობამ მიაღწია 25,567, თუ ჰრადუქციების ღირებულება 1922/23 წელს უდრიდა 4493 ათას მანეთს, ის 1924/25 წელს აყვანილი იქნა 8,980 ათას მანეთამდე. ეს მონაცემები აშკარად მეტყველებენ, თუ როგორი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საქართველოში სახალხო მეურნეობა აღდგენის პერიოდში. 1921 — 1940 წლის მანძილზე საქართველოში სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იყო 6,014,934 ათასი მანეთი — აქედან მრეწველობაში 35.7%.

1924 წელს ს. ორჯონიკიძე საქართველოს საბჭოების II ყრილობაზე მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ჰუათურის კონცესიონერების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი განდევნა და მარგანეცის გა-

¹ ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398 — 399.

დაცემა მუშათა და გლეხთა შთაბრძნისათვის. შეშინებულმა კონცესიონერებმა ახალი ხელშეკრულება დადეს, მაგრამ 1928 წელს ისინი საბოლოოდ იქნენ განდევნილი. მის შემდეგ მარგნისის წარმოება განუხრავლად მიდის წინ და ამჟამად ფაი ჰენრი კეიერის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა.

მთელ თავის ენერჯიას ამმარდა ს. ორჯონიკიძე რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ზრდისათვის ბრძოლას. 1925 წელს სამრეწველო პროდუქციის ღირებულება აღწევდა 57,744 ათას მანეთს, 1913 წელს 45 მილიონის ნაცვლად.

ამუშავდა მრავალი ქარხანა, მათ რიცხვში, სამტრედიის ძალსახვევი, წულციის, ოზურგეთის, თელავის, თბილისის საფეიქრო ფაბრიკა და სხვ. ე. ი. ლენინის მითითებამაა სფუძველზე, ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით გაყვანილი იქნა მრავალი საჩუყავი არხი.

1925 წლისათვის სარწყავი ფართობი უდრდა 100,000 ჰექტარს, სულ სათესი ფართობი საქართველოში 681 ათას ჰექტარს აღწევდა.

1925 წელს მარცხენაღელის მისივამა გადააქარბა 1913 წლის დონეს. თუ ჩიას პლანტაციების ფართობი 1913 წელს 894,1 ჰექტარს უდრიდა, ის 1925 წლისათვის 1325,3 ჰექტარამდე გაიზარდა. ასევე, თუ თამბაქოს ნათესი ფართობი 1913 წელს 1008 ჰექტარს უდრდა, 1925 წელს ის გაიზარდა 11,907 ჰექტარამდე. ს. ორჯონიკიძე დიდ უერადღებას აქცევდა სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

1914 წელს საქართველოში იყო 1785 სკოლა, ამდენი დაწყებითი 1684, აბსარული საშუალო 48, საშუალო 45, მოსწავლეთა რიცხვი 158,414-ს აღწევდა, მასწავლებელთა კი — 898-ს.

1927-1928 წ. სკოლების რიცხვი გაიზარდა 2563-ამდე. მოსწავლეთა რაოდენობამ 288,565-მდე მიაღწია. ყველა სკოლაში მასწავლებელთა რაოდენობა აღწევდა 10,293-ს. ასევე გაიზარდა უმაღლესი სასწავლებელთა, სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი. თუ მენშვეიკების დროს იყო ერთი უმაღლესი სასწავლებელი, 1925 წლისათვის იყო უკვე 5,811 ათასი სტუდენტი. თუ 1920 წელს 8716 კაცზე ერთი ექიმი მოდიოდა, 1930 წელს უკვე ექიმი მოდიოდა 1861 კაცზე. თუ 1920 წელს 51,756 მცხოვრებზე ერთი საექიმო პუნქტი იყო, 1930 წელს 1 პუნქტი მოდიოდა უკვე 7,477 კაცზე. თუ 1913 წელს სულ 41 საავადმყოფო იყო 2084 საწოლით, საბჭოთა ხელისუფლების დროს მათი რიცხვი 15-ჯერ გაიზარდა. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში დაარსდა სახელმწიფო გამოცემლობა. 1924 წლისათვის საქართველოში იყო უკვე 15-ზე მეტი გამოცემლობა, სადაც გამოიცა 15,270 სახელწოდების წიგნი 88,100,000 საერთო ტირაჟით.

რევოლუციამდე სომხეთის სამრეწველო პროდუქციის ღირებულება თვითივე სულზე განი-

საზღვრებოდა 27 მილით, ეს სამეგრ ნაკლები იყო რუსეთის სამრეწველო დონეზე. სომხეთის წარმოებაში შთავარი ადგილი უკმა ხალოვნის წარმოებას, რომელსაც უტრანსკლები — ტრანსკენ მსხვილი კაპიტალისტების ხელში იყო კონიაკის წარმოებაც. სომხეთის სახალხო მეურნეობა დაწმავების ბატონობის პერიოდში განადგურების ვაზზე იდგა. სათესი ფართობი შეადგენდა 23,3%-ს 1914 წელსად შედარებით. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 12-ჯერ შემცირდა. 1920 — 1921 წელს აღდგენილი იქნა და მუშაობა განაახლა პირველმა სამრეწველო საწარმოებმა, რამდენიმე ბაზმის საშენილი წერილი საწარმო გაერთიანებული იქნა ბაზმის საშენილ ქარხანაში.

ს. ორჯონიკიძის უშუალო ინიციატივით გაფართოვდა ერევნის ელექტროსადგურები, განაახლა მუშაობა კონიაკ-არეის და ლეინის ქარხანამ „არარატმა“, რომელმაც 1924 — 25 წელს დაამზადა 80 ათასი ვედრო ლეინო. ასევე აღდგენილი იქნა ლეინის ქარხნები ენაბანში და კამარლინში ისე, რომ 1922 წლისათვის მუშაობაში იდგა 896 წერილი და მსხვილი საწარმო. წარმოებების აღდგენა-განვითარების საფუძველზე სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა ავიდა 230 ათას მანეთზე ოკროთით.

თუ 1913 წელს მუშათა რაოდენობა წარმოებაში 4,956 კაცს შეადგენდა, 1925 — 1926 წლისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 6,000 კაცით. 1923 წელს რესპუბლიკაში დათესილი იყო 41 ათასი ჰექტარი ბამბი. ს. ორჯონიკიძის უშუალო მითითებით სომხეთში 1925 წლისათვის წესრიგში მოყვანილი იქნა 18 სარწყავი არხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთის ისტორიაში პარტიის IV ყრილობას (მეფა 1925 წ. დეკემბერში), რომელმაც დასახა ახალი დონისმიხან რევოლუციური მშენებლობის ყველა დარგში. 1921 — 1925 წლებში სომხეთის სახალხო მეურნეობაში ჩიება ევროპიდან დაბრუნებული 25 ათასი მშრომელი სომხები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სომხეთში მცხოვრებთა 60% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დაწმავთა ბატონობის დროს აქ 166 დაწყებითი და საშუალო სკოლა იყო 18,600 მოსწავლით. 1928 წლისათვის არასრული საშუალო სკოლათა რიცხვი 63%-ით გაიზარდა, რის გამოც 1928-29 წელს სომხეთში ითვლებოდა 826 სკოლა 6800 მოსწავლით.

1921 წელს ერევანში გაიხსნა მოლოტოვის სახელობის უნივერსიტეტი. 1925-26 წელს სტუდენტთა რიცხვი რესპუბლიკაში 1185-ს აღწევდა. განათლების საქმეზე 1921-22 წელს დაიხარჯა 549,301 მანეთი ოკროთი, 1925-26 წელს კი ეს თანხა 2,180,256 მან., ე. ი. 4-ჯერ გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სომხეთში ძლიერ დაბალ დონეზე იდგა ჯანმრთე-

ლობის დაეცის საქმე. 1913 წელს სამხეთში იყო 6 სტაციონალური სამკურნალო დაწესებულება 16 სამედიცინო უბნით და 57 ექიმით. დამწკვირების დროს სრულიად შეწყდა ზრუნვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე.

სამქოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1923 წლისათვის საავადმყოფოთა, პოლიკლინიკათა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვმა 95%-ს მიაღწია 876 სპეციალისტით. მარტო ექიმთა რაოდენობა 108 კაცს აღწევდა. 1925 წლისათვის 151 სამედიცინო დაწესებულება იყო 1026 კაცით, აქედან მარტო ექიმი იყო 187.

გ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში ბაჟოს ნაფოს, ის პარტიის X ყრილობაზე დღევანდებს უცხადებდა: „წიათხოვთ თუ არა ვაზეთში, რომ იხსნება ბაჟო-თბილისის ნაფოსადენი? თქვენ ვალე წიათხოვთ, რომ ასეთივე ნაფოსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისკენ“¹.

მუხადგებელი ბატონობის დროს ქარხნების 30% აზერბაიჯანში დანგრეული იყო. სამქოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია ბაჟოს ნაფოს ამოღების საქმეს. გაფართოვდა ნაფოსის მრეწველობა, დანერგა ახალი ტექნიკა. ბაჟოს ნაფოს წარმოების რეკონსტრუქციას ხელმძღვანელობდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კირილი. ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ ვაზარდა ნაფოსის ამოღება. 1920 — 1921 წლებში ნაფოსის ამოღება უღრდა 152 — 243 ათას ფუტს, 1924 — 1925 წელს მან მიაღწია 264,778 ათას ფუტს.

ფართოვდება სარქონლო დაწესებულებები და მასში ჩამუშავდა მუშათა რიცხვი. 1923 წელს აზერბაიჯანის სამქოთა რესპუბლიკაში 67 საწარმო იყო 31,131 მუშით, 1925 წელს მუშათა რიცხვი 43,010-ით გაიზარდა.

ს. ორჯონიკიძის უშუალო მითითებით აზერბაიჯანში აღდგენილ იქნა ძველი და აშენებულ იქნა ახალი ქარხნები ნუხაში, ურბახში, ნახჩევანში, კიროვოკანში, განჯაში და სხვ. სააწყვეი ფაქტობის გადიდების მიზნით აზერბაიჯანის სამქოთა მთავრობამ დაიწყო საირიგაციო-სამედიცინო სამუშაოების ჩატარება, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი სისტემა აშენდა ს. ორჯონიკიძის სახელობის არხი მილსკის ველზე. რეკონსტრუირებულ იქნა მუღანზე აზერბაიჯანის სახელობის არხი, რომელიც ოდესღაც ცნობილი იყო თავისი ნაყოფიერებით.

რევოლუციამდე აზერბაიჯანში 728 დაწვებითი სკოლა იყო 5600 მოსწავლით. 1925 წლისათვის კი 1,303-ით გადიდა. მოსწავლეთა რიცხვი 12,900-ით გაიზარდა, რევოლუციამდე აზერბაიჯანში უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. 1925 წელს კი აქ უკვე 4 უმაღლესი სასწავლებელია.

1924 წელს სერგო ორჯონიკიძემ ამიერკავკასიის კ. პ. III ყრილობაზე, აღნიშნა რომ ნაფ-

ოსის ამოღება 1924 წელს 1920 წელთან შედარებით 67%-ით გაიზარდა, მისი ექსპორტი 12,354 ათას ფუტს აღწევს. ამან გამოიწვია ქვეყნის რიცხვის გაზრდაც, რამაც 49,164 მუშის მიაღწია.

აზერბაიჯანში ნაფოს მიწის ფართობი უღრდა 102,4%-ს, საქართველოში 92,8%-ს, სამხეთში 89,4%-ს. ბაჟის ნაფოსი ფართობი 1918-1920 წელს 3 ათას ჰექტარს აღწევდა, ე. ი. 25%-ს. 1925 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის აქვს 94,6%. წარმატებებს აღწევს აგრეთვე აზერბაიჯანის პარკის წარმოება. ამიერკავკასიაში 1919 წელს მიღებული იქნა 23 ათასი ფუტი აბრეშუმის პარკი, 1925 წელს — 135 ათასი ფუთით გაიზარდა. განვითარდა საირიგაციო სისტემა. საირიგაციო აღდგენილი იქნა 88.000 ჰექტარი მიწის ფართობი, სამხეთში 50.000 ჰექტარი, ბაჟოში 233 ათასი, ასევე დამატებით არჩევის გაფართოებისათვის ამიერკავკასიის მთავრობამ გადასდო 8 მილიონი მანეთი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო წინსვლის საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ თბილისში 1925 წლის 4 მარტს. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ა. კალინინმა სესიაზე აღნიშნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთო ოჯახში შესვლის უდიდესი მნიშვნელობა.

1926 წლის სექტემბრიდან ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ს. ორჯონიკიძე მუშაობს ჩრდილოკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

იგი სისტემატად იზრდოდა ყოველგვარი გადახრებისა და ლენინური ნორმის ურყევად შესრულებისათვის.

1926 წელს 9 ოქტომბერს როსტოვ-ნახჩევანის პარტიულ თათბირზე სერგო მკაცრი კრიტიკით გამოვიდა „ახალი თბილისის“ წინააღმდეგ და აღნიშნა: „ლიბ, ჩვენ ვეკონდა რეინსებური დისციპლინა, ღიახ, ვმოქმედობთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მითითებით, ჩვენი ბელადის — ვლადიმერ ილიასძის მითითებით. სწორედ შეურყვევლმა ერთიანობამ და რეინსებურმა დისციპლინამ მოგვცა საშუალება დავაგებოთ ყველა სიძულვე და მოგვეხდინა არაჩვეულებრივად რთული მანევრები ისტორიის მკვეთრ მობრუნებათა დროს“¹.

1926 წ. 3 ნოემბერს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალური საკონსტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. კომისიის თავმჯდომარეთა და დანიშნა სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარად. ცენტრალურ საკონსტროლო კომისიის ს. ორ-

¹ Г. К. Орджоникидзе, „Избранные статьи и речи“, стр. 455, 1956 г.

¹ გ. ი. ლენინი, თბ., ტ. 32, გვ. 329.

ჯონიკიძე სათავეში ჩაუდგა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების უძნელეს პერიოდში, მაშინ, როცა ტროცისტულ-ზინოვიევერი ბლოკი გაერთიანდა და საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის აშკარა კონტრ-რევოლუციურ მეთოდებზე გადავიდა.

ს. ორჯონიკიძეს გამანადგურებელი იერიში მიაქვს სოციალისტურ სამშობლოს მოლატეებზე, მთელი სიმტკიცით და თავდადებით იცავს პარტიის სიმტკიცესა და ერთიანობას.

1930 წლის 10 ნოემბერს ს. ორჯონიკიძე დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო მურენეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დეკემბრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებით ორჯონიკიძე შეყვანილი იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში.

სერგო ორჯონიკიძე ყოველთვის ბირნათლად ასრულებდა ერთდღეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დავალებებს. მას მუდამ მტკიცედ და მაღლა ეჭირა ლენინური პარტიის საბრძოლო დროშა. ის იყო საუკეთესო ნიშნში ბოლშევიკი — ხელმძღვანელისა.

სახალხო მურენეობის უმაღლესი საბჭოს რე-

ორგანიზაციის შემდეგ სერგო ინიშნება მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად.

სერგო ორჯონიკიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტახანოვურ მოძრაობის გაშლისა და განვითარებაში. პარტიამ სერგო ორჯონიკიძე დააყენა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოსტზე, მისი ხელმძღვანელობით სოციალისტურმა ინდუსტრიამ დიდი გამარჯვებები მოიპოვა. მან მრეწველობაში გამოზარდა სამეურნეო მუშაობისა და მუშა-სტახანოველების შესანიშნავი კადრები.

სერგო ყოველთვის ბოლშევიკურად უღვაწოდა საკითხს და მისი გადაწყვეტის დროს ვ. ი. ლენინურ მეთოდს იყენებდა. პარტია სერგო ორჯონიკიძეს ყოველთვის ანდობდა ბრძოლისა და მშენებლობის ყველაზე პასუხისმგებ, გადაწყვეტ უზენეს. ის იყო ნიშნში ბოლშევიკი ხელმძღვანელისა. მისთვის არაფერი იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მოვალეობა პარტიის წინაშე, ბრძოლა სამშობლოს ინტერესებისათვის, მუშათა კლასის რევოლუციის საქმისათვის, კომუნისტების საქმისათვის. მან მთელი თავისი შესანიშნავი საცოცხლე შესწირა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას. ის იყო პარტიის ერთიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი, სოციალისტური მოძრაობის უმაღლო ოსტატი.



ტიპიურობის შესახებ

ეს თეტიკის საკითხთა შორის განსაკუთრებულად ადვილი უქირავე ტიპიურობის საკითხის, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექვს მხატვრული ლიტერატურისათვის, ვინაიდან ტიპიურ სახეთა შექმნის ოსტატობის დაუფლების გარეშე არ არსებობს ნამდვილი მხატვრულობა. შემთხვევითი როდია, რომ ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის იპყრობდა გამოჩენილი მწერლების, ლიტერატურისმცოდნეებისა და ფილოსოფოსთა ყურადღებას.

ტიპიურობა და კანონი ერთი რიგის ენებებშია. „კანონი არის თანაფარდობა... — წერს ვ. ი. ლენინი. — თანაფარდობა არისთა შორის“. ¹ ეს თანაფარდობა და კავშირი წარმოადგენენ საფუძველს და შეადგენენ მთელ რაგ მსგავს მოვლენათა შინაარსს, ისინი არსებობენ ობიექტურად, ადამიანის შეგნებისაგან დამოუკიდებლად და აყალიბებენ სამყაროს განვითარების კანონზომიერებას. ამ ობიექტურ კანონზომიერებათა უკუქმნას წარმოადგენენ მეცნიერებას მთავარი აღმოჩენილი ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების კანონები; ასეთივეა ხელოვნების მიერ გამოვლენილი საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიური მოვლენები. მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონები ადასტურებენ, რომ ობიექტური კანონზომიერებან — ესაა ამა თუ იმ მოვლენის ანდა მათ მხარეთა განვითარების კავშირი, თანაფარდობა, დამოკიდებულება ან ურთიერთპირობითობის ყოველი კანონი, ყოველი ტიპიური წარმონაქმნი არის კავშირი და თანაფარდობა; მაგრამ ყოველი კავშირი როდღი წარმოადგენს კანონს, ასეთია მხოლოდამხოლოდ ისეთი კავშირი, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება. ეს თვისებანა არსებითობა. არსებითი კი ეწოდება ისეთ კავშირს, რომელიც საყოველთაო და აუცილებელია.

მეცნიერება, ცნებათა გამოყენებით, აღმოაჩენს კანონებს, რომლებიც გამოხატავენ სინამდვილის განვითარების არსებით კავშირს. ხელოვნება ასახავს სინამდვილეს მხატვრულ ფორმებში და გამოავლენს ტიპურს, რომელიც წარმოადგენს მოცემულ სოციალურ-ისტორიულ მოვლენის განვითარების არსებით კავშირს. ამიტომ კანონს მეცნიერებაში შეესაბამება ტიპიური ხელოვნებასა და ლიტერატურასა.

სწორედ ეს შესაბამება ჰქონდა მხედველობას ვ. შარქის, როცა ის ამტკიცებდა, რომ „ინგლისის რომანისტთა თანამედროვე ბრწყინვალე

სკოლამ, რომლის თვალსაჩინო და-მკვერმეტყველურმა აღწერილობებმა ნათელი გახადეს მთელი მსოფლიოსათვის უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური კუშმარტიბანია, ვიდრე ეს გააკეთა ერთად აღებულმა ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა, — ასახა ბურჟუაზიის ყველა ფენა“.

ლაფარგი თავის „მოგონებებში მარქსის შესახებ“ აღნიშნავს, რომ მარქსი მიუთითებდა ბალზაქის მიერ საზოგადოებრივი განვითარების ისეთ ტენდენციების განსჭერებაზე, „რომლებიც ლედოვიკ — ფილიპეს დროს ჯერ კიდევ ჩანასახურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ხოლო განვითარებას მიიღწიეს უკვე შემდგომში, ნაპოლეონ III-ის დროს“.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „თუკი ჩვენ წინაშე დგას მართლაც დიდი მხატვარი, მაშინ რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე მან უნდა ასახოს თავის ნაწარმოებებში“. ეს ხდება იმის დგამო, რომ ლიტერატურის ობიექტს წარმოადგენს სინამდვილე, საზოგადოებრივი ადამიანის სინამდვილე ანდა, ა. მ. გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანთმცოდნეობა“. არსებობს ასობით მგავალითი იმისა, როცა ლიტერატურა, ისე როგორც მეცნიერება, გამოავლენს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას.

ასეთია თუნდაც მგავალითი ჩვენი „ხალხოსანი“ მწერლებისა, რომელთაც, მიუხედავად მათი სოციალური მსოფლმხედველობის გარკვეული შეზღუდულობისა, სწორად ასახეს კაპიტალიზმის განვითარების ზოგიერთი კანონზომიერება ქართულ სოფელში (ნ. ლომოური, ს. მგალაბლიშვილი, ე. ვაბაშვილი და სხვ.).

სამყაროს ერთიანობა გულისხმობს ამ საყოველთაო კანონთა არსებობას, რომლებიც ერთიანი მხატვრის არსებობის თვითველ ფორმასში გამოავლენენ თავიანთ სპეციფიკას, მკლანდებთან რა კერძო კანონთა სახით.

ყოველი უფრო მეტად საყოველთაო კანონი გამოვლენს როგორც მთავარი კანონი უფრო ნაკლებად საყოველთაო, სპეციალური კანონების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ მის კონკრეტულ-ისტორიულ გამოვლინებას.

წარმოებულა ძალევისა და სწარმოო ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებანი საყოველთაო კანონებია ერთსახეობანი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყველა ფაზისათვის, თუმცა მათი რეალიზაცია ყოველ ფორმაციაში სხვადასხვაგვარად ხდება. ისინი სხვადასხვაგვარად მკლანდებთან ნიორფეროვან საზოგად-

¹ ვ. ი. ლენინი. ფილოსოფიური რეკლემები. 1947 წ., გვ. 128.

დობრივ მოვლენებში. ხელოვნებაში ასეთ საყოველთაო კანონებს შეესაბამება ტიპური.

როცა ბელისკი აყენებდა ტიპიურობის პრინციპს, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს, ტიპური სახე მას მიაჩნდა, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად არსებითი განზოგადების ფორმად. „რა არის ტიპი შემოქმედებაში? — აღმაიანი — აღმაიანები, სახე — სახეები, ე. ი. აღმაიანის ისეთი გამოხატულება, რომელიც შეიცავს მრავალს, მთელ განყოფილებას — აღმაიანთა, რომლებიც გამოხატავენ ერთსა და იმავე იდეას“¹.

„უკუშარიტი ნიჟისათვის თვითიული სახე ტიპია, და თვითიული ტიპი მკითხველისათვის არის ნაინბო უტენი... მართლაც, რენეინი, ლენსკი, ტატაიანი, ზარეკი, რეპეტლოვი, ხელსტოვა, ტრეპუხოვეცი, პლატონ მიხეილისძე გორიში, თავადის ქალი შიში, პულხერია ივანეს ასული, პასკარევი, პირაგოვი, — განა ვეცა ეს საყოველთარი სახელი ახლა უკვე საზოგადო სახელი არაა? და ლმერთო ჩემო, რაოღერ ახრს შეიცავს თვითიული მოთვანიც ესა მოთხრობა, რომინი, ისტორია, პოემა, დრამა, მრავალტომიანი წიგნი, მოკლედი მთელი საყვარო მხოლოდ ერთ სიტყვაში“².

უპველია, რომ ესთეტიკის ერთ-ერთ მოვარ საკითხად დიდ კრიტიკოსს მიაჩნდა ხელოვნების კანონთა შესწავლა, ამასთან ის როდი იფარგლებოდა სინამდვილის მხატვრული შემეცნების წყაროსა და საშუალებათა შესახებ საკითხებო, არამედ, სათანადო ნაწარმოებთა შექმნისას აუტონომად თვლიდა ხელოვნების კანონებისადმი განუხრადლად მიყოლას და აყენებდა საკითხს ამ კანონთა ობიექტური ხასიათის შესახებ.

ტიპიურობის ნიშნის წამოყენებისას ბელისსკი აღნიშნავდა, რომ სახე-ტიპის შექმნის დროს განზოგადების პროცესში, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება გამოხატველი მოვლენის არსი. „მხატვრულ ნაწარმოებში ყოველთვის უნდა მიეწოდეთ არა მარტო გარეგნულ მსგავსებას, არამედ ორიგინალის მთელ სულსა და გულს“³.

„პოეტისათვის არ არსებობს წველიადი და შემთხვევითი მოვლენები, არამედ მარტოოდენ იდეალები ანდა ტიპური სახეები“⁴. ამ ტიპიურობის შესახებ მოძღვრების დამუშავებისას ბელისსკი ხშირბის ტერმინს „იდეალი“⁵. მისთან ბელისსკისათვის, „იდეალი“ შედეგია იმისა, რაც აღიქმება სინამდვილეში, რაღაც განზოგადებული და გამოხატულ სახე-ტიპის საშეილებებით. ამგ-

ვარად, ამ კონტექსტში ბელისსკისათვის ცნება „იდეალი“ და „ტიპი“ ერთი და იგივეა. „ახლო „იდეალიში“ გულისხმობენ ვახველიძის სიტყვით სიტყვებს ან ბავშვურ ფანტაზიას კი არა, არამედ სინამდვილის ფაქტს, ისეთს, როგორიც ის არის. მაგრამ ფაქტს, სინამდვილიდან გადმოღებულს კი არა, არამედ პოეტის ფანტაზიაში გატარებულს. საყოველთაო (და არა განსაკუთრებული, კერძო, შემთხვევითი) მნიშვნელობის შუქით გასიზონსებულს, ქმნილების მწვერვალამდე აყვანილს და ამიტომაც უფრო მეტად მსგავს თავისთავისადში, ვიდრე იქნება სწორი ორიგინალთან, სინამდვილიდან სიტყვისიტყვით გადმოცემული ასლი“⁶.

ასეთი თვალსაზრისით განიხილავს ბელისსკი, მთავრობად, ტიპიანს სახეს⁷.

ბელისსკი, ლიტერატურაში ტიპიურობის პრაბლემების დამუშავებისას ლაბარაკობდა ტიპიური ხასიათის შესახებ. მისი აზრით, ხელოვნების ძლიერება მდგომარეობს იმაში, რომ „თავისთავად არც ისე ღირსშესანიშნავ სახეს ხელოვნების საშუალებით ენიჭება ვეელსათვის თანაბრად საინტერესო საყოველთაო მნიშვნელობა“⁸. ამ ბელისსკი მიუახლოვდა ტიპიურობის, როგორც ობიექტური კანონზომიერების, ვაგებას. რეალური სინამდვილისა და აღმაიანის თავში მისი უყუფენის ობიექტური კანონზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ბელისსკი საფუძველს უყრიდა მატერიალისტურ ესთეტიკას.

მაგრამ გასული საუკუნის 40-იან წლებში ბელისსკის ჯერ კიდევ არ შექმლია მოცუა გაშლილი მოძღვრება ტიპიურობის შესახებ. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ რევოლუციური გადტრიალების შემდეგ, რომელიც მოახდინეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ისტორიის მატერილისტურად ვაგების საფუძველზე. ვეელფერ ამასთან ერთად ბელისსკიმ შექმლია მისგლა ხელოვნების კანონთა ობიექტურობის სწორად ვაგებისთან.

„ტიპი ხელოვნებაში იგივეა, რაც გვარი და სახე ბუნებაში“, — ასეთია ბელისსკის გამოსავალი პოზიცია ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიმართ. ის მსჯელობდა ასე: „როცა რომინსა ან მოთხრობაში არ არის სახე და გამოსახულება, არ არის ხასიათები, არ არის არავითარი ტიპური ძირსა რაც უნდა სწორად და გულისხმობად არ იყოს ნატურლიდან გადმოღებული ვეელფერი, რაც მასშია მოთხრობილი, მკითხველი ვერ დაინახავს იქ ვერავითარ ბუნებრიობას, ვერ შენიშნავს ვერავითარ სწორად შემწვეულს, მარჯედ მწერებულს. მის თვალში აირევიან სახეები მოთხრობაში ის დაინახავს არე-დარედუ და გავაშ-

¹ ბელისსკი, „რეცენზია 1838 წ. სოფრემენიკზე“.

² ბელისსკი „რუსულ მოთხრობებსა და გოგოლის მოთხრობებზე“.

³ ბელისსკი, „აზრები და შენიშვნები“ 1847 წლის რუსულ ლიტერატურაზე“.

⁴ ბელისსკი, ლერმონტოვის ლექსები.

⁵ ბელისსკი, „შეხედულება 1847 წ. რუსულ ლიტერატურაზე“.

⁶ ბელისსკი, „მეცხრე სტატია პუშკინის შესახებ“.

⁷ ბელისსკი, „ლერმონტოვის ლექსები“.

მარ ამბებს. შეუძლებელია ხელოვნების კანონთა დაუსჯელო დარღვევა“¹.

იბრაჰიმდენ რა ხალხური რეალისტური ლიტერატურისათვის, ჩერჩიშვესკი და დობროლიუნიანი, ისე როგორც ბელნსკი, გამოდიოდნენ სახე-ტიპის, როგორც ყოველი მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური საფუძვლის, პრინციპიდან. ბელნსკის შემდეგ ჩერჩიშვესკი იბრაჰიმა ხელოვნებისათვის, რომელიც გამოავლენდა სიზოვადობრივ მოვლენათა და ხასიათთა არსს. ერთადერთი იდეალიზაცია, რომელსაც იგი ხელოვნებისათვის აუცილებლად თვლიდა, ეს იყო პოეტური ნაწარმოებიდან უსარგებლო დაწვრილებითი ამბების გამოარჩევა, როგორც არ უნდა იყოს ეს დაწვრილებითი ამბები. ბელნსკის მიმდევრები ყოველთვის აღნიშნავდნენ მოვლენის არსის სახეებში — ტიპებში გამოხატვის აუცილებლობას. ჰემსბირტი ნიჭი, დობროლიუნიანი ახრით, ხასიათდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმად მოიცავს მწერალი თავისი მხატვრული სახეებით ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მწერალი „ჭმის ტიპს, რომელიც გამოხატავს ამ სახის ყველა კერძო მოვლენათა ყველა არსებით მხარეს, რაც წინათ შეგინდელი იყო მხატვრის მიერ“. ამ თვალსაზრისით, დობროლიუნიანი განიხილავდა, მგვალითად, აღმომოვიდა და სხვათა ტიპებს; მხედრინი აღნიშნავდა გამოსახატველი ობიექტის არა მარტო ფსიქოლოგიურა, არამედ სოციალური ბუნების გახსნის აუცილებლობას. ტიპის გაცემა და განმარტება, მხედრინის აზრით, ნიშნავს „გვიგო და განმარტო“ ტიპიური მხარეები თვით მდგომარეობისა, რომელსაც ისინი არათუ არ ფარავენ და ახსოვან, არამედ, პირაქით, მათი დახმარებით ის უფრო თვალსაჩინო და რეალურად იხდებიან“.



ტიპიურობის ბუნების მარქსისტულ-ლენინური გაცემა მოითხოვს, ერთი მხრივ, ტიპიურობის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებისა და მეორე მხრივ, ხელოვნებაში ტიპიურობის ერთმანეთისაგან ზუსტ განსხვავებას. ტიპიურობა ხელოვნებაში არის განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენათა ობიექტური კანონზომიერი კავშირის უწყვეტა შეგნებაში, გაშეაღებული ცხოვრებათა და მხატვრის შემოქმედებით. ტიპიურობის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერების, გაიყვებას ტიპიურობასთან ხელოვნებაში მიყვარათ მარქსისტული ესთეტიკის ეულგარეზაიასთან. ტიპიურობა ხელოვნებაში იგვეყ კა არა, რაც ტიპიურობა როგორც ობიექტური კანონზომიერება. ტიპიურობა ხელოვნებაში — ესაა პოეტის შემოქმედებითი შეგნების პროდუქტა, რომელიც მხატვრულად ასახავს

ცხოვრების სიმაართეს; ხელოვნების ნაწარმოებები — პოეტის, მხატვრის, კომპოზიტორის მიერ ამა თუ იმ მოვლენის მხატვრული შეცნობის ფაქტია, იმ დროს, როდესაც ობიექტური ტიპიური მხარეები არის თვით სინამდვილის „ასახეობითი მოვლენები“. გნოსეოლოგიურ ასპექტში ამას ერთვის განსხვავება ხელოვნების ტიპიურობისა და სინამდვილის ტიპიურობის შორის.

არ შეიძლება უარყოთ ხელოვნების შემქენებითი მნიშვნელობა, თუმცა ხელოვნებასაც და შეცნეებრებასაც აქვთ თავთავიანთი სპეციფიკა. საყაროს მხატვრული ათვისება არ შემოიფარგლება მგრძობნელობითი შემქენებით, არამედ მოიცავს აზროვნებასაც.

მხატვარი ეწვევა ობიექტური სინამდვილის თავისებურ განზოგადებას. ცხოვრებისეულ მოვლენათა ანალიზებისას, ის ააშკარავებს მათი განვითარების ტენდენციის, რაც შეუძლებელია აბსტრაქტული აზროვნების ვარეშე. ჰმის რა ტიპი ურ სახეებს, რომლებიც თავიანთი განზოგადებებით მხარეებით დამოკიდებულნი არიან აბსტრაქტულ აზროვნებაზე, მწერალი გამოხატავს მათ ცალკეულის ფორმაში. ეს კერძობითი, ინდივიდუალური მხარეები წარმოადგენენ მხატვრის წარმოსახვის საშუალებებს საყოველთაოს, კანონზომიერების გამოხატავად.

ტიპიური ხელოვნებაში წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ობიექტურ კანონზომიერ მხარეთა სუბიექტურ უყუფენას, რომლებიც სახეცვლილია მწერლის მხატვრული შემქენებით.

ტიპიური ხელოვნებაში შესაბამება მეცნიერების კანონებს. მაგრამ თუ მეცნიერებაში ობიექტურ კანონზომიერებათა უყუფენის ლოგიკურ ფორმას წარმოადგენენ აბსტრაქტული განზოგადებანი და დებულებები, ხელოვნებაში საზოგადოებრივ მოვლენათა უყუფენის ფორმაა მხატვრული სახე. ყველაფერ ამასთან სახე ხელოვნებაში არის არა მარტო გამოხატვის საშუალება, არამედ სინამდვილის მხატვრული შემქენების საშუალება.

დებულება მხატვრული და მეცნიერული შემქენების ერთიანი გნოსეოლოგიური საფუძვლის შესახებ წამოყენებულ იყო ვერ კიდევ რუსი რევოლუციური დემოკრატების მიერ.

მხატვრული სახე, ისე როგორც ცნება, ასახავს სინამდვილეს გაშეაღებით, მაგრამ ცნებისაგან განსხვავებთ, სახე განზოგადებისა და ტიპიურობის დროს ინარჩუნებს კონკრეტულ მგრძობნელობათს გამოხატულებას, ამასთან მხატვრული სახე, წარმოადგენს რა სინამდვილის ასახვის სპეციფიკურ ფორმას, ხსნის კანონზომიერ კავშირს ცალკეულის საშუალებით, რომელშიც თავს იჩენს ტიპიურობა.

მხატვრული სახე მრავალსახეობიანი: მრავალსახეობა პირობადებულა მოვლენათა ხასიათით და ჩვენს ცოდნით მათზე, პირობადებულა მხატვრის მიზნებით, ყველაფერი ეს საჭიროა

¹ ბელნსკი, „აზრები 1847 წლის რუსულ ლიტერატურაზე“.

ტიპიურობის გასასწავლად კონკრეტულ გამოხატვის ფორმაში. მხატვრული გამოხატვის, დახასიათებისა და ა. შ. სიშეაღებებით ტიპიურობის შინაარსის გახსნისას მწერალი თავისი წინასწარს ყველა დეტალს, რომელიც მნიშვნელობა აქვს ყოველი ადამიანის, ყოველგვარი გარემოს აღწერის დროს.

ცხოვრების შემთხვევით მხარეებსა და განსაკუთრებულ გარემოებებს შეუძლიათ დააღწიონ ადამიანს ესა თუ ის დანი, რომელიც დამახასიათებელია ინდივიდის ფორმირების პროცესისათვის. რასაკვირველია, პიროვნების ცხოვრების ძირითადი ხაზი მიმდინარეობს საზოგადოების განვითარების საერთო ტენდენციის შესაბამისად; საერთო სურათი იქმნება მიზეზობრივ კავშირთა მთელს მასასთან დაკავშირებით. ეს კავშირები, აქედან რა მრავალფეროვან თანაფარდობებს ძირითადი ტენდენციის ფარგლებში, აპირობადენენ ინდივიდუალურ მოვლენათა თავისებურებას. აქ შევადგინებ საერთო და ინდივიდუალურის დიალექტიკური ერთიანობა, რომელიც განსაზღვრულია იმისა, რომ რომანტში გამოყვანილი გმირები ხდებიან საზოგადოებრივი განვითარების საერთო პირობათა გამოშვებულნი. საერთო ტენდენციები გამოდიან მოპირდაპირე განცდებში და თავიანთ გამოხატულებას პოულობენ ინდივიდუალურ ფორმებში. ამგვარად, ზეგნება, ინდივიდუალური ხასიათებისა და სიბუნდო საერთო პირობებისა, რომლებიც უშუალო უკუფენის მხატვრულ სახეებში რეზუმირდებიან, გვაძლევს ტიპიურობის გახსნის საშუალებას. ამ შემთხვევაში მხატვრული სახე ასახავს ცხოვრების ობიექტურ შინაარსს და, აფიქსირებს რა ყველაზე არსებით მასში, ტიპიურობის სიშეაღებებით წარმოქმნის მოცემული საზოგადოებრივი მოვლენის არსებით მხატვრებს. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ტიპიური გაშლილია მხატვრულ სახეებში, თავსაჩინო ზღვება, შეესაბამება თუ არა ცხოვრებას გამოხატულებას.

მხატვრულ-საზოგადოებრივი შექმნება ემორჩილება უკუფენის შარქსისტულ-ლენინური თეორიის საერთო კანონებს. ამ კანონების თანახმად, ყოველი წარმოდგენა და ცნება, ისე როგორც მხატვრული სახე, არის ობიექტური სამყაროს სუბიექტური სახე, მატერიალური შინაარსის იდეალური ფორმა.

გამოავლენს რა ობიექტურ სინამდვილეს, მხატვარი აზროვნებს სახეებით; სახეების შექმნისას ის ყოველთვის გამოდის უშუალო დაკვირვებიდან, ანტიკურ, რომანტიკულ უფრო მეტი აქვს მხატვარს დაკვირვებათა მარაგი, მით უფრო მჭიდროდაა ის დაკავშირებული თავისი ხალხის ცხოვრებასთან. მით უფრო ნათელია და მართალი მის მიერ შექმნილი სახეები.

მხატვრის უშუალო შთაბეჭდილებებში თავს იყრის კოლნათა მთელი ჯგეფი, რომელიც გამოთქმულია კაცობრიობამ. მხატვრის საზოგადოებრივი პრაქტიკული განსაზღვრავს და აპირობადებს

მისი მხატვრული სახეების სიმდიდრეს. მაგრამ სრულფასოვანი მხატვრული დასრულების შესაქმნელად რადი კმარა მარტო ობიექტური შთაბეჭდილებები, რა გინდ უნდა არ უნდა იყოს მათი მარაგი.

იმისათვის, რომ სწორად წარმოქმნას სინამდვილე სახეებში, მხატვარს უნდა გააჩნდეს აგრეთვე აბსტრაქტული აზროვნებისა და დაკვირვებისაგან მიღებული ფაქტების განზოგადების უნარი, მან უნდა იცოდეს ცხოვრებისეულ მოვლენათა განვითარების კანონზომიერება, რადგან მხატვრული სახის სიმართლისათვის საჭიროა გამოვლინდეს კანონზომიერი კავშირი და თანაფარდობა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შორის.

რეალისტური ლიტერატურის ნამდვილად მხატვრული ნაწარმოები მეტყველებს იმაზე, რომ მხატვარს სინამდვილის შეცნობის დროს აქვს ისეთი საშუალებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მეცნიერული გამოკვლევის საშუალებებს. «დაკვირვება, შესწავლა, შედარება — ეს ოჯიგეა, რაც ზღვება ყოველს მეცნიერებაში. იმისათვის, რომ მივიღეთ ასეთსავე დასკვნასთან, ავიგოთ პიპოთეზა, საჭიროა ცდის მატარება. პიპოთეზა — ეს ოჯიგე ტიპია», წერდა ა. შ. გორკი. ეს გასაგებია, რადგან როგორც მეცნიერი, ისე მხატვარი ეყრდნობა შემეცნების საშუალებას, მაგრამ მეცნიერულიდან განსხვავებით შემეცნების მხატვრული ფორმა ხასიათდება სინამდვილის ასახვის ესთეტიკური ასპექტით. სამყაროს ესთეტიკურის მნიშვნელოვან სპეციფიკურ ელემენტს. ამიტომ მხატვარი აღიქვამს სინამდვილეს კონკრეტულ-გერმანულიაობითის ფორმაში. ეწევა რაციალური ფაქტების ანალიზს, მწერალი გამოავლენს საერთოს, ტიპიურობს და გვიჩვენებს მის ინდივიდუალურ ფორმას.

ხელოვნების კანონი არის ადამიანთა შეგნებაში რაიმე ობიექტური არსებითი კავშირის პრაქტიკული გამოხატული უკუფენა; თვით მხატვრულმა სახეებმა ანდა სახეთა ჯგუფებმა კი უნდა შეავსონ და დააზრდონ ერთმანეთი.

ბურჟუაზიულ სუბიექტურ კრიტიკაში ობიექტურ კანონთა უარყოფას მიეჯავრთ ესთეტიკური კანონზომიერებათა ვინების წმინდა კონსტრუქციებიდან განმარტებისაკენ.

ხელოვნებაში უნდა მოიკვას რთულ ადამიანურ ხასიათთა საფუძვლის შემადგენელი მხარეები, გამოხატოს ისინი მხატვრული სახეების საშუალებებით, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნების ეს საშუალებები და მისი შესაბამისი მხატვრული სახეები არის ნამდვილ მოვლენათა თავისებულის უკუფენა. სუბიექტიურობები ედილობენ ჩამოაციონ მხატვრული აღქმის საშუალებები და აბსტრაქციები იმ სინამდვილეს, რომელიც შეადგენს მათ გამოხატულ მასას.

ფ. ენგელსმა გვიჩვენა, რომ ხელოვნების ში-

ნაარსი არის რეალური საგნების თვისებათა და თანაფარდობათა უკუფენა, და თავით ესთეტიკა მისი ცნებებითა და კატეგორიებით არის განსაზღვრულ ადამიანურ ურთიერთობათა განყენებულ უკუფენა და წარმოიშვა ადამიანთა პრაქტიკული საჭიროებებისაგან.

შემოქმედების მთავარი წინაპირობაა ცხოვრებისეული მისალა, ამიტომ, როგორც ა. მ. გორკი ამბობდა, მხატვარმა უნდა „ისწავლოს დაკვირვება, შედარება, კლასობრივ-ტიპიურის შერჩევა... უნდა გაარჩიოს ცნებებში ძველი ცხოვრების მზა-მი და ახლის სიტყვობა“.

ასტრატურება და კონკრეტიზება ხელოვნებაში დაუშვებელია მხატვრის მიერ მისალისადმი ემოციური დამოკიდებულების გარეშე. თავის დროზე გლანკამ განაცხადა, რომ, როცა ის წერდა პოლონელებთან ერთად ტყეში სუსანიის მოსვლის სცენას, იგი „ციცხლად გადადიოდა გვირის გარძობებში“.

ჩაიკოვსკიმ აღნიშნა, რომ ოპერა „პეის ქალის“ უკანასკნელი ეპიზოდის დამთავრებისას მას ისე შეებარა გერმანი, რომ დასტროიდის მას. ჩაიკოვსკიმ ღრმად განიცადა გერმანიის სიყვადილი და შეძლო უდიდესი ძლიერებით ეჩვენებინა თავისი გვირის ტრაგედია, წარმოშობილი მოვლენათა რეალურ მსვლელობასთან ბედნიერების ოცნებათა შეჯახების საფუძველზე.



ჯერ კიდევ რევოლუციურმა დემოკრატებმა დაადგინეს ტიპიურობა არა მარტო საერთოდ ვარკლებულის, არამედ განსაკუთრებულისაც, თუ ეს განსაკუთრებული იყო სიმპტომი მზარდი ახლისა, მომავლის შუქით გაბრწყინებულისა. ნ. გ. ჩერნიშევსკი რეცენზიაში, ოგარიოვის ლექსების შესახებ ლაპარაკობდა რა ლირიკულ გმირზე, აღნიშნავდა: „სახე, გარკნობები და აზრები, რომელსაც ვაიცილობთ და ვაჩვენებ ბ. ოგარიოვის პოეზიაში, ტაბიური სახეა“, რადგან ოგარიოვის პოეზიაში „გამოხატულება პოვა მნიშვნელოვან-მა მომენტებმა ჩვენი სწოვადოების განვითარებაში“, თუქცა აშკარად ოგარიოვის პოეზია „ნახევრადდავიწყებულა“. ამგვარადვე იხილავდა დობროლებოვე ოღა ილინსკაიას, ელენე სტიხოვას, კატერინას სახეებს. ელენე სტიხოვზე ის წერდა: „ელენეს ხასიათი იმგვარად როგორც იგი მოფიქრებულია ძირითადში, განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს... მაგრამ „როგორც ჩვენს საზოგადოებაში განვითარებაში მყოფ საუკეთესო ელემენტთან შედგენილი იდეალური სახე რეალურ გასაგები და ახლახელია ჩვენთვის“.

რევოლუციური პრაქტიკა ხელს უწყობდა განსაკუთრებულში ტიპიურობის გააზრებას. ამ აზრს შეეფიოდ გამოხატავდა შჩედრინი, როცა ამბობდა, რომ „ლიტერატურა წინასწარკვერტს მომავლის კანონებს, აღიქვამს მომავლის ადამიანის სახეს“.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, უპასუხებს რა მთელი საბჭოთა „დემოკრატის“ მოთხოვნებს, გამოხატავს საბჭოთა სოციალისტური მის რევოლუციურ განვითარებაში. ტიპიურობის დროს უნდა ავსახოთ ის, რაც უდიდესი სისავსითა და გამაბილებით გამოხატავს ახალი მოვლენის არსს, მის ძალას, მისი განვითარების უძლეელობას.

დამახასიათებელის ტიპიზირება ითვალისწინებს წინასწარგანკვერტის, იმის ნათლად წარმოდგენის უნარს, თუ რა მიმართულებით ვითარდება ცხოვრება და მოვლენები. მწერალს უნდა შეეძლოს აშკარაში დაინახოს მომავლის ჩანასახები და გამოავლინოს ისინი. ტიპიური შეიძლება იყოს ჯერ კიდევ დაუდგენელი მოვლენები და ხასიათები.

გულასმით შეისწავლის რა ძველისა და ახლის ბრძოლის პროცესს, მხატვარს თავისი სახეები ამოაქვს, უწინარეს ყოვლისა, მომავლისაკენ ცხოვრების მოძრაობიდან, თანამედროვეობის მოწინავე იდეებზე დაყრდნობით. მხატვარი საყოველთაო აღიარებას პოუვს, თუ მისი ნაწარმოებები წინასწარ განკვერტენ მომავლის იდეებს. საბჭოთა ლიტერატურა, ტიპიური სახეების შექმნისას, ასახავს მთლიან არა მარტო წარსულსა და აშკარა, არამედ მომავალსაც.

ა. მ. გორკი, ლაპარაკობდა რა მხატვრული შემოქმედების პრაქტიკასთან შეფარდებით წინასწარ განკვერტის შესახებ, ამტკიცებდა, რომ „ჩვენ უნდა ვიცნობდეთ არა მარტო ორ სინამდვილეს წარსულსა და აშკარა — იმით, რომლის შემოქმედებაშიც ჩვენ ვღებულობთ სათანადო მონაწილეობას. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ კიდევ მესამე სინამდვილესაც — მომავლის სინამდვილესაც... ამ სიტყვებს მესამე სინამდვილის შესახებ მე გონებასახელობისთვის როდი წარმოვითქვამ, სრულიადაც არა. იმით შე ვგარძობ, როგორც ეპოქის გადაშენებულ კომანდას, როგორც რევოლუციურ მოწოდებს“.

ამ „მესამე სინამდვილის“ ჩანასახები თვით აშკარაშია. მათ ეკუთვნით მომაველი, რადგან ახალს უძლეელი ძალა აქვს. როცა ა. მ. გორკი მუშაობდა თავის რომან „დღეაზე“, მშინ ისეთი ადამიანები, როგორცაა ნილოვნი და პავლე ვლასოვი ჯერ კიდევ იმეოით მოვლენებში იყვნენ, მაგრამ მათ ეკუთვნოდათ მომაველი.

მხატვრის ამოცანაა, რათა ცხოვრების ღრმად ცოდნის საფუძველზე შეძლოს მხატვრულ სახეებში უჩვეულის შეთხვევლს ახალი ცხოვრებაში, გაამდიდროს შეთხვევლის შეგნება და ხელოვნების საშუალებებით ხელი შეუწყოს ამ ჩანასახთა გამოზრდასა და განმტკიცებას. ანსახიერებს რა მხატვრულ სახეებში ახალს, ცხოვრებაში წარმოშობილს, მხატვარი ხელმისაწვდომად ხდის ამ

! გორკი, ლიტერატურის შესახებ, მე-3 გამოც., გვ. 499.

შალს მასობრივი მეთხველისა და მყუდრებლ-სათვის.

მხატვრული სახე მაშინ ზღვება ტიპი, თუ მასში აბსტრაქტიზებულია მოვლენის გარეგანი ნიშნები კი არა, არამედ ცხოვრების მთელი შინაარსი.

ლიტერატურაში არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ გარეგან მხარეთა ვაშლისხვით, საყიროთა სიღრმეში შეჭრა, არის გამოვლენა.

„ჯერ კიდევ ნეკროსოვი და სალტაციოვი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატუნუმობის მორტფილავ შემამულის განათლებულობის შეღამაზებუელი და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულელი სისეთი ტიპების ფარსიეელობისა და უსულგულობისადმი...“¹ ამ დებულებების საილუსტრაციოდ ვ. ი. ლენინს მოჰყავდა პენოჩინის სახე „მონადირის ჩინაწერებიდან“, გარეგნულად ეს დელიკატური, თავზიანი, თითქოს განათლებული აღამიანი, არსებობდა კი გარყვნილი მებატონე-ტურგენევიამ ამ სახეში, ვ. ი. ლენინის აზრით, იმდენად მკაფიოდ ამოხსნა მებატონის ტიპის არსი, რომ პენოჩინის სახეს არ დაუკარგავს თავისი რეალისტური სიმბავილე მრავალი მოღვაწე-ლიტერატორის დასახსიათებლად.

შეერთალმა თავის ნაწერებში უნდა მოგვეცეს უფრო მეტი, ვიდრე ამას ხედავს ჩვეულებრივი საშუალო აღამიანი, ეს კი შესაძლებელი ზღვება მხოლოდ გაბედული ტიპიზაციის შედეგად.

ტიპიური მოვლენის წარმოსახებითი აღბეჭდის უცოდინარობას თან სდევს წერტილში დეტალთა აღწერა, რაც აშშობს მთავარს, დამახასიათებელს. ფაქტობრივი მისაღის, მეორეხარისხოვანი და შემთხვევითი კავშირების უდიდესი რაოდენობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ამო თუ იმ ვაშის განეთარებისათვის, აბნელებს აღამიანთა ხასიათების მთავარ ძირითად მხარეებს.

საქმე ფაქტარ აღნიშვნაში კი არაა, როგორც ამბობდა შნედრინი, არამედ ფაქტის აზრის ვახსნის რელიეფურობაში.

შეერთალი უნდა შეიჭრეს საქმის შინაგან არსში, გამოვლინოს აღამიანის სულიერი წადილი, რაც აიძულებს პიროვნებას იმოქმედოს ასე, და არი სხეანარად, ამოხსნას მთავარი, რაც იძლევა რაოდენ ერთიანი შილიანის აზრს.

სურათის სწორად გადმოხატვა თავისებური ნიჭიაო, წერდა ბელინსკი, მაგრამ ეს ყველაფერი რაოდენი. ფერწერაში დახატა თქვენი ნაცნობის მეტად მსგავსი სურათი, ხლო ყველა რატომღაც უმკაყოფილოა ამოთ, რადგან ეს არა მარტო სურათია, არამედ მხატვრული ნაწარმოებობი, რომელშიც წარმოსახული უნდა იყოს არა-

მარტო გარეგნული მსგავსება; არამედ რიგინილის მთელი სული და გული.

„სიტყვიერი შემოქმედების ზელოვება; ხასიათთა და „ტიპთა“ შექმნის ზელოვება მოითხოვს წარმოსახელობას, მიხვედრას, გამომგონებლობას, — წერდა ა. მ. გორკი, — მხატვრის ფანტაზია წარმოადგენს შემეცნების ერთ-ერთ თავისებურ გზას. რეალური ცხოვრების უკუფენის სპეციფიკურ ფორმას. სწორედ ეს შემოქმედებითი ფანტაზია წარმართავს მწერალს მხატვრული სახეების ფორმით ცხოვრებისეული მასალის გადმოცემისკენ, ორგანულ ერთიანობაში კონკრეტულის, განყენებულში, სიზიაროში ცალკეულის შერწყმისაკენ“...

ამო თუ იმ ნაწარმოების ენარის ან ჩინაფიქრისაგან დამოკიდებულებით მხატვარი აირჩევს ხასიათთა ტიპიზაციის კონკრეტულ ხერხებს. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ტიპიურ სახეებს საფუძვლად უდევთ ცხოვრებით ღრმად გამსჭვალვა.

ტიპიური — ეს უწინარეს ყოვლისა კონცენტრირებული ცხოვრებაა. ისახავს რა ცხოვრებას, მხატვარმა უნდა მიიღოს მოვლენის სწორად შეფასებას — არსებითი გამოყოს მეორეხარისხოვანიდან, გამოააშკარავოს მოვლენაში მისი წინააღმდეგობები, არსებითი კავშირი და თანაფარდობაანი. მხატვარმა ამო თუ იმ მოვლენაში უნდა გამოავლინოს განმსაზღვრელი, უაღრესად დამახასიათებელი — მისი არსი.

ტიპიურ სახეთა განმარტადებელი მნიშვნელობა არათუ გვერდს უღლის ინდივიდუალურს, არამედ, ბირიქით, ინდივიდუალურს მხარეებით ავლენს მოვლენათა არსს. მაგრამ ხშირად ტიპიურს უზირისპირებს ინდივიდუალურს, ამტკიცებენ რა, თითქოს ტიპიურობას ზელოვებაში აღწევენ მხოლოდ სავრთო თვისებათა შერჩევით — ყველა ინდივიდუალური მხარის უარყოფისას. ეს თვალსაზრისი არ იძლევა შესაძლებლობას ტიპიურის ნამდვილი არსის გასახსენლად. ტიპიურობა ზელოვებაში მოიპოვება არა მარტო მსგავს მხარეთა უბრალო შეჯამებით, არამედ მოითხოვს, პირველ რიგში, არსებობს, თუილუბელის, კანონზომიერის, მთელი რიგი მოვლენისათვის საზიარის გამოქვლივებას. ამასთან ტიპიურობა ზელოვებაში ყოველთვის წარმოიქმნება მხოლოდ ინდივიდუალურ ფორმაში, კონკრეტულ სახეებსა და პიროცესებში.

ტიპიურობის არასწორ გავებას თანა სდევს ხასიათის განეთარების საზოგადოებრივი და ინდივიდუალურ მოტვირებათა ვაუბრალეობა. ვაუბრალეობამ ტიპიურობის გავებაში ზოგიერთი მწერალი მიიყვანა იქამდე, რომ საბჭოთაი აღამიანები მათს ნაწარმოებებში სტემატურად იქნენ დახატულნი.

¹ ვ. ი. ლენინი, „გრაფ გვიდინის ხსოვნას“, ტ. 13, გვ. 40.

ჯერ კიდევ ბელისკი მიუთითებდა მხატვრული ნაწარმოების გმირის ინდივიდუალური ხასიათის, აზრების, ენებების, სურვილთა, გრძნობათა და მიწრაფებათა გახსნის სპირიტუალურად, ე. ი. ყველაფერ იმას, რაც შეადგენს იდუმიანს, რაც იძლევა საშუალებას მთელი სიგრძე-სიგანით დაეინახოთ აღმიაწი.

ტიპური სახე მიიღება მხატვრის შეგნებაში რეალურად არსებულ, ინდივიდუალური მხარეების ასახულებიდან. სახე წარმოქმნის ინდივიდუალურ ხასიათს, მაგრამ სახის ბუნება უფრო სხვაგვარია, ვიდრე თვით ინდივიდის ბუნება. მაგრამ, იმისათვის, რომ ტიპური სახე უფრო წარმოადგინოს და ცოცხალი გახდეს, იგი უნდა წარმოადგინოს ინდივიდუალური მხარეების სიუხვით. ტიპური სახის შექმნის პროცესი შეიცავს კონკრეტულად აბსტრაქტულისკენ და პირველ სეღას. უნდა დავუკვირდეთ მრავალ ერთიან ადამიანს, რათა შევექმნათ ერთი განსაზღვრული ტიპი, წერდა ტოლსტოი. მწერალი გამოხატავს ტიპურს ერთი პირაგნების სახით, რომელიც, ბელისკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახება მთელი განსაკუთრებული სამყაროს გამოხატველად ყოფნისას, — იმავე დროს იწებოდა ცალკე სახეც, მთლიანი ინდივიდუალური“.

მ. კაუტსკის რომანის „Die Alten und die Weuen“-ის დახასიათებისას ენგელსი შენიშნავს: „ერთისა და მეორე მხარის ხასიათები დახატულია თქვენთვის ჩვეული ინდივიდუალური ხასიათის სიუხვით; თვითველი სახე — ტიპი, მაგრამ მისთან ერთად საესებით განსაზღვრული პიროვნება, აფი“, როგორც იტყობა მოხუცთა მუველი, ასეც უნდა იყოს. 1 ეს ვისაგებია, რადგან რეალისტურ ნაწარმოებებში ვმითო ცალკეული თვისებები არ არსებობენ სხვაგვარად, ვიდრე იმ კავშირით, რომელსაც მიყვარათ სურათისაკენ — ტიპურობისაკენ.

ცალკეულ ინდივიდს სხვა ინდივიდებთან აჭვთ ყველა აღმიაწიათვის დამახასიათებელი სურათი მხარეები. მაგალითად, ანატოლიურ-ფიზიოლოგიური თვისებები, კუეის, ნებისყოფისა და სხვ. უნარი სურათთა ყველა აღმიაწიათვის, აღმიაწირი მხარეები შეიძლება იყოს უფრო მტად სურათთა და უფრო ნაკლებად სურათთი, იმასთან დამოკიდებულებით, თუ რამდენად ვრცელია აღმიაწიათა ის წრე, რომელიც ხასიათდება ამა თუ იმ მხარეებით.

ცნობილია, რომ აღმიაწი შრომის საშუალებით გამოიყო ცხოველთა სამყაროს, და შრომა წარმოადგენს მისი არსებობის პირველ ძირითად პირობას. ეს ხდის შრომის აღმიაწიანს ყველაზე არსებითად საყოველთაო და უსაჭიროეს მხარედ. უმკველია, აღმიაწიათა საყოველთაო თვისების

წარმოადგენს ფიზიოლოგიური ერთიანობა. ფიზიოლოგიური ერთიანობის საფუძველზე წარმოიქმნება ფსიქოლოგიური ერთიანობა. ამასთან ერთად თავს იჩენს კონკრეტულ-ისტორიული ერთიანობა.

აღმიაწიათა ყველა ეს თვისება წარმოადგენს უაღრესად საზიაროს, რადგან უზისოდ არ შეუძლია არსებობა არც ერთ აღმიაწიანს, ეს თვისებები აუცილებელი სახით თავს იჩენენ თვითველ აღმიაწიანში.

ისტორიული განვითარების მსვლელობაში აღმიაწიათა პრაქტიკულმა საქმიანობამ დააპირობა სხვა სურათი მხარეთა წარმოქმნაც. მართალია, ეს მხარეები უფრო ნაკლებად სურათთა, ვიდრე უკვე ჩამოთვლილი, მაგრამ ისინი შიშინდ ამახასიათებელია აღმიაწიათვის.

მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფის საფუძველზე თავისუფალ აღმიაწიათა შორის განდუნენ ღარიბები და მდიდრები. არათანაბარი მატერიალური პროფესიული პირობები განსაზღვრავს აღმიაწიათა სხვაობას საქმიანობის მიხედვით. აღმიაწიები დანაწილდენ გონებრივი და ფიზიკური შრომის წარმოადგენლებად, ქალაქისა და სოფლის აღმიაწიებად, სხვადასხვა პროფესიის აღმიაწიებად. აქედანაა ერთი პროფესიის აღმიაწიათა ტიპური მხარეები.

კლასებდა საზოგადოების დაყოფისთან ერთად წარმოიშვა კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავის დაღს ასვამენ სახე-ტიპებს. ნაციის წარმოშობასთან ერთად ყალიბდება პიროვნების ფსიქიკური იერი — „ნაციონალური ხასიათი“, და თვითველი წრის ინდივიდს გამოდის ნაციონალურ მხარეთა მატარებელი.

ამგვარად, უაღრესად სურათთა აღმიაწირ მხარეებთან ერთად, პრაქტიკულ საქმიანობასთან დავკავშირებით წარმოიქმნებიან ახალი მხარეები, რომლებიც აპირობებენ მხარეთა სპეციფიკურ ერთიანობას, მაგალითად, მხარეთა ერთიანობა საქმიანობის მიხედვით, შრომის ფორმათა წარმოქმნის შესაბამისად, პროფესიული, კლასობრივი, ნაციონალური ერთიანობა და ა. შ.

გარდა ჩამოთვლილი ერთიანობისა, ყველა აღმიაწიანისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ღლებს წარმოადგენს მათი გარემომცველი სინამდვილის მოვლენათა შემეცნება. მაგრამ იმ შესაშინევა სხვადასხვაგვარი ხარისხი. ისინი პირობადებულია როგორც ფიზიოლოგიური განსაკუთრებულებით, ისე სხვაობით ტემპერატურაში, ძალღუნეში, ნერვულ და ფსიქიკურ პროცესთა მსვლელობის სიჭარუსა და ზომიერებაში.

აღმიაწიები აგრეთვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემეცნებით, ნებისმიერი, ემოციური მხარეების სხვაობით, კუეის, აფექტურობის განსაკუთრებულებით; შემდეგ არის ისეთი დამახასიათებელი მხარეები, როგორცაა ჯიუტობა, უნებისყოფობა, გამძლეობა, აზრობრივი და მე-

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ხელოვნების შესახებ. 1947, გვ. 16.

ქანიკური მეხსიერების განსაყვანებულობა, მეოცნებობა და ა. შ. ყველა ეს განსხვავება ამირობადებს ადამიანთა იმ განსხვავებულ მხარეების მრავალფეროვნებას, რის შიგნულთადაც ადამიანები არ ჰგანან ერთმანეთს არც შინაგანი და არც გარეგანი იერით. ინდივიდუალური განსხვავებანი წარმოიქმნება საერთო საკაცობრიო მხარეთა გამომწვევებასთან დაკავშირებით. ამიტომ ადამიანებს, სხვა ადამიანებთან საერთო თვისებების გარდა, გააჩნიათ თავიანთი ინდივიდუალური მხარეები, მაგრამ ამ უაღრესად ინდივიდუალური მხარეების იზოლირება არ შეიძლება იმათგან, რომელნიც საერთოა ყველა ადამიანისათვის. ადამიანთა საერთო და განსაკუთრებული მხარეები არსებობენ განუყრელ კავშირში.

ტიპობრივი და ინდივიდუალური ერთიანობის, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთობირობადობის ჩვენებას თან ახლავს ზუსტი ინდივიდუალური ნაკი, როცა თვითველი სახე თავის განსაზღვრულობით განსხვავდება მეორისაგან. განსაკუთრებულს შემეცნების საშუალებით ზეოცნება აღწევს საესებით განსაზღვრულ პიროვნებათა უსასრულო მრავალფეროვნების შეცნობას.

ინდივიდუა ეს მრავალფეროვნება პირობადებულია როგორც ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური, ისე სოციალური, კლასობრივ-პოლიტიკური, ნაციონალური და სხვა ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის პირად ცხოვრებას.

ერთიანობისა და განსხვავებულ ინდივიდუალურ მხარეთა ეს მრავალფეროვნება განსაზღვრავს შემეცნების მხატვრული ფორმის განსაკუთრებულობას, მის სპეციფიკას, რაც ამირობადებს იმის საჭიროებას, რომ მწერალმა დახატოს ცხოვრება ზღვრულ-კონკრეტულ ინდივიდუალურ სახეებში.

ქარლ მარქსი „კაპიტალიზმში“ განიხილავდა ადამიანს არა მისი აბსოლუტური „თვისებით“, არამედ მხოლოდ წარმოების არსებითი თვისებებით.

მხატვრული ნაწარმოები, ცალკეულ მეცნიერებათაგან განსხვავებით, ასახავს მთელი ცხოვრების ტიპური თვისებებს და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანს მთელი არსებითი თვისებებისა და ურთიერთობათა ერთობლიობით. მასთან მხატვარი თავის შემოქმედებაში ითვლისწინებს არა მარტო ამ ერთობლიობას, არამედ მეორეხარისხოვან, შემთხვევით მხარეებსაც, რომლებიც ახასიათებენ მოცემულ ინდივიდუალობას.

ამგვარად, იმას მხატვრულად განზოგადებისას, რაც უაღრესად დამახასიათებელია სინამდვილისათვის, შეუძლებელია გამოეთიშეთ ერთი ელემენტტი მოცემული მოვლენის არსებით თვისებათა მთელი ერთობლიობიდან. ამიტომ ტიპობრივი არ შეიძლება დაყრდნობა მხოლოდ მოცემული სოციალური ძალის, მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსის შესაბამისად.

ტიპობრივის განსაზღვრისათვის ფრიად კულისსაშეველებელია ვ. ი. ლენინის წერილი В лакемскои. ახასიათებდა რა მენშევიკურს სესურულ და მსგავს პრესას, რომელიც ზედმეტად გადახედდა კონტრრევოლუციური ბანაის იდეური ცხოვრებისათვის, ვ. ი. ლენინი 1919 წელს წერდა: „ლაქის მდგომარეობას ის ახასიათებს, რომ ხალხთ-მყოფარების მეტად ზომიერი დოზა აუცილებლად შეუერთის მორჩილებისა და ბატონის ინტერესების დაცვის მეტად დიდ დოზას, რაც გარდევლად წარმოშობს ლაქის, როგორც სოციალური ტიპის, დამახასიათებელ თვალთმაქცობას. მთავარი აქ სწორედ სოციალური ტიპია და არა ცალკეულ პირთა თვისებები. ლაქა შეიძლება ფრიად პატიოსანი ადამიანი იყოს, თავისი თჯახის სანიმუშო წევრი, საუცხოო მოქალაქე, მაგრამ მისი გარდევლა ზვედრია ის, რომ ითვალთმაქცოს, რაზედნადაც მისი პროფესიის ძირითადი ნიშანია იმ ბატონის ინტერესების შეერთება, რომლის მიმართ მან „იქისრა“ სასხებური „რწმენითა და აღაღმარალობით“, იმ წრის ინტერესებთან, რომლიდანაც აყვავთ შინამოსამხატვრული. ამიტომ, თუ საკეთის განვიხილავთ პოლიტიკოსის თვალსაზრისით, ვ. ი. მილიონობით ადამიანისა და მილიონთა ურთიერთობის თვალსაზრისით, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ლაქის, როგორც სოციალური ტიპის, მთავარი თვისებები თვალთმაქცობა და სიღარე. სწორედ ამ თვისებებს ასაზრდოებს ლაქის პროფესია. ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაქირავებულ მონებებსა და მშრომელთა მთელი მასის თვალსაზრისით სწორედ ეს თვისებებია ფრიად არსებითი“¹. ამჟერავება რა ყველაფერი იმის, რაც ქმნის მოცემული ერთობლიობის სპეციფიკას, ვ. ი. ლენინი გვიჩვენებს, რომ ლაქია არის სოციალური ტიპი. ადამიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ამირობადებს დამახასიათებელ თვისებათა წარმოქმნას, ამჟერავებს სოციალურ ტიპს.

მაგრამ ლაქისათვის თვალთმაქცობის, როგორც მოცემული სოციალური წრის ძირითადი მხარის გარდა, შეიძლება იყოს დამახასიათებელი სხვა მხარეებიც. იგი, როგორც მიეთითებდა ვ. ი. ლენინი, შეიძლება იყოს პატიოსანი ადამიანი, კარგი მეოჯახე, საუცხოო მოქალაქე და ა. შ. რასაკვირველია, პოლიტიკური თვალსაზრისით ლაქის მთავარი თვისებაა თვალთმაქცობა და სიმზღადე. მაგრამ ზელოვნება, იდეოლოგიის სხვა ფორმათაგან განსხვავებით, ასახავს სინამდვილეს კონკრეტულ-მგრძნობელობის ფორმაში, წარმოქმნის რა საერთოს ინდივიდუალური ვითარებები, თვით ცხოვრების ფორმაში. ამიტომ ზელოვნებას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმის, თუ როგორია დასახატავი ადამიანი როგორც მეოჯახე, მოქალაქე და

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29. გვ. 203.

ა. შ. მხატვრულ სახეთა შექმნისას ზღვონებამ ტიპური როდი უნდა განიხილოს მოცემული სოციალური ძალის არსის როგორც მხოლოდ ფუნქციონირების განხორციელება. ე. ი. უნდა საჭიროდ თვლიდა ტიპისავე დროს ვითვალისწინებინათ ხასიათი, ფსიქიკა, საქციელი, მოქმედებები და მრავალფეროვანი ინდივიდუალური ვითარება.

ლიტერატურა, რომელიც ასახავს სინამდვილეს ფორმებში — სახეებში და ავლენს ამა თუ იმ ინდივიდუალობის ტიპური მხარეებს, ევრდნობა როგორც აუცილებელ, ისე შემთხვევით მხარეებს.

თვითელი საბჭოთა ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს ჩაბმული შემოქმედებით შრომაში. ამგვარად, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებით შრომა წარმოადგენს ინდივიდუალურს, მაგრამ მასთან, ერთად აუცილებელ მხარეს. სწორედ ამითაა პირობადებული ის გარემოება, რომ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის თემა წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის მთავარ თემას.

ქმნის რა საბჭოთა ადამიანების მკაფიო, მართალ სახეებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან შემოქმედებით შრომაში, ჩვენი ლიტერატურა მხატვრულ ფორმით ასახავს კომუნისტური მშენებლობის პროცესს.

ადამიანის ინტერესები, მიდრეკილებანი, საქციელი და სასიცოცხლო საქმიანობის მთელი ძირითადი ხაზი ემორჩილება ისტორიულ კანონზომიერებას. მაგრამ საზოგადოების განვითარების ის ტენდენცია იქმნება კავშირთა დიდი რაოდენობისაგან, რომლებიც ბრძოლისა ანდა ძირითად კანონზომიერებასთან დამთხვევის პროცესში შეესაბამებან ინდივიდუალურ შემთხვევით მხარეებს. ეს მხარეები მიზეზობრივად პირობადებულია ისევე, როგორც ტიპური მხარეები. მაგრამ შემთხვევით მხარეთა მიზეზები კი არ გამოიშინარებენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენათა არსიდან, არამედ აღმოჩნდებიან რაღაც გარეგნულ ძირითადი ხაზის მიმართ. ამგვარად, ინდივიდუალურად შემთხვევით მხარეებად უნდა ჩავთვალოთ ისეთი მხარეები, რომლებიც მიზეზობრივად პირობადებულნი არიან, მაგრამ კი არ არიან დაკავშირებულნი შინაგანად საჭირო ხაზის ტიპურ მხარეებთან, არამედ წარმოადგენენ რაღაც გარეგნულს მათ მიმართ.

შრომითი საქმიანობა თვითელი საბჭოთა ადამიანის ტიპური მხარეა. მაგრამ შრომის მრავალფეროვან ფორმებიდან ადამიანის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის ამორჩევა, როგორც წესი, წარმოებს სხვადასხვაგვარ შემთხვევით გარემოებათა შედეგად.



ტიპურობას, როგორც ყოველ კანონს, ძალა აქვს მხოლოდ განსაზღვრულ კონკრეტულ პი-

რობებში, განსაზღვრული ადგილისა და დროის საზოგადოებრივი მოვლენების არსებითი თავისებურების გამოხატვისას ტიპური პირობების ცვლილებებთან ერთად იცვლება. მიტომ ყველა ტიპს, ყველა ტიპურს აქვს ისტორიული ხასიათი. მათ აქვთ ისტორიული ხასიათი იმიტომ, რომ ყოველ მოცემულ ეპოქაში ტიპური წარმოადგენს მოცემული ეპოქის ადამიანთათვის დამახასიათებელ არსებით მხარეთა ასახვას. გარდა ამისა, ტიპური ისტორიულია ვნოსოლოგიურადაც, რადგან ჩვენი ცოდნის განვითარების პროცესში ტიპური მხარეები ზუსტდება. თუ ტიპურ მხარეებს ბურჟუაზიისა, რომელიც იყო მესამე წოდების ავანგარდი ფეოდალიზმისა და რელიგიური ბნელების მოციქულების წინააღმდეგ ბრძოლაში, შევადარებთ თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის ტიპურ მხარეებს, მაშინ ადვილად შეიძლება დავადგინოთ ერთისა და მეორის მხარეთა განსხვავება. ეს განსხვავება პირობადებულია განვითარების სხვადასხვა ისტორიული ეტაპებით.

მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის ძირითადმა განსხვავებამ შეაძინა საბჭოთა ადამიანის მოპირისპიერ ტიპური მხარეთა წარმოქმნა კაპიტალისტური საზოგადოების ადამიანთან შედარებით.

პიროვნებისადმი, მისი მოთხოვნილებებისა და ინტერესებისადმი საზოგადოების ახალი თანადართობა შედარდება ჩვენში იმ შემთხვევასა და ყურადღებაში, როგორითაც ეპყრობიან პარტია და ზეცისუფლება თვითეულ მოქალაქეს, იმ პარტიისეკეში რომლითაც სარგებლობენ შრომის ადამიანები სსრ კავშირში.

საერთის პიროვნების შესახებ, მისი ძალების გაფურჩქნის შესახებ სოციალიზმის დროს ერთი და ზეცისუფლოვანი ადვილი უჭირავს ჩვენი პარტიის პოლიტიკაში. ეს საერთო წარმოადგენდა პარტიის ერთ-ერთ უღრესად ძირითად საკითხს სოციალიზმის აგებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში შეაძინა საბჭოთა ადამიანებში წარმოქმნა ახალ ტიპურ მხარეთა, რომლებიც ხარისხობრივად განსხვავებულნი არიან ყველფერ იმაზე, რაც შესაძინევი იყო წინათ.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში პიროვნება თავისუფალი აღმოჩნდა მისი განვითარების შემთხვეული კერძოკავშირული ერთიანობისაგან, და ადამიანს მიეცა ყოველმხრივი ფიზიკური და სულიერი განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მაჩვენებელია მისი ინტერესების სიფართოვე, მოვალის განვრცობის სიღრმე, პიროვნების ინტერესთა შინაარსის სიმდიდრე, მისი უზარო განახორციელოს თავისი ინტერესები პრაქტიკულ საქმიანობაში დასახულ მიზანთა მისაღწევად.

საღვარი არა აქვს ადამიანის სრულყოფას! მაგრამ ადამიანში მიძინებული ძალები ღებ-

ლობენ ყოველმხრივს განვითარებას განსაზღვრული პირობების არსებობისას.

პიკო დელა მიჩანდოლა ადამიანის შესახებ ტრაქტატში ამბობდა, რომ ადამიანს შეუძლია შექმნას თვით დედამიწა, თუკი მას სათანადო შესაღწევა და ხელსაწყო მიეცემა. ის, რაც პიკოსათვის იყო მხოლოდდამზოლოდ სუბიექტური რწმენა ადამიანის დაუზღვეველ შესაძლებლობაში, მარქსიზმშია მკაცრად შეცნობიერებულ დასაბუთება და ამოხსნა, თუ რა პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს ადამიანის ყოველმხრივი განვითარება და თუ როგორ შექმნიან ამ პირობებს თვით ადამიანები.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერლის მიერ შექმნილ ტიპურ ხასიათებში, თვით სახეებში პოელობენ გამოხატულებას მხატვრის იდეური პოზიციებიც. ამიტომ იდეა, რომელიც გახსნილია მხატვრულ ნაწარმოებში, დამკვიდრებლად შედის მკითხველის შეგნებაში, რადგან იგი გამომდინარეობს ტიპურ ხასიათთა განვითარების ლოგიკიდან. ამაშია ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერება.

შეგნებულად მიემხრობა რა უღერესად მოწინავე კლასის თვალსაზრისს, მწერალი ყველა შესაძლებლობას ღებულობს მივილი სისაცხით დაინახოს მოვლენის სოციალურ-ისტორიული არსი. მიუდგა რა ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების ანალიზს „რუსეთის რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების თვალსაზრისით“, ვ. ი. ლენინმა დაადგინა, რომ ტოლსტოია „გამომხატველია იმ იდეათა და განწყობილებათა, რომლებიც ჩამოუყალიბდა მილიონობით რუს

გლეხობას რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის მსვლელობის დროს“¹.

თუ სინამდვილის წარმოქმნის სისტორიულ წარმოდგენს ხელოვნების შემქმნებლის ამოცანას, მაშინ ცხოვრების სიმართლით ასახვიდან ყოველგვარი უკუსვლა აუცილებლად ამცირებს ხელოვნების ნაწარმოების არა მარტო იდეურ, არამედ მხატვრულ ღირსებასაც. გ. ვ. პლუზანოვი კ. ჰამსუნის ნაწარმოებთა მავალითზე დამაკვირებლად გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ბრძოლის სიმართლით გამოხატვისადმი გვერდის ავლით მან დიდი ზარალი მიაყენა თავის ნიქს. ანტიხალხური იდეა, რომელიც ამახინჯებს სინამდვილეს, უცბოა ხელოვნების ბუნებისათვის, შეაქვს სქემატიზმი პერსონაჟთა დახატვისას და უკარგავს შემეცნების აზრს მხატვრულ ნაწარმოებს. ამიტომ ჩვენი პარტია საბჭოთა მწერლებსაგან მოითხოვს საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა არსით გამსუვალვას და მის ყოველმხრივ, მკაფიო წარმოქმნას.

მხოლოდ ამ პირობათა დაცვით შეიძლება სიმართლით ასახვა შეუერთდეს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა შეგნების იდეური გარდაქმნის ამოცანას. აქ თავს იჩენს ხელოვნების უშუალო კავშირი იდეის გარდაქმნელ როლთან, რადგან ხელოვნებას თავისთავად არ შეუძლია არსებობა ამა თუ იმ იდეის არსებობის გარეშე. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ყველა ნაწარმოებს აზის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეის ბეჭედი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტომი 15, გვ. 183.



ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის

1955 წელს გამოქვლი წიგნი „გიორგი მერჩულე“ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ბრწყინვალე გამარჯვების მომასწავებელია. ამ წიგნში მისი ავტორის, პ. ინგოროყვას, მიერ 1) დამტკიცებულია მე-5-11 საუკუნეთა ქართულ პოეზიაში არსებობა აქამდე სრულიად უცნობი დარგისა, „რიტმული პოეზიისა“, 2) გამოვლინებულია მთელი რიგი ახალი პოეტები, რომლებსაც ეკუთვნით ათეული და ასეული სიმღერა-საგალობლები, და 3) ქართულ ხელნაწერთსაცავებიდან ამოკთხულია ძველქართული „ქაშნიკი“.

1. ძველქართული რიტმული პოეზია.

პ. ინგოროყვას შრომა (გიორგი მერჩულე, ქართველი შერალი მეთე საუკუნისა. ნაჩვენები ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან“. თბილისი 1954 წ., „საბჭოთა შერალი“, გვ. 888+0125) ორი ნაწილისაგან შედგება პირველში (გვ. 1—544) განხილულია მე-9—10 საუკუნის საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ხოლო მეორე ნაწილი (გვ. 545—888) წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისა და ცალკე სათაურად აქვს: „გრაგოლ ხანთელის ლიტერატურული შემკვიდრება. გიორგი მერჩულის ლიტერატურული შემკვიდრება პიმნოგრაფიულ პოეზიაში. ძველქართული პოეზია V—XI საუკუნეთა“. პირველი ნაწილი ასე თუ ისე ცნობილი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის, რამდენადაც იგი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1950 წელს ქერნალ „მხათობში“ (თუმცა იგი ავტორის მიერ საგრძნობლად არის შევსებული ამ ახალ გამოცემაში). რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი არაბო უცნობი იყო აქამდე ჩვენთვის, არამედ იმის წარმოდგენა კი არ გვქონდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

აღმოჩნდა კი შემდეგ: არსებობდა ძველქართული ხელნაწერებით მოღწეული საგალობლები სხვადასხვა ავტორისა, საგალობლები როგორც პატარა მოცულობისა, ისე ვრცელი, რომლებიც მინეული იყო პროზაულ ნაწარმოებებად. პ. ინგოროყვამ კი ეტყვიუტანლად დაამტკიცა, რომ ეს საგალობლები ლექსით არის დაწერილი და არა პროზით, და კიდევთა წარმოდგინა ამ ლექსთა მეტრული სტრუქტურის სახეები. გარდა ამისა, მან ძველ ქართულ საგალობელთა ხელნაწერებში გამოავლინა ამ ლექს-

თა საზომების კრებული, ესე იგი იპოვა ის, რასაც შემდეგ საუკუნეებში ეწოდება „ქაშნიკი“.

რომ უფრო ნათელი იყოს, თუ რანაირ მიღწევასთან გვაქვს საქმე პ. ინგოროყვას შრომის სახით, საგმარისია გავიხსენოთ, თუ რა ვიცოდით აქამდე ძველქართული პოეზიის შესახებ.

უადრესად მეცნიერულსა და ფრიად ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ შედგენილი „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ ამის შესახებ ვკითხულობთ:

„ქართულსა ჰქონიათ აგრეთვე საქაოდე მდიდარი და სანეტრესო სასულიერო ან საეკლესიო პოეზია, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი. ქართული საეკლესიო პოეზია ორგვირია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითა... ლიტურგიკული პოეზიის მიეკუთვნება ეგრეთწოდებული საეკლესიო პიმნოგრაფია, ის საგალობლები და პიმნები, რომელნიც შეადგენენ ღვთისმსახურების ერთ-ერთ აუცილებელ მასალას. თავდაპირველად საქრისტიანო ღვთისმსახურებაში ვარაობდა ფსალმუნური ელემენტი... მერე კი, დაახლოებით მეხუთე-მეექვსე საუკუნიდან, შემოდის პიმნოგრაფიული ელემენტი, ესე იგი ვანდა პიმნები ან საგალობლები, რომლებშიც გამოთქმული იყო ღრმა რელიგიური გრძნობები. ბერძნული საგალობლები, რომელნიც თავისი რაოდენობით პირდაპირ უსაზღვრო და უფსკრულ ოყეანეს წარმოადგენენ, დამყარებულია ტონურ სისტემაზე, რომელიც მდგომარეობს მარცხალთა რაოდენობის თანასწორობასა და მაღალი და დაბალი მარცხლების თანმიმდევრობაში... ბერძნულ პიმნებს ძალიან ხშირად დართული აქვს ეგრეთწოდებული აკროსტიქი... თავისთავად ცხადია, პიმნოგრაფიული შერებლობა ქართულ ენაზედაც უნდა შექმნილიყო... დიშუკო ქართული პიმნოგრაფია დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან... თავდაპირველად ქართული ლიტურგიკული პიმნოგრაფია ნათარგმნი იყო, ქართველები თარგმნიდნენ იმ პიმნებსა და საგალობლებს, რომელთაც ისინი სხვა ენაზე პოლობდნენ, უფრო კი ბერძნულზე. რასაკვირველია, აქ წვეენ გვაქვს უხედალო პროზაული თარგმანი (ხაზი ჩვენია. ს. უ.); სადაც ბერძნული პიმნოგრაფიის შემოადინებული თვისებები დაეკული არაა, ვარადა აკროსტიქისა. რას წარმოადგენს და რაზეა დამყარებული პიმნოგრაფიული საზომი? ჩვენი ლიტურგიკული პიმნოგრაფიის ორგვარია: ერთთა უბრალო პროზაული პიმნები, რომელნიც, როგორც ნათარგმნი, არავითარ ზო-

მანა და კანონს არ ემორჩილებიან (ზაზი ზენია. ს. ყ.) მერონი, ეგრეთწოდებული იამბიკობი, დამყარებული არიან ტაქში მარცვალთა რაოდენობაზე, ვინაიდან მალაილი და დაბალი მარცვალი იმ სახით, როგორც ბერძნულშია, ქართულში ირ მოიპოვება. იამბიკო დაყოფილია ცალკეულ სტროფებად ან ხანებად, რომელიც შედგება ხუთი სალექსო სტრიქონის ან ტაქსისაგან. თითოეული ტაქსი შეიცავს 12 მარცვალს (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი: კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა. V — XVIII სს. საქ. მეცნ. აკადემიის ქართ. ლიტ. ისტორიის ინსტიტუტი. თბ., 1954 წ., გვ. 180 — 182).

აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ძველ-ქართულ საეკლესიო ჰიმნოგრაფია შეიცავს ორ-ჯერ საგლობლებს: ერთია ე. წ. იამბიკობა, 12-მარცვლიანი ლექსები, მეორეა უბრალო პროზაული ჰიმნები, რომელნიც ბერძნულიდან არიან ნითარგვნი და არავითარ ზომისა და კანონს არ ემორჩილებიან. და ასეთი ჰიმნები, როგორც წინა კ. კეკელიძე, თავისი რაოდენობით პირდაპირ უსახლწო და უფესურღ ოკეანეს წარმოადგენენ; სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენიმე სტელტანთან ტომს თავისუფლად შეადგენენ.

მართლაც, ძველ ქართულ პოეზიაში მებუთე-მეთერთმეტე საუკუნეებისა მტკიცედ არის გამოჯანული, მხატვრული ფორმების თვალისახედვით, ორი სისტემა ლექსწოდებისა. ერთი მხრით გვაქვს „იამბიკობი“, ე. ი. „იამბები“, რომლებიც შექმნილია მსგავსად ბიზანტიური იამბიკური ჰიმნების, 12-მარცვლიანი ლექსებისა (რომლებიც წარმოადგენენ ძველბერძნული იამბიკური ტრიმეტრის ეპიგონებს). ჰიმნების ეს სახე მდიდრად არის წარმოდგენილი ქართულ პოეზიაში როგორც ბერძნულიდან თარგმნილი, ისე ავთენტური ნაწარმოებები. მეორე მხრით, გვაქვს უამრავი ჰიმნი, რომლებსაც „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორები ეძახიან „უბრალო პროზაულ ჰიმნებს“. თავის მსჯელობაში ზენი ავტორები კიდევ უფრო შორს მიდინა: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ ჰიმნებს პროზაულ ნაწარმოებებად თვლიან, ისინი ხაზს უსვამენ, რომ მათში „მიდიდადა წარმოდგენილი აკრისტიკი“, და, ამავე დროს, ავიწყლებათ, რომ თვით ცნება „აკრისტიკი“ გამოხატავს ერთ-ერთ მხატვრულ ზერს, რომელსაც იყენებენ პოეტები ლექსის გაფორმებისათვის.

აი, სწორედ ეს „პროზაული ჰიმნები“ გამოვლინდა, პ. ინგოროვას გამოკვლევით, როგორც ლექსითი ნაწარმოებები, რომელნიც ემორჩილებიან ლექსწოდების მკაცრ კანონებს.

პ. ინგოროვას ეს მიგნება ანალოგიურია იმ მიგნებისა, რომლის წყალობით ბიზანტიურ მწერლობაში გამოვლინდა პოეზიის ახალი დარგი — რიტმული პოეზია.

მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ბიზანტიური ჰიმნები (ყარდა 12-მარცვლიანი იამბიკობებისა)

ითვლებოდა პროზაულ ნაწარმოებებად. ისე ჩანდა, თითქოს ისინი არავითარ სარეგულაროზმს არ მისდევდნენ, არ ემორჩილებოდნენ ლექსწოდების კანონებს. მეცნიერნი ამასაც ეგაიხიბოდნენ: ერთადერთი კანონი, რომელსაც ემორჩილებიან ბიზანტიური ჰიმნები, ესაა პოეტის თვინებობა. ასეთი შეხედულებას განმტკიცების ხელი შეუწყობს ორმა გარემოებამ: 1) თვით ბიზანტიელები თავიანთ ჰიმნებს პროზაულს ეძახდნენ; ისინი ამბობდნენ, რომ ეს ჰიმნები დაწერილია „პეზო ლოგო“, ე. ი. „მდაბიო სიტყვით“ (ამის საწინააღმდეგოა „მეტა მეტრონ“, ე. ი. „წყობილი სიტყვით“ „ლექსით“); 2) ხელნაწერებში ეს ჰიმნები დაწერილია გაბმული სტრიქონებით, ტაქსები წარმოდგენილია განუწყვეტლივ, გრძლად, როგორც პროზის სტრიქონები, ასე რომ ტაქსები და მთელი ლექსებიც ერთმანეთისაგან ართვლიან არ არის გაყოფილი. მკვლევარები კი უდგებოდნენ ბიზანტიური ჰიმნების შესწავლას ანტიკური, ძველბერძნული მეტრიკის თვალსაზრისით, ეძებდნენ მათში დაქტილურ, იამბიკურ, ტრაქტულსა და სხვა ანტიკურ საზომებს, და ასეთი საზომები რომ ვერ იპოვეს, შეუერთეს თავიანთი აზრი ძველ ბიზანტიელთა აზრს, რომ ჰიმნები დაწერილია „პეზო ლოგო“.

პირველად ამ ჰიმნებში მეტრული წყობა შეინშა პეტერბურგელმა მკვლევარმა კონსტანტინე იკონომოსმა, რომელმაც თავის შრომაში „ბერძნული ენის ნამდვილი გამოთქმისათვის“ (მეტრბურგა 1830 წ.) დაადგინა ბიზანტიური ჰიმნებში სტროფული სისტემის არსებობა და აღნიშნა, რომ ცალკეულ ტაქსებსა და სტროფებში შეინიშნება სილაბიკობა და აქცენტონობა, ე. ი. კანონზომიერი თანმიმდევრობა მახვილისა (წინააღმდეგ ანტიკური მეტრიკისა, სადაც გვაქვს კანონზომიერი თანმიმდევრობა გრძელ და მოკლე მარცვლების). კ. იკონომოსის აღმოჩენა თითქოს შეუძნეველი ტარება და იგივე აღმოჩენა ხელახლა „მოახდინეს“ დასავლეთ ევროპის მკვლევარებმა: მონემ (1835-55 წ. წ.) და პიტრამ (1867 წ.). უოველ შემთხვევაში, ბიზანტიური რიტმული პოეზიის კანონები ცნობილი გახდა ფართო სამეცნიერო წრეებში ფრანსუა პიტრამის შრომებით.

კარდინალი პიტრამ 1859 წელს რუსეთში გამოემგზავრა, რათა ემუშავა პეტერბურგისა და მოსკოვის სიძველეთსაცავებში კანონიერი სომართლის ძველებზე. მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს პიტრამ ერთ ხელნაწერში, სადაც მისი ყურადღება მიიპყრო თავისი რიტმულობითა და მუსიკალობით ერთ-მა ბიშნმა, შეინიშნა წითელი წერტილები, რომლებითაც ერთმანეთს იყო დაშორებული ჰიმნის სხვადასხვა ნაწილები. პიტრამ ამ წერტილების მითითებით დააღაგა ჰიმნის ცალკეული სტრიქონები და შეინიშნა, რომ თურმე ამ წერტილებით გამოყოფილი ყოფილა ჰიმნის ტაქსები და

სტროფები და რომ ამ ტაქტებსა და სტროფებში ჩანს გარკვეული სალექსო საზომი, სახელდობრ: სტროფული სისტემა სილაბურობის დაცვით. (უფრო დაწვრილებით ამ სისტემის რაობაზე იხ. ქვემოთ). ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა ბიზანტიური ჰიმნების სალექსო საზომი დაადგენა და გამოვლენება ახალი ბიზანტიური სალექსო საზომი სისტემისა, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ანტიკური მეტრიკისაგან (იხ. ამის შესახებ რუსული ეფრ. „Византийский Временник“ ტ. 111, გვ. 582—633).

ბ. ინგოროყვამაც დაახლოებით ამნაირივე გზით შიავნო რიტმული პოეზიის არსებობას ძველქართულ მწერლობაში. მაგრამ, სანამ ბ. ინგოროყვას ამ ახალ მიგნებაზე ვილაპარაკებდეთ, ზედმეტი არ იქნება საკითხის ისტორიისათვის, ერთი მხრით, ზოლო, მეორე მხრით, ბ. ინგოროყვას ძიებათა გეზის გათვალისწინებისათვის, გავიხსენოთ მისი ანალოგიური მიგნება ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინათ. პროფ. კ. კეკელიძემ თავისი „კომენის“ I ტომში (გვ. 165—173) დაბეჭდა, როგორც კიმურთი ტექსტი, პროზით „წამებაჲ მიქაელ საბაწმინდელისაჲ“. ის კი, ბ. ინგოროყვას გამოკვლევით, რომელიც მან მოხსენების სახით წაიკითხა 1934 წელს, აღმოჩნდა ლექსითი ნაწარმოებია. აი, რას წერს თვით კ. კეკელიძე ამის შესახებ:

„ბერძნული სასულიერო პოეზიის ტაქტები ხელნაწერებში წარმოდგენილია განუწყვეტლივ, გამბით, როგორც პროზის სტროფები, მხოლოდ წერტილებით იყოფებიან ერთმეორისაგან; ეს გარემოება იმდენად მაშინ პოეტური ტაქტის ამოცნობას. ამგვარსავე მოვლენას ჩვენ ვპოულობთ ქართულ მწერლობაშიც. ქართულ ენაზე შენახულია ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს არა უადრეს მეოთხე საუკუნისა და რომელიც ჩვენ მიერაა გამოკვლეული, სახელდობრ „წამებაჲ მიქაელ საბაწმინდელისაჲ“. ის ხელნაწერში წარმოდგენილია ჩვეულებრივი საბით, როგორც მოთხრობა, სტრიქონი სტრიქონს მიჰყვება, აბზაცა აბზაცს. მაგრამ, როგორც შევსევსტოვი ცნობილმა მკვლევარმა ბ. ინგოროყვამ მიაქცია ჩვენი ყურადღება და საგანგებო საჯარო მოხსენებითაც აღნიშნა, ამ თხზულებაში ჩვენ ვგვქონია რითმოვანი პოეზიის ნამდვილი ნიმუში“ (კ. კეკელიძე, ქართული ლტ. ისტ. 12, 566; 13, 574—575).

რომ მკითხველმა ნათლად წარმოადგინოს, თუ რა სახის მიღწევისთანავე გვაქვს საქმე ბ. ინგოროყვას მიგნებით, მოვიყვანოთ ამ აგიოგრაფიული ძეგლის ნაწევრებს როგორც პროზით, (კ. კეკელიძის მიერ გამოკვლეულს), ისე ლექსით (ბ. ინგოროყვას მიერ აღდგენილს):

კ. კეკელიძის

ხოლო მე ბასილი გლახაკმან აღწერე სარგებლად მწერალთა და მკითხველთა და მსმენელთა, და მამისა ჩუენისა საბაჲს საქსენებელად,

საქებელად და სადიდებელად, რომელმან ყო უდაბნოა ურწყული ვითარცა ქალაქი განთქმული მტერთაგან გარემოცული და ფრთხილს სასტიკად შებული ხილულთა და უხილავთაგან ბრძოლით და ღმრთისაგან ზეგარდამო დაცული. (კომენი I, გვ. 172).

არა ვარ სნულ გუამითა. არცა გლახაკ საფასითა. არამედ სნულ ვარ სულითა და ნაკულ სინანულითა და წულელ ქრისტეს სიუფარულითა (კომენი I, გვ. 167).

ბ. ინგოროყვათი

მე ბასილი გლახაკმან აღწერე სარგებელად მწერალთად, მკითხველთად და მსმენელთად, და მამისა ჩუენისა საბაჲს საქსენებელად, საქებლად და სადიდებელად რომელმან ყო უდაბნოა ურწყული, ვითარცა ქალაქი განთქმული, მტერთაგან გარემოცული ფრთხილად და უხილავთაგან ბრძოლით და ღმრთისაგან ზეგარდამო დაცული.

(ინგოროყვა, „გეორგი მერჩულე“ 743)

არა ვარ სნულ გუამითა, არცა გლახაკ საფასითა, არამედ სნულ სულითა, და ნაკულ სინანულითა, წულელ ქრისტეს სიუფარულითა.

(ინგოროყვა, „გეორგი მერჩულე“, გვ. 705)

უფრო გვიანაც, 1939 წელს, თავის „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოიხილვაში“, სადაც ის სხვა საკითხთა შორის ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხებსაც ეხებოდა, ბ. ინგოროყვას არა ერთგან აქვს აღნიშნული ლექსითი ხასიათი იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც მანამდე პროზაულ საგალობლად იყო მიჩნეული. ასე, მაგალითად, ბ. ინგოროყვას მიერ უკვე მანამ იყო ნათქვამი, რომ „მაღალა შაირის“ მეტრის გაგენით არის დიფერილი მე-10 საუკუნის ავტორის თანავე ზონიმეს ანდრეძი ჰიმნოგრაფიული კრებულის „იადგარისა“ („გუნდნი იგი ზეცისანი...“) (იხ. „მნათობი“, 1939 წ. № 9, გვ. 136; № 10—11, გვ. 238).

მაშასადამე, რომ მრავალი ტომის შემცველი ქართული (თარგმნითი და ორიგინალური) ჰიმნები ლექსითი ნაწარმოებები იყო და არა პროზაული, ეს აზრი უტარალებდა ბ. ინგოროყვას კარგა ხნით ადრე უკანასკნელი შრომის („გეორგი მერჩულე“) გამოქვეყნებამდე, შეიძლება ითქვას იმათათვე, როდესაც იგი ძველქართული პოეზიის საკითხებზე იწყებდა მუშაობას (1913 წლიდან, როდესაც მან დაბეჭდა თავისი პირველი შრომა „ძველქართული სასულიერო პოეზია“). მაგრამ ამ დებულების დასამტკიცებლად მას ჯერ კიდევ ზელთ არ ჰქონდა მეტრიკული ხასიათის რაიმე საბუთი: ზოგ შემთხვევაში სარითმო კლავზულებს მიაყავდა იგი ამ მიგნებად, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ მხატვ-

რულ სმენით ალღოს. რომ ამ საგალობლებში იყო რაღაც მეტრი, ჯერჯერობით სტრუქტურალურად გამოეცნობა, ამას გრძნობდა უკვე კარგა ხანია პ. ინგოროყვა.

ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში მას ყველა პერიოდისათვის აქვს ცალ-ცალკე განხილული ჰიმნოგრაფიის საკითხი, და იგი გარკვეულ კვალიფიკაციას აძლევს ამ, პროზაულად მიჩნეულ, საგალობლებს. ხოლო რადგან არ იცის ჯერჯერობით, თუ რა რიგის მეტრია ის საზომი, რომლითაც დაწერილია ეს საგალობლები, ეძახის მას „თავისუფალი“, რთულ მეტრს. ასე, მაგალითად, პ. ინგოროყვა წერს:

1) ქართულს ჰიმნოგრაფიას თავისებური პოეტური ფორმა აქვს, განსხვავებული საერო პოეზიის ფორმისაგან... ქართულს ჰიმნოგრაფიაში მიღებულია „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული. შემდეგ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ხმარებაში შემოსის იამბიკური საზომი, ისეც ბერძნულის გავლენით შემოღებული, ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის შეფარდებით („მნათობი“, 1939 წ., № 4, გვ. 109).

2) ფორმის მხრით — ქართული ჰიმნოგრაფია განსხვავდება ქართული საერო პოეზიის ტრადიციისაგან. ქართულს ჰიმნოგრაფიაში — როგორც მოხსენებული გვექნება — მიღებულია თავისებური „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული. ქართულს ჰიმნოგრაფიაში იხმარება აგრეთვე ვერტოქოდებული იამბიკონური საზომი (12-მარცვლოვანი მეტრი), ისეც ბერძნულის გავლენით შემოღებული... („მნათობი“, 1939 წ., № 9, გვ. 134).

3) ავიორები მთავრად უფარგმნია თითქმის პოლიანდ, ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ძველი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიისა. თარგმანი შესრულებულია ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიღებული „თავისუფალი“ რთული მეტრით (იქვე, გვ. 134).

ახლა ცხადია, თუ როგორ მდგარა ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხი ჩვენს მეცნიერებაში:

1) საყოველთაოდ აღიარებული იყო ჰიმნოგრაფიის ორი დარგის არსებობა: ა) იამბიკობისა და ბ) სხვა დარგისა;

2) ეს „სხვა დარგი“, პროფ. კ. ეველიძის აზრით, არის პროზით დაწერილი ჰიმნების დარგი, ხოლო, პ. ინგოროყვას მიგნებით, ეს არის ლექსით ნაწარმოებები.

3) პ. ინგოროყვას მიგნება, რომ პროზაულ ნაწარმოებად ცნობდა „წამება მიქელ საბაწმიდელისა“ ლექსითა, კ. ეველიძემ სწორად აღიარა, ვაიხიარა პ. ინგოროყვას ღებულება და კიდევაც შეიტანა იგი თავის სახელმძღვანელოებში, მაგრამ როგორც ცალკეული შემთხვევა, ისიც სამომდგომ-მოახრობითი პოეზიის დარგიდან.

საზოგადოდ კი, იგი ძველი შეხედულებისა დარჩა, სახელდობრ, რომ ის მრავალფეროვანობაშია ჰიმნებისა (სხვადასხვა ჰიმნობის ხეანი) „თათუნე“ და სხვ.) შეიცავენ პროზაულ საგალობლებს და არა ლექსებს.

როდესაც „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორები იხილავენ ცალკეულ ჰიმნოგრაფებს, ისინი ხაზს უსვამენ ყოველთვის, რომ მათ მეტრ შეთხზული ჰიმნები პროზაულია. ისინი წყვილს, მაგალითად:

„ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია იწყება მეტრე საეკლესიო გასულიდან. პირველ ასეთ ნაწარმოებად უნდა ჩითვალოს „ქება წმიდისა ჰაბოლის“... ეს არის პროზით, საზომის დაუცვლად, დაწერილი „ქება“ ან „ხოტბა“ („ქართული ლიტ.“ მხ.“ I, 1954 წ., გვ. 184).

„იოანე ბინიხი... ეს საგალობლები ზოგი პროზითა დაწერილი, ზოგი კი იამბიკოთ“ (იქვე, გვ. 185).

იი, ეს „პროზაული“ ნაწარმოებები აღმოჩნდა, პ. ინგოროყვას გამოკვლევით, ლექსითი; ისინი ემორჩილებიან ლექსუბის მკაცრ კანონებს. თუ ამ მეტრს, რომლითაც დაწერილია ეს საგალობლები, პ. ინგოროყვა უწოდებდა წინათ „თავისუფალი“ რთულ მეტრს, ახლა შევცვლია პოეზიის ამ დარგს ვერტოქოდით რიტმული პოეზია, ე. ი. ვიზმართის ის ტერმინი, რომელიც მიღებულია ბიზანტიური პოეზიის ანალოგიური დარგისათვის.

როგორ შეძლო პ. ინგოროყვამ ამ ლექსების მიკვლევა? მან გაიარა იგივე გზა, რომელიც გაიარეს ბიზანტიური პოეზიის მკვლევარებმა ბიზანტიური რიტმული პოეზიის აღმოჩენის დროს, სახელდობრ:

პ. ინგოროყვამ გაითვალისწინა ის მიღწევები, რომლებიც ჰქონდა კ. ეველიძეს ქართული ჰიმნოგრაფის რკვევის საკითხში, სახელდობრ, რომ ქართული ჰიმნოგრაფია ორგანოა: ერთია იამბიკოები, ხოლო მეორეა ამათვან განსხვავებული საგალობლები (რომელთაც კ. ეველიძემ „პროზაული“ ეძახის). მაგრამ ორივე სახის ჰიმნები ხელნაწერებში ერთნაირად არის წარმოდგენილი, მოყვანილია გაბმით, პროზის მსგავსად. პროზის მსგავსად, გაბმით არის მოყვანილი როგორც იამბიკოები, ისე არა იამბიკოები. პ. ინგოროყვამ შეინიშნა, რომ ამ ჰიმნების ცალკეულ ნაწილად წერტილებით არის გაყოფილი ერთმანეთისაგან. როდესაც მან ამ წერტილების მიხედვით დალაგა ეს ჰიმნები, მათი ერთი ნაწილი დალაგდა თორმეტ-თორმეტმარცვლოვან ტაქტებად, ე. ი. იამბიკობად. მასასადავ, იფარაულა პ. ინგოროყვამ, ეს ვარაუკები იმნები (წერტილები) ტაქტთა (ან ნახევარტაქტთა) გამოყოფი ნიშნები ყოფილარ. და, იი, როდესაც მან ამ წერტილების მიხედვით დალაგა მეორე ნაწილი (არა იამბიკონური) ჰიმნების ნაწილები, ისინი დალაგდნენ ერთგვარი სისტემით, ხოლო არა ტაქტური სისტემით, როგორც მაგალითად თორმეტმარცვლო-

ვანი იამბიკობი, არამედ სრულიად ახალი, ქართულ პოეზიაში აქამდე უცნობი საზომით. გამოთრევა, რომ ეს მეორე ჯგუფის ჰიმნებიც ემორჩილებიან მეტრულ ვერსებს.

რა მეტრულ სისტემაზეა აგებული ეს ჰიმნები? ის სალექსო საზომი, რომლითაც აგებულია პ. ინგოროყვას მიერ გამოვლენებული სიმღერისავალიანობები, წარმოადგენს სტროფულ სისტემას სილაბურობის დაცვით (თვითონ პ. ინგოროყვას ტერმინით, ეს არის „სილაბური უკეთილე ლექსი“).

ძირითადი ნიშანი ამ სისტემისა არის შემდეგი: სალექსო ერთეულს შეადგენს სტროფი (და არა ტაქტი, როგორც ეს იამბიკობშია), რომელიც შედგება რამდენიმე ტაქტისაგან. თითოეულ ტაქტში არის ვარკვეული რაოდენობა მარცვლებისა, მაგრამ ყველა ტაქტში ერთი და იგივე რაოდენობა მარცვლებისა კი არ არის, არამედ სხვადასხვა: ზოგში 5 მარცვალია, ზოგში 6, 7, ან 10 ან სხვა რაოდენობა. ჰიმნის რიტმულობას ქმნის შემდეგი ვარკვეობა: ჰიმნი შედგება რამდენიმე (ზოგჯერ 8 ან 9) სტროფისაგან ეს სტროფები ერთმანეთთან შეფარდებული საზომით არის გაართული, ე. ი. ყველა სტროფის პირველი ტაქტი მარცვალთა ერთნაირ რაოდენობას შეიცავს, აგრეთვე ყველა სტროფის მეორე ტაქტი, შესამე ტაქტი და ა. შ. თუ პირველი სტროფის პირველ ტაქტში იყო 5 მარცვალი, ხოლო მეორე ტაქტში 7 მარცვალი, ასევე 5 მარცვალი იქნება მეორე სტროფის პირველ ტაქტში, შესამე სტროფის პირველ ტაქტში... აგრეთვე 7 მარცვალი იქნება ყველა სტროფის მეორე ტაქტში. იი, ნიმუშიც (მე-10 საუკუნის პოეტის ივანე მინჩხის ლექსი):

- I სტროფი: შევემსო კეთილია (5 მარცვალი)
საღმრთოთა სამწყსოთა,
(7 მარცვალი)
ღირსო მეფეო, (5 მარცვალი)
შენ ემსგავსე მწესა
მას გონიერსა (11 მარცვალი)
მიღე ტაანტი უფლისა
შენისა (11 მარცვალი)
განამრავლე იგი (6 მარცვალი)
და მიჰმღერაე (5 მარცვალი)
მრავალ-ნაწილად (5 მარცვალი)
მომიძებელსა (5 მარცვალი)
IV სტროფი: ღირსო მეფეო (5 მარცვალი)
სანატრელო თეფდოსი,
(7 მარცვალი)
გზადის მეოხად (5 მარცვალი)
მეფეა ჩუენი, მადლიდებელი
შენი (11 მარცვალი)
და პატივ-სიკემს დღესასწაულსა
შენსა (11 მარცვალი)
ითხოვე ქრისტესგან (6 მარცვალი)
და შენთანავე (5 მარცვალი)
გვირგვიროსან ყოს (5 მარცვალი)
სასოფეველსა (5 მარცვალი)

რადგან ეს ჰიმნები პროზაულ ნაწარმოებებად მიიანდათ, მათი გადაწერაც ვაჭმით წარმოებდა. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ვალექსის ჯგუფი ასო ან გამოარჩება ან ზედმეტს იხმარს ანდა კიდევაც შეცვლის ხოლმე სიტყვის ფორმას (ლექსში ეს უფრო იშვიათად ხდება, რადგან გადაწერის ყურა შეამჩნევს ხოლმე რიტმის დარღვევას, თუ რაზე ასო ან დიაკლდება ან მოემატება). ამიტომ ბუნებრივია, რომ, რაკი პ. ინგოროყვამ, მის შემდეგ რაც გამოარჩევა, თუ ლექსთწყობის რა ფორმას მისდევს ესა თუ ის ლექსი, შეამჩნია, რომ რომელიმე ტაქტში ზედმეტი მარცვალი გამოდის ან მარცვალი აკლდება, იგი ახდენს ამ ტაქტის შესწორებას, იძლევა კონიექტურას.

მოვიყვანოთ მაგალითები.
გრიგოლ ხანძთელის ჰიმნი „გალობანი ნათელიანი“ და ჰაბო ისმიტელ-ყოფილისა ქართველისანი“ შედგება რვა გალობისაგან, რომელთაგან თითოეული აგებულია თავისებურ სისტემაზე. პირველი გალობის მეტრი ასეთია: სტროფი შედგება 5 ტაქტისაგან მარცვალთა შემდეგი რაოდენობით — 9, 6+7, 8, 11, 7+6 (ან 8+5). ამ გალობის ყველა ხუთსავე სტროფში ზუსტად არის ვატარებული ლექსთწყობის ეს სისტემა. მაგრამ ხუთ სხვადასხვა ტაქტში ირღვევა ეს სისტემა, თუ ჩვენ უცვლელად დავტოვებთ გადამწერის ზედღან გამოსულ ტექსტს და არავითარ შესასწორებელ ოპერაციას არ მოვახდენთ. ასე:

სწერია:	უნდა იყოს:
ბუნებით აქუნდა	ბუნებითა აქუნდა
გუამოვნებისა იგი	გუამოვნებისა
მსგავსებითა	მსგავსებითა
შევაქოთ	შევაქოთ აქ
სიციბილი	სიციბილი იგი

ჩვენ რომ ვვაქვს გრადეა „უნდა იყოს“, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არ შესწორდება ტაქტი ისე, როგორც ნაჩვენებია, მაშინ ირღვევა რიტმი, არ გამოდის ლექსი. და იი, პ. ინგოროყვაც, ახდენს კონიექტურას: სწერია „სიციბილი“, უნდა იყოს „სიციბილი იგი“ (თუ ასე არ იქნება, მაშინ ტაქტს დააკლდება ორი მარცვალი); სწერია „გუამოვნებისა იგი“ უნდა იყოს „გუამოვნებისა“ (წინააღმდეგ შემთხვევაში ტაქტში აღმოჩნდება ორი ზედმეტი მარცვალი); სწერია: „შევაქოთ“, უნდა იყოს „შევაქოთ აქ“. ჩვენ შეგვიძლია კონტრწინადადება წარუდგინოთ პ. ინგოროყვას და ვუთხრათ: თქვენ რომ ასწორებთ „ბუნებითა აქუნდა“, არ ვარგა, რადგან პიატუსი გამოდის, და ამიტომ იქნებ სჯობდეს „ბუნებით მოაქუნდა“. ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე დავუწინოთ მას, რომ იმავე ჰიმნის მეორე გალობის შესამე სტროფში ერთი მარცვლის დამატების მიზნით მან შეცვალა „ნეტარი“ და დაწერა „სანატრელი“ (ანბო) და მოვითხოვოთ აქ სხვანაირი კონიექტურა, რადგან ამის აქ უფრო შეეფერება „ნეტარი“. მაგრამ იმის თქმა, თუ პ. ინგოროყვას რა

უფლება ჰქონდა, რომ მარცვალს უმატებდა ინ
აკლებდაო, ყოვლად შეუწყნარებელია; ეს იქნე-
ბოდა ტექსტუალური კრიტიკისა და ინტერპრე-
ტაციის ძირითად დებულებათა გაუგებლობა.

რომ ეს არის ანბანური კვშიარაბტება ტექს-
ტუალური კრიტიკის დარგდან, ამის ნათელყოფა
შეიძლება უამრავი მაგალითით.

თ, ჩვენ ხელთ არის „ქართლის ცხოვრების“
ტექსტი, კრიტიკულად დამუშავებული ყველა
არსებული ზელნაწერის მიხედვით. ერთისა და
იმავდ დედნიდან მომდინარე რამდენიმე ზელნა-
წერში ასეთი სჭვადსხვანაირი ფორმით გვხვ-
დება სიტყვები და გამოთქმები:

- 193, 21 სუფევისა სუფევისა მის
- 193, 23 წარჩინებული ისა წარჩინებულთა
- 221, 16 მეფობდა კეთილად მეფობდა
- 245, 17 ნიჟთა ნიჟთა დიდთა
- 263, 9 ღონე ღონენი

რას მოასწავებს „ქართლის ცხოვრების“ ვა-
რიანტთა ასეთი სხვაობა? ეს იმას ნიშნავს, რომ
ერთ შემთხვევაში, მაგალითად, გადაწერის გა-
შორჩა „კეთილად“, ხოლო მეორე შემთხვევაში
მას უპარღეოდ მოეჩვენა „ნიჟთა“ და დაუმატა
„ნიჟთა დიდთა“; ხოლო ყოველ კერძო შემთხვე-
ვაში თანამედროვე რედაქტორმა უნდა გამოიჩინ-
ოს იმდენი ალღო ტექსტუალური შევრქმებისა,
რომ გაერკვეს, თუ საღ გამოჩინა რამე გადაწერს
ან საღ დაუმატა მან. ლექსის მიმართ კი, იმ
ლექსის, რომელიც პროზაულად, გაბმით იწე-
რებოდა, ყოველთვის არის პოსალოდნელი მარც-
ვალთა ან სიტყვათა დაკლება-მიმატება. და რო-
დესაც გარკვეულია რომელიმე ლექსის სტრუქ-
ტურული სახე, მის გამოშვემელ-რედაქტორს
სრული უფლება აქვს ამ სტრუქტურული სახის
მიხედვით აღადგინოს ლექსის ტექსტი: სადაც
მარცვალა აკლია — შეავსოს, სადაც ზედმეტია —
ამოშალოს.

3. ინგოროყვას თავის შრომაში „გიორგი მერ-
ჩულე“ რამდენიმე ათეული ჰიმნი აქვს დაბე-
დილი აღდგენილი სახით, და ვველგან სკოლიო-
ბებში ზედმეტწევით აქვს აღნიშნული, თუ რა სა-
ხის კონიექტურა ჩაატარა მან ამა თუ იმ ლექს-
ის ტექსტის დადგენის დროს.

ამგვარად, 3. ინგოროყვამ თავისი უკანასკნე-
ლი გამოკვლეული ქართული პიმნოგრაფიის შესა-
ხებ გამოავლინა ძველი ქართული პოეზიის აქა-
მდე სრულიად უცნობი დარგის „არტმული პოე-
ზიის“ არსებობა და ამ დარგის რამდენიმე ათეუ-
ლი, აქამდე სრულიად უცნობი ლექსის ტექსტები
დაადგინა და დაბეჭდა (ხოლო რამდენიმე ასეუ-
ლი დამზადებული აქვს დისამბეჭდალ).

ეს ლექსები, დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ
ცნობილი (ისიც ცნობილი როგორც პროზაული
ნაწარმოებები) ეკუთვნის 5—10 საუკუნეთა
ქართულ პოეტებს, რომელთაგან დღემდე მხო-
ლოდ ზოგიერთებს ვიცნობდით. ზოგ მათგანს კი
ვიცნობდით სახელთ, ხოლო არ ვიცოდით, თუ

მათ რა პოეტური ნაწარმოებები ეკუთვნოდნენ.
ბირველ რიგში, ეს ითქმის ფეოქტეიტყვე: მერ-
ჩულეზე და გრიგოლ ხანძთელზე.

**2. გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის
ჰიმნება**

რა ვიცოდით აქამდე გრიგოლ ხანძთელისა და
გიორგი მერჩულის პოეტური შემკვიდრების
შესახებ?

პროფ. კ. კეკელიძე თავის ფუნდამენტალურ
შრომამი „ძველი ქართული მწერლობის ისტო-
რია (ტ. 1, 1951 წ., გვ. 118—119) წერს გრი-
გოლ ხანძთელის შესახებ: „უეჭველია, ასეთი
მომზადებული ადამიანი ლიტერატურულ ასპა-
რუსზედაც არ დარჩებოდა უსაკმოდ. მართალია,
ჩვენამდე არ შენახულია არც ერთი თხზულება
(ხაზი ჩვენისა. ს. ყ.), რომლის შესახებ დანამდე-
ლებით შეგვეძლოს თქმა, რომ ის გრიგოლის მი-
ერაა დაწერილი ან ნათარგმნი, მაგრამ მისი ბიო-
გრაფიის სიტყვები „აქ არს ხანძთის ქელთა მის-
სითა დაწერილი... საწერილყო იაღგარი, რომლის
სიტყუანი ფრთად კეთილ არააო“. გველქებუ-
ნებს, რომ ის მწერლობაში მართლაც რომ იღებ-
და მინაწილობას“¹.

გიორგი მერჩულის ლიტერატურული შემკვიდ-
რების შესახებ პიმნოგრაფიის დარგში კ. კე-
კელიძე იტყვ წერს: „გიორგი მერჩულის თითქმის
პიმნოგრაფიაც ყოფილა (ხაზი ჩვენისა. ს. ყ.): მი-
ქელ მოღრეკილის კრებულში მოთავსებულია
მეზუთე ხმის აღდგომის კანონი, რომელსაც აწე-
რია „უცხოინი მერჩულელნი“. მერჩულელნი,
აღლბაი, გიორგის ავტორობას აღნიშნავს, თუმცა
შესაძლებელია ამ ტერმინით „მერჩულისებური“
ფორმა იგულისხმებოდეს“ („ძველი კ. ლიტ-
ისტ., გვ. 136).

თი, ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიცოდით გრი-
გოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის პოე-
ტური შემკვიდრების შესახებ. დღეს კი, 3. ინ-
გოროყვის გამოკვლევის შემდეგ, ჩვენი ცოდნა
გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის მო-
ღეაწერების შესახებ პიმნოგრაფიის დარგში იმდე-
ნად გაზიდრდა, რომ ამავრდიან, შეიძლება ითქ-
ვას, აბათუ ცალკე თავი დასჭირდება ქართულ
პიმნოგრაფიის „ქართული ლიტერატურის ისტო-
რიის“ ტომში, არამედ ცალკე ტომიც კი შეიძ-

¹ 1954 წელს უფრო გაზედულად აქვს ნათქვა-
მი კ. კეკელიძეს: „უეჭველია, ასეთი მომზადე-
ბული ადამიანი ლიტერატურულ ასპარუსზედაც
არ დარჩებოდა უსაკმოდ. მართალიც, ბიოგრა-
ფის ცნობით, მას დაუწერია „იაღგარი“ ანუ
ლიტერატურული ჰიმნება მთელი წლისა. სიტყ-
ვები თხზულების ავტორისა: „ხელთა მისითა
დაწერილი სულისა მთერ წმიდისა“ უფრო ასე
უნდა გვესმოდეს, რომ იაღგარი მას თვით შე-
უთხზავს“ (ქართული ლიტერატურის ისტორია,
ტ. 1. კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ძველი ქარ-
თული ლიტერატურა, თბ. 1954, გვ. 113—114).

ლება არ ეყოს. მოკლედ შეგვეძლოს შემდეგ მსგავსების სახით წარმოვვადგინა ეს ახალი მიღწევა ქართული პოეზიის დარგში:

1. პ. ინგოროყვის მიერ გამოცემულია ის კრებული, რომელზედაც გიორგი შერჩულეს ჩატვაში აქვს, რომ „არს ხანძთას ქელთა მისითა (ე. ი. გრიგოლ ხანძთელის ხელთ) დაწერილა... საწელიწდო იადგარი“ გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარი“ (ე. ი. ჰიმნების კრებულ) მიღწეულია ჩვენ დრომდე, პ. ინგოროყვის გამოცვლვის მიხედვით, რამდენიმე რედაქციის სახით. პარტო ერთ ძირითად ხელნაწერში მე-10 საუკუნისა (978—988 წლებში მიქაელ მთლერეკლის მიერ შედგენილ კრებულში, რომელიც თავისთავად არ მოღწეულა სრულად, და მის აკლია ნახევარზე მეტი), შეტანილია გრიგოლ ხანძთელის

ა) 81 ჰიმნი დიდი ზომისა (თითოეული ჰაშიმი შედგება რვა გალობისაგან),

ბ) 123 ჰიმნი მცირე ფორმისა, ეგერეთოფებულ სტიქიარონში.

დანარჩენ ხელნაწერებში გამოცემულია პ. ინგოროყვის მიერ გრიგოლ ხანძთელის 36 ჰიმნი დიდი ზომისა და 60-მდე მცირე ფორმისა (სტიქიარონში).

გარდა ამისა, გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის 310 ძლისპირი¹.

ამგვარად, წინათ გრიგოლ ხანძთელზე ვიპოვბდით, რომ „არ შენახულა არც ერთი თხზულება, რომლის შესახებ დანამდივლებით შეგვეძლოს თქმა, რომ ის გრიგოლის მიერაა დაწერილიო“, პ. ინგოროყვის გამოცვლვის შემდეგ კი ჩვენ დანამდივლებით ვიცით, რომ უკვე გამოცემულია გრიგოლ ხანძთელის 300 ჰიმნი და 310 ძლისპირი.

აქამდე გრიგოლ ხანძთელს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ასე ახასიათებდნენ: „მერვე საუკუნის გასულს და მეცხრის პირველ ნახევარში მოღწეაწობდა გრიგოლ ხანძთელს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობასა და სამონასტრო ცხოვრებას, ააშენა რამდენიმე მონასტერი, სხვათა შორის — ხანძთის საეანე“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1: კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა. თბ. 1954, გვ.

¹ ძლისპირი — ჩვეულებრივ ორი სტროფისაგან შემდგარი სალექსო ერთეულია და წარმოადგენს საგალობელთა ძირითადი ტექსტის სალექსო საზომებს. თვით სიტყვა შედგება ორი რაჟილისაგან: 1) „ძლის“ (ძალი = სიმი), 2) „პირი“ („წამყვანი“, „მძლოლი“), ე. ი. ის სისიმღერო საზომი, რომელიც მიუძღვის საგალობელს. შტრ. საბა: „უპირობდა—ესე არს საგალობელითა და ძნოზათა წინაძღვლეს ხმათა“. შტრ. მატიაენე ქართლისა: „შეკრებს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს („წინა მძლოლად გაიხადეს“) ღლბორიკ და იყანე აბაზასძე (ქ. ცხ. 1, გვ. 296, 21).

113). ამიერიდან ამ დახასიათებას მივმართებ: „და რომელმაც დასრულებულთ, სახე უმისცა ძველ ქართულ რიტმულ პოეზიას... რამდენიმე ასეული თარგმნილი და ორიგინალური ჰიმნი, რომელთა „სიტყვანი ფრადე კეთილ არიან“.

2. პ. ინგოროყვის გამოცვლვისათვის ნათელი ხდება, რომ გიორგი შერჩულე ყოფილა გამოჩენილი ისტატი ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში, რომ იგი ყოფილა ღირსეული გამგრძელებელი გრიგოლ ხანძთელის ტრადიციებისა და ახალი ფორმების შემოღებელი ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში. გარდა ამისა, გიორგი შერჩულე ყოფილა მუსიკის დიდი მკოდნი.

პირველ რიგში უნდა მოვხსენიოთ ის სალექსო ფორმა, რომელსაც მიქაელ მთლერეკელი უწოდებს „მერჩულიანი უცხიანი“ და რომლის შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „მერჩულიანი, ალბათ, გიორგის ივტორობას აღნიშნავს, თუმცა შესაძლებელია ამ ტერმინით „მერჩულიანებრი“ ფორმა ივლისსმებოდესოც. პ. ინგოროყვამ შედმოწვევით შეისწავლა ეს სალექსო ფორმა და ნათელყო, რომ ამ სახელწოდების საგალობელი („მერჩულიანი“) გაწყობილია სტროფული ალიტერაციებით: ყოველი ცალკე გალობის სტროფული ერთეულები იწყება იმავე ბეგრით, რომლითაც იწყება სალექსო საზომის აღნიშვნელი ძლისპირი. რაკი გამოიჩეკე, რომ გიორგი შერჩულეს პოეზიის დამახასიათებელი ყოფილა ალიტერაციული წყობა, ამ ნიშნის მიხედვით მოითებნა თვით ჰიმნული გიორგი შერჩულესა. გამოიჩეკე პირველ რიგში, რომ გიორგი შერჩულეს ჰქუთუნებია ჰიმნების ორი კრებული: ა) საგალობელი სამარადისონი რვა-ხმანი, ბ) საგალობელი აღესებისანი რვა-ხმანი.

პირველი კრებული („საგალობელი სამარადისონი რვა-ხმანი“) მიღწეულია მე-11 საუკუნის ხელნაწერით, უკეთ რომ ვთვამთ, მოღწეულია ხელნაწერის პირველი ნაწილი (1-4 ხმებისა), ისიც დაზიანებული. ამჟამად ეს დაზიანებული ნაწილი შეიცავს 10 საგალობელს. ამ კრებულის სტრუქტურადან ირკვევა, რომ თითოეული ხმის საგალობელი 12 საგალობელს შეიცავდა, ე. ი. სულ 48 საგალობელი უნდა ყოფილიყო ჩვენამდე მოღწეული 10 საგალობელის ცალკე გალობანი შეიცავს 8 გალობას (32 სტროფის შემადგენლობით), ასე რომ სულ მოღწეულია 320 სტროფი, ხოლო მილიანად კრებულის პირველი ნაწილი შეიცავდა 48 გალობას ანუ 1536 სტროფს. ამ მოცულობის მნიშვნელობას იდეალად მივხვდებით, თუ გაიხსენებთ, რომ „ეფესისტყოსანი“ შეიცავს სულ 1659 სტროფს (ვახტანგის გამოცემით 1587 სტროფს).

მეორე კრებული („საგალობელი აღესებისანი რვა-ხმანი“) შედგება საგალობელი 21 ჯგუფისაგან; თითოეულ ჯგუფში შედის: სტიქიარონი+გალობანი+სტიქიარონი. ეს ჰიმნები ნაწილობრივ ქართულია, ნაწილობრივ ბერძნულიდან არ-

ის გადმოღებულა ქართულ კომუნებს ხელნაწერ-ის უხის „ქართული“ ანუ „ქ“ (ე. ი. ქართული), ხოლო ბერძნულიდან გადმოკეთებულს უხის „ბერძნული“ ანუ „ბ“. სულ ამ ჯგუფში 46 სტიქარონია, რომელთაგან ორიგინალური ქართულია 42. რაც შეეხება „ვალახებს“, რომელთა რიცხვი 21-ა (თათოველი ვალახიანი შედგება 8 ვალახისაგან), მათგან ორიგინალურია სამი, ხოლო დანარჩენი ვალახიანი ბერძნულიდან უნდა იყოს გადმოკეთებული. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ბერძნულიდან გადმოკეთებულ ვალახებში ვიორგი მერჩულეს ჩაერთავს ორიგინალური ქართული სტროფები, რომლებსაც ხელნაწერში უხის ნიშანი „ქ“ (ე. ი. ქართული).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ვიორგი მერჩულის ლიტერატურული შემკვიდრება მიმწერავეთელი პოეზიის დარგში საკმაოდ მდიდარია. თუ აქამდე ვამბობდით რომ „ვიორგი მერჩული თითქოს მიმწერავეთ უოფილა“, ახლა მოზრდილი ტომი დაგვიბრუნებდა იმისათვის, რომ ისე თუ ისე რიგანად მიმოვიხილოთ ვიორგი მერჩულის პოეტური შემკვიდრება („საგალობელი სამარაპისანი“, „საგალობელი აღესებისანი“), ანალიზი გავუკეთოთ ვიორგის მხატვრულსა და კომპოზიციურ ხერხებს, მის ალიტერაციულ წყობას, გამოავლინოთ ვიორგი მერჩულის მიერ შემოღებული სალექსო საზომები და მის მიერ შექმნილი მელოდიები.

ასეთია გრიგოლ ხანძთელისა და ვიორგი მერჩულის ლიტერატურული შემკვიდრება, როგორც ის გამოვლინდა დღეს პ. ინგოროვას გამოკვლევის წყალობით. ამ ჩვენი მოკლე მიმოხილვითაც ნათელია, თუ რა ფართოდ გავშლიათ თვითნათი პოეტური შემოაბა გრიგოლ ხანძთელსა და ვიორგი მერჩულეს, თუმცა აქ ჩვენ იმის ნახევარიც არ გამოვლევით, რაც აქვს გამოკვლევით პ. ინგოროვას ან ორი გამოჩენილი მიმწერავეთის შესახებ. ჩვენ არაფერი ვგითქვამს იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელს ჰქუთუნებდა ვეპოლოგიური კრებული, რომელშიაც შედიოდა მისი „სავედრებელი“, რომ მის შეუთხზავს აგრეთვე „ქებაა კლარჯეთისა უდაბნოთა“, გამოგვჩინა იმის თქმაც, რომ გრიგოლ ხანძთელის ზოგიერთი ვალახიანი, რომლებიც დაწერილია „ეპითა სიავის“ ხანაში, გამსჭვალულია ღრმა პატრიოტული გრძნობით, რაც გამოხატულია პოეტის მიერ ვალახათა ეპილოგებში. ასე, მაგალითად, ირანთა ბატონობის დროს (მე-8 საუკუნის ბოლოს და მე-9 საუკუნის დასაწყისში) შეთხზულ საგალობელთა ეპილოგებში ვკითხვლობთ:

ერი შენი იხსენ საბიერებით,
განწირული და გლახაკი,
რომელი დეაქლსა შინა
დაწუნებულ არს მარადის მტერთაგან,
არამედ შენდა მოივლტის,

სახიერ, ვითარცა ღმერთ ხარ, რათა იხსენდ
მტერთაგან მაიღებულნი შენსა

ასეთივე „საქვეყნო სათხოვარი“ ამთავრებს გრიგოლ ხანძთელი მეორე საგალობელს:

ერი მართლმადიდებელი,
მორწმუნე აღმსარებელი,
შენდა მიმართ მევედრებელი
გვედრებით შენ
ქრისტე, მიხსენე ჩვენ
ისმაიეტლთაგან ყრბათა,
და შეახეთქენ
კლდესა, წმიდისა
ვიორგის მიერ.

სხვა ვალახებშიც ხშირია ასეთი მიმართება: „წარგვიმართე გზასა მშვიდობისასა“, „მშვიდობით დაცემა მტერისა საფრთხეთაგან“, „ვეითხოვე უვნებელად დაცემა მტერთა ჩუენთაგან“.

პოლიტიკური კრიზისით გამოწვეული ეროვნული კატასტროფა ღრმა მწუხარებით ავსებს გრიგოლ ხანძთელს და იგი ატყეფმლებული ამბობს ერთ-ერთ ძლისძიარში.

ნუ შეურაცხყოფ
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,
არამედ შემწე ეყავნ
მარჯუენდა შენი ძლიერი და მაღალი,
შობილო ქალწულისაგან,
და მიხსენ ჩუენ მონებისაგან
მტერთა ჩუენთასა
ავარის ნათესავთა,
და ძლევამ მოჰმადლე მეფესა ჩუენსა.

აქ იგულისხმება ის ხანა, როდესაც ხალიფა-მამუნის გამეფების დროიდან (813 წ.) არაბობა იხე გაძლიერდა საქართველოში და ამოტ 1 დამარცხდა არაბებთან ბრძოლაში. სამაგიეროდ, სიხარულის ფრთებს ისხამს პოეტი, როდესაც ქართული ეკლესია იმარჯუებს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში:

რომელმან მოსცა ძლევამ
მეფესა ჩუენსა უფალმან,
და აღამაღლა
რქამ ცხებულისადა...

საგანგებოდ არის აღსანიშნავი გრიგოლ ხანძთელის ის საგალობლები, რომლებშიც პოეტ-უმღერის „სოფლის მშვიდობას“ და „ერის მშვიდობას“...

მშვიდობაა სოფელსა მოჰმადლე
და ძლევამ მტერთაა ეუარიითა მოეც
მეფესა ღმრთის-მოყუარესა
მტერთა მიმართ ურწმუნოთა

მეფესა ზენსა ძლევაჲ
და ერსა მისსა შვილობაჲ

ერთი სიტყვით, ზემოთ წარმოდგენილ მიმო-
ხილვაში ზენ ვერ შეეძლოთ იმის ნახევირაც კი
ვაღივრევა გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი
შერჩელის პოეტური მოღვაწეობის შესახებ, რაც
პ. ინგოროყვის აქვს აღნიშნული თავის გამოკე-
ლევაში. მაგრამ ამ მოკლე ამოხილვასაც თუ შე-
ვადარებთ იმას, რაც ჩვენ აქამდე ვიცოდით გრი-
გოლ ხანძთელზე და გიორგი შერჩელეზე, რუ-
გორც პოეტებზე, ადვილად დავრწმუნდებით იმა-
ში, რომ პ. ინგოროყვის გამოკვლევის წვალობით
ახალი თავები ჩაიწერა „ქართული ლიტერა-
ტურის ისტორიაში“ ამ თარ გამოჩენილ პოეტზე.

გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი შერჩელის
ჰიმნთა ტექსტებთან ერთად პ. ინგოროყვის მიერ
გამოკვლილ იქნა აგრეთვე განსაკუთრებული
შინაშენლობის მასალები ძველი ქართული ლი-
ტერატურის უძველესი პერიოდის ისტორიის
ასსაღებად. გამოკვლილ იქნა რამდენიმე ახა-
ლი პოეტი — ჰიმნოგრაფი, რომლებიც დღემდე
ცნობილი არ იყვნენ. ესენი არიან: ბასილი სა-
ბაშინდელი, ებიფანე ხანძთელი (8—9 ს.), მუ-
კარაი ლეთთელი (9 ს.), ბასილი ხანძთელი (9 ს.),
ივანე შვალბელი (10 ს.), გიორგი საბაშინდე-
ლი — სინელი (10 ს.), რატი ორბელი (10—11
ს.).

გარდა ამისა, ახალი ინტერპრეტაცია მიეცა
მთელ რიგ ცნობილ ოხულებებს და ცნობილ
შეწერაღთა მოღვაწეობას.

ახე მავალითად, დადგენილ იქნა პ. ინგორო-
ყვის მიერ სალექსო ფორმა დავით აღმაშენე-
ლის ცნობილი ჰიმნისა „გალობანი სინანულისა-
ნი“, ეს ჰიმნი რამდენჯერმე იქნა გამოცემული.
ზენაწერებში დამახინჯებული ტექსტა შესა-
წორა და შესაფერა კონიქტურების მეშვეობით
გამართა პროფ. კ. კეკელიძემ, მაგრამ ვერც ერთი
გამომცემელ-რედაქტორი ვერ გაერკვა ამ ჰიმნის
თავისებურ სალექსო ფორმასი და დღემდე ის
იბეჭდებოდა პროზის სახით. პ. ინგოროყვის გა-
მართებით, „გალობანი სინანულისანი“ რიტმული
პოეზიის ერთ-ერთ ფორმას მისდევს, ავტბულია
სტროფული სისტემის ლექსულობით. ჰიმნი შე-
დგება რვა გალობისაგან: თითოეული გალობა
წარმოადგენს დამოუკიდებელ სალექსო ერთე-
ულს და ოთხი სტროფისაგან (უკანასკნელი მე-8
გალობა — ხუთი სტროფისაგან) შედგება; თი-
თოეული სტროფი შედგება 5, 6 ან 7 ტაბისა-
გან. აი, ერთ-ერთი გალობის სალექსო ზომა:

ელინთა მიერ ვერ ცნობაი (8 მარცვლი)
სიბრძნითა ღმრთისათა ღმრთისაი (8 მარცვლი)
და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ
(12 მარცვლი)
ცვალებად თაყვანისცემისაი, სრულ ვაჟაჲ,
რაქამს (13 მარცვლი)
თითოეულსა ენების ერსსა ემსახურე
(12 მარცვლი)

რადგან გაიკვია, რომ ამ ლექსის საზომის სქე-
მაა: 8, 8, 12, 13, 12, საქირო გახდა კ. კეკელი-
ძის მიერ პროზაულად დადგენულ ტექსტზე. მო-
ცემულ შემდეგ წაითხვავათ უარყოფთ:

- 1) ელინთა-მიერი (AB ხელნაწერი — „მი-
ერ“).
- 5) თითოეულისა ენებისა.

მ. ძველი ქართული „ჰაშივი“

მის შემდეგ, რაც გაიკვია „სილაბური უკეთე-
ლი ლექსი“ სტრუქტურა და ზედმიწევნით გა-
მოვლინდა ამ ლექსის საზომის ნაირსახეობები
(რამდენიმე ასეული სხვადასხვა სახე), პ. ინგო-
როყვამ მაქცია ყურადღება, რომ ამ ლექსებს
აქვთ ზედწერილობები. ზოგს აწერათ „სოფლისა
ზღუდა აღძრულ არს — ამათ ზედა“, ზოგს —
„ზღვისა მის მეწამელისა — ამათ ზედა“, „უხი-
ლათა მხოვლებთან — ამათ ზედა“ და სხვა.
ამაგრა იყო, რომ ლექსის წინ წამმდგარებულ
სიტყვები „სოფლისა ზღუდა აღძრულ არს —
ამათ ზედა“ სალექსო საზომის მაჩვენებელი უნ-
და ყოფილიყო. ესე იგი: ლექსის ავტორი მიუ-
თითებდა — ეს ლექსი იგალობე „სოფლისა
ზღუდა აღძრულ არს“-ის ხმაზე.

მიქელ შოდრეკილის ცნობილ კრებულში,
თავში, მოთავსებულია ჰიმნოგრაფიული ტექს-
ტები, რომელთაც სათაურად უწერია „ძლისპირ-
ნი“. აქ მოთავსებული ლექსები, ყველა უაღრეს-
ლივ, იწყება ამ სიტყვებით, რომლებიც ზედწე-
რილობის სახით წამმდგარებული აქვთ ჰიმ-
ნებს — საგალობლებს: ერთი იწყება სიტყვებით
„სოფლისა ზღუდა აღძრულ არს“, მეორე —
„ზღვისა მის მეწამელისა“, მესამე — „უხილათა
მხოვლებთან“ და ა. შ. გარდა ამისა, ყოველ
ასეთ ლექსთან აღნიშნულია მისი გალობაც
ძველქართული სანოტო ნიშნებით. რადესაც პ.
ინგოროყვამ შეადარა ამ ლექს-ძლისპირების
საზომი იმ საგალობლების საზომებს, რომლებ-
საც ზედწერილობად უწერია „სოფლისა ზღუდა
აღძრულ არს“ — ამათ ზედა“, „ზღვისა მის მე-
წამელისა — ამათ ზედა“ და სხვ., გამოირკვა,
რამ ლექს-ძლისპირის საზომი და თვით სა-
გალობლის საზომი ერთი და იგივეა. ყოველი ჰი-
მნი, რომლის ზედწერილობაც აღნიშნულია საზო-
მის მაჩვენებელი (როგორც, მაგ., „სოფლისა
ზღუდა აღძრულ არს“), ზედმიწევნით იშვიათებს
იმ სალექსო საზომს, რომლითაც გამართულია
ამავე სახელწოდების ძლისპირი. მასწავლამ,
ლექსა-ძლისპირი ყოფილა მამკვენებელი საგალო-
ბელთა სალექსო საზომისა. სხვანიარად რომ
ვთქვათ, მიქელ შოდრეკილის კრებულის თავში
მოთავსებული „ძლისპირების“ კრებული ყოფი-
ლა „ჰაშივი“, ე. ი. ისეთი კრებული, რომელ-
შიც მოცემულია საგალობელთა სალექსო საზო-
მების ნიმუშები შესაჯალურე კომპოზიციის და-
რთვით (ახ. „გიორგი შერჩელე“, გვ. 617).

შესწავლო იქნა ამის შემდეგ ძლისპირთა ყველა არსებული კრებული. კრებულები დაცულია როგორც საქართველოს სიძველეთსაცავებში, ისე უცხოეთში არსებულ ქართულ საენათა ბიბლიოთეკებში. არსებობს ზღწაწერები მე-10 საუკუნისა, არსებობს მე-13-15 საუკუნეთა ზღწაწერები, რომლებიც ძლისპირთა კრებულებს შეიცავენ. ამ კრებულით კვლევამ მიიყვანა პ. ინგოროყვა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ა) ძლისპირნი დიდი ფორმის საგალობელი და ბ) ძლისპირნი მცირე ფორმის საგალობელი. უკვე მე-10 საუკუნის დასასრულსათვის არსებულია 893 საღესტო ფორმა, ანუ ძლისპირი დიდი ფორმის საგალობელია. გარდა ამისა კრებულში მოიპოვება 324 ძლისპირი მცირე ზომის საგალობელი (ანუ სტიქარონთა). აქვე დავსძენთ, რომ დიდი ფორმის საგალობელი 893 ძლისპირი ეპოქების მიხედვით ასე ნაწილდება: პირველ ძველ ჯგუფში შედის 397 ძლისპირი, ხოლო შემდეგნაირ ხანისაა 496 ძლისპირი. პირველი ჯგუფის ძლისპირთაგან 310 საღესტო ფორმა შემოღებულია გრაგოლ ხანთელის მიერ.

თავის წიგნში პ. ინგოროყვა იხილავს ყველა ძლისპირის სტრუქტურულ სახეს და ყოველი სახის განხილვის დროს მოჰყავს სათანადო ტექსტურული ნიმუშები (გვ. 622-702).

4. რიტმული პოეზიის წარმოშობის საკითხი
ჩვენ ზემოთ შევხვებთ პ. ინგოროყვას შრომის („გეორგია მერჩულე“) მეორე, ლიტერატურათმცოდნეობით, ნაწილის იმ თავებს, რომლებშიც გარკვეულია ქართული რიტმული პოეზიის (ავტორის ტერმინოლოგიით, „სილაბური უკვეთელი ლექსის“) საკითხები. მაგრამ პ. ინგოროყვას ამ გამოკვლევაში გარკვეულია ძველი ქართული პოეზიის რიგი სხვა საკითხებიც.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ, რომ, პ. ინგოროყვას აზრით, ჩვენ გვაქვს ძველი ქართული ლექსუბის სამი სახეობა, 1) სილაბური მუხღვდივანი ლექსი ანუ ძველქართული კლასიკური ლექსი; 2) სილაბური უკვეთელი ლექსი ანუ ძველქართული თავისუფალი ლექსი; 3) „წყობილი სიტყვა რიტმული“ ანუ „წყობილი სიტყვა“.

წინამდებარე მიმოხილვაში ჩვენ შემოვიღებრგლეთ ჩვენი მიზნები ძველი ქართული ლექსუბის შემოღ სახეობით, ე. ი. სილაბური უკვეთელი ლექსით (როგორც პ. ინგოროყვა უწოდებს), ანუ ძველქართული რიტმული პოეზიით (როგორც ჩვენ ვეძახით). ამის მიზნები შემდეგია:

1. ერთ საუკუნიალი წერილი ძნელი აღმინანი შევხოს ძველქართული პოეზიის ყველა საკითხს და შეიძლება სპეციალურ მონოგრაფიაში განვიხილო ან რამდენიმე სტატია უძღვნა, თითოეული სტატია — ცალკე სახეობის ქართული ლექსისას.
2. ამჟამად ყველაზე უფრო საგულისხმოად ჩვენ მივიჩნით შეგვეჩერებინა მკითხველის ყურადღება ქართული ლექსის იმ სახეობაზე, რომელიც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სრულიად უცნობი იყო. დანარჩენი ორი სახეობის შესახებ ცოტა რამ უკვე ცნობილი იყო როგორც თვით პ. ინგოროყვის, ისე სხვა მკვლევართა მიერ. რაც შეეხება ძველქართული რიტმულ პოეზიას, ეს სრულიად ახალი, მოულოდნელი აღმოჩენაა, პ. ინგოროყვას გამოკვლევის წყალობით მზის სინათლეზე გამოჩენილი. დღემდე რიტმული პოეზიის არსებობა ძველქართულ პოეზიაში მე-5-11 საუკუნეებისა სრულიად უცნობი იყო.

ახლა საგულისხმოა გაიკვლინ რიტმული პოეზიის წარმოშობის საკითხი. ბიზანტიური რიტმული პოეზიის წარმოშობის საკითხს ჩვენ ვუძღვებით სპეციალური პარაგრაფები ჩვენს შრომაში „ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. ელინისტური პერიოდი. ბიზანტიური პერიოდი“ (თბ. 1949, გვ. 383-390, 411-413), და დავსახებთ ასეთი გზა რიტმული პოეზიის წარმოშობისა: 1) ანტიკური მელიკა და ქორეოლი ლიტერატურაში ძვ. წ. მე-5 საუკუნემდე; 2) პოეზიის ამ დარგების გაქრობა ლიტერატურიდან და მათი დარჩენა ხალხში; 3) ხალხური ქორეო ანუ საგუნდო სიმღერები ძვ. წ. მე-5 საუკუნიდან ქრისტიანულ საუკუნეებამდე; დასასრულ, ამ ხალხური ქორეოლი სიმღერების ამოტიტრება ლიტერატურაში ძვ. წ. მე-4-6 საუკუნეებში. ჩვენ იქ აღარ ვაგვარძლებთ ამაზე ლაპარაკს (მხტრველს შეუძლია უფრო დაწერილებით წაიკითხოს ზემო დასახელებულ წიგნში, ხოლო მომავალში კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საკითხს ქართულ რიტმულ პოეზიასთან დაკავშირებით სპეციალურ ნარკვევში). ვიტყვით მხოლოდ, რომ ბიზანტიური რიტმული პოეზიის საკითხთა რკვევის დროს აღმსავლეთის ხალხთა მერე შეტანილ ელემენტებს ანგარიში უნდა გავწიოს.

რას ამბობს პ. ინგოროყვა ქართული რიტმული პოეზიის წარმოშობაზე? მან თითქმის სპეციალური პარაგრაფი უძღვნა ამ საკითხს: „კეიპირი ძველქართული პიმნოგრაფიული პოეზიის საღესტო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღესტო ფორმასთან“ (გვ. 596—598). მიუხედავად ასეთი სათაურისა, ამ პარაგრაფში მინც არ არის გარკვეული, თუ როგორია ეს კეიპირი. ავტორი მხოლოდ იმას წერს, რომ ვერძირი არის. ის ამბობს: „როდესაც კი ჩვენ ამოვიფიქრებ ძველქართული პიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, ჩვენთვის მაშინვე ნათელი გახდება უახლოესი ნათესაობა ქართული პიმნოგრაფიის საღესტო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღესტო ფორმასთან“. ამის შემდეგ არკვევს ბერძნულ ქორეოლი ლირიკის რაობას და აღნიშნავს, რომ „ქართული პიმნოგრაფიის ლექსი თავისი სტრუქტურით ემთხვევა ქართული ლირიკის სტრუქტურულ-ტაქტიკურ ადნაგობას“. ეს უაღრესად საუბრალოდ დასკვნაა, მტკიცე მეცნიერული გზით მიღებული, და ეს დასკვნა უთოოდ სახელმძღვანელოდ იქნება მიღებული ქართული ლექსისათვის.

რას ამბობს პ. ინგოროყვა ქართული რიტმული პოეზიის წარმოშობაზე? მან თითქმის სპეციალური პარაგრაფი უძღვნა ამ საკითხს: „კეიპირი ძველქართული პიმნოგრაფიული პოეზიის საღესტო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღესტო ფორმასთან“ (გვ. 596—598). მიუხედავად ასეთი სათაურისა, ამ პარაგრაფში მინც არ არის გარკვეული, თუ როგორია ეს კეიპირი. ავტორი მხოლოდ იმას წერს, რომ ვერძირი არის. ის ამბობს: „როდესაც კი ჩვენ ამოვიფიქრებ ძველქართული პიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, ჩვენთვის მაშინვე ნათელი გახდება უახლოესი ნათესაობა ქართული პიმნოგრაფიის საღესტო ფორმისა ბერძნული ლირიკის საღესტო ფორმასთან“. ამის შემდეგ არკვევს ბერძნულ ქორეოლი ლირიკის რაობას და აღნიშნავს, რომ „ქართული პიმნოგრაფიის ლექსი თავისი სტრუქტურით ემთხვევა ქართული ლირიკის სტრუქტურულ-ტაქტიკურ ადნაგობას“. ეს უაღრესად საუბრალოდ დასკვნაა, მტკიცე მეცნიერული გზით მიღებული, და ეს დასკვნა უთოოდ სახელმძღვანელოდ იქნება მიღებული ქართული ლექსისათვის.



სის მომავალი მკვლევარის მიერ. მაგრამ აქ არ არის ნათელყოფილი, თუ რით აიხსნება ასეთი დამთხვევა. მაგრამ სხვა ადგილას პ. ინგოროყვის წამოყენებული აქვს დებულება, თითქოს ეს დამთხვევა იმით აიხსნებოდეს, რომ ქართული რიტმული პოეზია ბიზანტიური რიტმული პოეზიის გავლენით არის შექმნილი. სახელდობრ, „ქართული შერჩობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“ პ. ინგოროყვა წერს: „ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიღებულია თავისებური „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული“ (იხ. „მნათობი“ 1939, № 9, გვ. 134). როგორც ზემოთ თავის ადგილას იყო ნათქვამი „თავისუფალ რთულ მეტრს“ პ. ინგოროყვა ეძახდა სწორედ იმას, რასაც ახლა ეძახის „სლაბურ უწყვეტ ლექსს“ (ე. ი. რიტმულ პოეზიას).

ამ დებულებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ქართულ რიტმულ პოეზიას ისევე ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს ქართულ პოეზიაში, როგორც ეს აქვს ბიზანტიურ პოეზიას. რომ ქართული რიტმული პოეზია მარტოდენ მიბაძვა იყოს ბიზანტიური რიტმული პოეზიას, მას არ შეიძლება ისე ფართოდ გავშალა თავისი მრავალსახეობა, როგორც ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის პოეტური შემოქმედების მიგალითზე. გარდა ამისა: რომ ქართულ რიტმულ პოეზიას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მშობლიურ ნიადაგში, იქიდანაც ჩანს, რომ შინ, ამ რიტმულმა პოეზიამ, თავისთავად პოვა გამოძახილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, რაც ჩვენ ვიცით თვით პ. ინგოროყვის გამოცხადებით: იხ. „გიორგი მერჩულე“, გვ. 595 და 614, ნ. ბარათაშვილის „შეყვამო კეთილი, შენს წმიდა სამწყვოს“ („ბედი ქართლისა“) და მისივე „ჩემი ლოცვა“.

5. დასკვნა

1. პ. ინგოროყვის შრომის („გიორგი მერჩულე“) მეორე ნაწილში, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობითი შინაარსისაა, განხილული და გადამყვებელია რიგი საკვანძო საკითხები მე-

- 11 ს. ს. ძველ ქართულ პოეზიას.
2. განხილულია ძველი ქართული ლექსზე ჰამი სახეობა, ამ სახეობათა სტრუქტურული სხვადასხვა ლექსო ფორმა და რიტმიკა.
3. გამოვლენილია სრულიად ახალი, აქამდე უცნობი, სახეობა. ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა — „სლაბური უწყვეტი ლექსი“ ანუ ძველქართული რიტმული პოეზია, რამდენიმე ასეული სხვადასხვა სტრუქტურული სახის შემცველი.
4. გამოვლენილია ძველქართული „ჰაშიკი“ (ძღისპირთა კრებულის), რომელიც შეიცავს 1217 სტროფულ-ტაემობობივ საზომს; შესწავლილია ყველა ამ საზომის სტრუქტურული სახე.
5. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში პირველად არის ცნობაში მოყვანილი გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის პოეტური შემოქმედება და გამოვლენილია აქამდე სრულიად უცნობი რამდენიმე ასეული მათი ნაწარმოები. გამოვლენილი აიხან აგრეთვე სხვა უცნობი პოეტები.
6. მოცემულია სრული ბიბლიოგრაფია ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძველთა შემცველი კრებულებისა, ნუსხებისა, ხელნაწერებისა.
7. პ. ინგოროყვის გამოცხადების წყალობით მოპოვებული ჰიმნოგრაფიული მასალა ეხება ქართული პოეზიის სრულიად ახალსა და აქამდე უცნობ დაბრუნებას — რიტმულ პოეზიას, რომლის ანალიზური ბიზანტიური რიტმული პოეზია. თვით ბიზანტიური რიტმული პოეზიის საკითხები, როგორც სულ ბოლო ხანებში წამოჭრილი, ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არაა, არათუ საბოლოოდ გარკვეული არაა, არამედ ბიზანტიური რიტმული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის, რომანოზ მელიოდისის პიშნებიც კი მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოცხადებული. ასეთ პირობებში ძველქართული რიტმული პოეზიის ძველები უფროდ დიდ სამსახურს გაუწევენ ბიზანტიური რიტმული პოეზიის საკითხთა დამუშავებას და შეიძლება გამოირკვეს, რომ ქართული რიტმული პოეზია არათუ მიბაძვა არაა ბიზანტიური რიტმული პოეზიას, არამედ მათ შორის უფრო სხვაგვარი ნათესაური კავშირი არსებობს.



მოსა მოგიხარება



რუსთაველის ღმკის ენაწეობა, მუსიკალური ფერი და მხატვრობა

ენაწეობას ჩვენ ვეწოდებთ სიტყვის იმ განსაკუთრებულ სინათლესა და კოლორიტს, რომლებიც თავისი პარამონითა და ორნამენტით ხიბლავს სმენასა და თვალს, იწვევს ჩვენში დისტანციისა და სიმეტრიის განცდას და ასე წარმოშობილი სახის სასარგებლოდ ღებულობს აზრისაგან დასტურსა და მოწონებას. ენაწეობა არის სტილი შემოქმედებისა, რომელიც შემოქმედების აქტთან ერთად მოდის ამქვეყნიად და ამიტომ არის ნიშანდობლივი ინდივიდუალური ბუნებისა. სიტყვის სხვადასხვაგვარ ოსტატობას სხვადასხვაგვარი ბუნების ენაწეობა ახასიათებს; ორატორს ის თავისი აქვს, პოეტს პოეტური და წინასწარმეტყველს და ფილოსოფოსს — მათი სიტყვისა და განონებისათვის დამახასიათებელი. მას სპეციალური, დანიშნულების გამარკვევი სახეწოდებაც შეიძლება მივაკუთვნოთ; ის, მაგ., ორატორობის შემთხვევაში იქნება ენაწეობა. ენაწეობა ორატორის სათნოებაა, ენაწეობა კი — პოეტისა და ფილოსოფოსის ნიშანდობლივი.

ენაწეობა ისე გვემდებარება ენის საერთო წესებს, როგორც ლექსი და მეცნიერული ტრაქტატი, მაგრამ თვითველ შემთხვევაში იგი არის განსაკუთრებული და ამ კერძო შემთხვევისათვის დამახასიათებელი.

ის ერთი ძნელად გამოსათქმელი ჯადოსნური ძალა, მხოლოდშობილი და მარტოდშობილი, რომელიც ჩვენ ტკბილად გვატარებს, გვიტაცებს და გვარწმუნებს რუსთაველის ლექსის კითხვის დროს, რუსთაველის სიტყვის ენაწეობაა. შეიძლება ვისწავლოთ რუსთაველური ლექსის ტექნიკა, წავაბაძოთ მას, მაგრამ ვერასდროს რუსთაველს ვერ გავიგებოვართ, ეს ფორმის მიხედვითაც შეუძლებელი საქმეა. შეუძლებელია იმიტომ, რომ სტილი ანუ ენაწეობა ლექსისა არის პირველშობილი ეგზემპლარული და ორიგინალური ერთსა და იმავე დროს, ე. ი. ის არის ინდივიდუალური კატეგორია Par excellence.

ენაწეობა ენის საშუალებით ვითდება, ამიტომ ენაწეობის კვლევა ენის მარტივი ელემენტის, სიტყვის ანალიზით უნდა დაიწყეთ. რუსთაველი უფრო ოსტატია ანუ მარტო ქართული ენის, არამედ იგი აზრის მიმცემია ქართული სიტყვისთვისაც. მის სიტყვაში აზრისა და კოსმოსის განცდა ქართულ ინდივიდუალურ კოლორიტსა და ბუნებას ღებულობს.

თანამედროვე ერთი რომ ვთქვათ, რუსთაველი კანონმდებელია ქართული მეცნიერული ცნებისა, ქართული ტერმინისა, ე. ი. მან გვა უწევს ქართულ აზროვნებას, თუ როგორ შეესატყვისება ერთმანეთს სიტყვა და აზრი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოწმეა იმისა, რომ რუსთაველს ძალიან ბევრი უფიქრია სიტყვის, ენის, თქმის, აზრის ურთიერთობაზე, განსაკუთრებით იმ ჯადოსნურ მიმზიდველ ძალაზე, რასაც ზომით და მხატვრობით თქმული სიტყვა შეიცავს თავის თავში. სიტყვის იმ განსაკუთრებული ბუნების სათქმელად, რომელსაც ჩვენ ენაწეობას ვეწოდებთ, რუსთაველი მრავალფეროვან ენითეტს ხმარობს: ენის მუსიკალობას, ლექსის სიტყვის, თქმის სიტურფეს, სიამეს და სხვა.

მეორე მხრით, სიტყვა, მისი აზრით, არის ცნობიერი, გონიერი, ბრძენი. სახელდახელოდ გაიხსენოთ ერთი მაგალითი, რომელიც ორივე მოტაცს აერთიანებს:

კვლა საწოლს დახვდა მის მზისა მონა სიტყვითა
ბრძენითა:
მისლვა ებრძანა, — ემა, თქმა არ ეგების ენითა.
(692).

შეიძლება მწერლობის მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოიხსნოს მეორე კაცი, რომელსაც სიტყვის ჯადოსნურ ძალასა და ზემოქმედებაზე ამოდენი შთაგონება და დამაჯერებლობა აღმოეჩინოს. აბა ვის არ ახსოვს შოთას შედეგრი:

გველსა ხერგლით ამოიყვანს ენა ტკბილად
მოუბარი.

განსაკუთრებული შთაგონებით ხმარობს შოთა ეპითეტს „ტკბილი“ ხან — „ტკბილი სიტყვა“, ხან — „ტკბილი ლექსი“, „ტკბილი ხმა“, „ტკბილი საუბარი“, „ტკბილი თქმა“, „ტკბილი ენა“, „ტკბილი ქართული“. ხშირად ერევა ერთმანეთში ფერისა და გემოს ემოციები და შოთა იხმარს ეპითეტს „შაქრის ფერად შეღებილი ხმა“. მაღალი პოეტური ოსტატობით ორი მოპირდაპირე გრძნობიდან მომდინარე ვანკლა ფერისა და გემოს ერთ ახალ ნიუანსად მოგლეწილია ამ მაგალითში. პოეტის წარმოსახვაში აქ სასიამოვნო ხმის მოსმენის დროს მიღებულ განცდას სიტყვების გემო მიუღია, — შაქრის ფერი სიტყვების განცდის მიმგვრელი ფერია.



შოთის ამღავარი ეპოეტები გვიჩვენებენ, რომ უდიდესი შესაიდუმლე აღმზიანის სულისა განსაკუთრებული უნარით განიცდობდა ორი კანკარეტი გრძობისაგან მიღებული ვანცდის ახალი მგრძობლობითი ნიუანსის სახით წარმოშობას აღმზიანში. მაგ., გარკვეული ფერების დანახვაზე აღმზიანი ვანცდის გემოს ან ხმის შეგნებას, ან პირიქით. შეგების ვანცდის ზეგავლენით ჩვენ შეგვეძლება დავინახოთ ფერი, მრავალფეროვანი საგანი. მე ვამბობ, დავინახოთ-მოთქი და არა „მოგვეჩვენოს“. ამ შემთხვევაში დანახვის ფაქტთან გვაქვს საქმე. ეს დებულება ექსპერიმენტულად დამატკიცო თანამედროვე აიდებურმა ფსიქოლოგებმა. ამ კლასის დაკვირვებები, იმდებდნენ შოთის ლექსიკაში, საგანგებო გამოყვლების ღირსია.

ამრიგად, სიტყვას, რუსთაველის გავებით, იფერადებენ ყოველთვის ემოციური ან ინტელექტუალური ხასიათის ნიუანსები. ამიტომ სიტყვა აღმზიანის არსებობისა და ბრძოლის უდიდესი იარაღია. საქიროებისა და მიხედვით იგი ყველაზე უმწარესი და უტკბესი ერთსა და იმავე დროს. ყველაზე უმაგრესი და უმტკიცესი, შხამიანი ვესლი და ყველაზე მკურნალი ნექტარი და სხვა. მოხდენილი და ინტელექტუალური ზეგავლენის შქონე ვესლი სიტყვისა ისე ძლიერია, რომ იგი ვესლს — გველის შხამსაც კი უჩენებულს ვახდის.

ის ჯადოსნური ძალა, რომელიც აქვს ხელოვნებას, კერძოდ პოეზიას, აღმზიანზე სიტყვის ზეგავლენის შედეგია. სიტყვათა გარკვეული კომბინირება წარმოშობს ენამეცობას, პოეზიის ამ უცელობელ თანხმლებს.

მაგრამ თავის განსაკუთრებულსა და უმაღლეს დანიშნულებას სიტყვა აღწევს მაშინ, როცა იგი, როგორც სიტყვა, მეორე სიტყვას დაუპირისპირდება. ლოგოსი ამ შემთხვევაში იქცევა დიალოგოსად. განსაკუთრებული მაღალი შოთიანე-შოთის ძალა აქვს რუსთაველის დიალექტიკას. ამ შემთხვევაში იგი ბერძნული კლასიციზმის ვირტუოზული ამლორძინებელი და ავიტატორია. ეს არის რუსთაველის ფილოსოფია „ბრძენთა სიტყვის შესახებ“. „ბრძენთა სიტყვა“ სრულიად განსხვავებული ფენომენია, მას თავისი კანონები და პრინციპები აქვს, მისი ნორმები ცოდნის წყაროა, ვინც მას მოუსმენს, იგი ადვილად აშორებს ამაყვენიურ ვნებას. ამ შემთხვევაში ნათელი ხდება სიტყვის გამაორებელი და გამაერთებელი ბუნება. საქმეში ვრცელა მეორე გრძობა. სმენად უნდა გაიგოს კარები. ჩვენს სიტყვაში, ე. ი. შინაგან ხმაში, იჭრება სხვისი სიტყვა და ირკვევა, რომ იმ სხვას უკეთ სიოდნია, თუ რა იყო საჭირო და რას ეძებდა ჩვენი შინაგანი ხმა. მოვიგონოთ შოთის ვენიალური აფორიზმი:

სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო

საუბარი (662).

ეს არის სობრძნედ ქცეული სიტყვა სიტყვის ამ შინაგან დამაჯერებლობას („მცხუნრე“ შეყვისი მნიშვნელობით ვრძობს მხტლბლქ მრძენქსა ჯზრის დიალექტიკური საიდუმლოების თქმა არის ბრძენის მოვალეობა:

რიღებს და სხვა. 1876 წლის „დროებაში“ (№ 83) ვითხოვლობთ, რომ თბილისში გაიმართლა ბალკანეთის მეგრძობის სასარგებლო სალიტერატურო-მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღოთ ილია ჭავჭავაძეს, გრ. არწრუნს, კ. ბებუთოვს და სხვ.

1884 წლის 30 ნოემბერს თბილისში, ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, ფრანგ კოლონიტო აღასამარებლად გაუმართავთ დიდი საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის შემდეგ ბანკეტზე საყურადღებო სიტყვები წარმოეთქვათ ა. მანაშელს, საფრანგეთის კონსულს და თვით ილიას. ვახ. „დროება“ (1884 წ., № 260) ვრცელად იქვეყნებს ილიას ამ სიტყვას, რომელიც ერთხელ კიდევ ნათლად ფერს ილია ჭავჭავაძის ინტერნაციონალურ მისწრაფებებს. სიტყვა ამ მხრივაც საყურადღებოა, რომ მასში ხაზგასმულია დიდ ხალხთა გვერდით პატარა ხალხთა თვითარსებობის მნიშვნელობა და მათ შორის მკვიდრო კავშირის შენახვების საჭიროება. აა, ამ სიტყვის მცირე ნაწილი: „მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ განიხილავო, ქვეყნიერების მშვენიერებას და საყურადღებოებს რამ დააუღლებოდა... გესურს არჩვენოთ, რომ ამ პატარა საქართველოს ერს ირ ეუცხვავო დიდი გრანობა კაცთმოყვარეობისა“.

1884 წლის მისში თბილისის ეწვია პირველად ცნობილი გერმანელი მწერალი, შემდეგში ილიას ახლო მეგობარი, არტურ ლაისტი. მას ამ დროისთვის უკვე რამდენიმე წერილი ჰქონდა დაბეჭდილი გერმანულად ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ლაისტი ქართული მწერლების საგანგებო ბანკეტი მოუწყო ილია ჭავჭავაძემ („დროება“, 1884, № 118).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას და ინტერესებში დიდი ადგილი უკავია მსოფლიოს ყველა ხალხისადმი პატივისცემას, საქართველოსა და დამწინარებულ მწვეუნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისთვის ზრუნვას.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ნაწერებში განსაკუთრებული ადგილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას უკავია.

ეს იყო ილია ჭავჭავაძის მიერ ბრძნულად არჩეული ყველაზე სწორი ისტორიული ვაზა და მას გაჰყვა არა მარტო იგი, არამედ ყველა მისი თანამებრძოლი. რუსი ხალხისა და მისი მოწინავე კულტურისადმი პატივისცემის ეს ტრადიცია გააზიარეს მთელმა ჩვენმა მოწინავე თაობებმა. ამ ტრადიციამ ყველაზე მაღალი გამოხატულება პოვა საბჭოთა ეპოქაში.

რევოლუციურ-დემოკრატიული სულით იყო გაკლენთილი ილია ჭავჭავაძის ორგანო „საქართველოს მოამბე“, რომელიც მტკიცე კონტაქტში იყო რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზებთან ნიშნდობლივით, რომ 1878

წელს, როცა დაიწყო ვახ. „ივერიის“ გამოცემა, ილიამ ნეკრასოვის გარდაცვალების გამო მოათავსა ვრცელი, მინაარსიანი წერილი: „მე-წვეკრასოვი დაბასიათებელია, რეპორტი...“ მისთვის გამოჩენილი პოეტი, რომელმაც ყველა ხალხს მათ შორის ქართველ ახალგაზრდობას „სწავლა და ჩვენერგა ხალხის სიყვარული და მისთვის მოღვაწეობა“.

საქართველო ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან არჩევდა რეაქციულ და პროგრესულ რუსეთს. იგი მთელი შესაძლებლობით ებრძოდა პირველს და ეყრდნობოდა და იცავდა მეორეს. დამახასიათებელია, რომ 1881 წელს ილია ჭავჭავაძე ავტორიტეტს იანოვსკის ანტიქართულ-ანტიმედავოგიურ მოსაზრებებს ქართულ საერო სკოლებში ქართული და რუსული ენების სწავლების საკითხებზე და თან ეყრდნობა გამოჩენილი რუსი პედაგოგის უმინსკის შეხედულებებს. იგი, ქართულთან ერთად, გადაჭრით იცავს რუსულ ენას, რუსული ენის ცოდნა „გესურს და ძალიანაც... იგი (რუსული ენა. ა. კ.)... ფარ-ხმალა დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან“.

რუს ხალხთან ქართული ხალხის მკვიდრო კავშირისა და მოწინავე რუსული კულტურის დიდ მნიშვნელობას ჩვენთვის მე-19 საუკუნის საქართველოს ყველა გამოჩენილი მოღვაწე აფასებდა. მაგრამ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამის ყველაზე ღრმად ილია ჭავჭავაძე ჩასწვდა და გამოთქვა სახელმძღვანელო მოსაზრებანიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი კარგად ცნობილი შეხედულება: „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ ვაგილო კარი განათლებისა და რუსულმანერ ლიტერატურაში მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი მოაზროვნე, რომელსაც ბრწყინვალედ ესმოდა სხვა ქვეყნისა და ეროვნული კულტურის გამოყენების არსი, გადაჭრით ეგმობდა სხვათა აზრების კაპიტურ-შეთვისებას. „ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრანკა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“.

თუ ჩვენ აქ გაიხსენებთ ლენინის ცნობილ განსაზღვრას საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის, კრიტიკულად ათვისების შესახებ, ილია ჭავჭავაძის სიტყვების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

რუსი ხალხისა და მისი გამოჩენილი ადამიანებისადმი ილია ჭავჭავაძის მეგობრული დამოკიდებულების გარკვევისთვის ასეთი ბიოგრაფიული დეტალი იქცევა უსრულდებლად. 1888 წლის

1 თხზულ., ტ. II, გვ. 560.

2 თხზულ., ტ. III, გვ. 121.

3 თხზულ., ტ. II, გვ. 607.

27 თებერვალს ილიას ნ. ჩერნიშევსკის თანამებრძოლ ნ. შელგუნოვისა და ილიას საერთო ნაენობისგან — ფირალიოვისგან (ფირალიშვილი) მოხლდა შემდეგი შინაარსის ბარათი: ნ. შელგუნოვის მითარხისგან აკრძალული აქვს მოსკოვში 1 — 2 დღეზე მეტი ხნით ჩამოსვლა. ოფიცერთა ლიტერატურული წრის შექმნისთვის ნ. შელგუნოვის ოფიცერი შვილი, იმპერატორის ბრძანებით, 6 წლით უკარისკიად ჩამოაქვეითდა. იგი პატიმარზე უარეს დღეშია ვაკასიის მე-60 სარეზერვო ბატალიონში. მოსკოველი ლიტერატორები აღმოეთავებულ არიან ამ მდგომარეობით და დიდ იმედი აქვთ მისი შენგან განთავისუფლებისა... წერილის ბოლო ნაწილად გვაფიქრებინებს, რომ ნ. შელგუნოვისა და ილიას შორის პირადი ნაენობაზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლება კონსპირაციისათვის ფირალიოვის დაავალი: „გადმოვცემთ მოხუცი მამის თხოვნას, იზრუნეთ მისი შვილის ბედზე... თქვენი უსაზღვრო გულუკეთობა და გულშემატავრობა ყოველივე კარვისადმი ძლიერ აიძვდებს მას, რომ თქვენი ჩარევა მისი შვილის დასაცავად დიდ შედეგს მოიტანოს“.

საქართველოს სახელმწიფო ბუზენში აღმართა ფირალიშვილისადმი ვაგზაწილი პასუხის შავი (რუსულ ენაზე). იგი საყურადღებოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ილიას უზრუნია შელგუნოვის შვილისთვის, არამედ იმ მხრივაც, რომ წარმოადგენს თვით ილიას პირად მოწოდებს შელგუნოვიან დიდ სიახლოვეზე სტუდენტობიდანვე. ილია წერს: გთხოვ აენობო ეს სასიკეთო ამბავი ნ. გ. შელგუნოვს, „რომლის მიმართაც უნივერსიტეტის სკამიდან ვარ გამსკვავდელი მეტად გულოთადი და ღრმა პატივისცემით, ამავე დროს, არ შეიძლება პატივად არ გადავხადოთ თქვენ ამ დიდი ყმაყმობისათვის, რომელიც მოამანიჭეთ მე, რაიმეთი მაინც ვემსახურო ისეთ პატიოსან და განათლებულ მოღვაწეს, როგორც ნ. გ. შელგუნოვი: იშვიათად თუ შემსრულებია მე ისეთი დავალება, რომელიც ასე ახლოს ყოფილიყოს ჩემს სულთან“ (Ros. 95).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ილია ახლოს უნდა ყოფილიყო თვით ჩერნიშევსკისთანაც.

1891 წელს „ივერიამში“ (№ 85) მთავაგებულა ხელმოწერილი წერილი ნ. შელგუნოვის გარდაცვალების გამო. წერილის შინაარსი და სტილი მიუთითებს, რომ მისი ავტორია ილია ჭავჭავაძე. აქ, ნ. შელგუნოვი დახასიათებულია, როგორც ჩერნიშევსკისა და დამბროლოვის ერთ-ერთი თელსახიოთი თანამებრძოლი¹.

შეთეს რუსეთის პროგრესულმა ადამიანებმა 1899 წელს ფართოდ აღნიშნეს პუშკინის დაბადების 100 წლისთავი. „ივერიამ“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ამ ღირსსახსოვარი თარი-

ღისთვის მითავსა პუშკინის პორტრეტს, ლექსები და, გარდა ამისა, პუშკინზე ორი სტატია.

ილია ჭავჭავაძე 80-იან და შემდგომ წლებში რუსეთის ხალხთა ურთიერთკავშირისა და მემკვიდრეობის ერთგვარი პროგრამის მოცემასაც ცდილა.

როგორი იყო ეს პროგრამა?

ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით 1881 წლის და 1882 წლის მარტის „შინაური მიმოხილვები“. 1881 წლის მარტის „შინაური მიმოხილვაში“ ილია წერს: „აქ უნდა შეუწყვიტოთ ჩვენი ნებთვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგავწყვეტინებენ... ამ წერილს თირკმელები განვებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსკვართ, რომ თავისა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა“².

ილია ჭავჭავაძე მახვილი პოლიტიკური თვალი ხელადდა რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხის დიდ მოწვესროგებლობას. „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სიკა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ... ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისა შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყოს ნი ა ო ბ ა შ ი საითაოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან“³.

„თირკმელებამოცილი“ წერილითაც უნდა ემხილებინა ილია ჭავჭავაძეს მეფის მთავრობა, როგორც „ხალხთა საყრდენი“. ცენზურისთვის ერთგვარი „მისაღები“ ფორმით ეს კიდევაც არის ნათქვამი „რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედა-პირი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“.

ვერ ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძე ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვარდებოდეს, მაგრამ აქ ერთგვარ „წინააღმდეგობას“ მაინც ვპოულობთ. ციტატიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე სინამდვილეში მეფის მთავრობას იხედდა ხელს იმპერიის, რომ გადაუჭრელი იყო და არც შეიძლება იგი და გადაპრილიყო თვითმპყრობელობის პირობებში საკითხი იმის შესახებ, თუ „სად თავდება იგი უფლება ეროვნებისა და სად იწყება იგი და სახელმწიფოსი“. ცარბისის უბეში კოლონიური პოლიტიკის კიდევ უფრო მკაცრი კრიტიკის ცენზურისთვის „მისაღებ“ ფორმაში მოსაცემად ილია ჭავჭავაძეს მთელი სიძაბე მიხელოთა თავაშვებულზე გადამქონდა და „უმისღეს მთავრობას“ თითქოს „თავისუფლებდა“ ამისგან: „მოხელეობა, რომელიც სწორად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედა პირებს, არამედ უმეცარი-

¹ იხ. აკაკი კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1955, გვ. 129 — 130.

² ილია ჭავჭავაძე, თხულებანი, ტ. III, გვ. 57.

³ თხუელ, ტ. III, გვ. 54.

⁴ იქვე, გვ. 54.

ამისიტ, რაც ხშირად ფიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლეს მთავრობას, ამ უდიდეს საგანს ისე ეტყვიან, როგორც მისი ქვეით იყო. ვგონა, რომ თავი რა ენებების დევნა და ჩაგვრა იყო და ბოლო სახელმწიფოდ მოქმედის კაცისა... და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მძღვლია¹. ჩვენ განზრახ ვაგზავთ: მოხელეობა მკაცრებული იარაღი მართლაც საზოგადოებრივებს, არამედ უმეტესად „იმისიტ“, რაც ფიქრად აქვს უმაღლეს მთავრობას. მწელი არა იმის მიხედვით, რომ ილია ქვეყნაძე უმაღლესი მთავრობის ასეთი „დაცვის“ ფორმით ამბობდა: მოხელეობა ზომიერებული იყო ერთგვარ მოწინავე აზრებსადაც. კიდევ მეტი. იგი უმეტესად იყო „იმისიტ“, რაც მთავრობისგან მოდიოდა და ხალხის სასიკეთოს არაფერს შეიცავდა.

შევედრებთ, თუ ვფიქრებთ, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ქვეყნაძე ცარიზმის მოხელეთა კრიტიკას და ხალხთა ცხოვრების მოწესრიგებას თვითმპყრობელობის დაუმხოზლად ვარაუდობდა. ცოტა ადრე, 1879 წლის თებერვლის წინაურ მიმოხილვაში, ილია ქვეყნაძე იტონიუდ წერდა: „ამ წამალი (ე. ი. მოხელეთა კრიტიკას, ა. კ.) იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტყვილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტყვილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზნებით წარმოადგება: არამედ სხვა წამალი უნდა².

რომ ილია ქვეყნაძის მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში ცარიზმის და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, ამას 1882 წლის მარტის „შინაური მიმოხილვაც“ ადასტურებს: „დღემდე ერთგვების საპრობებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში ვარჩეული არ იყო. ყოველისფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ერთგვებას ვხე შეუტყოს“³.

მომინი წლებიდან ილია ქვეყნაძის ანტიცარიტული პოზიციებზე მიუთითებს, კერძოდ, მისი ე. წ. „შხლისა და გუთნის თეორიაც“. აგრეთვე, იმავე 1882 წელს გამოქვეყნებული წერილი „კატკოვის პასუხად“. ამასვე ვგვიჩვენებს 1885 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვაც“, რომელსაც მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად აქვს ასეთი სათაური.

ილია ქვეყნაძის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური ნაწერების ანალიზი გვარჩევინებს, რომ პოეტს რუსეთის ცარიზმი ყოველთვის „ხალხთა საყრდობილედ“ მიანდა და მისი დამხობა თავის მხარე მსწრაფეობას წარმოადგენდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ილია რუს ხალხთან მკიდრო კავშირს ამ ბრძოლის ქვეყნაძე უდიდეს აცხადებდა. ამით აიხსნება, რომ მან თა-

ვის გვიანდელ წერილშიც — „ასის წლის წინაა“ (1899 წ.) დიდებით მოხსენია საქართველოს რუსეთთან შეერთება: „ამ ღირსსახურად დღემდე საქართველომ მშვიდობიანობა მიხორჯა... დაწყნარდა აკლესიისა და აზრებუნიანა“⁴. კვლავ სასოება გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთხილდებულა⁵.

ცხადია, ილია ქვეყნაძის ასეთი გამონათქვამებიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია (როგორც გულუბრყვილოდ ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი) თითქოს ამოცანად დაესახოს მის ქვეშაირს თავისუფლების მოპოვება ცარისტული რუსეთის იმპერიის ფარგლებშივე. ილია ქვეყნაძე ამით მხოლოდ ხაზს უსვამდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურ პროგრესულობას, რამაც განაპირობა რუსი და ქართველი ხალხების დაახლოება, მათი მკიდრო კავშირის დამყარება. ამით აიხსნება, რამ პროგრესული რუსეთის მეგობარი ილია ქვეყნაძე არასოდეს არ იფიქრებს რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ ცარიზმის წინააღმდეგად ყოველთვის ისე მართლად აქვს მახვილი. ამას, სხვათა შორის, უნდა ვვიჩვენებთ, რომ ილია ქვეყნაძემ, მართალია, ვერ გაიგო 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ხასიათი, მაგრამ ცარიზმისთვის დარტყმის მთავარ მნიშვნელობასაც კი აძლევდა. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უმართლოს კაცმა, საით ენაც უკარს არს (ე. ი. ცარიზმის წინააღმდეგ, ა. კ.)“ და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან ვაგებთაო⁶.

ილია ქვეყნაძე, მეგობარი ბუშკინისა და ჩერნიშევსკის რუსეთისა, ბოლომდე დარჩა მტერი რომანოვების რუსეთისა.

ილია ქვეყნაძის მსოფლმხედველობის ძირითადად არა ბურჟუაზიულ-განმათავლებლური, არამედ გლეხურ-რევოლუციური რადიკალიზმი იყო. ამით აიხსნება, რომ იგი ბოლომდე რჩება ცარიზმის შეურაცხებელ მოწინააღმდეგედ, ყველა ხალხის კემპარტი თავისუფლების საფუძველს მშრომელთა გამარჯვებამს ხელავს, თანმიმდევრულად ქადაგებს ხალხთა შორის მშობასა და მშვიდობას. ამის პირველ ნიშნად ჩათვლება ეროვნებით რუსის, ვინმე ე. გ. — ზონ“-ის მიერ 1863 წელს ილია ქვეყნაძის ლექსის — „მუშის“ — თარგმნა რუსულ ენაზე და მისი გამოქვეყნება ვაჟ. „კავკაზის“ 63-ე ნომერში. თარგმანს საუფქვლად უდიდეს ქართული ორიგინალი, რომელიც ეფერ.

¹ ოზბულ, ტ. III, გვ. 96.

² იქვე, გვ. 498.

³ ილია ქვეყნაძე, ნაწერების სრული კრებულ, 1928, ტ. 9, გვ. 191.

¹ იქვე, გვ. 54 — 55.

² იქვე, გვ. 26.

³ იქვე, გვ. 94.

„საქართველოს მოაზრის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. საინფორმაციო მოტივით ერთ სტროფს:

В день жаркий, палящий, близъ
лавки базарной,
Среди суетливой тифлисской толпы,
Я видел, как ты бедняк безотрадный,
Муша прислонился у жаркой стены.

1864 წელს იმავე ვაზ. „კავკასიის“ ლიტერატურულ დამატებაში, „ლიტერატურნი ლისტკაჲში“ (№№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 9) ანტონ ფურცელაძემ მიათვინა „კაცია ადამიანის“ განხილვა.

1869 წელს „კაცია-ადამიანი“ გამოიცა პეტერბურგში (ქართულ ენაზე, გამოცემელი მ. ბეთანინშვილი). ვაზ. „გოლისში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც მალალ შეფასებას აძლევს ილ. ჰავკავაძის. ეს უნდა იყოს პირველი წერილი „კაცია-ადამიანის“ და, საზოგადოდ, ილია ჰავკავაძის შესახებ, გამოქვეყნებული ცენტრალურ რუსულ პრესაში. ამის თაობაზე წერდა „დროება“ (1869 წ. № 25, ივნისი).

1872 წელს ვაზ. „კავკასიში“ (№ 3, იანვარი) დაიბეჭდა ნ. ბერძინოვილის „საურბანოებო წერილი ქართულ პერიოდიკაზე, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჰავკავაძის ძეგრნა-ლისტური და შემოქმედებითი მოღვაწეობის განხილვას.

ილია ჰავკავაძის სახელი, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ დიდი მებრძოლისა, ფართოდ ცნობილი ხდება განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან. ამის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს ილია ჰავკავაძის განთქმული ანტიცარისტული წერილი „კატკოვის პასუხად“ და ის გამოხატულება, რაც ამ წერილის ქართულად და რუსულად გამოქვეყნებას მოჰყვა ქართველ, რუს და სხვა ხალხთა მოწინავე წრეებში. ეს ის კატკოვია, რომელსაც ლენინი „თვითმპყრობელობის ერთგულ მოღარაჯე ქოფაკს“ უწოდებდა¹. „კატკოვი ცოფებაჲ ჰყრის“, წერდა ლენინი ერთ-ერთ სტატიაში².

კატკოვა, როგორც ცნობილია, სასაცილოდ აფიქსი ქართველი და სომეხი ხალხები, ისინი „სეპარატისტებად“ მონათლა და მეფის მთავრობას რეპუტაციულ-პოლიტიკის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა (Моск. Ведомости, 1882, № 44). კატკოვის ამ საქციელს ილია ჰავკავაძემ თავისი ნამდვილი სახელი — „პოლიტიკური ბუზღობა“, ეგ უწმინდური ძალღრუბე გაცეითლის კაცისა უწოდა, კატკოვის დამქაშებები კი გამოაცხადა „მამბუღართა რაზმად“, რომელსაც „რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ... საყუთარს დამშუული კეპიო“.

ილ. ოქრომჭედლიშვილი სწერდა ილიას მოსკოვიდან 17 მარტს (ახლათ 1882 წლისა): „მოსკოვის ტელეგრაფში“ წავიკითხე შენი წერილი

კატკოვის დანოსხედ, წერილი შეტად მშვენიერი, კუმარატი, ენერგიული და ზოგჯერ; ჩემი სიაზონებმა იმან უფრო ასწია, ჯერჯერ კიდევ სტუმბები, ერთი რუსი არ შემხედვლია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერილზედ. ეხლა აქ იწვითად იბოვნი იმისთანა კაცს, რომელიც კატკოვის მოაზრებს და მიდრეკილების კაცს არ უყუზებდეს, როგორც ხალხის მოღალატეს და შაიონს¹.

ილიას წერილს ასევე შეფასება მისცა მანინდელმა მოწინავე რუსულმა პრესამაც. ამის თაობაზე ვაზ. „დროებაში“ (1882, № 55, 15 მარტი) ვკითხულობთ: „გუშინ და დღეს მოსკოველ ვახუთებმა მოკვეთანა ამავე, თუ რა საზიზღარი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში ბანკატკოვის და მისი კარგპონდენტის ბუზღობას. „მოსკოვის ტელეგრაფს“ გადამხედავია ვრცელად ბანკატკოვის კატკოვისადმი პასუხი... ნახუთ რა საზოგადო ზიზღის აღძრავს მთელი კატკოვის უსინდისო მოქმედება“.

დამახასიათებელია, რომ მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზრი ასეთივე გულსმხირებათ ხეღებოდა ილია ჰავკავაძის მხატვრულ მიღწევებსაც. მაგ., ჭარული პოეტური ეპოსის უკუდავი მწილობა „განდვილი“ მაშინვე თარგმნა რუსულად თომარევესმა² და გამოქვეყნდა „ნოვოე ობოზრენიეში“ (1884, № 9, 102, 126). „განდვილისთვის“ მალალი შეფასება მიუცია ვაზ. „ეზოს“ და გარ ბუბეკდაეს კიდევ ორი თავი. ამის შესახებ ვაზ. „დროებაში“ (1884, № 98, 5 მაისი) ვკითხულობთ: ვაზ. „ეზო“ წერს, რომ „ქართული ლიტერატურა იყვავებულა, შეტად-რე მისი პოეზია ვანიგრად ფრთხის იშლოს; ამ უკანასკნელსა ჰყვის რამდენიმე ნიჭიერი წარმომადგენელი, რომელთა შორის პატეისაცემი ადგილი უჭირავს თავ. ჰავკავაძეს. „ახალი მიმობილის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ერთი იმის თხზულებათაგანი — „განდვილი“, რომელმაც ჩვენზე მომხიბლავი შთაბეჭდილება იქონია. არ შეგვიძლიან სიამოვნება მოვიკლოთ და არ გავაცნოთ ჩვენს მკითხველს ორი თავი, რომელიც ალაღებდებო მოგვყავს ჰავკავაძის თხზულებიდან“.

ასრებობს ცნობები, საიდანაც ირკვევა ილიას ახლო ნაცნობობა რუს მწერალ გრ. მაჩტეტთან, მუსიკისმკოდნე მ. ა. დავიდოვსთან, ცნობილ რუს მეცნიერებთან — მაქს. კოვალევსკისთან, ეს. მიულერთან და სხვ. ეს უკანასკნელი ფართო რუსულ საზოგადოებრიობას აცნობდნენ ილიას მოღვაწეობას.

უნდა ვითქვითო, რომ ილია ჰავკავაძის საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ახლოს იცნობდა მ. გარტი. ამაში გვიარწმუნებს ივ. პოლემორდენოვის მოგონება³.

¹ ვ. ა. ლენინი, თხზულებანი, 1949, ტ. 5, გვ. 681.

¹ წერილი დაეუღა საქ. საბ. მუზეუმში.
² ვაზ. „კომუნისტი“, 1936, № 287.

კიდევ უფრო საეკლესიოა მ. სოსლანის მოგონება. მისთვის მ. გორკის უთქვამს: „неужели до сих пор еще не выяснены таинственная смерть Чавчавадзе...— сокращением спросил он“¹. გორკის შეხვედრაში სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ამის მასალები ილიაზე, მის ნაწარმოებთა თარგმანები რუსულად და სხვ. (გორკი გამოსაცემად ამზადებდა).

ილია ჭავჭავაძეს უყვარდა უკრაინელი ხალხი და მისი გამოჩენილი ადამიანები. 1881 წელს „ივერიამი“ (№ 5) დაბეჭდილია ტარას შევჩენკოს „მეშა ქალი“. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში მიკვლეულია უკრაინელი პოეტის ალ. ნაე-როციის (1843 — 1892) თარგმანების ავტოგრაფი. თბორვესკი, რომელმაც თარგმნა ილიას ლექსები და პოემა „განდევილი“ რუსულად, უკრაინელია უკრაინელ პოეტს პ. გრაბოვსკის, როგორც ცნობილია, 1893 და 1897 წლებში უკრაინულად ნათარგმნი აქვს ილიას „პოეტი“, „ელეგია“, „განჯახული“, „გუთნის დედა“ და სხვ.

ილიას რამდენიმე ლექსი თარგმნა უკრაინელმა პოეტმა ა. ჩაიჩინკომ. ამის შესახებ 1900 წელს ალ. ხაზანაშვილმა წერდა ვაჟ. „ივერიამი“ № 103.

1898 წლის 24 მაისს, უკრაინელ მწერლებს ილია ჭავჭავაძის სახელზე შეუდგენიათ ხალხთა შორის ძმობის დღე და იდეებით გამსჭვალული ადრესი და გამოუგზავნიათ. აქ გვითხულობთ: „საქართველო, ეს გულწარმადი მხარე, რომელსა შეეძლო ამ ქვეყნითა სამოხბე ყოფილიყო, ჩვენს უკრაინასთან ერთად იზიარებს მწარე ზედდრს, ორივეს ერთნაირად ავიწროებს ერთი და იგივე უცხო რეჟიმი, ერთნაირი ჩაგვრა ხალხის მგზნებარე გულისა.

თქვენი დიდება უკვე ყარგ ხანია გასცდა კავკასიის საზღვრებს, და ჩვენ, უკრაინელები, სიამოვნებით გვითხულობთ ზოგაერთს თქვენს ნაწარმოებს ჩვენს ენაზე, — ისინი ჩვენს გულებს იმსხვე ეუბნებიან, რასაც თქვენი თანამებრძოლები გულებს...

დიდება სახელოვან პოეტს — პატრიოტს! იცოცხლეთ კიდევ დიდხანს, მრავალ წელს, თქვენი ხალხისა და კაცობრიობის სასიკეთოდ. თქვენი შრომა და ბრძოლა მიმართულია ხალხის სულის უკვდავყოფისაკენ. ჩვენ გავწამს, რომ ეს ბრძოლა მიაღწევს თავის მიზანს“². ბარათის ზელს აწერს რამდენიმე უკრაინელი მწერალი, მათ შორის ცნობილი უკრაინელი ჰეიოლუტკოანერა-დემოკრატი მწერალი მ. კოცოუბინსკი (1864 — 1913).

80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის სახელი, როგორც დიდი შემოქმედისა, ცნობილი ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ამას ყარგად მოწმობს, სხვათა შორის, ცნობილი გერმანელი მწერ-

ლის არტურ ლასტის წერილები ქართულ ლიტერატურაზე. აღსანიშნავია ლასტის რს წერილები, რომლებიც მან გამოაქვეყნა „ვერმანისა“ და პოლონეთში ვიდრე პირადად გატყუდობდა ილია ჭავჭავაძეს.

გერმანულ ეურნალში („ეურნალი ჩვენი ქვეყნისა და უცხო ლიტერატურისა“) 1883 წელს არტურ ლასტს გამოუქვეყნებია ორი წერილი ქართულ ლიტერატურაზე. მესამე წერილი არტურ ლასტს დაუბეჭდავს პოლონურ ეურნალში „ლასტი ღრმად ჩასწვდა ილიას შემოქმედებას“ „ჭავჭავაძის ყოველ თხზულებაში ჩანს ბუნებრივი ძალა, ძლიერი, მღელვარე სიკაცობე. პოეტ გრძნობს, რომ მზე განადლებისა და ცხოვრებასაც მოჰფენს თავის სხივებსა“.

ყარკვეულ ინტერესს იწვევს ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერის პეტო შეხარდტისა და ილია ჭავჭავაძის მეგობრული ურთიერთობაც. პეტო შეხარდტს 1895 წელს ვაკიის უნივერსიტეტიდან ორი ბარათი გამოუგზავნია ილიასთვის. (ბარათებში დამწერილია ფრანგული, აქაიქ ავტორი ურთავს ქართულსაც. ერთ ბარათში შეხარდტს წერს: „ებლა დავიწყებ კთხვის თქვენი წერილისა: „ვლადიკავასილამ თბილისამდე“, მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის“ (ბარათი დაცულია საქ. სპხ. მუზეუმში).

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ცნობილი, ინგლისელი ყურადღებაც მიიპყრო. 1894 წ. ინგლისელმა მწერალმა ქალმა მარჯორი უორდროპმა (1869 — 1909) თარგმნა „განდევილი“ (1895 წელს დაიბეჭდა ლონდონში), მას ფართოდ გამოეხმურა მაშინდელი ინგლისური და ამერიკული პრესა. არ არის ინტერესსმოკლებული ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების პრეზიდენტის ე. ა. კახალეტის ერთი ბარათიც (რუსულად), რომელიც ილიას სახელზე გამოგზავნილი 1897 წლ. სექტემბერში ლონდონიდან. კახალეტე წერს: „თქვენო ბრწყინვალეობავ, წაიკობხე „წიგამი“ წერილი თქვენზე და რ. დ. ერისთავზე ე. ვეილიკოს ხელმოწერით. ებედავ მოგმართოთ თხოვნით, არა გვიოხრათ უარი, მოგვეწოდოთ ცნობები თქვენი ცხოვრებისა და ლექსების შესახებ. ჩვენი სურვილია, ისინი დავბეჭდოთ ინგლისურ ენაზე ჩვენს მომავალ ბროშურაში. ახლა ნებას მივცემ ჩემს თავს, ფოსტით გადმოგვგზავნო თქვენს სახელზე ჩვენი უკანასკნელი ბროშურა № 17, 18, რომლებშიც დაბეჭდილია შევეჩენკოს ლექსები, გადათარგმნილი ინგლისურ ენაზე რუსული თარგმანიდან... ასეთივე სახით, ჩვენ ვაძიწვეტობთ გვაქვს ვითარებით თქვენი და კნაზ ერისთავის ლექსები, რადგან ჩვენ არ ვიცით ქართული ენა“.

ეს ცნობები საფუძველს გვიძლევს დედასკენათ, რომ სხვა ხალხთა გამოჩენილმა ადამიანებმაც შეინიშნეს ილია ჭავჭავაძეში პატარა ხალხის დიდი შვილი, რომლის გულიც ძეგრდა არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობის ბედნიერებისთვის.

¹ ვაჟ. „სოვეტსკოე ისესტრე“, 1937, № 28.
² ადრესის დედანი დაცულია ყვარლის მუზეუმში. ნაწყვეტი მოამქვს ლ. ასათიანის თარგმანით. ა. კ.



ნიკო ნიკოლაძე ფრანგული ჟურნალისტიკის შესახებ

ენობილია, რომ ნიკო ნიკოლაძე სხვადასხვა ენაზე წერდა, თავის სტატიებს ათავსებდა ქართულ, რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში. იგი გასული საუკუნის სამოციან წლებში საზღვარგარეთ ცხოვრობდა, გერციენის „კოლოკოლი“ ზეპქვედა წერილებს საქართველოს შესახებ, ხოლო საქართველოში გზავნიდა სტატიებს, სადაც გაშუქებული იყო ევროპული ცხოვრების საკითხები.

თავის წერილებში, ბროშურებში, შენიშვნებში ნიკოლაძე ეხებოდა მრავალფეროვან თემებსა და საკითხებს.

ნიკოლაძის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა ქართული და რუსული ლიტერატურის პრობლემები, ამასთანავე, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ევროპული ლიტერატურული ცხოვრების საქართველო საკითხები.

6. ნიკოლაძე კარგად იცნობდა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, რამაც თავისი გამოხატულება პოვა მის მრავალრიცხოვან სტატიებსა და კორესპონდენციებში.

ნიკოლაძე დიდად იყო დაინტერესებული საფრანგეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით. ეს განსაკუთრებული ინტერესი საფრანგეთისადმი აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იმდროინდელი საფრანგეთი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ვითარებაში აჩენს, მთელი კაცობრიობა რომ უდიდესი ურარდლებით და ინტერესით ეკიდებოდა. ხანგრძლივმა ცხოვრებამ საფრანგეთში, გამოჩენილ ფრანგ მოღვაწეებთან სისტემატურმა შეხვედრებმა ნიკოლაძეს მისცეს მდიდარი მასალა იმდროინდელი ფრანგული პრესისა და ლიტერატურის საფუძვლიანად გასაცნობად. თუ გაერთიანდისწინებით იმ ვარკშიებას, რომ ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა განსაკუთრებული ინტენსიობით გამოარჩევა 70-იან წლებში, დარწმუნდებით, რომ მის შემოქმედებაში ყველაზე მკვეთრად სწორედ საფრანგეთის 60-70-იანი წლების ცხოვრება აისახა.

მგერამ არ იქნებოდა სწორი, თუ ვიფიქრებდით, რომ ნიკოლაძეს ინტერესი საზღვარგარეთულ ლიტერატურისადმი აღეძრა ევროპაში მისი ყოფნის დროს. ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ შემოქმედებას საფუძველი ჩავყარა 60-იანი წლების პეტერბურგში, იმდროინდელი რუსეთის პროგრესული მოღვაწეების წრეში. სავესებით მართალია სიმონ ზუნდაძე, როდესაც ამბობს: „6. ნიკოლაძე აღზრდილია რუსეთის 60-იანი წლების გო-

ნებრივ მოძრაობაზე; ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და მთელი „სოვერმენიკ“-ის ჯგუფი იყო ის დაუშრეტელი წყარო, საიდანაც ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია გოფელდა თავის მასაზრდოებელ გონებრივ წყაროს“. 1

ნიკო ნიკოლაძე გაემგზავრა საზღვარგარეთ 1864 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მგერამ სავესებით ჩამოყალიბებული შეხედულებების აღამიანი, რომელსაც მოესწრო ჩამოელაყო თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიეღო პეტერბურგის სტუდენტთა გამოსვლებში, რისთვისაც დაესაჯათ კოლეჯი ციხეში მოთავსებით. პეტერბურგში, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრში, ნიკოლაძეს შვიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბაღის განთავისუფლებისათვის შებრძოლთა საუკეთესო წარმომადგენლებთან, პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის და განიცდიდა რევოლუციურ დემოკრატთა იდეების გავლენას. „წარმოიდგინე გელა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც შე პირველი ახალგაზრდული იტრუება და ყმეფილური ოცნების ეშში გამოცენაა, სადაც პირველთა აყვავებული ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსება ჩემს ტვისა და გულსო“, ამბობდა 6. ნიკოლაძე. 2

1864—68 წ. წ. ნიკოლაძე ცხოვრობს ჯერ პარიზში, შემდეგ შვეიცარიაში. უმაღლესი განათლება ცურების უნივერსიტეტში დაასრულა, დაიცვა დისერტაცია და მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი თემაზე: „განიარალებისა და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგების შესახებ“. „1864 წლის შემოდგომაზე მე გაემგზავრე საზღვარგარეთ, პარიზში.—წერდა ნიკოლაძე დუბუქდვ ავტობიოგრაფიაში,—სადაც გამოღმებით ვიჯექი ბიბლიოთეკაში და წიგნებს არ ვზრდებოდი“. მომდევნო წლებში ნიკოლაძე კვლავ მიემგზავრება საზღვარგარეთ და 70-იან წლებში ხანგრძლივად ცხოვრობს პარიზში, საიდანაც ჩამოდიოდა შვეიცარიაში; აქ შვიდრო კავშირშია ქართველ მოსწავლე ახალგაზრდებთან, რომელთაც შვეიცარიაში შექმნეს ჯგუფი —

1. ს.მ. ზუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე (ნარკვევი მისი აზროვნებისადმი). წიგნში: 6. ნიკოლაძე, ჩინებული ნაწერები, ტ. 1, 1931, გვ. XXXI.
2 ნიკო ნიკოლაძე (6. სკანდელი), სხვათა შორის (ნაგრძნობი და განაგონი), „კრებული“, 1873, № 4, გვ. 148-9.

„უღლი“. ნიკოლაძის წერალები მისი მომავალი შვილის ო. გურამიშვილისადმი, რომელიც 1873—76 წ. წ. იმყოფებოდა ციურისში, შეზღვევნილია, კარგად გაცნობენ ჩვენი შწერლის პარიზულ ცხოვრებას. ამ წერალებში ნიკოლაძე იძლევა რჩევა-დარიგებებს ლიტერატურის გამოყენების შესახებ, საინტერესო ცნობებს პრესის შესახებ, ამასთანავე, აშუქებს იმდროინდელი პოლიტიკური ბრძოლების საუბრალოდ ეპიზოდებს, ამასთანავე 70-იანი წლების პარიზის საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ მხარეებს. ნიკოლაძეს უყვარს პარიზი, სადაც დედს ცხოვრება, მიმდინარეობს ბრძოლებში... პარიზი მას ესახება როგორც ვოლტერისა და ჰელვეციუსის, სენ-ჟოვისტისა და რომანოვის ქალაქი, ნიკოლაძე პარიზს აფასებს, როგორც კაცობრიობის თავისუფლებისათვის შებრძოლ ქალაქს: „აქ იშრომებს, დაიბრუნებს, ეწევიან და მოკვნიან კაცობრიობის საკეთის, თავისუფლების და მშობის მომხრენი, რომ სიყვდილით და წამებით უფრო გაძლიერებით თავიანთი რწმუნების და სწავლის გავლენა... ერთი სიტყვით, ეს ქალაქი ზემოთხსენებულ მშრომელ ძალად გამოეხატა, რომელიც სხვების ბედნიერების გულისათვის ნიადგ მზათა თავის თავს ათასნაირი უბედურება და წვალება აუტეხოს და აიტანოს“¹ ის სიტყვები დამწერილია 1870—71 წ. წ. ამბების შთაბეჭდილებით, იმ ქალაქის შთაბეჭდილებით, რომელშიც იმ დროს ააღივდა და შესძრა მთელი ქვეყანა. ნ. ნიკოლაძე „კრებულს“ შეიხვედრს მოუთხრობს „ვინაჲ მთელი ის გზა, რომლითაც გაველა ვერსალის ჯარებს პარიზში შემოსვლის შემდეგ, ის გზა, რომელზედაც რვა დღის განმავლობაში დაუზოგველი ბრძოლა იყო და რომლის თითოეული ნაბიჯი ასე და ათასი კაცის სისხლად მოიწყო“². ავტორი ივრინებს კომუნის ცალკეულ მონაწილეთა და ათასობით სხვა გმირების — დიდებისა და პატივების — დაღუპვის. იგი ხედავს ვხას, რომელზედაც „გამაჩრებელმა და სამი თვის ბრძოლით დაუღალავმა პარიზის ხალხმა უხეანესი გმირობის თვისება — მოყვდიომის ცოდნა და სიადვილე — გამოიჩინა“³.

ამ მულჯარე წლების ამბები კარგად გასაგებია ნიკოლაძისათვის, რამდენადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში კომუნის მოძრაობამდე ადრე და შემდეგაც, კარგად იცოდა ამ ქვეყნის ცხოვრება, პირადი ნაცნობობა ჰქონდა იმდროინდელ ფრანგ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეებთან. ნიკოლაძე კარგ კიდევ პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როდესაც ვაენი პოლ ლაფარგს, შარლ ლონგეს და რაულ რიგოს. 70-იან წლებში, როცა იგი შევიცარიამი ჩადიოდა, ხვდებოდა ბევრ კომუნარს და ყველაში მყოფ ფრანგული ემიგრაციის სხვა წევრებს.

ნიკოლაძე ევროპის არა ერთსა და რა ქალაქში ყოფილა, ეცნობოდა სხვადასხვა მხარის ცხოვრებას, ხვდებოდა ბევრ ცნობილ საზოგადოებრივი და პოლიტიკურ მოღვაწეს, მწერლებსა და პუბლიცისტებს. იგი პირადად იცნობდა კარლ მარქსს, ბაკუნინს, ლეი პლანს, გამბეტას, რომანოვს, დოდეს, პიუგოს და სხვა. კარგად იცნობდა ნიკოლაძე ფრანგულ გამოცემილობებს, გაზეთების რედაქციებს, სადაც იგი ხშირად დაიბარებოდა პარიზში ყოფნის დროს 60-70-იან წლებში.

ევროპული ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა ნიკოლაძემ გამოიყენა საზოგადოებრივ თემებზე დაწერილ მრავალრიცხოვან სტატიაში. ევროპული ლიტერატურის საკითხები მის იზიადდა კარ კიდევ პეტერბურგში 1863-64 წ. წ., როდესაც იგი ათავსებდა წერილებს გაზეთში „Народное богатство“.

ყველაში ყოფნის დროს ნიკოლაძე თანამშრომლობდა გაზეთში — „La Nation Suisse“, რომელიც წარმოადგენდა ყვენიეს ჩადიკალთა ორგანოს, ხოლო 1868 წელს ეტრნალში — „Современности“, რომელსაც ნიკოლაძე სცემდა ლ. ო. მენციეოვთან ერთად, გამოაქვეყნა თავისი დისერტაციადან სამი ნაწყვეტი სათაროთ: „ევროპის ცხოვრება“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლაძე თანამშრომლობს მთელ რიგ ჟარნალთა და რუსულ გამოცემებში და ფართოდ აშუქებს საფრანგო პოლიტიკის საკითხებს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს იგი საფრანგეთის მულჯარე ამბებს 1870-71 წ. წ. ნიკოლაძე გულწრფელად მიესალმება ხალხთა მასების მოძრაობას, გმობს იმპერიის პოლიტიკას, ნაციონალური თავდაცვის მოაჯრობის დანაშაულებრივ უმოქმედებას, მთავრობისა, რომელზედაც ვერ შეძლო მტრის ჯარებისა და წინააღმდეგობის გაქვეა. ავტორი იხედებს ამყარებს ფრანგ ხალხზე. იგი ასე ამთავრებს თავის სტატიას, სადაც გაშუქებულია საფრანგეთის ეითარებანი: „მეგრამ ხალხი მიინც და მიინც ინძრევა და მოქმედებს, და თუ ზვენ აქ მტრის მტრად არ ვედებით-გვეწონა, მისი გამარჯვებას ვადა შორს აღარ უნდა იყოს, თუ გზლანდელი საფრანგეთის მმართველობამ მას ხელი არ შეუშალა და თავისი მოუხერხებლობა, სისუსტითა და გაუთვლევლობით ისეთი სძწე არ დამარცხა საფრანგეთს, როგორც მას ნაპოლეონის მმართველობამ თავისი სიხარბით ანგარების მოყვარეობით მიაყენა“¹.

მეორე იმპერიის პოლიტიკა ნიკოლაძის შრომებში მკვეთრ უარყოფითს შეფასებას პოულობს. განსაკუთრებით დაწერილებითია განხილული ეს საკითხი ნაპოლეონ მესამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვაში („კრებულა“ 1873, №1,3). ავტორი ეტყა 50-60-იანი წლების ამბებს, არ

¹ იქვე, გვ. 188.

² იქვე, გვ. 194.

³ იქვე, გვ. 194-5.

1. ნ. ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), საფრანგეთის შინაგანი მღოგმარება, „დროება“ 1870, № 40, გვ. 4.

ქმეოფილდება იმპერატორის ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერასთან და იძლევა იმ დროის საზოგადოებრივი ვითარებების ღრმა ანალიზს. მეორე იმპერიის თავისებურებებს ავტორი ეძებს არა იმპერატორის პიროვნებაში, არამედ იმპერიულ ფრანგულ საზოგადოებრივ უსოფრებაში. ნაპოლენ შესაძლოა აპაივა კაცი იყო, რომელიც სხვებმა და გარემოებამ ძლიერი ხალხით ტახტზე შეაყენეს.¹ ამბობს ნიკოლაძე. ნაპოლენ მესამის დამარცხებას ნიკოლაძე ხსნის არა მხოლოდ ომის წაგებით, არამედ, რაც მთავარია, საერთოდ იმპერიის პოლიტიკის წარუმატებლობით.

ეურნაოსნობის საკითხები ყოველთვის აღვლევდა ქართველ პუბლიცისტს. თავისი მოღვაწეობით იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პრუსიასთან. საფრანგეთში ყოფნის დროს ნიკოლაძე გაეცინებოდა ადვენება თვალყურს ფრანგულ პერიოდულ პრესას, მის განვითარებას, გეზსა და მიმართულებას, მისი გამოჩენილი წარმომადგენლების საქმიანობას.

ფრანგულ პერიოდულ პრესაში აღძრულმა საკითხებმა ფართო გამოხატულება პოვა ნიკოლაძის შემოქმედებაში. ფრანგული ეურნაოსნობის შესახებ იგი წერდა თავის სტატიებში ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო 1875 წელს აქვეყნებს პარიზში ბროშურას სათაურით — „La Presse de la décade“.

განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული იმ ნაწარმოებში ფრანგული პერიოდული პრესის განვითარების ორი პერიოდი: იმპერიის ეპოქა და 70-იანი წლების პერიოდი. და უველგან ავტორი ხაზს უსვამს ბევრდროს სიტყვის აღმადგენ მნიშვნელობას, იმ დროს, რომელსაც უსწრებებს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. დაცემული, დაინერგულია, ნიკოლაძის აზრით, ისეთი პრესა, რომელიც არ სარგებლობს ხალხის ნდობით, რომელიც არ ხელმძღვანელობს ხალხს.

ნაპოლენ მესამის ეპოქის ფრანგულ პრესას ნიკოლაძე განიხილავს თავის სტატიებში 70-იან წლებში და სასტიკად აკრიტიკებს იმპერიის საცენზურო რეჟიმს. თვლის რა სიტყვის თავისუფლებას პრესის განვითარების იუტილურად პირობად, ნიკოლაძე სტატიებში აწერს რომშიერის შესახებ ახასიათებს 50-60-იან წლების ფრანგული პრესის მანკიერ მხარეებს. „არ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რა მღვდობარობაში იყო საფრანგეთის პოლიტიკური მწერლობა და განსაკუთრებით პარიველი ვაზეთები, 1866-მდეო“², წერს ავტორი და გვიანრობებს სისტემა საცენზურო რეჟიმის საშინელ შედეგებს, რომლებმაც

ფრანგული ბუკდვითი სიტყვა საეალოლო მღვდობარობამდის მიიყვანა. პოლიტიკური პრესის დიკინება და ბუღვარა-პორწარაფიული ვაწოეეების აყვავება, — იი რას ზეღავს ნიკოლაძე იმპერიის ეპოქის საფრანგეთში.

პოლიტიკური გაზეთები, რომელთა რიცხვი თანდათან მცირდება, თანდათანობით კარგავენ ავტორიტეტს და უინტერესონი ხდებიან ფართო მკითხველისათვის. ეს ვარგომება ნიკოლაძეს სავსებით ბუნებრივად მიანია, რამდენადაც მსხვილი კაპიტალისა და მმართველი წრეების გავლენის ქვეშ არსებული გაზეთები არ აშუქებენ ცხოვრების სპირიტუალურ საკითხებს, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატების უფერულ სიტყვებს ანდა შორეული წარსულის ამბებს. პოლიტიკური პრესის ისეთი გავლენიანი წარმომადგენლები, როგორც ივენენ მაგალითად, სენ-მარკ გირარდენი, ლემუანი, ნეფტერი, გერუ და სხვანი „მარტო ასიოდ ნასწავლი კაცისთვის გასაგები ენით რამე წერილმან ნაკლუღვანებას გამოკვიდებოდნენ, და სწერდნენ გათოვები სტატიებს ისეთ სავსეებზე, რომელიც საზოგადოებას თითქმის არც ენებზე შეჩვენებოდნენ“¹. ავტორი სავსებით მართალია. ასე, მაგალითად, სენ-მარკ გირარდენი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, მართალია, რამდენადაც ოპორტიუნიზმი ეღვა მთავრობას, მაგრამ „Journal des Débats“-ში თავის შეხედულებებს ერთობ ვაუბრედავად გამოთქვამდა. ასეთივე ვაუბრედავი იყო ოპორტიურობა ოგიუსტ ნეფტერისა, რომელიც თავის დროზე ენობიოდ ეურნაოსნობა იყო. მის მიერ დაარსებული ეურნაობა — „Revue germanique“ ნეფტერი ათავსებდა წერილებს ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. რაც შეეხება სხვა პუბლიცისტებს, როგორც იყო, მაგალითად, გერუ, ისინი მალე შევედვენ ახალ პირობებს და თავიანთი დემოლით ერთგვარად უთავგვანობდნენ — ხალხის თვალში — იმპერიის პოლიტიკის.

ცალკეა სტატიებში დახასიათებული სამი გამოჩენილი პუბლიცისტის — პრუდონის, პრეგოპარადლისა და ედმონ აბუს მოღვაწეობა. არც ერთი მათგანის საქმიანობა არ აკმაყოფილებდა ნიკოლაძეს, რომელიც პრესისაგან მოთხოვდა მალა პრინციპულობას, თანამედროვე მოვლენების ღრმა ანალიზს ფართო მკითხველისათვის გასაგები ენით წერას.

პრუდონის თხოვრებებს ნიკოლაძე კარგად იცნობდა, მათ შესახებ აქვეყნებდა წერილებს „Народное богатство“-ში. შემდეგ — „С.-Петербургские ведомости“-ში. პრუდონი არა ერთხელ მოხსენებულა ნიკოლაძის მიერ მოწერაში. პრუდონი, მისი სიტყვით, „უცანსკელ დროებაში არც ნამეტნათ საფუძვლიანათ სინჯავდა და არკვევდა საზოგადოებრივ საქმებს“.

¹ ნ. ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), ნაპოლენ მესამის ცხოვრება. „კრებული“, 1873, № 3, გვ. 126.

² ნ. ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), თანამედროვე მწერლობა. ანრი რომშიერი. „კრებული“, 1873, № 8, გვ. 195 — 6.

თუმცა მის თვლიდა ფრანგული პრესის უდიდეს წარმომადგენლად. მეორე ცნობილ პუბლიცისტად ნიკოლაჟე მიიხსენიდა პრევო-პარადოლს. აქტიური თანამშრომელი ისეთი გაგლეწინია ორგანოებისა, როგორც „Journal des Débats“, „Courrier du Dimanche“, პრევო-პარადოლი რიგი წლების მანძილზე იჭყევდა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას თავისი ფაქიზი ჰუმორითა და ირონიული სტილის ოსტატობით. მაგრამ ნიკოლაჟეს არ მოეწონდა ფრანგული პრესის არც ეს ვეტერანი. მართალია, პრევო-პარადოლის სატირის ოსტატობა ნიკოლაჟესაც ხიბლავდა, მაგრამ მისი პოლიტიკური შეხედულებები ერთობ შეზღუდულად მიიჩნდა. „ოსტატურ, მაგრამ მწუთნად გასაგებ იარაღს ჰქმარობდა ხოლმე პრევო-პარადოლი. მაგრამ მისი ნაწერის უფრო მძიმე ნაკლოვანება მის მიმართულებაში მდგომარეობდა, რომელიც ერთობ ეწირო და წყრილმანი იყო. ის მარტო იმ მიზანს სდევდა, როს საფრანგეთში ორღუნაწლებსი მონარქიის უპირატესობა დაემტკიცებია, და ამ მიზნის მიხედვით ის არც ერთ მხარეს არ ვებობდა, რომელიც ხალხის და საზოგადოების უმეტესი ნაწილის გულისწიდილს ან გულისტივილს ამარაგდა. ამ მიზეზით მის ნაწერს ყოველთვის მარტო პატარა წიგნზე, მხოლოდ განათლებულ საზოგადოებაზე ჰქონდა გავლენა და არა ხალხზე, ან მთელ მკითხველ საზოგადოებაზე“¹. ამგვარად, შეწრაფი მხოლოდ მაშინაა თავისი მოწოდების სიმძალეზე, როდესაც იგი გამოხატავს არა ერთი რომელიმე ეიწრო რეაქციული პარტიის ინტერესებს, არამედ მთელი ხალხის გულისთქმას. ამგვარ მოთხოვნილებებს, ცხადია, პრევო-პარადოლი ვერ აკმაყოფილებდა. ნათელი პოლიტიკური პერსპექტივების უქონლობა იყო მიზეზი, რომ მან იმპერიას ბოლო წლებში იწამა ნაბოლენ მესამის მთავრობის ლიბერალური პოლიტიკა.

„Торжественное послание благородного Луи-Наполеона мне сегодня не удалось получить,— წერდა ფრ. ენგელსი კ. მარქსს,— зато я читал сладкие речи честного Преву-Парадоля, который воображает, что он уже снова очутился при Луи-Филиппе и что с сегодняшнего дня наступает конституционное тысячелетнее царство. Incorrigeble!“².

რაც შეეხება არა ნაკლებად ცნობილ ეურნალისტსა და კრიტიკოსს ედმონ აბუს, რომელიც სტატიებს ათავსებდა „Figaro“-ში და „Opinion Nationale“-ში, უნდა ითქვას, რომ მისი გავლენა პოლიტიკურ ბრძოლებში არ იყო დიდი, რადგან, როგორც ნიკოლაჟე მიუთითებს, მდავრობის მიერ ბოძებულმა ჯილდოებმა იგი აიძულეს ხელიდან დაეყარა იარაღი და სწამა არ

აღმადლებინა იმპერიის წინააღმდეგ.

ნიკოლაჟე ასახათებს, აგრეთვე, ფრანგული ეურნალისტის სხვა მხარეებსაც, სახელდობრ „მეიორ პრესას“ (Petite Presse) — ნაპოლეონის საფრანგეთის ამ თავისებურ ნაყოფს. ბუნებურ-გასართობი ლიტერატურა და, ამის შესაბამისად, ბუნებური გაზეთები, აღსავსენი მადლი საზოგადოების კორენითა და თეატრების, სალონების და კაბარების უკანასკნელი ამბებით, — აი ვხა, რომელსაც დააგა ფრანგული ეურნალისტის იმის გამო, რომ აღვეთილიყო პოლიტიკური გამოცემების, რადგანაც პოლიტიკურ გაზეთებს პირი აკრული ჰქონდათ, რადგანაც ისინი ვეებს სტატიებს სწერდნენ ისეთებს, რომ მათი წყიოთხა და ვაგებდა ფილოსოფოსებსაც უწნებდობდათ, მკითხველი საზოგადოება ამ ადვილ და მოხიბულ სწერლობას მიაწვა და მის კიოთხას შეეჩიია“¹.

ნიკოლაჟე, მიუხედავად ამისა, ფიქრობდა, რომ ეს უწინარესი და ფორმით ღარბი ლიტერატურული ენარი მინც ერთგვარი სარგებლობის მოტანი იყო საზოგადოებასათვის. „მეიორ პრესა“ იმპერიის დასასრულს (უშთავრესად რომფორის კაღმის წყალობით) ვახდა ბასრი იარაღი საძულელო რეჟიმის წინააღმდეგ როგორც დამცინვის გამოხატულება.

თუ რა როლს ასრულებდა 60-იან წლებში ამგვარი პრესა, კარგად ჩინს მარქსის წერილიდან ენგელსისადმი 1869 წლის 1 იანვრის თარიღით: „Из прилагемых, напечатанных в Париже двух номеров „Cloche“ и „Diable à quatre“ ты увидишь, какой царит там деркий тон... Эта Petite Presse — а к ее представителям принадлежал даже Рошфор,— была настоящим продуктом бонапартистского режима. А теперь она — самое опасное оружие против него“².

გარდა რომფორისა, ნიკოლაჟე ასახელებს ლეო ლესპესს, ოგიუსტ ვიღმოს, ეიულ კლარტის, ეიულ ვალესს და სხვებს, რომლებიც წერდნენ პარიზის რამე-რუმეებზე და თავიანთი ორიგინალობითა და მახვილი ჰუმორით საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ. მათ ხუმრობაში თვალნათლვ გამოკრთობდა არსებული რეჟიმის კრიტიკა. ამ სახელებიდან ცოტა-ლა გადაურჩა სრულ დავიწყებას. ვისლა ახსოვს აბლო ოგიუსტ ვიღმო, ლეო ლესპესი და სხვ.? მხოლოდ ეიულ ვალესი შემორჩა ლიტერატურის ისტორიას, როგორც ეტროი ცნობილი ტრილოგისა „თყ ვენტრა“. შემდეგში წვერი კომუნისა და ვახეთის — „Cris du peuple“ გამოცემული, ვალესი, კარგად ცნობილია 60-იან წლებში „Figaro“-ში დაბეჭდილი ფელეტონების მეოთხებით. და ვეულა ეს შეწრაფი ავეთებდა სასარგებ-

¹ იჭვე, გვ. 261 — 262.

² К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. Соч., XXIV, стр. 264.

¹ იჭვე, გვ. 200 — 201.

² К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. Соч., XXIV, стр. 151.

ლო საქმეს, რამდენადაც აკრიტიკებდნენ მთავრობას და ამპარახებდნენ თანამედროვეობას. როგორც ნიკოლაძე ამბობს, „ბევრი ჩინებული და ნიჭიერი მწერალი მიხვდა, რომ შესაძლებელია ამ მხარე და მსუბუქი მწერლობის ხეირიანი გამოყენება პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ზნეობრივი მხართან“¹.

აი, ახლად რამე და დემოზო ნაპოლეონ მესამის რეჟიმი. ახალი ეტაპი ფრანგული პრესის განვითარებისა (70-იანი წ. წ.) ნიკოლაძის შემოქმედებაში კვლავ ასახება.

ნიკოლაძემ პარიზში კარგად ვაიციო ფრანგული ბეჭდვითი ორგანიზები და ცალკეული ეფრონალისტიკის საქმიანობა. ამის შედეგია ბროშურა — „La Presse de la décadence“, რომელიც გამოვიდა პარიზში 1875 წელს. ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, რომ, ნიკოლაძის აზრით, პრესა ახალ პირობებშიც ვერ დადგა სათანადო სიმაღლეზე.

ფრანგული პუბლიცისტიკის ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით, 70-იანი წ. წ. პრესის მდგომარეობის გასათვალისწინებლად ნიკოლაძის ბროშურას დიდი მნიშვნელობა აქვს. პერიოდულია პრესამ, რომელიც სწრაფად ვითარდებოდა მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის დროიდან, გასული საუკუნის 70-იან წლებში განვითარების მძალე საფეხურს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ აღორძინდა და ფართოდ გავრცელდა ბეჭდვითი გამოცემები, ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ფრანგული პრესა მაინც განიძღის დაქვეითებას, კარგავს მკითხველთა წრეებში ავტორიტეტს.

„თანამედროვე გაზეთებს ჰყავს ბევრი მკითხველი და, ასე ვთქვათ, აბონენტები, მაგრამ ხალხი მათ თანდათან ეკიდება სეპტიკურად, უნდობლად, აღარ უგდებს ყურს მათ რჩევა-დარიგებებსო“, წერდა იგი (გვ. 8). არაკომპეტენტური სტატეგების წერა, ცალკეული პარტიების დროებითი ინტერესების დაცვა, პარლიამონული წყაროების ამბებიო შემოფარგვა — ყოველივე ეს მაინცნებებდა პრესის დაქინებისა. პრესის დაცემას ნიკოლაძე იმიტომ ხსნიდა, რომ მას არ გააჩნდა მორალური ავტორიტეტი.

ნიკოლაძის აზრით, ფრანგული პრესა ჩამორჩება სხვა ქვეყნების პრესას. სხვათა პრესა უფრო ღრმად და შინაარსიანად ასახავს თანამედროვე ცხოვრებას და უფრო მეტად ილუმინებს საზოგადოებრივ და სამეცნიერო აზრს. ფრანგულ პრესა არ ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ აზრს, არ აწვევს მკითხველს სიბრძნის სიღრმეს. იშვიათ გამოჩნალობდა ავტორი მიიჩნევს ლეი ბლანის წერილებს ინგლისის შესახებ, ისინი ამ ენარის შედეგებია და ნიშნა პოლიტიკური კონსპონდენტებისა, ამბობდა იგი.

როგორია ნიკოლაძის დებუებები? ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ ბურჟუაზიული პრესის დე-

კლანის შინაგან კემირობა ბურჟუაზიული საზოგადოების დეკადანსთან? არა, მწერალი დისკენის ნიკოლაძე არ იძლევა. „იგი-ფიქრობს, რომ უნდა აღმოვანიშნოთ ის ბოროტება, რომლის ბრალიცაა პრესის დაქინება, რათა ეს ნაკლები-ბანი გამოსწორდეს. საზოგადოებამ უნდა შეგონოს პრესის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა, აი როგორია ნიკოლაძის თვალსაზრისით. თავისი ბროშურის დასასრულს ნიკოლაძე წერს არასებელი პრესის ამოცანებზე; პრესამ „უნდა განათლოს მკითხველი და აზიაროს იგი კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას, მისცეს მას რამდენიმე შეიძლება სწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რას წარმოადგენს რეალური ცხოვრება და თანამედროვე მსოფლიოს ინტელექტუალური პროგრესი. კეთილსინდისიერი შესრულება ამ ამოცანისა ერთადერთი საშუალებაა გამოსწორის ფრანგული პრესის შეღებული მდგომარეობა“ (იქვე, გვ. 78).

საინტერესოა ვიკითხოთ: როგორ შეაფასეს ფრანგული პრესის წარმომადგენლებმა ქართული ეფრონალისტიკის ნაშრომი?

ამ მხრე საინტერესო მასალას გვიწვდის სამი რეცენზია, რომლებიც დაეწერა ნიკოლაძის არქივში. ესაა ლეი ბლანის, ედ. ბოისა და ივ. გიოს წერილები ნიკოლაძისადმი. ამ წერილების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რა შეხედულებას იყენებდნენ ლიბერალი ფრანგები პუბლიცისტიკის ფრანგული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

სამივე კორესპონდენტი ნიკოლაძის წიგნს საინტერესოდ მიიჩნევს და კრიტიკას — სერიოზულად; ეს კრიტიკა ერთმანე ყურადსაღებია, თუმცა მეტად მკაცრიაო. ედ. ბოისა თვის წერილში ცდილობს დამატკიცოს, რომ უკანასკნელ წლებში ფრანგულ პრესაში შეიმჩნევა დიდი ძვრები, პროგრესული მიმდინარეობანი. ცნობილი ეფრონალისტიკი, ვახუთისი — „Radical“-ის რედაქტორი იგი გიო თმეცა კრიტიკას სამართლიანად მიიჩნევს, მაინც ცდილობს გაამართლოს ფრანგული პრესა; იგი მიუთითებს პრესის მუშაობის სიტუაციებზე და სპეციფიკაზე საფრანგეთში. ლეი ბლანი კი ფიქრობს, რომ კრიტიკა რამდენადმე მკაცრია, მაგრამ სასარგებლოა ამ საკითხის განსჯისთვისო. იგი მიმართავს ნიკოლაძეს:

„არ ვიცი, იქნებ ფრანგულმა პრესამ თქვენი მსჯელობა მიიჩნოს რამდენადმე მკაცრ შეფასებად, მაგრამ თქვენი წიგნი უთუოდ უნდა მივაკეთოთ ისეთ ნაშრომებას რაიტეს, რომლებიც ფრანგმა ეფრონალისტმა უნდა წაიკითხოს და გაიზაროს“.

ამ შეფასებებიდან ჩანს, რომ ნიკოლაძის მიერ გამოთქმული აზრები თავისი დროისათვის მეტად გაბედული ყოფილა. ქართულმა ეფრონალისტმა კვარ კიდევ 70-იან წლებში ნათლად დაინახა ფრანგული პრესის თანდათანობითი დაცემისა და დაქინების ნიშნები, მიუხედავად იმისა მიიჩნევიდათი აღორძინებისა. ამ დეკადანსმა, უფრო

¹ „კრებული“, 1873, № 8, გვ. 201.

შვეთრად გამოვლენილზე შემდგომი ათეული წლების მანძილზე, დაადისტურა კრიტიკის მართებულობა და გვიჩვენა წიგნში აღძრული საკითხების აქტუალობა.



მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული ჟურნალისტიკის სხვა წარმომადგენელთაგან ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ფრანგ მწერალსა და პუბლიცისტს ანრი როშფორს, რომელიც ზემოთაღ მოვიხსენიეთ. სტატიები და შენიშვნები მასზე დაწერილია 70-იან წლებში და მოთავსებული „დროებისა“ და „კრებულის“ ფურცლებზე, აგრეთვე „Тифлисский вестник“-ში და „Обзор“-ში.

რატომ მიიპყრო დღევანდელი მკითხველისათვის ამ ნაკლებად ცნობილი მწერალმა ნიკოლაძის ყურადღება? რა უნდა დაენახა როშფორის მოლაშქრობაში საინტერესო ქართულ მკითხველს?

ანრი როშფორა არ იყო დიდი ლიტერატურული ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი, მას არ დაუწერია ისეთი ნაწარმოები, რომელსაც შეეძლო მისი სახელის უკუდავეოვა, მაგრამ 60—70-იან წლებში ამ ფრანგი პუბლიცისტის საბელი ცნობილი იყო ევროპაში ამ რაღის გამო, რომელიც შეასრულა მან 60-იან წლებში თავისი მკაფიო გამოხვლებით ნაპოლეონ მესამის საწინააღმდეგო პოზიციაზე. ის იყო რამდენიმე პოპულარული ჟურნალის გამომცემელი, დიდად მღულვარე უბოვრება გაატარა და ბევრი რამ განიცადა თავისი სიცოცხლის მანძილზე. იმპერიის დროს იგი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო საფრანგეთიდან, შემდეგ დააპატიმრეს კიდევაც. იმპერიის დაკეშის შემდეგ რომელიც გაათავისუფლეს და მალე გახდა ნაციონალური თავდაცვის მთავრობის წევრი. რომელიც, თანამედროვე კომუნის (რომელიც მის არ მიუღია მონაწილეობა), გამოდიოდა ვერსალის მთავრობის წინააღმდეგ!

რეპუციის გამარჯვების შემდეგ იგი დასაჯეს და 1873 წელს გაგზავნეს ახალ კალედონიაში. რამდენიმე თვის შემდეგ რომელიც გამოიქცა იქიდან და, ევროპაში დაბრუნებული, კვლავ კალამს მკიდებს ხელს. 1880 წ. ანისტიის შემდეგ რომელიც დაბრუნდა საფრანგეთში. გარდაიცვალა ის 1913 წელს. თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში რომელიც თანდთან შორდებოდა რადიკალურ პოზიციებს და ბოლოს რეპუციის პანაქში გადავიდა.

ნ. ნიკოლაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში ასახულია რომელიც მოღვაწეობის 60—70-იანი წლები, ე. ი. ის პერიოდი, როდესაც რომელიც საინტერესო ფაქტა იყო ფრანგულ ჟურნალისტიკაში. ნიკოლაძის სტატიები, გამოცემული „დროებაში“ და „კრებულში“ განეკუთვნება 1873 წელს, ე. ი. ამ დროს, როდესაც რომელიც საშინლად იტარებოდა, როდესაც

იგი ახალ წლის პატივობის შემდეგ გაგზავნილი იქნა ახალ კალედონიაში. სტატიაში „ანრი როშფორის დაკარგვა“ („დროება“, 1873) ნიკოლაძე აღწვთობით ლაპარაკობს საფრანგეთის მთავრობაზე, რომელიც ღუპავს დიდად ნიკიერ მწერალს. ერთ სტატიაში („კრებული“, 1873, № 8) ავტორი განიხილავს პუბლიცისტის შემოქმედებით გზას ფრანგული ჟურნალისტიკის ისტორიაში და წარმოგვიდგენს მის დასახურებას. დაწერილებით ახასიათებს ნიკოლაძე რომელიც ეურნალს — „ფრანსი“, რომელშიც დაიწყო გამოცემა 1868 წ. და რომელშიც მალე მოუხვევა რომელიც გამოცემილი ჟურნალისტიკის სახელი. „როშფორმა პირდაპირ და პასი დაეცინა და შეურაცხყოფა დაიწყო, მაგრამ ისე, რომ ვერასხვით ვერ მოხერხდებოდა მისი „ჩაბმა“ და გაშტყუნება. იმან ისეთი ისტატური და ხელოვნური ირონიის ხმარება დაიწყო, როგორც სელიტის შემდეგ თითქმის არცერთ მწერალს არ გამოეჩინა“, ამბობდა ნ. ნიკოლაძე. ეურნალს მართლაც ეჭირა მთავრობის საწინააღმდეგო პოზიცია: ამაზე მტკვეულებს ეურნალის თვით სახელწოდებაც. „მე დავარქვი მას ასე იმიტომ, რომ ფრანსი საშსახურს გვიწევს, რათა გულისთვის პატიოსან ადამიანებს და იმის სამსახურსაც გვიწევს, რომ მის შუქზე ჩააგვადრინოთ ბორტ-მოქმედნიო“, ამბობდა რომელიც.

„ფრანსი“ პირველმავე ნომერმა სენსაცია გამოიწვია. „შემოქმედელია წარმომადგენლის კაცის შთაბეჭდილება, — ამბობს ნიკოლაძე დასახელებულ წერილში, — რომელიც მთელი საფრანგეთის და ევროპის მკითხველ საზოგადოებაზე ამ ნომერმა მახაღინა. ორანი ათასი ეგზემპლარი ჩამოდენილად ღლას განმავლობაში დაიტაცეს, და თითქმის ყველა ქალაქში, თითქმის ყველა ენებზე ახლათ და ახლათ იმეკდებოდა და თარგმნებოდა როგორც ეს პირველი ნომერი, ისე შემდეგები“ (გვ. 207). ძნელია ამემაღ დავიჯეროთ ის საბარყო წარმატება, რომელიც ხედა ამ პატარა ეურნალს, რომელიც დაწერილი იყო ერთი ავტორის მიერ და რომელიც აერთიანებდა გამომცემელსა და რედაქტორს. მაგრამ ზოგი ნაპოლეონ მესამის მთავრობისადმი იმდენად უსაზღვრო იყო, რომ ყოველ გამოცემას საძველელი რევიმის წინააღმდეგ აღტაცებით ხედებოდნენ. კ.

გარდა „ფრანსისა“, ნიკოლაძე ახასიათებს რომელიც სხვა პერიოდულ ჟურნალებსაც. რომელიც იცემილია 1869—1871 წ. წ. ასეთი იყო, მაგალითად, „მარსელიეზა“, რომელიც წარმოადგენდა ინტერნაციონალის პარიზული სექციის ორგანოს და რომელიც მოიხსენიება მარტისა და ენგელის მიწერ-მოწერაში (იხ., მაგ., მარტის წერილი 1870 წ. 5 მარტისა და 7 სექტემბრის თარიღით). ოღონდ რომელიც, ეტყობა, ნაკლებად ერკვეოდა ინტერნაციონალის მუშაობაში, ერთხელაც რომ არ მოიხსენია იგი თავის მემუარებში.

ნიკოლაძის სტატიაში რომეორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სიზუსტითა და სისრულთაა მოცემული. ის კი უნდა ითქვას, რომ რომეორის, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწის, შეფასებაში ნიკოლაძეს ყველთვის ვერ დავუტყუებთ. სადაცაა რომეორის დამოკიდებულების საკითხი კომუნისტან, ნიკოლაძე არ გვიჩვენებს რომეორის პოზიციის მერყეობას, რომეორისა, რომელიც, მართალია, იშვიათად გამოდიოდა ვერსალეთა წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრით, არც კომუნარებს ემხრობოდა.

ქ. ნ. ნიკოლაძის სტატიები რომეორის შესახებ მანქანებელია წვენი პუბლიცისტის ინტერესისა პოლიტიკურად მხვილი ევროპისტიკის მიმართ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს რომეორის უდიდეს როლს მეორე იმპერიის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ავტორი რომეორის მიკეთებულ პოლიტიკურ სტირაციას, რომელიც წარმოადგენს მისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, წერენ არა ღრმა პოლიტიკურ გამოკვლევებს, არამედ მხვილ პამფლეტებს, პირდაპირ რომ ურტყამს მიზანში. „პოლიტიკურ მწერლობაში რომეორმა ის ნაწილი აირჩია, რომელიც იარაღად დაეცინეს, სასტუკ გაიკცხვას და პირდაპირ შეტევის ხმარობს. ამან პამფლეტი ირგო მხედრათ და ირინია—იარაღით“, ამბობს ნიკოლაძე („კრებული“, 1873, № 6, გვ. 251).

ნიკოლაძე რომეორის ადარებს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს სატირიკოსებს — რაბლეს, ვოლტერს, ბოშარტეს და სხვ. ეს ისევე გადამარბებულია, როგორც იმის მტიყება, თითქმის სვიფტის შემდეგ არავის არ ახსნიოთებს რომეორისებური სატირა.

ასანინიშავია, რომ ავტორი აღმფოთებით ლაპარაკებს მკე-მეკონის რეაქციული მოაგრობის შესახებ. „ისე ეპურობა საფრანგეთის ვითომრესპუბლიკა იმ პირს, რომელმაც ყველაზე უფრო მეტი თავგანწირულება, ნიქი, შრომა მონადრმა ნაპოლეონის დაცემას და რესპუბლიკის დაარსებას“, დასკვნის ნიკოლაძე.

რომეორის გაქცევამ ახალი კულენიიდან კვლავ აღბრა მისდამი ინტერესი. ვაზეთი „დროება“ წერდა: „რომეორი ნიუ-იორკში მისულა, აქედან რომეორი ლონდონში წავა, სადაც დააწევებს ევროპის „ფანრის“ გამოცემას. ამბობენ, საშინლად დაფრთხობილი არიან თურმე ამ

გესლიანი და მხვილი მწერლის მტრები“ (1874, 7 აპრილი, გვ. 4).

ნ. ნიკოლაძე, რომელიც ამ მწერლის სტირურად თანამშრომლობდა ვაზეთში — *Тифлисский Вестник*“, თავის ნაშრომში „Письма оттого света“, გვისურათებს დაბნეულობას ფრანგულ რფიციალურ წრებში და რეაქციულ პრესაში. მწერალი „Новый Фонарь“ ნიკოლაძე ათავსებს რომეორის ახალი წერილის შემოკლებულ თარგმანს. 70-იან წლებში ნიკოლაძე დიდი ინტერესით აღევნებდა თვალურს რომეორს. ამავ ხანებში მოხდა ნიკოლაძისა და რომეორის გაცნობა.

70-იანი წლების დასასრულს ნიკოლაძე შეუღდა „Обзор“-ის გამოცემას. მას უნდოდა რომეორის ეთანამშრომლა თავის ვაზეთში. ნიკოლაძის არქივში დაცულია რომეორის სამი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ იგი მზადაა მონაწილეობა მიიღოს ახალ რეჟიმში. „თავისთავად ცხადია, რომ მე უკეთესს ვერაფერს ვისურვებდი, თუ არა იმას, რომ კავკასიაში პროვოკანდა გამეწეა თავისუფლების იდეისათვის, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძებით“, ამბობს რომეორი ერთ-ერთ წერილში.

„Обзор“-ის პირველსავე ნომერში გვხვდება რომეორის გვარი. ვაზეთის მეტეუ ნომერში საერთო სათაურით — „Письма из Франции“ მოთავსებულია რომეორის სტატია — *Маршал или президент?*, მიმართული მკე-მეკონის წინააღმდეგ, რომელიც თავის თავში აერთიანებდა რესპუბლიკის პრეზიდენტს და საფრანგეთის მარშალს. სხვა სტატია რომეორის ხელმოწერით არ დაბეჭდილა. აღბათ ნიკოლაძე იმელებული შეიქნა არ მოესენებინა ვაზეთში რომეორის გვარი. დანარჩენი სტატიები რომეორისა დაიბეჭდა ხელმოწერადა, ოღონდა შეცვლილი იყო სათაური: „Дела и люди Франции“ (№№ 19, 56).

რომეორის მოღვაწეობა 80-იან წლებში გაშუქებულია ნიკოლაძის ნაშრომში „ლეი ბლანი და გამმეტა“, რომელიც დაბეჭდა 1883 წ. (*Отечественные Записки*“).

ფრანგი ევროპისტიკის შემოქმედებს ნიკოლაძე აფასებდა მისი მკაფიოდ გამოვლენილი რადიკალიზმის გამო, აფასებდა, როგორც ძალას, რომელიც მიმართულია გამეფებული რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად.



პოეტი და რევოლუციონერი

„ვინც მრისხანე ბრძოლაში თავისუფლებსათვის დაეცა, ის არ მოკვდება.“ (ხ. ბოტევი)

ხუთი სთკუნის მანძილზე იმყოფებოდა ბულგარეთი თურქეთის ბატონობის უღელქვეშ. მდიდარი ქვეყანა თავისი უამრავი ბუნებრივი რესურსებით ოტომანთა იმპერიის ბელადი იყო. ხუთი ასეული წლის მანძილზე თურქი სულთანები და ფაშები ჩაგრავდნენ და ძაბუცავდნენ ბულგარულ ხალხს. ისინი ყოველწლიურად ცდილობდნენ გაეთურქებინათ ბულგარელები, ამოეპირკვათ ამ დამონებულ ხალხში ნაციონალური თვითშეგნება, ფეხქვეშ გაეთელათ მათი ნაციონალური ღირსება.

მაგრამ თურქმა ფეოდალებმა ვერ შეძლეს დაეჩოქებინათ, გაეცხხათ და გაეთურქებინათ თავისუფლებისმოყვარე ბულგარული ხალხი, რომელმაც წმინდად და ხელშეუხებლად შეინახა თავისი მატერიალური და სულიერი კულტურა, ენა, მართლმადიდებლური რელიგია. ვარდა ამისა, მთელ ბულგარეთში, შავი ზღვიდან მდინარე ისკირსა და სტრუმიცე, სახალხო აჯანყებამათა აღი აერთო. თურქი ჯალათები სისხლში აღრიზებდნენ აჯანყებულთ.

ბულგარული ხალხის ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა ვასელი საუკუნის 60-70-იან წლებში. მისი ბელადი იყო ბულგარულ ხალხის დიდი შვილი, რევოლუციურ-დემოკრატიული მოაზროვნე და პოეტი ხრისტო ბოტევი.

ხ. ბოტევი დაიბადა 1848 წლის 25 დეკემბერს ქალაქ კალოფერში, რომელიც ქვეყნის შუაგულში, სტარა პლანინის მთების ვანშტოვანზე იმყოფება. მამამისი — ბოტიუ პეტკოვი ცნობილი ბულგარელი განმანათლებელი და პედაგოგი იყო. ადგილობრივი სამკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1863 წელს მამამ ხრისტო სასწავლებლად ოფისში შეიყვანა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ხრისტო ბოტევი მასწავლებლად მუშაობს ბესარაბიის სოფელ ზადენაევკაში, სადაც ასწავლის გადმოსახლებულ ბულგარეთა შვილებს. რუსეთში ყოფნის დროს პროგრესულ ახალგაზრდობასთან შეხვედრებისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლინოვის, დ. ა. პისარევის და სხვა რევოლუციონერ დემოკრატთა თხზულების კითხვის გავლენით ჩამოყალიბდა ხ. ბოტევის მსოფლმხედველობა.

1867 წელს მშობლიურ კალოფერში დაბრუნებისთანავე ხ. ბოტევი რევოლუციურ პროპაგანდას ეწევა ახალგაზრდობაში. ერთ-ერთ

დღესასწაულზე ხ. ბოტევი სახალხოდ გამოდის მგზნებარე სიტყვით, რომელშიც ამხილებს თურქ დამპყნებლებსა და ბულგარულ ჩირბაჯებს (მსხვილი მიწათმფლობელები და ვაჭრები, თურქთა ბატონობის მომხრენი).

ამის შემდეგ, საწყობილეთში რომ არ მომწვედელიყო, ხ. ბოტევი ემიგრაციის შეფერხარე მინებით. 1869 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ემიგრაციულ მუშაობაში. ამ დროიდან ხრისტო ბოტევი მთელი არსებით ეწევა რევოლუციისა და ბულგარული ხალხის განთავისუფლების საქმეს.

ბოტევი თავის იმდროინდელ მრავალრიცხოვან სტატიებში გამოდის, როგორც თურქი ფეოდალებისა და მენორმაჯეობის წინააღმდეგ მემართული სახალხო რევოლუციის ორგანიზატორი. აღსანიშნავია ამ გამოსვლებში აშკარად გამოხატული ინტერნაციონალიზმი და კლასობრივი ხასიათი. ინტერნაციონალიზმი მიმდინილ ერთ-ერთ სიტყვაში იგია წერს, რომ, თუ თურქები საერთო მტრის — სულთანის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუერთდებიან ბულგარელებს, მაშინ ბულგარელები მათ ზულგაშლით შეხვდებიან. რევოლუციური ძალის დაუმრეტელ წყაროს ბოტევი ხალხის მასებში ხედავს, ხოლო მენორმაჯეობისა და სასულიერო ფენებში — მტრებს.

ბოტევი იმდენი შეჟურჯებდა რუსეთს, ის დაწმენებული იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში შეიქმნება პირობები ბულგარული ხალხის აჯანყებისათვის. ამავე დროს, ბოტევი ცარიზმს აფასებდა, როგორც ვარდამავალ მოვლენას, და მიესალმებოდა რუს ხალხს ევგენიარქოს რუს ხალხს და მომადს თავისუფლად რუსეთს.

ხრისტო ბოტევის რევოლუციური აზრები ნათლად გამოიხატა მის მიერ 1871 წელს დაწერილ „ბულგარულ კომუნის რწმენის სიმბოლოში“:

„მჯერა დედამიწაზე კაცობრიობის მოდგმათა ერთიანი ძალისა, რომელიც ქმნის სიკეთეს. და ერთიანი კომუნისტური საზოგადოებრივი წესრიგი ძმური შრომის, თავისუფლებისა და თანასწორობის გზით იხსნის ყველა ხალხს საუკუნოვანი ტანჯვისაგან...“

ხრისტო ბოტევი შესანიშნავი ბულგარული პოეტი იყო. მისი პოეტური შექმნილობიდან მხოლოდ ოციოდე ლექსმა მოაღწია ჩვენამდე.

მაგრამ მისმა შემოქმედებამ გადაწყვეტი გაუღენა მოახდინა მთელი შემდგომინდელი ბელგარული პოეზიის განვითარებაზე.

პოეტის მამაციური მუზა აჯანყებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს. მას სძულდა ექსპლიატატორები და სწუხდა ხალხის მწუხარებით.

აზრით იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა მისწრაფებს ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ, გაეღნთილია ლექსი „ლტოლილი ქალი“. ამ ნაწარმოების გმირს, მშვენიერ სტოიანს შეუყვარდება სახალხო შერისმაძიებელი უშიშარი პაილუკი. პაილუკთა რაზმის აღისფერია ალაში გაამართლებს და განწმენდს მის „უკანონო“ საიდუმლო სიყვარულს.

ლექსში „ჩემს პირველ სიყვარულს“ ავტორი სთხოვს შეყვარებულს — იმღეროს, მაგრამ არა სიყვარულზე, არამედ ხალხის ვაებაზე და სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაზე.

ხალხის გამათავისუფლებელი ეს მგზნებარე სტრატიკონები მოქმედებაში ეხმარებოდა თვით პოეტსაც. 1875 წელს ხრისტო ბოტევის მეთაურობით ბულგარეთის რევოლუციური ცენტრალური კომიტეტი აწყობს აჯანყებას. მაგრამ თურქებმა ჩაახშვეს იგი. ერთი წლის შემდეგ ხელშეორედ ეწყობა აჯანყება. ხრისტო ბოტევი რუმინეთში აღგენს ორასკაიკიან რაზმს და დუნაით გადადის ბულგარეთში. მაგრამ ეს აჯან-

ყებაც ცუდად იყო ორგანიზებული. აჯანყებულთა ჯგუფები მთებში ებრძოდნენ მოწინააღმდეგებს, რომლებიც მათ რიცხობრივად უმრავლესეაყრ ალემატებოდა.

1876 წლის 20 მაისს ხრისტო ბოტევი ვრანანსკის მთებში ბრძოლაში დაეცა.

ბულგარეთში აჯანყება ჩაქრობილ იქნა სხვაგანაც. მაგრამ ამ დამარცხებამ ვერ გატეხა ბულგარულ მებრძოლთა გადაწყვეტილება — გაეგრძელებინათ ბრძოლა ქვეყნის საბოლოო განთავისუფლებამდე. აჯანყებულთა ნაწილი უერთდება თურქთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ სერბიელთა არმიას.

1877 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. სან-სტეფანსკის ხელშეკრულებით (1878 წ.), ცნობილ იქნა ბულგარეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ ბულგარელმა ხალხმა შაინც ვერ მოიპოვა რეალური თავისუფლება.

მძიმე განსაცდელთა წლებში, მონარქიისა და ფანსისტური ტერორის წლებში ბულგარელმა ხალხმა, როგორც შექურა, ატარა თავისი დიდი შეილის — ხრისტო ბოტევის სახელი.

მხოლოდ 1944 წლის სექტემბერს საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულ ბულგარეთის მიწაზე ამოკაშაშდა მრავალჯის ნატრული თავისუფლების მზე.

და ამჟამად „ხრისტო ბოტევი — ეს დროშაა, რომელიც ახალ დემოკრატიულ ბულგარეთში სულ მალე იტრიალებს“ (გ. დიმიტროვი).



მ. პაჭავაძე



მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიისათვის

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში გარკვეული ადგილი უკავია მოსკოვის ქართულ კოლონიას, რომელმაც რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ დაახლოებაში დიდი როლი შეასრულა.

როგორც ცნობილია, რუსეთში ქართული კოლონია დაარსდა XVII ს. დასასრულს ცნობილი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის არჩილის მიერ (1647 — 1713 წ.წ.), რომელმაც მთელი თავისი ძალისხმევით და მრავალრიცხოვანი ამაღლებით რუსეთში გადასახლებით თავი დააღწია თურქ და ირანულ დამპყრობთა დევნას.

XVIII ს. 20-ან წლებში ქართული კოლონია მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც რუსეთში გადასახლდა ვახტანგ VI დიდი ამალით (1200 კაცი), რომელიც ძირითადად ფეოდალური საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მიღწევებისაგან შედგებოდა.

რუსეთში დასახლების შემდეგ ქართველმა ემიგრანტებმა სამშობლოში შეწყვეტილი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა განაგრძეს, ხელი მოჰკიდეს აგრეთვე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ასე მაგალითად, აქ დაამთავრეს თავიანთი მეცნიერული შრომები სულხან-საბა ორბელიანმა და ვახუშტამ, რომელმაც ხელი მოჰკიდა აგრეთვე ქართულ ენაზე რუსი და ევროპელი ავტორების ნაწარმოებთა თარგმნას და ხელი მიჰყო რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას. ცნობილია, რომ 1703 წ. არჩილმა მოსკოვში დააარსა ქართული სტამბა, რომელშიც 1705 წ. დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა არჩილ ვეთუხიანის აგრეთვე რამდენიმე თარგმანი, მაგალითად, ბერძნულიდან ნათარგმნი „ქრონოგრაფია“. მასვე შეუთხოვეს ოლა პოლტავის ბრძოლის შესახებ. მისმა ვაჟმა ალექსანდრემ, რომელიც ცნობილია რუსეთის ისტორიაში როგორც პირველი გენერალ-ფელდცეიმჰეისტერი, თარგმნა რუსულიდან ქართულად სიმეონ პოლოცკის ნაწარმოებები.

სასულიერო და მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ქართულად ითარგმნებოდა აგრეთვე ისტორიული, გეოგრაფიული, მათემატიკური და სხვა შრომები.

ქართველი პატრიოტები, რომელთაც რუსეთ-

ში ჰპოვეს თავშესაფარი, ეცნობოდნენ რუსეთის სამხედრო ცხოვრებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობას, კულტურას, ხელს უწყობდნენ რუსეთთან საქართველოს დაახლოებას. მაგრამ ამავე დროს ისინი რუსეთის საზოგადოებრიობას აცნობდნენ ქართულ კულტურას. ასე მაგალითად, ცნობილია რუსში ისტორიკოსმა ვ. ნ. ტატიშჩევმა „ისტორიის“ პირველ ტომში რუსეთში მცხოვრებ ქართველთა შემწეობით ფართოდ გამოიყენა ქართული მატრიანეს „ქართლის ცხოვრების“ ცნობები.

რუსი და ქართველი ხალხის დაახლოებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდნენ ვახუშტი, მამუკა მარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები.

XVIII ს. განმავლობაში რუსეთში და დასავლეთ ევროპაში ფართოდ სარგებლობდნენ ვაიშტის კარტოგრაფიული შრომებით. 1736 წ. მისი ყველა რუკა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გადათარგმნილი იქნა რუსულ ენაზე. მისი რუკების საფუძველზე ფრანგმა მეცნიერმა დელილმა შეადგინა საქართველოს რუკა, რომელიც გამოცემულ იქნა პარიზში 1766 წელს.

რუსეთში დასახლებულმა ქართველმა ემიგრანტებმა არა მარტო დიდი მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, არამედ სამხედრო საქმიანობაც გააჩაღეს. ამასთან ერთად ბევრმა მოუგანმა თავი გამოიჩინა სამხედრო სარბიერებაში. მონაწილეობა მიიღო რაგ ბრძოლებში, რომელსაც რუსეთის გამართული არმია აწარმოებდა. დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი შემთხვევით როდი წერდა: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ ჩვენი დროშების ქვეშ თავიანთი მამაცობა დაამტკიცეს“.

უკველივე მკითხველთა ფართო წრეებისათვის კარგადაც ცნობილი, მაგრამ აუცილებელია გავეცნოთ არა ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტებსაც, რომლებითაც დასტურდება, რომ რუსეთი თავშესაფარი იყო არა მხოლოდ ქართველი თავად-აზნაურობის მოწინავე წარმომადგენელთათვის, არამედ ხალხის ფართო მასებისათვის — **ქართველი გლეხებისათვის.**

უცხო დამპყრობლების ბატონობა საქართველოში და მთიელ ყაჩაღთა ბრძოების მძარცველური თარგმნი ქართველ მშრომელ ხალხს აუტა-

ნელ ტვირთად იწვა. მას შემდეგ, რაც სულთანის თურქეთი გახდა „ეოცხალი საქონლის“ მფლობელი მომხმარებელი, დაიწყო ქართველთა მასობრივი ვაჭარება ტყვეებად. ქართველ გლეხებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თურქები, ლეკები, მათ ჰყიდდნენ აგრეთვე თეთი ქართველი რეაქციონერს ფეოდალებს. ასე მაგალითად, რუსი რეზიდენტი კონსტანტინეპოლში ა. ნეპლიუევი 1723 წ. 7 თვისის რეალკიში იწვეებოდა, რომ აბრილში „явилось в Царьграде много вновь привезенных пленных людей грузинской нации (а взыты они в такой силе как здесь говорят) понеже обретающиеся в протекунии у Порты издавна некоторые грузинские князья будто междо собою в несогласие пришли и в таком случае требовали у Порты дабы их повелела примирить, чего ради от наши эрзерумского послан к ним некоторой корпус военных людей (где по воровскому своему обычаю) пленили тех народов до семи тысяч человек, так ож де будто много между ними армян, подданных перских, которые пленены от лязгов“¹

1732 წ. 25 აგვისტოს განერალ-ლეიტენანტი დეგლასი წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრიდან² იწვეებოდა: „...турецкого владения азовские купцы с товарами для продажи без взимания пошлин по пашпортам генералитетским в кумышские деревни ездят и по продаже тех товаров равной пропуск с купленными ясырями из кумышских деревень назад получают. А усмотрению, что великое число тех ясырей все христианского народа грузинцов человек по 200 и свыше вдруг провозят“³.

ტყვედ ჩაგარდნილი ქართველები ყოველწლიურად ედილობდნენ თავი დაეღწიათ მონობისათვის და პირველი შესაძლებლობისთანავე ილტვოდნენ თავისუფლებისაკენ, რისთვისაც ერთერთ საიმედო პირობას რუსეთში გაქცევა წარმოადგენდა.

ქ. მოსკოვში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი“⁴ დატულია დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება ქართველი გლეხების ტყვეობიდან რუსეთში გაქცევის ფაქტები. ასე მაგალითად, 1725 წ. მაისში საგარეო საქმეთა კოლეგიამ დაარეგან არჩილის ასულის არზის საფუძველზე პასპორტები მისცა რამდენიმე ქართველს, რომ

მელნიც საქართველოში ბრუნდებოდნენ. მათ შორის იყო ვინმე ბეყუა (თუ ბერუაქს). მანვე ერისთავს უმას ვაჭი, რომელიც ტყვედ ჩვეულობით ლეკებს, მაგრამ ტყვეობიდან თავი დაიღწევიდა. იგი მოხტდა კიევი და აქედან გაემგზავრა მოსკოვს დაარეგანთან¹.

1725 წ. დეკემბერში მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის „კანტარაში“ სმოლენსკიდან გამოგზავნილი იქნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნული იყო: „Сего декабря 10 дня явились в Смоленск, пришедшие из за польского рубежа иноземцы, которых допросить невозможно, понеже они русского, польского и немецкого языков не умеют, а какими языками говорят таких людей, чтоб знали те языки в Смоленске не имееща. А явился у них пашпорт один из Варшавы Ее Императорского Величества от министра князя Сергея Григорьевича Долгорукова, которой обретається... при польском дворе“. დოლორუკოვის მიერ გაქცეულ პასპორტში იწერა: „Объявляю сим кому ведать надлежит, понеже показатели сего Гаврило, Иван и Василей уроженцы из Георгии, которые были в неволе у турков и освоболись оттуда возвращаются в свое отечество“.

დასახელებულმა ქართველებმა დოლორუკოვს თხოვეს მიეცა მათთვის პასპორტები რუსეთში წასასვლელად. ეს ქართველები ჩამოყვანილ იქნენ მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის „კანტარაში“².

რუსეთის შიგარობა ყოველმხრივ ედილობდა დახმარება გაეწია ტყვეობიდან გამოქცეული ქართველებისათვის, რომელიც, როგორც წესი მიჰყვებოდა მოსკოვში, ვახტანგ VI-თან, თუც ისინი მოხვდებოდნენ ცენტრალურ რუსეთში. ვახტანგი ეცნობოდა მათ საქმეს, ითვალისწინებდა მათ სურვილს და შეამდგომლობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე ან რუსეთში მათი დატოვების ან კიდევ საქართველოში დაბრუნების შესახებ. ასე მაგალითად, 1729 წ. 31 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაგზავნილ წერილში ვახტანგ მე-6 წერდა: „ქ. ჩვენ საქართველოს მეფეს ვახტანგს ქართლიდან დაჯარვულმა ტყვეებმა: ზურაბა ბერის შვილმა: თამაზა ბასილის შვილმა: დათენა გიორგის შვილმა: გიორგი დავითიშვილმა: და გიორგი გრიგოლის შვილმა: არზა მოგვართვა: ურუმდამ გამოპარულიყვენ და ზოგი ფერთიშვალ კნაზ მიხაელის: და ზოგი ლეთმანის ფამფორტით მოსკოვს ჩვენთან მოვიდნენ და ჩვენ ნება გვთხოვეს ქართლში წასულისა: ახლა ჩვენც მოსკოვად ასე ნება მიგვიცია, რომ საცა უნდა წავიდნენ“³.

¹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა, 1723 წ., ს. № 5, წ. II, ფ. 257 — 258.

² ეს ციხე-სიმაგრე აშენებული იყო რუსი ჯარების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში XVIII ს. 20-ან წლებში მდინარე სოლაყის ნაპირას.

³ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, 1732 წ., ს. № 7, ფ. 1.

¹ იქვე, 1725 წ., ს. № 11, ფ. 10 — 11.

² იქვე, 1725 წ., ს. № 19, ფ. 2.

³ იქვე, 1729 წ., ს. № 1, ფ. 37.

თავის მხრივ ვახტანგ VI ყოველთვის ცდილობდა განთავისუფლების საქმეში შესაძლებლობისდაეყარა და ხმარებოდა ქართველებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ტყვედ რუსეთის საზღვრებთან ახლოს. მაგალითად, 1731 წ. ვახტანგმა გაიგო, რომ თურქებს აზოვში ჰყავთ ქართველი ტყვეები და თხოვა რუსეთის მთავრობას ნებართვა, რათა გაეგზავნა თავისი კაცები ტყვეების გამოსასყიდად, რაზედაც თანხმობა მიიღო¹.

ლექთა ტყვეობიდან გამოქცეული ზოგიერთი ქართველი გადმოდოდა კასპისპირა პროვინციებში, რომელიც XVIII ს. 20-იან წლებში რუსეთს ეკუთვნოდა და იქ სახლდებოდა. ასე მაგალითად, კასპისპირა პროვინციებში რუსთა ჯარების სარდლის გენერალ მატეუსეინის 1725 წ. 20 ივნისის მოხსენებაში ნათქვამია, რომ დარუბანდის კომენდანტის პოლკოვნიკ იუნგერის უწყების მიხედვით: „Вышедшим из полону в Дербень грузинцам 91 человеку дано на

¹ იქვე, 1731 წ., ს. № 2, ფ. 82—84; 1732 წ., ს. № 2, ფ. 1—3, 10, 13.

первое пропитание провианту солдатская дача и выдано ружье после умерших казаков и дворы отведены“².

1732 წლისათვის წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრის გარშემო ქართველთა დასახლება უკვე იმდენად შეიძრო იყო, რომ გენერალი დეგლასი იძულებული შეიქნა ეთხოვა ნებართვა, რათი დარუბანდში გადაეყვანა ტყვეობიდან ახლად გამოქცეული ქართველები, რომელნიც პატარ-პატარა, 3—4 კაციან ჯგუფებად მოდიოდნენ ხოლმე².

ცოტა ქართველი როდი ცხოვრობდა ვილნში, სადაც რუსი ჯარების შემადგენლობაში მოქმედებდა მათგან შედგენილი ქართული ესკადრონი; ასევე სომხებისაგან შედგენილ იქნა სომხური ესკადრონიც.

ყველა ეს ფაქტი რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიული ფესვების ნათელი დადასტურებაა.

¹ იქვე, 1725 წ. ს. № 9, ფ. 4.

² იქვე, 1732 წ., ს. № 7, ფ. 1—2.

ხელოვნების საკითხები

როიონ ქოჩია



აღმსანდრე წუწუნავა

გურია ერთ უხარმხარ ყვაილნარს წარმოადგენს. ამ ყვაილნარში, შიგადაშიგ, ვაჟკატურ ადგილებსაც ნახეთ — ძველ ციხე-სიმაგრეებს. ისინი გაშენებულია სტრატეგიულად მარჯვე ადგილებზე, რათა მხარე დაცული ყოფილიყო ოსმალთა აგრესიებისაგან. ამ ციხე-სიმაგრეთა შორის გამოირჩევა ლეხაურას ციხე, დიდი სიმაგრე, კორტონზე აგებული. ახლა არ ვიცი; როგორია ეს ციხე, მაგრამ ჩემი მოწაფეობის დროს იგი იყო შალაი, ტანაყრილი, ოახიე კუთხეში ბასტიონებზე ამართული, სათოფურებიანი, ძველდროინდელი ტექნიკურ პირობებში ძნელად მისაღალი, თითქმის მიუვალა. ციხე შიგნით დიდ ფართობს მოიცავდა. შუაგულ ადგილას ღრმა ქა იყო ამოთხრილი — 20 საყენის სიღრმისა. ციხის კედლები ამოყვანილიყო მრგვალი, რიყის ქვებით, შიგადაშიგ თლილი ქვებით. ციხის კარებს ვერ მიუღწევოდი, თუ ციხეს არ მიაღვამდი. ამ ციხეში აფარებდა თავს ოსმალეთთან ომის დროს ახლომახლო მოსახლეობა. ციხე ძველთაგან გუთონოდა თავაშვილების გვარს.

აი, ამ ციხის ძირას გაშენებულ სოფელში, რომელსაც მართლაც ციხისძირი ერქვა, დიდიხადა აღექსანდრე წუწუნავა 1881 წელს. მამამისი აზნაური რაეღენ წუწუნავა შექმლებული ოჯახის პატრონი იყო. დედა ეკატერინე — აღექსანდრე თაყაიშვილის ქალი იყო. ეს აღექსანდრე თაყაიშვილი ძველი გურიის სოფლის პირობებში დიდი კაცი ყოფილა. ძველ საქართველოში ხომ ციხე მხოლოდ დიდი გვარისა და გლეხის კაცსა ჰქონდა. ლეხაურის ციხე რომ თაყაიშვილების გვარისა იყო, ეს ამ გვარის ძალზე მოწმობს.

აღექსანდრეს ბაბუას (პაპას) დიდ აღექსანდრეს ეძახდნენ. მას ამ დროის შესაფერი გმირულ-რომანტიკული ბიოგრაფია ჰქონდა. ის ყოფილა თურქებთან მებრძოლი რაზმების ორგანიზატორი, ლეხაურის ციხის უფროსი, დიდი მებრძოლი ვაჟკაცი. მას თავის დროზე თავადი ნაკაშიძის ქალი მატა მოუტაცია და ლეხაურის ციხეში შეუფარებია თავი. მისი საძე რადღენიც მისნებარ რომანტიკოსი ყოფილა. მის პატარაობა-

ში უნახავს და დაუწინდავს თავისი მომავალი შეუძლე.

როცა აღექსანდრე დაიბადა, ბაბუამისმა, დიდმა აღექსანდრემ, თავისი დიდი თოფი გაისროლა და ციხისძირელთ აცნობა შვილი-შვილის შექენა. ეს თოფი იყო კაიანი, ჩახმხიანი, შიშვე და ხმისა დიდისა მექონი. მისი გასროლა მხოლოდ ძალიან ღონიერ ვაჟკაცს შეეძლო. აღექსანდრე თაყაიშვილიც ხომ დიდი ვაჟკაცი იყო. მან თორმეტჯერ გაისროლა თოფი და თავის შვილიშვილს თავისი სახელი დაარქვა. ამის შემდეგ ამ ახალ აღექსანდრეს პატარა აღექსანდრე უწოდეს. პატარა აღექსანდრეს დაბადებისას დიდი აღექსანდრე ას წელს მიახლოებული იყო, მაგრამ—ჯერ კიდევ ძალღონით სავსე, კარგი მხედველობისა და მუხსიერებისა. დიდი აღექსანდრე შესანიშნავი მოუბარი იყო, იცოდა ბევრი ზღაპარი, ხალხური თქმულებანი, სიმღერები. როცა შვილი-შვილი იმდენად წამოიზარდა, რომ ბაბუასთან ერთად ციხეში ასევე შევიდა, დიდმა აღექსანდრემ პატარა აღექსანდრეს ხალხური შემოქმედების საკანძორის კარიბჭე გაუღო და შეაყვარა ის, რაც ვაჟკაცსა და მამაც გურულეს საუკუნეების მანძალზე შეუქმნიათ. გაიერის დრო-ხანი და ბაბუასაგან გაგონილსა და შეთვისებულს პატარა აღექსანდრე ქართულ ოპერაში და ქართულ კინემატოგრაფიაში გამოაყენებს. თუ აღექსანდრე წუწუნავას შემოქმედება გაეღწეოდა ხალხურობით, თუ მისი გმირობი სიმართლისათვის მებრძოლი იდამიანებია, თუ მათ უკვართ თავისი ქვეყანა, პატრეს სცემენ ქალს, შემხარაინ მზეს და იციან ერთმანეთის გატანა, ძირი ყოველივე ამისა ბაბუას ზღაპრები, ლეგენდები და სიმღერებია, ბაბუას მუხლებზე ციხისძირე რომ მოუხმენია მომავალ ზელოვანს.

დიდი აღექსანდრე შვიგნობარიც იყო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, საუბრის დროს ხშირად ჩურთავდა ხოლმე სტრიქონებს ამ ნაწარმოებებიდან; დიდად მიჩნეული კაცი იყო და ტრიონში თუ ქარაშილში ყოველთვის იწვევდნენ. ბაბუას პატარა აღექ-

სანდრეც თან დაჰყავდა და ქორწილში თუ იტყვებოდა, შეიღწევიდასაც აიტყვებოდა. განსაკუთრებით უყვარდა ხორუმის ცეკვა. ქორწილი იმართებოდა საგანგებოდ გაშენებულ სეფაში, სადაც 500 კაცი დიდებოდა. სეფაში სანახევროდ ჩარგავდნენ ქვეყრებს და ლეონოს იქიდან იღებდნენ, რაც განსაკუთრებულ ენებს აძლევდა ქორწილს. საქმელები ზონიით შემოქონდათ და ჩაშორივებდნენ სტუმრებს. თითო სტუმარს ლავაში ვახვეულ თითო ზაქაურს დაუდებდნენ წინ. გაიმართებოდა ბურაღლები, ლეონის სპა, სპა, რზუჯობანი. გურულები საერთოდ უნამოსწრებელი ზალხია, დიდი ალექსანდრე კი განსაკუთრებით გამორჩეულია მახვილსიტყვაობით. თამადად დიდი ალექსანდრე იყო და სტუმრის დამთავრებამდე ფეხზე არ იდგებოდა სუფრადან გასასვლელად. ამას ზომ ამ დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რასაკვირველია, არც ერთი ქორწილი უჩხუბოდ არ გათავდებოდა.

პატარა ალექსანდრე ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა. ძალიან ცნობისმოყვარე ბავშვი იყო და ექვსი-შვიდი წლისამ იმდენი სიმღერა, ლექსი და ისეთი ცეკვა იცოდა, რომ მნახველთა ავირევებდა. ნაბუას თავი მოქონდა თავისი შვილიშვილის ნიქიერებით და ხშირად იტყოდა, „ჩემი ალექსანდრე დიდი სასარგებლო კაცი გამოვა“. გაივლას დრო-ხანი და ყველაფერი ეს რევისორ ალექსანდრე წუწუნავს ზელში ეკრანზე გადაცა და ჩვენს მყურებულს დღესაც ასხოვს მისი შესანიშნავი სურათები „ეინ არის დამნაშავე?“ და „ჯეიანე გურიანი“.

ნაოდგომევეს გურიანი ფრიად გავრცელებული იყო ბურთის თამაშ „ლელო“. „ლელო“ შეტად ექსპრესიული და მოძრავე, თან დურბი-დურბილი თამაშია. მოთამაშე არაფერს ებუება, ოღონდ გაიტანოს ლელო. ჩვენ არ შევუდგებით „ლელოს“ აწერას, ეს ყველა იცის. ვიტყვი თხოლოდ, რომ პატარა ალექსანდრე ბურთის კარგი მოთამაშე იყო და ზალხური სპორტის ეს სახე ძალიან უყვარდა. როცა დგამდა სურათს „ეინ არის დამნაშავე?“, ეს თამაში შეიტანა სტრათში. მაგრამ სანამ კადრებს საბოლოოდ დალაგებდა, არტიტები შეჯობრებამი გამოაწვია. თბილისელ არტიტებს „ლელოს“ თამაში თამაშ ევრანთ და წააგეს. მიშინ თვითონ არტიტებში გამოიწვიეს შეჯობრებამი წუწუნავა. გაიმართა ნამდვილი და არა ბუბა-ფორიული თამაში. გავარდა ბურთი. არტიტები ეცნენ ბურთს. მაგრამ ბურთი თვალსა და ხელს შუა გაუქრათ. ალექსანდრე წუწუნავამ იგი შორს გაიტანა და მსახიობები უკან მიიტრია.

წოენი პატარა ალექსანდრეს დედამ ასწავლა. მამა თავისი დროისათვის საკმაოდ განვითარებული კაცი იყო და შვილი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში მიიბარა. ეს იყო მძღროინდელი ტრიაბერი სასწავლებელი თავისი

გამარესებელი პროგრამით, უბრალოდ დისციპლინით, ჯამუშობით, წინონეიკომსწრელებით. თუმცა აქაც იყვნენ ნათელს მაროტენქმანქმანი შორის ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე ეკიმელაური. იგი ბავშვებს ქართულ წიგნებს უთიხავდა, საქართველოს ისტორიას აცნობდა. ხანდახან წარმოადგენდასაც მართავდა და ეძლიობდა ამ დროს დევნილი ქართული ენა და ლიტერატურა ბავშვებისათვის შეეყვარებინა. მისი გავლენით იყო, რომ ალექსანდრე წუწუნავა ბავშობიდანვე გაიტაცა თეატრმა და 1896 წელს სასწავლებლის დამთავრებისას გადაწყვიტა მსახიობი გამხდარიყო. მაგრამ იმ დროს არცთუ ისე იოლა იყო ასეთი განზრახვის სისრულეში მოყვანი. როგორ? შექმნილი ოჯახის შვილი, დიდი ალექსანდრის შვილი-შვილი და მსახიობი? ამიტომ ალექსანდრე წუწუნავა იძულებული გახდა თბილისის საოსტატო სემინარიამი შესულიყო. აქ მან ორი წელიწადი დაყო, მაგრამ თბილისის თეატრებში ისე გაიტაცეს, რომ ინსტიტუტი დატოვა და ქართულ თეატრს მიაშურა. ეს მოხდა 1900 წელს.

პირველი დღეებიდანვე ალექსანდრემ ე. წ. ავჯალის აუდიტორიის მიაშურა. ეს აუდიტორია მას იზიდავდა თავისი დემოკრატიული მიმართულებით, მუშებთან და ქალაქის მშრომელ ფენებთან აბლო კავშირით. აქ დგამონენ ისეთ პიესებს, რომლებიც ხალხის კირ-ვარამს ასახავდნენ. დგამდნენ ისტორიულ პიესებსაც, რომლებიც აღვიბდნენ ხალხში ეროვნულ გრძნობებს. ორი წელი დაყო ალექსანდრემ ავჯალის აუდიტორიამი და გადავიდა ქუთაისში რადო მესხიშვილის დასში. ორ წელს იყო იგი მესხიშვილის დასში და კვლავ თბილისს დაუბრუნდა ქართულ თეატრში. ზღბულთაბით კი ბათუმში და ოზურგეთში დგამდა სპექტაკლებს. ასე გასტანა 1905 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ალექსანდრემ კარგად ასწონ-დასწონა ქართული თეატრის მუშაობა, დაუვიკრდა მის მეთოდებს, ხელმძღვანელებს, სპექტაკლების რაობას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ახალი გზის ძიება, ახალი სულის შთაბეჭე ქართულ თეატრში, მისი ახალი გზით წაყვანა. გადაწყვიტა წასულიყო მოსკოვს, სადაც ახალი გზები უყვე დასახული იყო სიმხატვრო თეატრში მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა დიდი სოციალური ძვრები რუსეთში. რუსეთი ცამარხდა იაპონიისთან ომში, რევოლუციურმა მოძრაობამ მოიკცა ქვეყანა და ალექსანდრეც ამ მოძრაობაში ჩაება.

ჯერ კიდევ მოსკოვში წასვლამდე ალ. წუწუნავა მონაწილეობას იღებდა გურიის რევოლუციური მოძრაობაში. ის იყო ასისთავი და აგიტატორი. დაამატირებს და სამი თვენახევარი მერტხის ციხეში იჯდა. მოსკოვში ჩასვლისას, 1905 წლის აგვისტოში, ისევე დაიწყო რევოლუციური მუშაობა. ამ დროს მოსკოვი უკვე

ამობოქრებული იყო. რვეოლუცია სარდაფიდან ქუჩაში ამოვიდა. მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყება, დგებოდა რაზმები, მტრინავი „დრუჟინები“. ა. წუწუნავა ჩუწურა ქართულ „დრუჟინაში“, რომლის მეთაურად მსახიობი ვასო არაბიძე იყო. ვარდა საბრძოლო ოპერაციებისა, ქართულ „დრუჟინის“ ევალუბოდა დაცვა მაქსიმ გორკისა, რომელსაც შეარაზებულები სიკვდილით ემუქრებოდნენ. გორკის დაცვის მიზნით ქართველები მოთავსდნენ მის ბინაზე, ვოხლდეყენკა № 11-ში, მეოთხე სართულში. ამ სახლში იყო გამართული იარაღის საწყობი და აშხალებდნენ ყუშპარებს ლევ კრასინის ხელმძღვანელობით.

ა. წუწუნავა მონაწილეა დეკემბრის აჯანყებისა, რომელიც ცხრა დღეს გაგრძელდა (9-18 დეკემბერი, 1905 წ.)

9 დღის განმავლობაში გრძელდებოდა შეიარაღებული ბრძოლა მუშებსა და მეფის ჯარებს შორის. თავგანწირვით იბრძოდნენ მუშები წითელ პრესნაზე. ამ ბრძოლებში იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა ალექსანდრე წუწუნავა — ჯერ ქართულ „დრუჟინაში“, ხოლო შემდეგ კავკასიურ „დრუჟინაში“, რომელსაც მეთაურობდა ისევ ვასო არაბიძე. მეთაურის თანამუშედ იყო ალექსანდრე წუწუნავა.

რვეოლუცია დამარცხდა. მაქსიმ გორკი საზღვარგარეთ წავიდა. მისი დამკველი და იარაღის საწყობის დამკველი ქართული რაზმიც დაიშალა. ზოგი დაიქირა, ზოგმა თავს უშველა. თავს უშველა ალექსანდრე წუწუნავამაც და გამოეშურა საქართველოში... აქ მან ბათუმში მიაშურა და წარმოდგენების გამართვა დაიწყო.

მ.ოლოდ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა ის მოსკოვს და შევიდა სამხატვრო თეატრის სტუდიაში სარეჟისორო კლასზე. თითხ წელი დაყო ალექსანდრემ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში და საფუძვლიანად შეისწავლა სამხატვრო თეატრის მუშაობა. ის ვახდა ერთგული მიმდევარი სტანისლავსკის მოძღვრებისა, ე. წ. „სტანისლავსკის სისტემისა“. ამ მოძღვრებით შეიარაღებული წუწუნავა დაბრუნდა საქართველოში 1910 წელს და დაიწყო მუშაობა ქართულ თეატრში.

საქართველოში მითხოვს იღვინწით, რომ საქართველოში ილ. წუწუნავას ცარიელი ადგილი როდი დახვედრია. ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ქართული თეატრის დიდი მოღვაწე და მსახიობი ვასო არაბიძე მოეწოდებდა ქართულ თეატრს ყოფილიყო ხალხის მსახური და აღზრდელი, საზოგადოებრივი აზროვნების ორგანიზატორი და მართალია სარეჟ. ცხოვრებისა. ვასო არაბიძის აზრით, თეატრს უნდა უყუველო ურველგარი სიყალბე და ზიზილმანიობები. ის ამბობდა, რომ მსახიობი უნდა ცხოვრობდეს სცენაზე, „კი არ არღვენდეს, არამედ განიცდიდეს“.

ასევე ფიქრობდა ქართული სცენის მეორე გამოჩენილი მოღვაწე ვალერიან გუნიაცი. ისიც

იმავე აზრისაა, რომ მსახიობი უნდა განიცდიდეს იმას, რასაც წარმოადგენს.

ამნაირად, საქართველოში შემდგომ წლებში მესვეურები იმ მოძღვრებას აღიარებდნენ, რასაც ცოტა გვიან მოსკოვის სამხატვრო თეატრის დაადგა ამ მიმართულებით ჩვენში უკვე მუშაობდა სამხატვრო თეატრის მიმდევარი ე. წ. „ლიეკმევილი. ვიშეორებ, ცარიელი ადგილი როდი დახვედრია ილ. წუწუნავას საქართველოში, რომ თეატრი წასულიყო ვინცდაგარდაქმნის გზით. საქართველოში ადრე ითქვა ის, რაც, რასაც ვიწერე, უფრო დიდი რეზონანსით ითქვა და გავტოვდა მოსკოვში. სტანისლავსკის სისტემის სახით. ცოტა გვიან იმავე გზით წაიყვანა ქართული თეატრი სამხატვრო თეატრის მოწიფე აკაცი დაღვამ. სამხატვრო თეატრის ამ მოწიფეებმა ქართულ თეატრის ისტორიაში ღილი და პროგრესული როლი შეასრულეს.

ალექსანდრე წუწუნავა ერთ-ერთი პირველი პროფესიული რეჟისორი იყო ქართულ თეატრში. ქართული მყურებელმა პირველად დაწინაა, რომ თეატრში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: რეჟისორმა, მსახიობმა, ვარიზორმა, მხატვარმა, დეკორატორმა, სცენის მუშებმა.

მართლაც, ა. წუწუნავას ერთ პირველ სექტატკლავის დიდი ქებით გამოჩენილია ქართული პრესა. 1909 წ. გაზ. „ჩვენი აზრი“, № 44 1 ივლისიდან ათავსებს ვრცელ რეცენზიას ა. წუწუნავას მიერ დადგმულ სექტატკლზე — გ. დანდისკის „იორის ასული“. რეცენზენტი დადგა აქებს ა. წუწუნავის დადგმას. ის წერს: „ქართულ სცენაზე ჩვენ უკეთესი მოთამაშენი ბევრი გვინახავს, უკეთესად დადგმული კი არც ერთი... ჩვენში რომ ყოველთვის ასე დაგმდნენ პიესებს, დაწმენებული ვართ საზოგადოება მუდამ ბლომად დაესწრებოდა. ა. წუწუნავამ გვიჩვენა პრაქტიკულად აქედან გამოსავალი გზა... რეცენზენტი აღინაგადა, რომ ა. წუწუნავა „მოსკოვის სარეჟისორო სკოლის მოწიფეა“...

ალექსანდრე წუწუნავამ მოსკოვიდან დაბრუნებისას თბილისში როდი დაიწყო მუშაობა. ის გაეშურა კიათურაში, მარგანეცის მრეწველობის ცენტრში და დაიწყო მუშაობა მუშათა თეატრში. ამ დღიდან დაიწყოელი ალექსანდრე წუწუნავა ქართულ სცენას არ მშობრებია.

კიათურის მუშათა თეატრში ალექსანდრე წუწუნავამ დაყო ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში მან აქ დადგა 25 პიესა. მუშათა თეატრის ძალიან მოსწონდა წუწუნავას დადგმები. საინტერესოა, რომ მუშებს ზმირად უყვებდნენ წუწუნავას მიმზღვნილებს ესა და ეს პიესა დადგაო. ზმირად, მუშის გულთან ახლოს მდგომ სექტატკლის დამთავრებისას, მუშებმა სატუქარს მთარომედდნენ ხოლმე წუწუნავას. ერთს სატუქარს ასეთი წარწერა აქვს: „ჩვენს საყვარელ რეჟისორს ალექსანდრე წუწუნავას მიწინავე

მეშეზისაგან". მეშეზთან დაპოლებისა და რევოლუციური განწყობილების პიესების დადგმისათვის ქალაქის ადმინისტრაციამ ა. წუწუნავა იძულებული დაეტოვებინა კიბაურა. 1912 წელს წუწუნავა გადმოვიდა თბილისში, ისევ მეშეზთან თეატრში, ზუბალაშვილის სახლში და აქაც მთელი თავისი მეშეზთან მოსიყვიის სამხატვრო თეატრის პრინციპებით წარმართა. იოლი როლი იყო ამ პრინციპების გატარება ცხოვრებაში. არა მარტო თანამედროვე მსახიობისათვის, თანამედროვე მსაყრებლისთვისაც წარმოუდგენელია როლის უცოდინარად სცენაზე გამოსვლა. მაშინ ეს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მსახიობი მხოლოდ თავისა როლით იყო დინტერესებული, ზნორად არ იცოდა რითი ცხოვრობდა და როგორ აზროვნებდა მისი პარტნიორი სცენაზე მავან მსახიობს იმედი ჰქონდა თავისი ნიჭის, ავტორიტეტის, მავანი მსახიობი ღვინოსაც ეწეზობოდა და ზნორად დისციპლინასაც არღვევდა. აღქსანდრე წუწუნავამ ყოველივე ეს ალყეათ თეატრში. მან ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. სამხატვრო თეატრის სიომ დაბერა ქართულ თეატრში და რევისორი ვახდა წამმართავი სექტეკალისა. იოლად როდი შეუიროვნებდა ახალ სიოს ცნობილი მსახიობები. აღქსანდრე წუწუნავამ ქართული თეატრი სამხატვრო თეატრისაგან შობაბრუნა.

წუწუნავას რევისორობით შეუბრუნებიათ როლები ქართული სცენის ისეთ მსახიობებს, როგორაც არიან ვასო აბაშიძე, ლალო მესხი-შვილი, კოტე ყიფიანი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვფეშია მესხი, ნუცა ჩხეიძე, ელ. ჩერჭეზი-შვილი, ტასო აბაშიძე, ვიტტორი ვამყრელიძე, ელ. შალკაშვილი, ნიკო გაციორაძე, ვიტტორი ნინიძე, პ. ფრანგიშვილი, ნიკო გვიარაძე და მრავალი სხვა. და ყველა ეს მსახიობები ხედავდნენ, რომ აღქსანდრე წუწუნავა იყო არა მარტო მომთხოვნი რევისორი, და მკაცრი რევისორიც, არამედ ნიჭიერი დამხმარე თეიონი მათი ნიჭის შემდგომი გაშლისა და აყვავებისათვის. იმ დროინდელი პრესა, როგორც ქართული, აგრეთვე რუსული და სომხური სამართლიანად აღნიშნავს აღქსანდრე წუწუნავას რევატიურულ როლს და მიღწევებს ქართულ თეატრში.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში ა. წუწუნავამ 150-ზე მეტი ქართული, რუსული და ევროპული პიესა დადგა. ამ სექტეკალებს დიდძალი ხალხი ეწერებოდა. თუ რა მალა დონეზე იდგა ეს სექტეკალები და რა გავლენა ჰქონდა მათ მსაყრებელზე, ეს ჩანს დიდა სომხი მწერლის თ. თუმანიანის წერილიდან. ის წერს: „მესამეჯერ ვუთუბებ ქართულ სექტეკალებს სახალხო სახლში და მესამეჯერ ვებრუნდები კმაყოფილი და აღფრთოვანებული. დიდი შედნიერებაა, რომ ხალხს ჰყავს ასეთი ნიკაიდი რევისორი. აი, რაა საქარო ჰეშმარობი და სასარგებლო თეატრალური ხელოვნებისათვის

და, აი, რა აკლია ჩვენს სომხურ თეატრს. გულწრფელად ვულოცე ჩვენს მეზობელ ქართველს, რომ შათ ჰყავთ ასეთი გულწრფელი უანგარო თეატრალური მოღვაწე, რომელიც არ მისდევს ჯამეაგირს და დიდებებს სხვა ადგილებში და პატიოსნად ემსახურება თავის ხალხს — მეშეზთან აუდიტორიას“...

1914 წელს აღქსანდრე წუწუნავა მიწვეულ იქნა ოფიციალურ ქართულ დრამატულ თეატრში მთავარ რევისორად. წუწუნავამ მოწვევა მიიღო პირობით, რომ ის იმეშევებდა მხოლოდ ახალგაზრდა ძალებთან და მის მიერ აღზრდილ მსახიობებთან. ამ თეატრში წუწუნავამ მოისწრო მხოლოდ ერთი სექტეკალის დადგმა. ეს იყო ი. ვედევანიშვილის „მსხვერპლი“. სექტეკალი დიდი წარმატებით ჩატარდა. წუწუნავას წინ დიდი მუშაობის პერსპექტივები გადაიშალა მაგრამ... სექტეკალის მეორე დღეს თეატრი დაიწვა.

მეღე იტყუდა პირველი მსოფლიო იმპერილისტრია ომი.

ომმა ბევრი რამ შეეკვალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართული თეატრის აღდგენაზე ვის ეცალა, და ალ. წუწუნავა ხან საღ მუშაობს და ხან საღ. ის მეშეზთან არტისტული საზოგადოების თეატრში, დონის ბოსტოტული რევისორად, ბათუმში, ბაქოს ქართულ თეატრში, იქვე რუსულ თეატრში (ე. წ. ბაქოს კომუნისტურ კლუბში). 1918 წელს აღქსანდრე წუწუნავა თბილისის დაუბრუნდა და დანიშნულ იქნა თბილისის ოპერის კომისორად. წუწუნავა შეუდგა ზრუნვას ოპერის გადახალისებასა და გაქართულებაზე. მაგრამ რა გადახალისებაზე და გაქართულებაზე შეიძლება დალაპარაკო მაშინ, როცა თეატრი სულს დაღუავდა უსახსრობის გამო. ცნობილია, რომ მენშევიტური მთავრობა თეატრს არ ემხარებოდა. დაუტოლა არქივში ალ. წუწუნავას პატაკი 1919 წლის 14 აგვისტოსი განათლების მინისტრის სახელზე. აქ იგი ლაპარაკობს თბილისის მძიმე მდგომარეობაზე და ითხოვს შევლას. თხოვნა უუთრადღებოდ დარჩა. ოპერის მსახიობები კავე-შინტანებსა და რესტორანებში გამოდიოდნენ სიმღერებით, რომ თავი ერჩინათ. ალ. წუწუნავამ მაინც არ დაყარა იარაღი და 1919 წ. 1 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რაათა სახელმწიფო ბანკს ერთი კერძო პირის ჩეკი გაეხალღებინა ოპერის სასარგებლოდ. წუწუნავა წერდა: „რადგან მთავრობამ შეუძლებლად სცნო სახელმწიფო ხარჯით თეატრის შენახვა, ამის გამო იძულებული ვავხდი მიმეშობოთა კერძო პირისათვის და შეთხოვა გარკვევითი თანხის შემოტანა დასის შესადგენად“. ჩეკი 200.000 მანეთისა იყო. ასე ჯახირობდა ა. წუწუნავა მენშევიტების დროს...

ქართული თეატრის მეშეკათა დიდი ხნის ოცნება იყო ქართული ოპერის დადგმა. წუწუნავაც დიდი ჩანია ოცნებობდა დაეღდა ქართული

ოპერა. მან ზღო მოკიდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „ბესალომ და ვთერის“ დადგამს. ჯერ კიდევ რევოლუციამდე იღვებოდა ეს ოპერა ნაწილ-ნაწილ. 1913 წელს დაიდგა ჯერ პირსამე აქტი „ქართულ კლუბში“, მერე — პირველი აქტი. მთლიანად კი ოპერა დადგეს 1919 წლის 21 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში. ოპერის დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი, დადგმა განახორციელა ალექსანდრე წუწუნავამ. მიუხედავად იმისა, რომ ოპერა გვიანდელი საბით ძალიან გრძელი იყო და პირველ გათავად, მას დიდი წარმატება ზედა. შემდეგ ეს ოპერა შემოკლდა, გადაშევიდა და დღევანდელი სახე მიიღო.

იმევე წლის ზაფხულს ამ ოპერამ მთელი საქართველო შემოაარა კონცერტის სახით. აკომპანიმენტს ასრულებდა თვითონ ზაქარია ფალიაშვილი, მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი.

იმევე წლის 11 ნოემბერს ალექსანდრე წუწუნავამ დადგა მეორე ქართული ოპერა — ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ოპერამ დიდი წარმატება მოიპოვა.

1922 წლის 6 მაისს ალ. წუწუნავამ დადგა გ. დოლიძის ოპერა „ლეილა“.

ბევრი ოპერა დაუდგამს ალექსანდრე წუწუნავას როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. შავალთაოდ, 1924 წელს ყოფილ ზიშინის თეატრში, მოსკოვში (ამჟამად დიდი თეატრის ფილიალი ეწოდებოდა) მან დადგა ოპერა „ქეთო და კოტე“. 1939 წელს ქალაქ სვერდლოვსკში წარმოდგენილი იქნა იგივე ოპერა.

1941 წლის 28 მაისს ქ. ოდესაში, ოპერისა და ბალეტის თეატრში, მან დადგა ოპერა „დასი“ უკრაინულ ენაზე. ეს დადგამაც ისეთი ოსტატობით იყო შესრულებული, რომ ალ. წუწუნავამ უკრაინის სახალხო კომისარიატთან არსებული ზელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოსაგან მიღწობა მიიღო.

ა. წუწუნავას არქივში დაცულია დღესის ოპერისა და ბალეტის გუნდის კოლექტიური წერილი, სადაც ა. წუწუნავის მიღწობას უძღვნიან „დაისის“ დადგმისათვის. წერილში ნათქვამია: „თქვენ შესანიშნავი ოსტატი ზელოვანი და რეისორი ხართ. ჩვენ თქვენგან ბევრი რამ ვისწავლეთ“.

1948 წელს ქ. ერევანში დადგმულ იქნა სომხურ ენაზე ოპერა „ქეთო და კოტე“. ამ დადგმისათვისაც ალ. წუწუნავამ ზელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს და თეატრის საბჭოს მიღწობა მიიღო.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ოპერებისა, წუწუნავას დაუდგამს შემდეგი ოპერები: რუბინ-შტეინის „დემონი“ (ქართულ ენაზე), „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დ. არაყვიშვილისა, „ლაღატი“ მ. აბოლიტოვი-ივანოვისა, „ეგვიპტის ონეგინი“, „აიდა“, „მოქმანის ზღაპრები“, „ეგვი-

პროზა“. „ზევისბერი გოში“ მ. აზმაიფარაშვილის. მეფის დროს ოპერა „კახურეტი“ მკერა იყო. მენშევიკების დროს მკერა მკერავთა ყურადღება არ ექცეოდა. 1918 წელს, ალ. წუწუნავა რომ ოპერის კომისარად დაინიშნა, მას ოპერაში მეფის ნაცულის ჩინოვნიკები დახვდნენ. 1920 და 1921 წლებში 28 ოპერადან ქართული 4 ოპერა იყო. რასაკვირველია, დიდი შრომა იყო საკირო, რომ საოპერო თეატრი ეროვნული კულტურის გზის დასდგომოდა.

ამ მიმართულებით იბრძოდნენ ი. კარგარეთელი, აკაკი ფილავა, ზაქარია ფალიაშვილი, პელოტონ ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, დიმიტრი არაყვიშვილი, ალ. წუწუნავა, ნ. ქართველიშვილი, ვ. გენია და სხვ.

1937 წლის იანვარს მოსკოვში შედგა ქართული ზელოვნების დეკადა. ამ დეკადაზე წასვლად ალ. წუწუნავამ მოამზადა „დაისი“ და „დარჯიჯან ციხეიანი“. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მაღალი შეფასება მიიღო ქართველმა ზელოვნებამ ამ დეკადაზე.

დეკადა გაიხსნა 5 იანვარს „დაისით“. პრესამ მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს (იხ. ვახ. „სოვეტსკოე ისუსტკოე“. № 1 და 2 1937 წ.). „ოპერის დამდგმელმა რესპ. სახ. არტ. წუწუნავამ ამ სპექტაკლში თავისი ბრწყინვალე ოსტატობა გვიჩვენა... მოსკოველი მაყურებელი აღტრთოვანებით მიეგება ამ კუმშირატად შესანიშნავ სპექტაკლს“.

„კომუნისტი“ კი წერდა: „სპექტაკლის ავტორია სცენის გამოცდილი ოსტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ალ. წუწუნავა. ნათელი, რეალური დალი ახის მის ნამუშევარს. ოპერის შინაარსი გახსნილია ცოცხალი და რეალისტური სახეების შეჯახებით. ალ. წუწუნავამ „დაისის“ დრამატული მხარე დიდ სიმაღლეზე იყვანა, ამასთან ოდნავი ზიანი არ მიუყენებია კომპოზიტორისათვის. სპექტაკლის ყველაზე ძვირფასი თვისებებია, რომ დრამატული დამატულობა ორგანიზულად გამომდინარეობს ნაწარმოების მუსიკალური შინაარსიდან. დრამატული მუსიკალური სახეები ორგანოლ კავშირშია ერთმანეთთან“ (№ 218, 1937 წ.)

7 იანვარს დაიდგა დარჯიჯან ციხეიანი. ამ სპექტაკლსაც დიდი წარმატება ზედა. „პრაედა“ წერდა: „სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. ეს წარმატება დამსახურებულია სახალხო არტისტის ალ. წუწუნავას მიერ დადგამზე გაწეული მუშაობით, ორკესტრის დასტატურად დაჯერით მ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით და შემსრულებელთა მთელი ანსამბლის მშვენიერი თამაშით“ („პრაედა“, 8 იანვარი, 1937 წ.).

ამ დეკადაში მონაწილეობისათვის ა. წუწუნავა დაჯილდოვებული იქნა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

დიდი დამსახურება მიუძღვის ალ. წუწუნავს ქართული მხატვრული ფილმის განვითარების საქმეშიც. 1916 წელს მან გერანზე გადაიღო ნინოშვილის ცნობილი მოთხრობა „ქრისტინე“. ეს არის პირველი მხატვრული ფილმი, რომელიც დაიდგა საქართველოში. როგორც პირველი ცდა, იგი არ იყო დაზღვეული ნაყოფანებისაგან. თვითონ ა. წუწუნავა ამბობს ცაზ. „კომუნისტმა“, 1940 წ. 5 თებერვალის „ქრისტინე“ ძალიან კრელი და სუსტი აღმოჩნდა, მაგრამ თავისი ხარჯი მაინც აანაზღურა, აქედან ჩანს რა დიდი სურვილი იყო მაშინ ქართულ საზოგადოებაში გერანზე თავისი ქვეყნის ცხოვრების ნახვისა“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კინოხელოვნებას მდიდარი მხატვრული ბაზა შეექმნა, კინოში მოვიდნენ ხელოვნების მუშაეები: რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები. დაიწყო ხანა ქართული კინოს აყვავებისა. ალ. წუწუნავამ ჩამდგინა ქართული მხატვრული ფილმი გადაიღო.

1926 წელს დაიდგა „ეინ არის დამნაშავე?“. სცენარი დაწერა ალ. წუწუნავამ ცნობილი ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძის მოთხრობის მიხედვით. ამ ფილმზე მთელი პრესა აღაპარყდა. „მან მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა დიდი წარმატებით. რეჟისორის აუარებელი აღფრთოვანებული წერილი მოსცაოდა მსფრთხელებსაგან.“

„ეინ არის დამნაშავეს“ მალე მოჰყვა „ხანუშა“. ეს ფილმიც ლიტერატურულ ნაწარმოებზეა შექმნილი. სცენარის ავტორი ა. ცაგაროს ცნობილ ნაწარმოებზეა ეყრდნობა. რეჟისორმა ისტატურად გააცოცლა ეკრანზე „ხანუშას“ მტრობა და შექმნა ისეთი ცოცხალი კინოკომედია, რომელმაც ნამდვილი შემოქმედებითი სიხარული მიანიჭა მაყურებელს. ესაა ქართული კინოკომედიის დასაწყისი.

1927 წელს ალ. წუწუნავამ დადგა ფილმი „ორი მონადირე“ ი. ელფთერბიძის მოთხრობის მიხედვით. აქ გამოქვლავნდა ალ. წუწუნავის ღრმა ცოდნა აღამიანის ფსიქოლოგიისა. შეგრძნობა ბუნებისა, დიდი რეალისტური აღლო. ლირიკული ეკეთვონოთა თვითონ ალ. წუწუნავის.

1929 წელს კინოეკრანზე გამოვიდა ალ. წუწუნავის სურათი „ჯანყი ვერძიანი“. ეს სურათიც ქართული მხატვრული ლიტერატურის საგანძურისაგან მოდის. ამავე სათაურით ცნობილია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა. სურათის დამონსტრაციის დღეებში გამოხელ ბიულეტენში ალ. წუწუნავა წერდა:

„მე წილად მხედა ფრიად სავასუსისმგებლო საქმე — საქართველოს დასავლეთ პროვინციის — გურიის 1842 წლის გლეხაკობის აჯანყების კინოეკრანზე ასახვა. მთავარ მასალად, რომელსაც მე ვეყრდნობი ჩემს მემოიბაში, მე გამოვიყენე ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ჯანყი ვერძიანი“, რომელზედაც აგებულია მოთხრობის

სცენარი. ისტორიული სიმახათლის დაცვა და თან, შეძლებისდაგვარად, მკაფიოდ გადამდა იმ ტრადუციისა, რომლის შეფარტი, მოქმედენი გლეხობის მსახეში იყენენ, — აი რა შეადგენდა რეჟისორის უპირველეს მიზანს. რა თქმა უნდა „ჯანყს“ არა ერთი ნაკლი აღმოჩნდებდა, მაგრამ თუ რაიმე ღირსეხაც გააჩნდა ეს მარტო რეჟისორის როლი მიუწერება, არამედ იმ თანამშრომლებსაც, რომლებმაც თავისი ერთსულეობით მემოიბით გადალახეს ურელად აუტანელი სამუშაო პირობები. ესარგებლობ შემოხვევით ჩვენი გელთადი მადლობა მოვხსენო მათ...“

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ალ. წუწუნავა მრავალჯერ დაჯილდოვებულია საქართველოსა და საკავშირო მთავრობათა მიერ. 1934 წელს მას მიენიჭა „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის“ წოდება. ამავე წელს მას გადახუხადეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე. საიუბილეოდ მან დადგა „ღაიბი“. 1946 წელს მან დადგა შ. შევლიძის ოპერა აკ. ფაღვას ლიბრეტოს მიხედვით — „ამხავი ტარიელისა“. 1951 წელს ხელოვნების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ალ. წუწუნავა დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

დიდი და შინაარსიანი გზა განვლო ალ. წუწუნავამ. 75 წელიწადი იცხოვრა მან, და აქედან 55 წელიწადი შრომაში და ხელოვნების სამსახურში გაატარა. კმაყოფიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა მოხუცებულობამდე ის ხალხს ემსახურებოდა. მისი მოღვაწეობის 35 წლის იუბილის დღეს მან სამხატვრო თეატრისაგან ასეთი დეპეშა მიიღო: „სსრკ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი თავის ძველ ამზანავს მისი ნიჭიერი მოღვაწეობის 35 წლის თავზე უგზავნის გულმხურავალე მოლოცვის სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობით“.

ა. წუწუნავა იყო ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე, პატრიარქ მერვეზის ციხისა, იარალით ხელში მებრძოლი მოსკოვის ბარკადებზე დეკემბრის აჯანყებისა... ის იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი რეჟისორთაგანა თანამედროვე გაგებით: ანამბლური ისტატურული ერთ-ერთ დამწვები ქართული სცენაზე, ქართული ეროვნული ოპერის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მისი დიდი პატიოტი და მოღვაწე. ამავე დროს, ის იყო დიდი პროპაგანდისტი ქართული საოპერო ხელოვნების საქართველოს ფარგლებს გარეთ. მის მიერ დადგმული ქართული ოპერები ელერდა შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ნაპირებზე, ურალისა და სომხეთის მთებში, რუსეთისა და უკრაინის დედქალაქებში...

წუწუნავა იყო ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის პიონერი და პირველი ქართველი კინორეჟისორი, რომელმაც ქართული კინო

უცხოური გავლენებისაგან გაათავისუფლა.

კინოში მან ქართული სოფელი აამეტყველა, ქართველი ადამიანის სიკაცხლის დიდი წყურვილი გამოავლინა, ქართული ეროვნული ზნე-ჩვეულებანი წარმტაც ფერებში გადაგვიშალა, ჩვენი ხალხის დიდი სულიერი სიმდიდრე გვიჩვენა.

ალ. წუწუნავა იპურობდა მყურებელს არა გარეგნული თეატრალურობით, ზაზილობილებითა და გარეგნული ეფექტურობით. ის იპურობდა მყურებელს შემოქმედებითი უბრალოებით, რომელშიაც ბევრი იყო ლევა და სილიადე, გრძნობა და ვაჟაყობა. ის იყო

უბრალო ქართულ ჩუქურთმისავით, როგორც უბრალო ნამდვილი შემოქმედება. ჩვენს ქმნილ დამსახურება ქართული თეატრალურობაში უბრალო ხელოვნების აყვავების საქმეში, დიდია მისი ლეაწი ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში. ის მარად ცოცხალი დარჩება ჩვენს წარმოდგენაში თავისი შემოქმედებით, ტალღად გაშლილი ლამაზი თმებით, მაღალი შებლით, ზაფიქრებული თვალებით და იმ არტისტული კეთილშობილური იერით, რომლითაც ესოდენ მომზიბლავი იყო ალექსანდრე წუწუნავა როგორც ხელოვანი და როგორც ადამიანი.



ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სახვითი ხელოვნება

თბილისში გამართული გამოფენები სომხეთის სსრ სახალხო მხატვრის მ. სარიანის, მოქანდაკე ქალის მებინასი, ხარკოველი მხატვრების, სსსრ კავშირის უმაღლესი სახატვრო სასწავლებლების დიპლომანტების ნამუშევრებისა, წარმოადგენენ საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას.

ასევე ძვირფასია ის წვლილი, რომელიც შეიტანა მოქმე ხალხების სულიერი დაახლოების საქმეში ჩვენთან ამას წინათ გამართულმა ჩრდილოეთ ოსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში მოთავსებული ჩრდილოეთ ოსეთის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც თბილისელთა შეუნელებელი ინტერესით სარგებლობდა, შედგებოდა ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და თეატრალურ-დეკორაციული განყოფილებებისაგან. 30 აგტორის 240 მხატვრულ ქმნილებამ მწახველებს საკმაო წარმოადგენა მისცა მოქმე ოსი ხალხის სახეობის ხელოვნებაზე.

ჩვენს გალერეაში ექსპონირებული ნამუშევრების კომპლექსით თუ ვიმსჯელებთ, ოსურ სახეობის ხელოვნებაში შეინიშნება პასუხისმგებლობა, მოთხოვნა, სიყვარული მხატვრებისათვის თავიანთ შემოქმედებისადმი, მათი განუზრელი მისწრაფება ორგანულად ათთვისონ მყარი, გამოცდილი, წლების განმავლობაში განმტკიცებული მოწინავე ტრადიციები საბჭოთა ხელოვნებისა.

გამოფენა ცხადყოფს პოტენციურ ძალასა და ნიქს მასში მონაწილე მხატვრებისას, რომლებმაც თავიანთ შემოქმედებას დაუდეს იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები და მზარდი და ხალხურობის შესაბამისად მხატვრულად, საბოვნად და პოეტურად ასახეს სიღამაზე ოსეთის აწმყოსა და წარსულისა.

იმ გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერისა და საკრუთელის ოსტატთა ნაწარმოებების უმრავლესობა აწყარად მუტყველებს იმაზე, რომ ეს შემოქმედნი, შეუნელებლად თავისებენ რა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, განწყვეტულე იპოლებენ რა თავის ოსტატობასა და უნარს შექმნან შინაარსითა და ფორმით მართლი ხელოვნება, თავიანთ შემოქმედებაში აღწყვენი იდეურ-მხატვრული განზოგადების საკმაო სიმძლესს.

გამოფენა მუტყველებს ჩრდილოეთ ოსეთის მხატვართა უდავო მიღწევებზე, იმ ადგილის მნიშვნელობაზე, რომელიც უქირავს ამ კოლექ-

ტივს საბჭოთა ხელოვნებაში.

ექსპონატთა შორის არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც გადაუქარებლად შეიძლება მივაკუთვნოთ საბჭოთა სახეობის ხელოვნების ოქროს ფონდს.

ასეთია, უმირველეს ყოვლისა, გრაფიკული ილუსტრაციების სერია ოსური ეპოსისათვის ნართების შესახებ, შესრულებული ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მხატვრისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მახარბეკ ტუგანოვის მიერ. ეს შესანიშნავი ნაწარმოები გვიპყრობს თავისი არაჩვეულებრივი ემოციურობითა და დინამიურობით, გასაკვირველი რელიეფობით და სახიერებით, საბუების გაფრგანი და სულიერი სიდიადით, მხატვრული ფანტაზიის დიდი მასშტაბით.

მთლიანობით, ძლიერებისა და სიმყარის სიღამაზობით, დიდი ეპიკური სუნქვის ძალით აღნიშნული თქმულების ტუგანოვისებური გრაფიკული ვახსნა აბსოლუტურად უბასუბებს ამ ეპოსის სულს, მას მთლიანად შოაქვს ჩვენამდე მისი პოეზიის სიმშვენიერე, გმირი და კეთილშობილი ნართების ნაეიონალური არსი. იგი წარმოგვიდგება ჩვენ, როგორც ძლიერი გამოვლინება ოსი ხალხის პოტენციური შემოქმედებითი ენერგიისა და მისი ნაეიონალური მხატვრული გემოვნების თავისებურების სიღამაზისა.

მახარბეკ ტუგანოვის შემოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუშევრისა იმ ცხოველმყოფელი ნაეიონალური მხატვრული მემკვიდრეობისა, რომელიც ოსურ ხელოვნებას გააჩნია.

თავისი შემოქმედების მხატვრული ზემოქმედების ძალითა და ნაყოფიერებით ეს მხატვარი სამართლიანად უნდა მივაკუთვნოთ ოსური კულტურის კორიფეებს.

მ. ტუგანოვის ერთ-ერთ ღირსეულ მემკვიდრეს, ნიქურ მხატვარ-გრაფიკოსს, შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე ა. ჯანაივს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ოსური საბჭოთა სახეობის ხელოვნების განვითარებაში მის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი შესანიშნავი გრაფიკული ილუსტრაციები ოსური ხალხური თქმულებისა ნართების შესახებ, უზბეკური ეპოსისა "ახამაშისა", ა. კოკოევის მოთხრობებისა და რიგი დაზგური გრაფიკის ნამუშებისა გამოირჩევიან ჭეშმარიტი მხატვრულობითა და იდეური ჩინაფიქრის სიღრმობით.

შესრულებული მაღალი ოსტატობა, შემოქმედებითი ფანტაზიის გავლა, რთული ბატალური სცენების კომპოზიციური გადაწყვეტის თითქმის

ერთადერთი მართალი საშუალების გამოჩენისა და თემის პოეტური გახსნის უნარი, — იმ მხატვარ-გრაფიკოსის ა. ჯანაიევის შემოქმედების დამახასიათებელი ნიმუში.

ა. ჯანაიევი გამოეყენა რამდენიმე ფერწერული ტიპოთიკა წარმოდგენილი, მაგრამ მათში იგი ვერ აღწევს ამ ძალას, ოსტატობასა და სახიერებას, რითაც ასე გამოირჩევიან მისი გრაფიკული ნამუშევრები.

ნიჭიერი საბჭოთა გრაფიკოსი, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზელოვების დამახარებელი მოღვაწე ა. ზოხოვი კარგა ხანია ცნობილია თავისი ღრმად გააზრებული და ოსტატურად შესრულებული, საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობის მქონე თემატური ცკლეტებითა და დაზღვრის გრაფიკის შესანიშნავი ცკლეტული ნამუშევრით.

ჩვენ არ შეგვიძლია სინანული არ გამოეთქვათ იმის გამო, რომ ა. ზოხოვის ნამუშევართა ძალზე მცირე რიცხვია გამოყენებულ წარმოდგენილი.

გამოფენის საგრძნობლად გააძლიერებდა მისი გრაფიკული სერიები — „ოსეთი ომის დღეებში“, „საბჭოთა ოსეთი“, „ძაღვისი“ და სხვა ნამუშევრები, რომლებშიც მხატვრულ სახეებშია ასახული ოსი ხალხის გმირული ბრძოლა სამშობლო ომის დღეებში და მისი შემოქმედებითი შრომის პათოსი ომისშემდგომ პერიოდში.

ყველაზე სრულად გამოყენებულ წარმოდგენილია პ. ზარონის შემოქმედება. ჩვენ შეგვიძლია შედარებით სრული წარმოდგენა ექვთონო მხატვრის შემოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებასა და ძირითად სახეებზე.

უპირველეს ყოვლისა, მნახველს იპყრობენ შესრულების დიდი ოსტატობითა და პოეტური შინაარსით აღბეჭდილი პეიზაჟები პ. ზარონისა.

ისინი გამოთბარი არაან პ. ზარონის გულთიდი სიყვარულის გრძნობით ოსეთის შესანიშნავი ბუნებისადმი, რომელშიც ასეთი დიდი როლი შეასრულა ამ მხატვრის შემოქმედებითს ჩამოყალიბებაში.

მნიშვნელოვანია პ. ზარონის მიღწევები პორტრეტული ეპოქის ზელოვნებაშიც. მაგრამ მის მიერ შექმნილ ადამიანთა სახეებში განსაკუთრებით გამოირჩევა „სსრ კავშირის სახალხო არტისტთი ე. თხაპაიევი ოტელის როლიში“. შედარებით ძლიერად ჩანს ამ შესანიშნავ მხატვრულ ნამუშევარში პ. ზარონის როგორც ნიჭიერი და სერიალური პორტრეტისტი, შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ოტელის ამ ფუნჯით დამუშავებაში მხატვარი აღწევს სახის ფსიქოლოგიური სიღრმის გახსნას, უაშვარიტად შექსპირისეული ვენეციელი მაგისის სულიერი არსის მხატვრულ განზოგადებას. უყურებთ ამ პორტრეტს და გრძნობთ ოტელის დიდსა და კისრიტარ სულს, გაციკროვნებულს ადამიანისადმი სიყვარულთ.

მისთანებზეც ვერინ, რომელთაც არც წერია იცოდნენ და არც კითხვა“; 2. აქაი ეკამათება ვახტანგ შეფქესეს, რომელსაც „მოუღწეობები თვითონ ასანა ვეფხისტყაოსნისა“ საღმრთო შეტყვევლის კვალობაზე და მისთანამისთანა დასკვნა გამოჰყავს, რომელიც რუსთაველს აზრადაც არ მოსვლია“; 3. ანტონ პირველმა „ისე ურთოდ დაინახა ვეფხისტყაოსანი“, რომ მოაგროვებინა ხელნაწერები, შეაწვენა და დაწვა“; 4. მანუა ციციშვილის მსგავსმა მწერლებმა რუსთაველის ქმნილებას „მოუღწეობის ვაშალი. შინება“, ჩამატება-გაგრძელება; 5. პოემამ უადრესად დიდი გავლენა იქონია ქართული პოეზიის განვითარებაზე; 6. პოემა რუსთაველის ორიგინალური ნაწარმოებია, მისში იხატება „მთელი საქართველოს თავდასასული. ეს იყო ზვენი ძველების აღსაგება და მათი ფარ-ხალი“. რუსთაველმა „შპოლოდ ის აიღო და გამოგვიხატა, რასაც ხალხი ხედავდა“; „იმას სურდა, რომ ვეფხისტყაოსანში“ დეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეცავა მისი საიდგლო გმირი. როგორც შამაყაის, ისე დედაკაისაც“; 7. რუსთაველის ტიპები იდეალური ქართველი ადამიანებია; ტარიელში იხატება ქართულულების სასიათი და ზე, ავთანდილში — იმერტლებისა და ფრიდონში—შვი ზღვისპირტულების“; იგივე იოქმის ქალების შესაბამეც: ნესტანი ამერია და თინათინი ამერი, ფატმანი შავიზღვისპირელი“; „ვეფხისტყაოსანში“ გამობატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები ამწველი ქართველები არიან; სხვადასხვა კუთხეებიდან აღებული“; 8. რუსთაველი ქადაგებს ქალთა და შამაყათა თანასწორობის იდეას. „იქ დედათ სქესს შეუძლია იმოყოს თავისი სიპართლე მით, რომ რუსთაველი ვეფხისტყაოსანში“ გამოყვენს ქალებს აქლევს არა თუ თანასწორ ღირსებას და მნიშვნელობას შამაყათან, თითქმის უმოთავეს მოქმედების მიზეზად ისინი გამოჰყავს“; 9. ასმათი ვდარება კეთილშობილ გამდელებს, რომლებიც „დღეს აღარ არიან, მაგრამ ძველად კი იყვნენ“; 10. ფატმანი მსუბუქი ტყუილია. ამგვარი ქალები ყოველთვის და ყველგან არიან და, რასაკვირველია, საქართველოშიც, ქართველი ქალებიც, ზღვისპირად, ბოლოზ ადგილებზე გამოყოფილდნ ხოლმე“. ასეთია დაწერულად აქაის „სამი ლექციის ძირითადი დებულებანი. აქედან ნათლად ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ორიგინალობის საკითხში აქაიმ თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა სამი ათეული წლასწინათ საყარდიღატო თხზულებაში გამოთქმული აზრები; პოემა მიიჩნია წმინდა ქართული, ორიგინალური ნაწარმოებად, მისი გმირები — ქართველ ადამიანებად, რომლებიც გაგვეუნი არიან ადგილობრივ სამოსელში. ეს აზრები წითელი ზოლივით გასდევს მგონის ღირიკულ ლექსებსა და პოემებსაც.

აქაის მიერ რუსულ ენაზე წაითხულ ლექციის იმავე დღეებში გამოეხმურა თბილისის

მაშინდელი ქართული და რუსული პრესა. „ზაკავკასიუ ობოზრენის“ 29 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი წერალი, რომლის ავტორი ნ. (ნ. ნიკოლაძე? ავტ.) ილტკუებით მიუსალმება აქაის ბრწყინვალე ლექციებს და გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს „ვეფხისტყაოსნის“ დეენის საკითხზე კლერიკალური წრეების მხრით. წერილის ავტორს ამ მხრით სადგიოდ მაიანია ლექტორის მისაზრებანი.

აქაის ლექციებს გამოეხმურა ილია ქავჭავაძე, რომლის ვრცელი წერილი „აქაი წერბთელი და ვეფხისტყაოსანი“ პირველად ხელმოწერლად დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ შევიდა მის თხზულებათა კრებულებში. ილიამ უსაყვედურა ლექტორს პოემის გმირების ვიწრო ეთნოკრატული ჩარჩოში მოწყვედვა და არ გაიზიარა მისი დებულება „ტარიელი ამერია, ავთანდილი იმერი, ფრიდონი შავიზღვისპირის ქართველი“. ილიას აზრით, პოემის გმირების ასე ვიწრო გეგმა ზღუდავს მათი მოქმედების პირობონტს და რუსთაველს მეთერ ყალბის მწერლად წარმოვიდგენს.

აქაიმ თავის საპოლემიკო წერილში „რამდენიმე სიტყვა ილია ქავჭავაძის საპასუხით ვეფხისტყაოსნის“ გამო“, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა, უარყო ილიას შენიშვნები. აქაის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები რადგანაც ნამდვილი ადამიანებია, მიწაზე უღვათ ფეხები და ოაორისად ერაოვნულ ტაბები არიან, მხოლოდ ამის გამო გახდნენ ისინი მსოფლიო ტიპებადო. „უამისობა, — წერდა აქაი, — არ შეიძლება და, მაშასადამე, ამ საზოგადო კანონს

¹ „Заквказское обозрение“, 1887, № 82
² „ივერია“, 1887 წ., № 75, 76, 77.

³ ილ. ქავჭავაძე, კრიტიკული წერილები, თბ. 1909, გვ. 72 — 90; თხზულებათა სრული კრებული, III, თბ., 1953, გვ. 166 — 178.


⁴ „აქაის თვორი კრებოლი“. 1898 წ., № 5, განვ. II, გვ. 1 — 18. ზვენი პოეტო აქ გამოქვეყნებულ პირველი ლექციის სტილითონ მითითებს, რომ ეს საპოლემიკო წერილი, რომელიც 1887 წელს დაიწერა, პირველად თითქოს აბლა, 12 წლის შემდეგ, ქვეყნდება „კრებულში“, „რადგანაც ის პასუხი მაშინ არ დაიბეჭდა „ივერიაში“, დღეს ვებეჭათ აქ მეორე განყოფილებაში“ (5, განვ. I, გვ. 11 შენიშვნა). ნამდვილად აქ პასუხი არა პირველად, არამედ მეორედ დაიბეჭდა. „ივერიას“, მართალია, 1887 წელს არ გამოქვეყნებია, მაგრამ ზ. ტვიკინაძემ ცალკე წიგნად ის იმავე წელსვე გამოსცა. იხ. აქ წერილები, რამდენიმე სიტყვა ილია ქავჭავაძის საპასუხით „ვეფხისტყაოსნის“ გამო, თბ., 1887, 21 გვ. როგორც ცენზორის შენიშვნიდან ჩანს (გვ. 21), წიგნი გამოსულა 1887 წლის 6 ივლისს, ე. ი. „ივერიაში“ ილ. ქავჭავაძის წერილების გამოქვეყნების ორი თვის შემდეგ.

ვერც „ვეფხისტყაოსანი“ გადარჩებოდა. რუსთაველი და მისი თბულუბა განა ზეციდან ჩამოგვივარდა და ქვეყნად ნიადავი არ ჰქონია? „ვეფხისტყაოსანში“ გამოჩატული გმირები ნეთუ ნაოცნებარი და ჰაეროვანი არიან და არა ცხოველი, ნამდილი არსებანი? თუ ავტორს მზედველობაში შიწის შვილები არა ჰყოლია, მაშინ მისი „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარი იქნებოდა, მისი გმირები ბაყბაყდევის მსგავსი რამ ნაოცნებარი და არა გულში ჩასარჩენი და შესაწყნარებელი პირები. მაგრამ საქმეც ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენს ისტორიულ ცნობილ პირებს ვხვდებით. აკაკი შემდეგ კითხულობს: „განა ცოტა ყოფილა საქართველოში გმირი, რომ მსოფლიო გმირადაც გამოსადეგი ყოფილიყოს და ედიდების, ესახელების ყოველი ხალხი, რომელსაც უნდა ჰქუთენებოდეს? საზოგადო გმირებად განა არ ვარგებულან? მაშ, რატომ არ

შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსანს“ გმირებაც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც მყონდსა საზოგადო, საყოველთაო ტრეპინგში წაყრებულნი“, 5, გვ. 14 — 15).

ილიასა და აკაკის მაღალპრინციპული ბოლემიკა მათი დიდი წინამორბედის გენიალური თბულუბის ძირითად მოტივთა თაობაზე შევიდა ჩვენი კრიტიკის ისტორიაში, როგორც მისერთი ყველაზე უძვირფასესი და სამახსოვრო ფურცელი. ამ ბოლემიკამ დიდად შეუწყო ხელი შოთა რუსთაველის ქმნილების შემდგომს პირუთვნელ, კრიტიკულ-მეცნიერულ შესწავლას. ამ დიდ საქმეში ფასდომებელი წვლილი შეიტანა პირადად აკაკი წერეთელმა თავისი ნაშრომებითა და მხატვრული შემკვიდრებით. ამას ნათლად მოწმობს მისი ახლად აღმოჩენილი, სიჭაბუკის დროს დაწერილი საკანდიდატო თბულუბა.

აბ. აბრაშიშვილი, ალ. ლლოსი



ლექსები ხალხთა შემოგროვებაზე



ქართულ ენაზე სისტემატურად იბეჭდება ოსური ლიტერატურის თარგმანები. დღემდის თარგმნილია და გამოცემული: „ნართების ეპოსი“-ს ოსური ვარიანტი, კ. ჯეთაგუროვის თხზულებათა ერთტომეული, სამხრეთ-ოსეთის მხატვრული ლიტერატურის ორი მოზრდილი კრებული, თანამედროვე მწერლების ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე წიგნი, საბავშვო ლექსების კრებული და სხვა.

რევაზ ასაგვი ნაჭიერი ახალგაზრდა პოეტი. მისი ლექსების თემატიკა მრავალგვარია: რევოლუციის ბელადები, კომუნისტური პარტია, სოციალისტური მშენებლობა სოფლად და ქალაქად, სამამულო ომი, ხალხთა შეგობრობა, მშვიდობა, პატრიოტიზმი, ბუნება, სიყვარული და სხვა.

ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში: „ფიქრები ლენინის მეზობლებში“, „ნაძებნი წითელ პოდანზე“, „მუხა“ და სხვა ლექსებში რევოლუციის ბელადი დახატულია, როგორც საბჭოთა ხალხის დიადი შთაბეჭდილებელი, ბრძოლისა და შრომის ფრონტზე: „ბრძოლის და შრომის მქეზარ წლებში ჩვენთან ვგრძნობთ ლენინს“ — ამბობს პოეტი.

ლენინი საყვარელი ბელადია ყველა ქვეყნის მშენებლისათვის. ერთ-ერთ ლექსში პოეტი მუხას ადარებს ლენინს. რომელიც არის „სიციციხლის მოძიებარი, ხალხის შამა სახემზიანი“, კაცი — მშვიდობის გადამრჩენელი: „შრომით დაღლილი და ნატყვიარი ბერძენისავით იღვა ლენინი“.

ასაგვი გატაცებით უმღერის ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის, გვირ მეფოლადებს, როგორც არის მოსკოვის ქარხანა „ბორც“-ის მჭედელი ანტონოვი, რომელმაც ხუთწლეულის დასაწყისიდან თვრამეტი წლის წარმოა უკვე შეასრულა.

ის ფოლადს აწრთობს, მომავალ უცქერს, დროს წინ გაასწრო ფოლადის ძალით, და ათას ცხრაას სამოცდა ხუთ წელს შეაყურებს რწმენით, მომავლის თვალთ.

პატარებლის გრძელ ბაჭანზე ჩამწერივებულ მანქანებს ქუთათური მარკით — ალტაკებაში მოჰყავს პოეტი. ამ მანქანებს საქართველო უგზავნის მომე საბჭოთა რესპუბლიკებსა და დემოკრატიულ ქვეყნებს.

პოეტი სიამაყით გასცქერის სამგორის ველზე გადაშლილ შრიალა ტყეებსა და ბალ-ვენახებს, თბილისის ზღვას, რომელიც ხალხის ურყევი ნებით დაიბადა ხროვ ადგილს. დღეს აქ თვალს ახარებს ილიის სანათურებით გაჩაღებული ახლად გაშენებული სოფლები.

ვანათის არხი ერთერთი უდიდესი მიღწევაა სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ახლა ამ არხის გასწვრივ ათეულ კილომეტრზე გადაკეცილან ზერები. „სიმაღლით ცას შეღწევილი“ სიმინდის ყანები.

პოეტის გულს ახარებს მოსავლისათვის გაშლილი ბრძოლა სოფლად, ხორბლისა და შტევის ბარაქა, მიწაში ჩაფლული ქვევრები, ერთმანეთზე მიჯრილებს სუნთქვა რომ უძნელებათ, სარქველს რომ შალა სწევს კურში ადუღებულ მიჭარი და, დასასრულ, როგორც სიუხვის შედეგი, სოფლად გაჩაღებული ღვინი და ჭორწილები.

საბჭოთა ეპოქის ვაშლია სოციალისტურმა მშენებლობამ სრულებით შეუცვალა სახე სამხრეთ-ოსეთის ცენტრს სტალინის — ყოფილ ტიანვალს, ძველს, ჩამორჩენილ დაბას. ფართო ლამაზი ქუჩები, მაღალი კოხტა შენობები — ყველაფე ეს ავსებს პოეტის გულს სიამაყის გრძნობით.

მეფის რუსეთის დროს განაწამები ოსეთი მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ეღიარა ნამდვილ ბედნიერებას.

გუგუნებს შრომა, მძლე სიმღერები წინ გვექაბის და ხალხით გვევსებს. ჩამს სტალინური მწეანე ფერებში თითქოს ზომალდი მისცურავს ზღვაზე.

ჩვენი საშობლოს რომელ კეთილშეიკ არ უნდა იმყოფებოდეს პოეტს: ყუბანში, უკრაინაში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში თუ კისლოვოდსკოში — ყველაგან გრძნობს თავს, როგორც საკუთარ ოსეთში:

მე შეგონდება ჩემი ოსეთიც, — ძალე, ჯიჯა და მთების კლდეკარი — ვისმენ ლაპარაკს მრავალ ენაზე და ჩვენი ქვეყნის შეილებს შევხარო.

პოეტს უხარია, რომ თვითონ „შვილი ოსეთისა, მთელ საბჭოეთის მოქალაქეა“.

ხალხთა შეგობრობის კეთილშობილი თემისადმი კრებულში მიძღვნილია მრავალი კარგი ლექსი და პოემა — „სისხლის წვეთი“.

პოეტი აღიღებს ღამის სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას, მის ხელებს, ჰაღარა მთებს, კლდიდან მოსხლეტილ ხანჩქერებს, მოგუგუნე მდინარეებს, საქართველოს დედაქალაქს თბილისს, ინდუსტრიის სახელოვან ქერებს: ქუთაისს, რუსთავს, უმეგრის სამეგრის არხს.

ქართველი და ისი ხალხის ისტორიული მეგობრობა კარგად აქვს დახატული ლექსში: „ორი მზე“. თუ წარსულში ეს მეგობრობა ვლინდებოდა საერთო სამშობლოს გვირუკ დაცვაში, — ამჟამად, მშვიდობიან მშენებლობის დროს, ეს მეგობრობა გამოიხატება ურთიერთ დახმარებაში შრომის ფრონტზე, კერძოდ სამგორსა და ვანათში წარმოებულ მშენებლობაზე.

გომბორის კალთებიდან გადასცქერის პოეტი საუცხოო აღაზნის ველს, ფართო ჰალებს, შორს, ზემოთ თავში, გემოვით აღმართულ ყვარლის მთებს, დიდი ქართველის სამშობლო სოფელს და აღტაცებული ამბობს:

ჩემი კახეთი მიყვარს, როგორც
მშობელი დედა,
და ისიც, ვით შვილს, შემომყურებს
მხურვალე გულით.

ბუნების სიღამაზით მოხიბული პოეტი არ იშურებს საღებავებს კახეთის ღამაში პეიზაჟების დასახატავად. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „შემოდგომა კახეთში“. მწიანედ და ყვითლად მოიბინე ველები და სერები, მჩქეფარე აღაზანი, მწიფე მტვენებით დახტნილი ვენახები, ლოყაყითლი ვაშლები, აღაზნის გაღმა თუშური ცხერის ფარები — ამ პეიზაჟის დამახასიათებელი ელემენტებია.

ხალხთა ძმობის თემას ეხება ლექსი — „ისევ ყუბანში“: უკრაინის მიწებზე და ყუბანში პოეტი „მხარგამოღლად დადის და თან მღერის ისურვად სიყვარულის და ძმობის უღამაზეს სიმღერას“.

რამდენიმე ლექსს პოეტი უძღვნის ქალისადმი სიყვარულს. პოეტი უნახვს სტრიქონებით გვირბატის სანიტარ ქალს, რომელშიც ომში, მძივოდ დატრილ გვირს ქრიალობა შეუხვია: „ის ქრიალობა კი არ მორჩა დღემდე, შენ რომ გულზე დამაწიე მამინე!“ — ასე ათავებს ამ ლექსს ავტორი.

ხალხთა მეგობრობის უკაცვ თემას ეხება პოემა: „სისხლის წვეთი“, რომელიც სამამულო ომის მისიღაზა აფებული პოემაში მოქმედებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილები: რუსები, ქართველები და სხვ. ამ ნაწარმოებში კარგად არის მოცემული კავასიონის მთების დიდებული პეიზაჟი, ბატალური სურათები. არას ცალკეული სანტრერესო ადგილები, შგარამ პოემის ნაელი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ მოქმედებას სკარბობს აღწერილობა. მის შედეგად ავტორი ვერ ახერხებს დახატოს ადამიანების, კერძოდ, მთავარი გვირის, მიკოლას, ცოცხალი სახე. კომპოზიციურად პოემა არ არის მტკიცედ შეკრული, შეიძლებადა მისი დახეწვა, რითაც ნაწარმოები უთრედ მოაგებდა.

რ. ასავეის ლექსების თარგმანი, ქართველ პოეტების მიერ, კარგად არის შესრულებული. საშუაზაროდ, აქა-იქ შეინიშნება ზოგიერთი მთარგმნელი გულგრილი დამოკიდებულება ენის სიწმინდისადმი. ლექსში „სამკალში“, რომელიც, საერთოდ, კარგად არის თარგმნილი გვხვდება ასეთი ტაეები „რა ხანია არ მოითბავს (?) პერი“, პოემაში „წვეთი სისხლი“ ასეთი სტრიქონებია: „ქარბუქებია (?) იმის თანებია“ (1) (120 გ.); „მზარამ შე რა ვქნა, რა, პაპანკო, ყინვამ ასე რომ ამოყოლია“ (?) (130 გ.); „მტრებმა სოფელი გააჩანაგეს, გადასწვეს მისი ჰიშკარ-აღაგეც“ (?) (135 გ.); „დგება, დამონძალ დაღალს გაიშლის“ (იქვე). რას ნიშნავს „დამონძილი“ დაღალი? „მატულს არ რთავს დაღლილ თვალებით (?)“ (162 გ.). მე-99 ვერსტზე მოთავსებულ ლექსში „ჯერ კადეე თოვლში“, სადაც ღაპარაკია ქუთათური ავტომანქანებით დატვირთულ, ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ემელონებზე, ასეთი გაუგებარი სტრიქონებია: (ემელონს) უკან ძელები რჩება რაინის საფეხურებად და ითოტოს მიწას (1) უკირავს მკერდი (?) გაუგებარია რისი მკერდი უკირავს მიწას? ანდა იქვე: „ფუტკარ მანქანებს გრძელ ბაქნებზე... წარწერა ყველას აქვს მხენ (1) დიდსული (?)“ გაუგებარია, რას ნიშნავს ეს „მხენ“, „დიდსული“ წარწერა? ცხადია, აქ მთარგმნელს დასჭირდა ენის და, მამასადამე, აზრის დამახინჯება რითმის გულისათვის.

მასკო გორგამძე

ბონდო კეხელაშვილის ლექსები

მრავალფეროვანია ბონდო კეხელაშვილის პოეტური შემოქმედება. სიმღერები სამშობლოზე, პარტიაზე, მშვიდობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, უბრალო ადამიანებზე... კითხვლობათ მის ლექსებს.

ბონდო კეხელაშვილი გულის პახუსი. ლექსები. „საბჭოთა მწერალი“ 1955.

სებს და თვალწინ გათვლებენ ხან კოლხეთის ჩემი საღამოები, სოფლის შარავები და ვიწრო შუბლები, სიმინდის უხვი ყანები, ცხენისწყლისა და ინგურის ვრცელი ჰალები, მეგრული ოდის საცაფურიდან ასული ცისფერი ბოლი და ეზოში მოყენებულ მზილა, ხან ტამისკარის ვიწრო ხეობა და მტკვარზე დატურებული ტივები,

ღრუბლებში მიმალული მათა კენწერობები და თვალწაღწეული ზერის ტრასებია... ამ ზერებს, ამ ბალებს, ამ მთებს და გორებს როცა გაეცქერა — სული მაღლდება — ამბობს პოეტ. მაგრამ პოეტისათვის ეს პეიზაჟები მარტოოდენ ფონია, რომელიც ადამიანის პორტრეტის გამოსაკეთად, მისი სულიერი საწყურის გასახსნელად სჭირდება. ავტორს არ აინტერესებს ბუნების განუყვებლად დახატვა, მისთვის ბუნება ცხოვრებისაგან მოწყვეტილი როდია, იგი ბუნებას ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობილებას უკავშირებს მუდამ. მაგალითად, ლექსში, „მეამბრეშეშე ცირა“ პოეტი ხატავს ბუნებას, — მთებს, ტყეებს, ცას, უღრუბლის ან გავედრებულს და ჩანახატში უცებ გაილეხებს ადამიანს და, თითქმის გაეკვსესო, სურათს შუქი მიიფინება, სურათი გაიკოსდება:

ამოიბარა მიიდან ღრუბელი
და წეროსავით იწყო წრიალი.
ერთთან მეორეც მიცურდა უცებ,
შეიქმნა ცაში ორამტრიალი.
იელვა, ელვა გაქრა და ისევ
იელვა... ზეცას შეშვების ვერხვი.
ცა მშვენიერი შავ ღრუბლებს ისევს,
ქექა-ქუხილში გაფარდა მუხი.
თიკანს აუტყდა შიშით კანკალი,
კრუსს აიდენილი წიწილი წივისი,
სახლზე დაეცა სეტყვის მარკვალი
და ახლავდება ხმაური წვიმის.
ნახირი უხმოდ შეუერთდა გზაზე,
ნიაკს დამსლია ქარმა და ცივა.
თუთის ტრეტებით მზრუნველგირთული
სახლისკენ მირბის მშრამული ცირა.

ბუნების სურათი დასრულდა, მეაბრეშეშე ქალიშვილის გამოჩენამ იღვრის გააზრება მისცა სურათს, იგი შეტყვეული და გამოიზნული გახდა. ახლა ავტორის პოეტი შესაძლებლობა მიეცა კონკრეტულად დახატოს ქალიშვილის საქმიანობა, აჩვენოს მისი სულიერი საწყურის, მისი ფაქრები და განცდები. და ავტორი აბერტებს ამას. აქვეყნს თვალწინ წარმოდგება შრომისმოყვარე გოგონა აბრეშეშის ქივებს თავს რომ დასტრიალებს და ჩამოწეულ თმებიდან წვიმის წვეთები სცივდება... ასევე ლექსში „ტაშისკართან“. შესანიშნავ პეიზაჟს აქაც ადამიანი აღამაზებს. პოეტის ძირითად მიზანს ბორჯომის ხეობის დახატვა წარმოადგენს. პოეტი პირველი სტროფიდანვე ბუნების ილწერათ იწყებს, გვიხატავს ცაშე აღმართულ მთებს ფიქვები და ნაქვები რომ შესევინან და სურათის გასაკოსლებლად ასეთ შტრახს ავლებს: „მოდლევის მტყეარი და ტრეხე მდგარი მერტვის ნელი ლილინ ისმის“... და შემდეგ კვლავ ბუნებას უბრუნდება: „დამარჩის, ზუზუნებს, ვასწივის ქარი, კლდეს მოაზვი ანდლეთი ნისლის“. ცხადია, ადამიანის ჩართვამ, ლექსს კონკრეტულობა შესძინა. ბუნებრივია, ტაშისკარის მიღამობის პოეტი ოცნე-

ბით შორეულ წარსულში გადაყავს და უნებურად სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველი მეომრები ახსენდება, მომხატურს — მტყეარს სძლიეს, მაგრამ ეს გახსენება დროებითია: „წუთი წუთის სცელის, ცხრება, ნელდება წარსულთან ფიქრით გასაუბრება“ და ავტორი კვლავ ბუნების სურათის ხორკუნებშიას განაგრძობს ნაზი, ნათელი ფერებით წარმოგვიდგენს იგი საქართველოს გაუხუნარ პეიზაჟს. სურათის ხატვა ამ სტრიქონებში მთავრდება:

ეხმანურება ხალხის ხმა მკვეთრი
ამ ლამაზ არეს, როგორც ტრეხილი,
და მობუბუნე ზეობას ერთის
ორაველა და ურმის ჭრიალი.

ამ ლექსებში, როგორც, დავინახეთ, ძირითადად ბუნების სურათებია დახატული. სულ სხვაა ლექსი „სიხარულის დღეები“. აქ წინა პლანზე ადამიანებია წამოწეული. გამარჯვებულ კოლმეურნე ოდას იმუნებს, მუხის კედელი ნელ-ნელა მაღლა მიიწევს და მშენებელი თანდათან სახლის ქონგურს უახლოვდება. და უცებ გამოყრატება ბუნების სურათი: „ნახვების დღეა, ქრის ნიაკი მშვიდი და წყნარი, დისასხლისმა ცაცხვის ძირას ვაშლა სუფრა“... და ახლა პოეტი დისასხლისზე მოგვითხრობს. ბედნიერია იგი, საკულ-შვილი პაეკას მოუსწრო, სულ მალე ახალ სახლში გაეკარძის ფრიხილი ნაბაჯები გასამება და შილიშვილს მონატრებული მოხუცი ქალი პატარას გულში ჩიხუტებს. ასე ოცნებობს იგი ბიფნის ბოძთან ჩამოჯდარი და სურათის ხატვა სრულდება: „ყელზე ნიაკი ეფერება და იქვე ახლოს ირხევა მოლზე თაქქორია აღუბლის ჩრდილი“. მოქმედების გასაეითარებლად და გასაშლელად, კოლმეურნეთა შრომითი საქმიანობის საწინებლად პოეტი ხშირად უბრუნდება ბუნების სურათს, რომელსაც გვიჩინს ფსიქოლოგიასთან აერთებს, ცალკეულ ამავეთან და მოვლენისთან აკავშირებს. პოეტი გვიხატავს შემოდგომის პეიზაჟს, შემოდგომით კი კოლმეურნეებს განსაკუთრებით ბევრი საზრუნავი აქვთ და ავტორი მშრომელთა საქმიანობაზე მოგვითხრობს. დისასხლისი ეზოში არ ჩანს, დღლიდანვე კოლექტივის ბრიგადას გაყოლია და თავდადებულად მუშაობს. ცოცხლად და ხატონად გვიხატავს პოეტი კოლმეურნეთა შრომითი პათოსის სიმინდის ყაფებში. პოეტი ლექსის მესამე ნაწილში მოგვითხრობს, რომ სახლის მშენებლობა დასრულდა და მთელ ამავეს თავს უყრის ამ პატარა ჩანახატში: „ბუხრის მილიდან იკლავნება ცხიფერი კვამლი“... პოეტმა თქვა სათქმელი: ახალ ოჯახში სიკაცსლემ და სითბო დიდსადგურა, ოჯახში ყველა აინთო.

ასეა ბუნების და ადამიანის ურთიერთდამოკლებულება ამ ლექსებში ნაჩვენები. ასეა იგი აგრეთვე სხვა ლექსებშიც: „სიკუცა მშვიდობის დასაკავად“, „მე მიხარია“, „შემოდგომა მთაში“, „ტაშისკარულ მშენებზეთა კარავში“, „ახალგაზრ-

და მომღერალი". და ამ ურთიერთკავშირში გადამწყვეტი როლი უოველთვის ადამიანს ენიჭება. მავალითისათვის ავიღოთ სხვადასხვა ლექსებიდან რამდენიმე სტრიქონი: შინაარსის დედენს, ფრინველთა გალობას ქარხნის ასტატთა გუგუნის ერთის...

ციცხვებს სივრცე, დილის ნისლი მთის მწვერვალს ბურავს ყოყინა დასცეს ზვრებს მიმავალ ბრეგადირებმა.

ლამემ მინდვრადაც ფრთა ვერ გაშალა, მთავარე ქათქათებს მოწმენდილ ციდან. შხვის შინარე, ხმაურობს ჭალა და მწვემისი ცეცხლი გამოჩნდა მთიდან... და სხვ.

პოეტის აზრით ბუნებას მხოლოდ ადამიანი აღმაზნებს, რადგან თვით ადამიანი არის ლამაზი. ამიტომ ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში: „მხარებს კაცო მზით ვარუჯლო, ვატყუებელი მომავლის ეშხითა“. ხალხის დარეცხრომელმა შრომამ გაამწვენიერა საკონსერვაციო სოფელი. აი პოეტი დაბრუნებულა შობლიურ სოფელში, მიჰყვება ორიობებსა, ზეინებს და ბავშვობის დღეები აგონდება. მწუხარე იყო ის დღეები უსიხარულო, მაგრამ ის ვარამი მარტის თოვლივით გამჭრალა.

ბედნიერება პოეტისათვის უმღეროს სამშობლოს, ყთილი სიტყვა უობრას შეგობრებსა და მგზობლებს, სითბო აგრძობინოს საყვარელ ადამიანებს და თუ მას ლექსის წერის ეს ბედნიერება წაერთმევა, მაშინ სიცოცხლესაც აღარ ისურვებდა: „სჯობია ჩაქრეს სიცოცხლე ჩემი, თუ ვერ ამოვთქვი ლექსი უბრალა“—ამბობს პოეტი.

გულთბილ სტრიქონებს უძღვნის პოეტი სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანებს, რუსთავის მეფოლადებს, რიონისის მშენებლებს, ბარატის მემალაროებს, ტაშისკარელ მუწუნაბებს, ნობუდ მასწავლებელს და მრავალ სხვას.

სამამულო ომის თემა ბ. კეშელავას ლექსების კრებულში ერთ-ერთი ძირითადი თემაა. წაიკითხავთ ლექსს „შეიღობილი“ და გაგახსენდებათ მძიმე დღეები ობოლდისამის, როცა მოსკოვთან

ქუბანზე ზარბაზნები და საბჭოთა მეთორები მტრებს დასავლეთისაკენ მიეჭრებოდნენ: როცა უსახლკაროდ დარჩენილ, ფედსმეჩე დეკრეტულ ბავშვებს მებრძოლები სიყვილის სტაცებდნენ და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში აგზავნიდნენ. დიდი სიყვარულითა და სიბოთით მიმართავს ავტორი პატარას, რომელიც ქართულმა ჭაღმა შეიღად მიიღო და მიიკვლია, „დედა ენა“ გაეშალა და ქართული „იივანა“ უმღერა... ომის შთაბეჭდილებანი ღრმად რომ შეჭრილან პოეტის სულში ეს ცხადია. ამაზე მეტყველებს შემდგომრანდელი ლექსი „შინ-მოუხვლელის შეუღლე“. ამაღლეებლად გვიხატავს პოეტი ქართულ ჭალს, რომელსაც შვი მიანდილი რგებია წილად. ლექსში მოთხრობილია იმ დიდ სეფდაზე, რომელსაც ძვირფასი ადამიანის დაკარგვამ გამოიწვია. ეს ადამიანური ტკივილი შინმოუხვლელის შეუღლისათვის სამუდამოდ განუქურნებელი დარჩა, თუმცა... რატომღაც მამინ დედა შეიღს ცრემლებს რომ უმაღავს, მწუხარების ვაჟს, მას რომ მოუხვობს და სეფდას იქარვებს? ცხადია, ახალმა ბედნიერებამ ძველ მწუხარებას სძლია და ჭალს დარდი შეუშსუბუქა: ბიქუნა დედისათვის მომავლის აშუდი გამზდარა.

ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის, სამშობლოს განთავისუფლების ღრმა ჩწმენის შესახებ მოგვითხრობს პოეტი ლექსში „ბრძოლის ველიდან ყაჩაღები განიდევნება“. ავტორის სჯერა, რომ დადგება დრო და ესპანელი ხალხი თავისუფლებას იღდესასწაულებს საკეთარ ქვეყანაში.

ბ. კეშელავას პოეტური ენა ლაღია და უშუალო. თუმცა ზოგჯერ გვხვდება აზრობრივად და მხატვრულად გაუმართავი სტრიქონები (მაგ.: „წამწამიდან თვალი სწანდა, ვით ბუჭვიდან წამლი“, „ყურში ხეების მოხედა ჯახანი“, „ნუთუ დღესაც ვეღარ შესწლეს მშენებლობის თმობა“, „შვიდვეს ურჩვედა კენწეროს ქარი“, „წყვიდადეს შთანსიკვეენ მთები ზვიადი“, „წინ მუხატება ვული ჩემი თითქოს ფერმკრთალი“ და სხვ.).

ბონდო კეშელავას ლექსების კრებული „გულის პასუხი“ კარგი საშუაარია ქართულ სამსჭოთა მკითხველისათვის.

ზ. ხანტუჩიანი

მონოგრაფია შალვა ღაღიანის დრამატურგიაზე

შ. ღაღიანის, როგორც დრამატურგის, ბელეტრისტის, თეატრალური მოღვაწისა და, საერთოდ, ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მესვეურის სახელს მკვიდროდა დიაცემთავრული ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიასთან.

გ. ციციშვილი. შალვა ღაღიანის დრამატურგია. „ბელოჯნება“, 1955.

შ. ღაღიანის ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობანი ყველაზე უფრო მკვეთრად და სრულყოფით მანინ დრამატურგიაში გამოჩნდნენ. გიორგი ციციშვილის ნაშრომი შ. ღაღიანის მრავალფეროვანი ლიტერატურული მოღვაწეობის სწორედ ამ მხარეს, დრამატურგისა შეეხება. ავტორი იძლევა ღრმა და დამაჯერებელ ანალიზს იმ ვრცელი და ჩითული შემოქმედებითი გზისა,

რომელიც შ. დადიანმა განვლო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

გ. ციციშვილის ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია შ. დადიანის რევოლუციამდელი შემოქმედება, ხოლო მეორე ნაწილი მწერლის საბჭოთა პერიოდის დრამატურგიული მოღვაწეობის ანალიზს შეიცავს.

შ. დადიანის დრამატურგიული ნათლობა 1905 წლის რევოლუციის ეპოქასთანაა დაკავშირებული. პიესები „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“ 1905 წლის რევოლუციის რეალისტური სურათის დამაჯერებელი ჩვენებით და ღრმა სოციალური პრობლემებით ხასიათდება. ამასთან ერთად, მათში ნათლად იგრძნობა მომავლის დიდი პერსპექტივა, რაც განუზომლად ზრდის ამ პიესების მნიშვნელობას და აქტუალობას იმდინდელი პერიოდისათვის. გ. ციციშვილი დეტალურად, კრიტიკულ ასპექტში იხილავს შ. დადიანის შრავალ-რეცეფან დრამატურგიულ თხზულებებს. განუხილველად არ სტოვებს არც ერთ, ყოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ნაწარმოებს (როგორც გამოკვეთებულს ან სცენაზე განსახიერებულს, ასე დღემდე უცნობსა და გამოკვეთებულს). მას გაუსწავდა არ დარჩენია მთელი ის უამრავი მასალა, რაც ჩვენს პერიოდულ პრესაში თუ მე-რეკომ — არქივებში არსებობს შ. დადიანის ვარშემო. ამასთანავე, წიგნის ავტორი არ იზღუდება ამ მასალის შიშობილვით, გვერდს არ უვლის საკვანძო საკითხებს, ფართოდ ეხება და არკვევს მთელ რიგ თეორიულ პრობლემებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით დაკავშირებულია მწერლის შემოქმედებით პრაქტიკასთან.

გ. ციციშვილი ეპოქასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს შ. დადიანის როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის დრამატურგიულ შემოქმედებას, ახდენს ცალკეულ ნაწარმოებთა ღრმა იდეურ ანალიზს და არკვევს იმ წვლას, რაც შ. დადიანმა შეიტანა კერძოდ ქართული და საერთოდ საბჭოთა დრამატურგიის შექმნის საქმეში. ამასთანავე, ავტორი არ იზარგუნება შ. დადიანის მხოლოდ დრამატურგიული ნაწარმოებების განხილვით, იგი მწერლის მთელი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გათვალისწინებით გვიხატავს შ. დადიანის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ხაზებს.

დირისებრიან ერთად სარეცენზო ნაშრომი დაზღვეული არ არის ცალკეული ნაყოფანებებისა, ნებით თუ უნებლიე შეცდომებისაგან.

ავტორი იმდენადაა გაცაყებული შ. დადიანის ნაწარმოებთა იდეური ანალიზით, დრამატურგიის მსოფლმხედველობის გარკვევით, ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიშნების ჩვენებით (რაც უდაოდ საჭირო და იუცილებელია), რომ ხშირად ჩრდილში ჩრება შ. დადიანი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტიტი, კერძოდ, ავტორი ხშირად გვერდს უვლის თუ როგორ, რა მხატვრული სარწმუნეობით გვიხატავს მწერალი საგნებსა და მოვლენებს, როგორც 12. „ნათობი“ № 10.

მისი, როგორც მხატვრის მიდგომა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, რა კონკრეტულ-მხატვრული ნიშნებით ხასიათდება, სკატოლედ მესვემოქმედება. მხატვრობაზე იგი მხოლოდ გაცერით, სტილიზირებს შუა საუბრობს და სიმძიმის ცენტრი იდებრ-შინაარსობრივ მხარეზე გადაიქვს.

შ. დადიანის მინიატურებზე მსჯელობის დროს ავტორს მოყავს „სახალხო გზების“ აზრი, რომ შ. დადიანის მინიატურები „შამინდელ პეტიციონ-სტერი და გზების მეთაური წერაილების მოკლე შინაარსის მხატვრულად გადაცემა უფროა, ვიდრე წმინდა ხელოვნური ნაწარმოები“. ამის შესაღვეს ავტორის დასკვნა: „ამ არაობიექტური და ყაბი მზის მცდარობა თავისთავად ცხადია პირიქით, შ. დადიანის მინიატურები (მიუხედავად ზოგიერთი მათგანის ენობრივ „ხორკლიანობის“); დლი მხატვრულობით ხასიათდებიან და ღრმა პოეტური შთაგანებით დამწერილ ნაწარმოებებს წარმოადგენენ“ (გვ. 24), მაგრამ ეს ზოგადი განუხადებაა, რომელსაც დასაბუთება ესაჭიროება, რაც ნაშრომში არაა მოცემული.

„გვეკვობისა“ და „ვარამის“ განხილვის დროს გ. ციციშვილი წერს: „ჩვენ უფრო ამ პიესების იდეურ თემატურ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგანაც წიგნის ფარგლები არ იძლევიან შ. დადიანის ყველა პიესის სრული და უსაღველ-მხრივ იდებრ — მხატვრული ანალიზის შესაღველობას“ (გვ. 100). ვფიქრობთ, ნაწარმოების მხატვრული ანალიზის საჭიროების ამგვარი უტულებულია არაა გამართლებული. ეს გარემოება კი უპირველესი მიზეზით იმისა, რომ ზოგჯერ ავტორი ლამპარავს შ. დადიანის რომელიმე პიესაზე, როგორც „დიდას და მნიშვნელოვან“ მოვლენაზე ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ეპოქის სასოციოლო იდეების გამოვლენებად მიაზნია იგი და მისი ღრმა იდებრ-შინაარსობრივი ანალიზის შემდეგ თითქოს სხვათაშორის გუებუნება, რომ აღნიშნული პიესა მხატვრულად, დრამატურგიულად სუსტია, მოქმედი პირები სქემატურადაა წარმოდგენილი, იდეები არაა გახსნილი მხატვრულ სახეებსა და ხასიათებში. ცხადია, თუ ნაწარმოები მხატვრულობის თვალსაზრისით მოისუსტება, შამინ არ შეიძლება იგი შეფასდეს როგორც „საყურადღებო“, „უდიდესი მნიშვნელობის“ მოვლენა.

კერ დავეთანხმებით ავტორს თითქოს შ. დადიანის „მღვიმეში“ ივის „ერთადერთი დრამატურგიული (და საერთოდ სიუჟეტური) ნაწარმოები ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც უშუალოდ 1905 წლის რევოლუციას ეპოქაშია დაწერილი, და რომელიც მინდა ამ ეპოქის ჩვენების ასახვა“ (გვ. 47) სხვებს რომ თავი დაეანებოთ, რა ვეყუთა, მაგალითიშვილის „ჯორ-ზაქარის“, კ. ლომთაიძის „საჩრბობელს წინაშეს“, ნ. ნავაშიძისა და ნ. აზიანის მოთხრობებსა და პიესებს, რომლებიც სწორად 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდშია დაწერილი და ამ ეპოქის მხატვრულ ასახვას წარმოად-

გენენ? ასევე, ვფიქრობთ, გადაჭარბებულია ავტორის კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ შ. დადიანმა „პირველმა შემოიტანა ქართულ ლატერატურაში მკითხველის ერთ-ერთი სახეობა მინიატურული ენარი“ (გვ. 22). მაშინ, როცა შ. დადიანმა პირველი მინიატურა გამოაქვეყნა (1896 წ.), ლატერატურის ეს ენარი საკმაოდ უხეშმოყვებელი იყო ჩვენში.

გ. ციციშვილის ნაშრომი ხასიათდება საკითხთა ახლებურად, პრობლემატური და გაბედული დაყენებით. ეს შეეხება, კერძოდ, საკითხებს ქართულ ლატერატურაში სოციალისტური რეალიზმის აღმოცენებისა, საბჭოთა სატირული კომედიისა და საბჭოთა ტრაგედიის შესახებ. კერძოდ, მნიშვნელოვანია საკითხი საბჭოთა ტრაგედიის შესახებ. უდათა, რომ ზენის სინამდვილეში ძველისა და ახლის ბრძოლა იძლევა მასალას ისეთი მძაფრი კონფლიქტების გამოხატვისათვის, რაც დამახასიათებელია ტრაგედიისათვის. მაგრამ რამდენად შეიძლება ეწოდოს ტრაგედია შ. დადიანის მრავალმხრივ საყურადღებო პიესა „თეთნულდს“. პიესის ძირითადი იდეა არის ახალი სენატიის მიერ ძველის დამარცხება. მართალია, ძველი სენათი მარცხდება, რაც საშობლორ გამოხატულებას პოულობს ძველი სენათის ტოპიკური წარმომადგენლის არგონდის თვითშეკულებლაში, მაგრამ პიესის ძირითადი სიუჟეტური ხაზი (გულახსანილ-აპილი) სრულიად არაა ტრაგიკული. ამ მხრივ მდგომარეობას არ ცვლის გულახსანის შემთხვევითი დაღუპვა თეთნულდზე ასვლის დროს. გულახ-

სანის საქმეს ლაილი განაგრძობს და თეთნულდის დაპყრობით წყდება დავემყენებოდნენ; ახალ საშუაროს შორის. ამიტომ აქ ჩვენთვის უაქმე გვაქვს დამასთან, რამაიე არის ტრაგედიის ელემენტები და მისი ანალოგია ეს. ვინაშესკის „ოპტიმისტურ ტრაგედიასთან“ საკითხს არაგვად მატებს.

წიგნი შეინიშნება ცალკეული წინააღმდეგობანი. 30-ე გვერდზე პიესა „მღვიმეში“-ს მოქმედი პირი ზენისი ხან მგონადია გამოყენილი, ხან კი — მხატვრად. 63-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „როს ნაღიმობდნენ“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1912 წლის დეკემბერში. მომდევნო აბზაცში მოყვანილ საარქივო დოკუმენტში კი ნათქვამია, რომ წიგნი გამოცემულ იქნა 1913 წლის 9 თებერვალს.

უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ავტორი თავისი დებულებების განვითარების დროს ბზირად ილაშქრებს იმ კრიტიკოსთა წინააღმდეგ, რომელთაც არასწორად ესმოდათ შ. დადიანის ამ თუ იმ პიესის აზრი და მნიშვნელობა, მაგრამ მისი კრიტიკა უმისამართოა და „ზოგადი კრიტიკოსის“ ჩარჩოებს არ სცილდება.

ასეთია ჩვენი შენიშვნები გ. ციციშვილის ნაშრომზე „შალვა დადიანის დრამატურგია“, რომელიც ჩვენი ლატერატურათმცოდნეობის საყურადღებო შენაწილად მიგვანისა.

ნ. ალანი

აპ. ხინთიბიძე

სოცხალი მემკთიანის წიგნი

მართლაც, თამამად შეიძლება ვუწოდოთ ცოცხალი მემკთიანე იპოლოტ ვართავაგას, ავტორს წიგნისა „ქართული მწერლების სილუეტები“.

როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ავტორის მიზანი არ არის შეეზოს „ძველ და ახალ მწერლების შემოქმედებას, მათ მნიშვნელობას ქართულ ლატერატურაში“. ის მხოლოდ მოკლედ, გულწრფელად, მართლად და მიუღვამლად გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რაც მოუხდენია მასზე ამა თუ იმ მწერალს და რაც გავგონია მის შესახებ თავისი შეგნებული ცხოვრების ხანგრძლივ მანძილზე.

წიგნი იხსნება ილია ჭავჭავაძის სილუეტით. ავტორი გვიხატავს თუ რაგორ უნერგავდნენ ილიასადმი სიყვარულს სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს პატრიოტიზმის ცეცხლით ანთებულ მასწავლებლებმა. მოწინავე სემინარიელს დიდი ილია იღვალად ჰკავდათ დასახული. ამიტომ იყო, რომ თითოეულ მათგანს უსახლგრო ბედნიერებად მიიჩნდა ილიასთან და მის „ივეროასთან“ დაახლოება. ეს ბედნიერება, პირველ

რივში, წილად ზედოშია სარეცენზოო წიგნის ავტორს იმ. ვართავაგას.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლეანთ შემოკლებით იმ. ვართავაგას მეხსიერებაში აღდგენილი დიდ ილიასთან მისი შეხვედრის დაუეწყარი მომენტები:

„ილიამ მაგიდასთან მიმიპატიეა, სწერს ავტორი, მე სკამზე მორიდებით ჩამოვეყევი. მალე ზენე შორის ვიამართა დილოგო:

ილია: ყმაწვილო, რაღვის ჩიმიოდი თბილისში?

მე: გუშინ დილით.

ილია: ჩვენმა რედაქციამ ზომ არაფერი გავყენინათ, წერილები ზომ არ დაგვარგვიათ?

მე: არა ბატონო, ყველა ჩემი წერილი დაიბეჭდა.

ილია: არ მოვეფერებოთ, თქვენი წერილები მე მომწონს, გეტყობათ გულწრფელობა, ტემპერამენტო, არა ზაით საკომპრომისოდ ვიწყუობილი, გაბედულად მსჯელობო...
აი, ასე სათუთად, გულისხმიერად გუყრობოდა

და ზრდიდა დიდი ილია შოწინავე ახალგაზრდებს რომლებმაც ილიას „იუვერიაში“ იიღვეს ფეხი.

ცოცხლად გვიხატავს ავტორი აგრეთვე „შთის აზრების“ — ვაყის სილუეტს, რომლის უცდავი ნიკის წინაშე ილიამაც კი ქელი მოიხარა. „შორს წავა, შორს ჩვენ, ძეგლებმა, კალამი უნდა დაედოთ, გზა ვაყის უნდა დავეთმოთა“ — ამბობდა ვაყის შემოქმედებით მოხაზული ილია.

ავტორის საკმაოდ ბევრი ცნობა მოყავს ვაყის პირადი ცხოვრების, შემოქმედებისა და ოჯახური პირობების შესახებ, რაც მეტად შეუწყობს ხელს ვაყის ბიოგრაფიის სრულყოფილად შესწავლას.

მდიდარი ცნობებია წიგნში მოთავსებული ალ. ყაზბეგის შესახებ. ყველა საუკუნის მწერალთა შორის აღექვანდრე ყაზბეგის, როგორც შემომქმედის, ისე პიროვნების საზე ყველაზე უფრო ტრავიკულია, ყველაზე უფრო მწუხარების და სიბრალულის გამომწვევია, — ამბობს ავტორი.

დასაბუთებულ და დამოუკიდებელ ბიოგრაფიულ ცნობებს გადმოგვცემს ავტორთვე ავტორი ბავშვთა საყვაროს, მათი გულის შესათღმშლისა და ფსიქოლოგიის ღრმად მცოდნე შიო მღვიმელის — „შია შიოს“ შესახებ, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საფარველი ჯეენ-შო საბავშვო ლიტერატურის, რომლის ბრწყინვალე ნაწარმოებები დღესაც ზრგავს ბავშვებში უაღრესად კეთილშობილურ, მოამისადმი სიყვარულისა და სამშობლოსათვის თვფადების გრძნობებს.

იმერეთის ცხოვრების ამსახველ, კუდაბზიკა, გაფხკოლ, დაქონებულ და დეგრადაციის გზაზე დამდგარ იმერეთის აზნაურების ცხოვრების დიდი მხატვრის დ. კლიაშვილის შესახებაც ბევრი „ნამეცი“ ცნობებია მოთავსებული წიგნში.

მეტად დამახასიათებელი ცნობები აქვს ავტორთვე აღწესხული იმ. ვართავაყის ქართული მწერლების — დეტრე მგვრელის, შიო არავის-პირელის, ვასილ ბარნოვის, ია ეკალაძის, გრიგოლ აბაშიძის, უიარაღის (კონდრატე თათარი-

შვილი), ზომელის (რომანოზ ფანცხაეი) და ჭოლა ლომთათიძეზე. ამ უკანასკნელს შვეხებზე წიგნში მოთავსებული სტრიქონებს, წყვეთებულს რაც არ უნდა გულქვა იყოს, მაინც აუცრემლდება თვალბი, რაც ის ვაეცნობა ამ უბედოდ და ტანჯული მწერლის ცხოვრებას, რომელიც ნეტარნი ციხის თთხ კვლდშია, ქლექით სულთმობრძივი კენესით გოდებდა მშრომელი ხალხის უკეთეს მომავალზე, დამყაყებულ წესწყობილების დამზობაზე... ამ სიმატლისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლ ვაცს თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავდა მგვობრები, რატომ არავის მოეწონებარ... ბუნებრივად ხომ არა მიშავს რა. ყოველგან გილახდილობას, სინდისიერების და გულწრფელობის მოტრფიალე ვარ... მაგრამ ვის რათ უნდოდა იმ ბედველმართ დროს განწირული მწერლის „ტრფიალება“...

ავტორის მოყავს ჭოლას ვარდაცვალების გამო ი. ვტიშაშვილის წერილი, რომელსაც ის „სიყვარულის სიმღერა — ჰაქნს“ უწოდებს. „შე არ ვიცნობდი პირადად ბიეცტ ლომთათიძეს. შე ვიცნობდი სპირიდონ მციროშვილს, ჭოლას და ვერს. შე ვიცნობდი მეორე სახელმწიფო სიათათიროს ყოფილ დებეტატს... შე ვიცნობდი ნიჭიერ მოზაროვნეს და ჭეშმარიტ მხატვარს... შე მიყვარდა მისი ნაწერების გრძნობითი დოვლათანაობა, მისი სტილი, მისი სტრიქონების ნერვა, მისი მწენიერი ტანჯვა და მისი ავიდმყოფერი ფიქრი“... წერდა პოეტი ი. გრიშაშვილი ჭოლას შესახებ „სახალხო ფურცელში“.

როგორი წერილმანი და „ნამეციები“ არ უნდა იყოს ის ცნობები, რომლებიც იმ. ვართავაყის მოყავს თავის წიგნში, ისინი მაინც ვარჯ სამსახურს გაუწევს ჩვენი ლტერატურის მკვლევართ მოხსენებულ მწერალთა ბიოგრაფიების სრულყოფილად შედგენის საქმეში.

გიგოლ მავაჰარიანი

შილერის პიესების თარგმანები

ესეი რამდენიმე წელია, რაც ვახტანგ ბეწუელი ნაყოფიერად მუშაობს გერმანული კლასიკური და თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის საუცუთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის ღაჯში. მან თარგმნა გოეთეს, შილერის, ჰაინეს, ავტორთვე ბუქერის, ვიანერტის, ეუბას და სხვების ნაწარმოებები.

ფრ. შილერი „ფიციკოს შეთქმულება გენუაში“ 1955 წ. „ხელოვნება“. ფრ. შილერი „ორღაწეული ქაღწული“ 1955 წ. სახელგაბი.

მიმდინარე წელს, ხელახალი გადამმუშავებული სახით გამოიცა ფრ. შილერის ორი დრამატული ნაწარმოები: „ფიციკოს შეთქმულება გენუაში“ და „ორღაწეული ქაღწული“ (პირველი გამოცემა განხორციელდა 1949 წ.).

როგორც „ფიციკოს შეთქმულება გენუაში“, ასევე „ორღაწეული ქაღწულის“ შინაარსი ფრ. შილერის ისტორიულ წარსულიდან აულია. პირველი დრამა — „ფიციკოს“ — მოქმედება მე-16 საუკუნის იტალიაში სწარმოებს, მეორე დრამის უბმა კი მე-15 საუკუნის საფრანგეთის ისტორი-

რიდანაა იღებელი. მაგრამ მოეხდევად ამია, შილერის ეს დრამები ახლაც მძლავრად ეხმარება ჩვენს თანამედროვეობას. განსაკუთრებით ეს იქმის „ორღანელი ქალწულის“ შესახებ, სადაც ასახულია ფრანგი ხალხის ბრძოლა ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთნაირი დამოუკიდებლობის დასაცავად.

„ფიესკოს შეთქმულება გენერალი“ პროზით დაწერილი დრამაა, ხოლო „ორღანელი ქალწული“ კი ვატილებით ძნელად სითარგმნელი საღეჭო პეტრითაა დაწერილი.

შილერის პიესების მთარგმნელი შეუძლებელია არ გრძობდეს ამ სიძნელეს, რომელსაც მის დრამატურგის ენა უყენებს. კერძოდ შილერი ხშირად მიმართავს მოკლე და სხარტ დიალოგებს, იყენებს ანდაზებს, იდიომატურ და ფრანგულთვით ტყუილებს.

გ. ბეწუელი ახერხებს ქართულ თარგმანში სრული შესატყვისობით გადმოიტანოს გერმანული ენისათვის დამახასიათებელი იდიომატური და ფრანგულთვით გამოთქმები, ზუსტად და დამაჯერებლად გადმოსცეს დედნის თვითული ნივანისი.

ამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ერთ მაგალითს. „ორღანელი ქალწული“ ენას გამოამოხივარა მონოლოგი ერთ-ერთი ძლიერი და დასამახსოვრებელი იდეგია ნაწარმოებში. გ. ბეწუელს ეს ადვილი ასე გადმოაქვს:

ქანა: (მარტო) მშვიდობით, მთებო, შენ, ძვირფასო მღვდელი ქალაგ, და თქვენც ეველებო, გუთხოვებით ხალსო
გრძნობით!

ო, ამის მეტად ველარასოდეს იხილავთ ქანას, ამიტომ იგი გუებნებათ! მარად მშვიდობით! თქვენც მღვდლებო და ხეებო, დარგულო

ჩემგან, დაიხარდებით, იყავილეთ, იმწყინეთ მარად! თქვენაც მშვიდობით, მღვდლებო და

ჩინჩიერებო! აჲ შენი ეხო, როგორც უწინ, ღმინხო ქალაგ, ჩემს სიძურებზე არასოდეს ახმარდება, ქანა თქვენც გტრეუბო, აღარასოდეს არ დაბარდება (გვ. 22).

გარდა იმისა რომ ეს ადვილი გერმანულ ტექსტს ზუსტად გადმოსცემს, ქართულდაც შესანიშნავად ეტერს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გ. ბეწუელი ხშირ შემთხვევაში ედილობს გენიალური მთარგმნელის იგ. მინაბელის პოეტური ტრადიციის გამოყენებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ფრ. შილერის ნაწარმოებთა ქართული თარგმანი ახლოს დგას ორიგინალთან. მთარგმნელი ხშირ შემთხვევაში ედილობს ადეკვატურად გადმოიღოს დედნისათვის დამახასიათებელი ნივანები და ქარგმული ტყუილები. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე ეს ხდება ორიგინალის იდეური შინა-

არისა და მხატვრული ფორმის სრული შესახებისობის საფუძველზე. გ. ბეწუელი ზრგვიერ სცილებდა დედანს, მაგრამ ეს დედნიერება არასოდეს არ ხდება ნაწარმოების მხატვრულობის ხარჯზე. პირიქით ორივე შემთხვევაში, როგორც „ორღანელი ქალწული“, რომელიც ქართული კლასიკური თოთხვებმარტელოვანი ლექსითაა გადმოტანილი, ასევე „ფიესკოს“, რომელიც მოხდენილი სასაბჭოთა ენითაა გამოართული, მთარგმნელი კარგად ათავსებს ქართულ ტექსტს გერმანულ ტექსტთან. განსაკუთრებით ქართულ ანდაზებსა და გამოთქმებს გერმანულ ანდაზებთან და გამოთქმებთან, რომლებიც აბე თუ ისე აშკიათია აღნიშნულ ნაწარმოებებში.

მაგალითისათვის ავიღოთ ენას სიტყვები „ორღანელი ქალწულიდან“: „Das Gott liebt wie den Apfel seines Auges“ — ასე თარგმნილი, „იგი (ე. ი. საღვარვეთი ნ. ა.) ღმერის უუჯარს საკუთარი თვალის ჩინივით“ (გვ. 20) ასევე ლაქონიურადაა გადმოტანილი დიუნეს პატრიოტული სულისკეთებობა გამსჭვალული სიტყვები: „Nichtwüridig ist die Nation, die nicht. Ihr Alles freudig setzt an ihre Ehre“ ქართულ თარგმანშია: „უღირსი არის იგი ერთ, რომელიც მსხვერპლად, ღირსებისათვის არ გასწივარს, რაც გაანინა“. (გვ. 42).

მაგის სიტყვები, — („ფიესკოდან“) რომლითაც იგი ერთგულუბას ეფიესკოა ფიესკოს და ყველაფრისათვის თავის სიცოცხლეს თავაზობს: „Morgen um acht habt Ihr so viel Neues erfahren, als in zweimal siebzig Ohren geht“ თარგმნილია ასე: „ხვალ რვისთვის კი თქვენ იმდენ ახალ იმავს ვაოვებო, რის მოკრეფაც ასორმოც უტრს შეუძლია“ (გვ. 27).

გესურს აღვნიშნოთ ნებით თუ უნებლივთ გაზარული ლექსებები, რომელთა გასწორება უზრუნველყოფდა თარგმანის სრულყოფას.

დაუსტებას მოიხიბოს გაანეტაროს სიტყვები: „Was ist nicht getan, Bursche, bis Steine erwärmen“. მთარგმნელს ასე აქვს გადმოტანილი: „რის გაკეთებას არ მოსწრებ, ჩემო ძვირფასო, სანამ ქვები გახურდება“ (გვ. 87). ეს ბუნდოვანი ქართული წინადადება შეიძლება იგვეგვეცელო ასე: „რცინი სანამ უხელია მინამ გამოსკვდე“, — რაც დედნის შინაარსს უფრო სწორად გადმოსცემდა. ასევე ვერ დავეთანხმებით მთარგმნელს იმაში, რომ „ფიესკოს“ უკანასკნელ სურათში, რადგანაც ეძებენ ფიესკოს, პასუხობენ „ჩაიძირა“-ო. გერმანული სიტყვა ertrunken-ის ერთადერთი შესატყვისია „დახრჩობა“ და სუსტრეულია ასეც ითარგმნოს.

კარგი იქნება, თუ გ. ბეწუელი ფრ. შილერის ყველა დრამატურგიულ ნაწარმოებს თარგმნის ქართულად, რითაც შესაძლებლობა მიეცება ქართველ მკითხველს უფრო ახლოს გაეცნოს დიდ გერმანული დრამატურგის შემოქმედებას.

საყურადღებო გამოკვლევა



ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესწავლა სრულ არ იქნება, თუ გათვალისწინებული არ იქნა მის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების როლი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ჯერ კიდევ პირველმა მკვლევარებმა აღიარეს ამ საკითხის გარკვევის აუცილებლობა. სწორედ ეს მიზანი ამოქმედებდა მკვლევარ ი. ვართაგავას, როდესაც მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რა აქვს ვაჟას ხალხისაგან აღებული და რა არის პოეტის კუთვნილება. საპასუხო წერილში ვაჟა-ფშაველამ აღნიშნა, რომ იმ. ვართაგავას „სურვილი საფუძვლიანი და ღრისი დაქმნაობისა“.

ამასთან ერთად, ვაჟამ აღნიშნა, რომ ეს საქმე უნდა გააერთიანოს მკვლევარმა და არა შერეა. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ მკვლევარმა, „თუ მას კარგი კრიტიკული აზრობა აქვს, უნდა ჩემს დაუხმარებელ ვაგიოს რაა“ ამ ნაწარმოებებში ხალხური და ინდივიდუალური“. მიუხედავად ამისა ვაჟამ მაინც დააკმაყოფილა როგორც იმ. ვართაგავას ისე მკითხველი საზოგადოების სურვილი.

ვაჟას პასუხში მითითებული მხოლოდ რამდენიმე პოემის ზეპირსიტყვიერი წყაროები და ისიც შეიძლება მოკლედ. იმავე წერილში ვაჟა აღნიშნავდა: „ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შეეჭქენ და ბოტის ოღენა იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუშეა ფრჩხილში ესვამდი: „ყველისძევი ამბავითა“, „ზღაპრითა“, „თქმულებითა“, იმ მოსაზრებით — დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო“.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ ლიტერატურის ისტორიკოსი და ფოლკლორის სპეციალისტები. სამწუხაროდ, მთლად ასე როდი მოხდა. სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში მ. ჩიქოვანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კრიტიკოსები და მკვლევარნი დიდი ხანია ძიებას აწარმოებენ ამ მხრივ. მაგრამ შეიქმნება ითქვას, რომ დღემდე მხოლოდ საკითხის დაყენებასთან გვაქვს საქმე და იგი არსებითად გადაუწყვეტელი რჩება“ (გვ. 3).

თუ გაითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ მდგომარეობას, მ. ჩიქოვანის გამოკვლევას ვამოხელა მისასაღმებელი მოვლენა. აღნიშნული ნარკვევი, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში წერს, „განზრახული მონოგრაფიის ნაწილს წარმოადგენს“.

წიგნი წინასიტყვაობის ჩათვლით შეიძლება თავისაგან შედგება. ნარკვევის მეორე და მესამე თავებში განხილულია, თუ რა სახის ხალხურ მასალებს უყარდა ვაჟა თავს და როგორ უყურებდა

იგი ხალხურ პოეზიას, მის როლს, „დანიშნულებას, მნიშვნელობას და სხვა“.

მომდევნო თავებში მკვლევარი იხილავს ვაჟას ცალკეულ პოემებს და მათ ზეპირსიტყვიერ წყაროებს. მათ შორის პირველია პოემა „გიგლია“. ნარკვევის ამ თავში („გიგლიას“ ფოლკლორული წყაროები“) მკვლევარი ვაჟას პოემისა და ძველი ხალხური ლექსების შედარების საფუძველზე დამაჯერებლად ასახბუთებს, რომ პოემას ხალხური მასალია უნდა დასდებოდეს საფუძველად. ამასთანავე, მოტანილი აქვს ხალხური ლექსებიდან მხატვრული აქსესუარის სესხების მაგალითები.

მკვლევარი ცნობილი ხალხური ლექსის „შეტის გადიდა ხობობის“ ვარიანტებში ეძებს და პოელოზს პოემის მასალას. მართლაც, ამ ვარიანტების უმრავლესობას ვაჟას „გიგლიასთან“ საერთო აქვს შემდეგი: თავდასხმა ზობად ფშავში სოფ. ახალზე; გოდერძით ციხე ვაჭბეხს; გოდერძით ქალი ტყვედ წაიყვანეს; ვახზე ფშაველი მებრძოლები დახვდნენ და მტერი დაამარცხეს; ტყვეები განთავისუფლდნენ და საყუთარი სახლებში დაბრუნდნენ. აღნიშნული მსგავსებანი მკვლევარს საფუძველს აძლევს დაასკვნას, „რომ გიგლია ხალხურ ამბავზე არის აგებული“ (გვ. 28).

მკვლევარი განსხვავებამდე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ „ხალხური პოეზიის მიხედვით ქალი ქისტებმა მოიტაცეს, ვაჟა-ფშაველას მიხედვით კი ლეკებმა“ (გვ. 24). მკვლევარს რატომღაც არ გამოუყენებია თელი რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ მასალებში მოთავსებული ლექსი „გიგლია“, რომელიც, ჩვენი აზრით, უკვე ველად უნდა დასდებოდა საფუძველად პოემის მთავარი გმირის — გიგლიას სახის შექმნას. ამის შემდეგი მდგომარეობა გვაფიქრებინებს: ლექსი დიკლოდი თუმის — გიგლიას გმირობის ამბავს გადმოგვცემს. თუში გმირი მდინარე ლაბრატზე (ყახეთში) ღამე თავს დაეცა ლეკების ბანდას, რომელსაც ქართლიდან დატყვევებული ქალები მოჰყავდა. გიგლიამ ლეკებს მუსრი გაავლო და ქალები შშობლებს დაუბრუნა. ეს ლექსი ფრიად საინტერესოა იმ მხრივ, რომ ამ ხალხურ ლექსსა და ვაჟას პოემას შორის არის მთელი რიგი დამთხვევები: ორივე ნაწარმოების გმირს გიგლია ჰქვია; ორივე გმირულად შეებრძოლა ლეკებს; ბრძოლის მიზანი ორგანვე ტყვე ქალების გამოხსნაა; განთავისუფლებული ქალები სახლებში ბრუნდებიან.

ნარკვევის მომდევნო თავში ავტორს გამოკვლეული აქვს „ბახტრიონის“ ხალხურ-პოეტური წინამძღვრები. პოემა „ბახტრიონის“ ხალხურ წყაროებზე ვაჟამ თვითონვე მიუთითა.

მკვლევარი არ ჩერდება ვაჟას მიერ მოწოდებულ მცირე ცნობებზე და ახალი მასალები მო-

მ. ჩიქოვანი. ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1956.

აქვს „ბახტრიონის“ გმირების ხალხური პროტოტიპების გასარკვევად და დასადგენად. მკვლევარი, მიმოიხილავს რა პოემა „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მთავარი გმირის — ზეზეს შესახებ არსებულ ხალხურ მასალებს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ზეზეა ვაჭარინდაული რეალური პიროვნებაა“ (გვ. 47). ავტორი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ „ზეზეა გაფრინდაული მხოლოდ ბახტრიონის ბრძოლების მონაწილე არ არის, იგი მე-17 საუკუნის გამოჩენილი სახალხო გმირია“, რომელიც მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა (გვ. 49).

ზეზეს შემდეგ მკვლევარი მეორე გმირის, ლუხუმის ხალხურ პროტოტიპს იყვლევს. ვივა ლუხუმის შესახებ მხოლოდ იმას გვაძინობს, რომ ხალხური ლექსების მიხედვით იგი სრულად სხვა დროისა და სხვა ბრძოლების გმირია და ბახტრიონის ბრძოლასთან არაფერი კავშირი აქვს. მკვლევარმა ნათელყო, რომ, თუმცა ლუხუმი მართლაც სხვა ბრძოლების გმირია, საერთო საკმაო აქვს „ბახტრიონის“ ლუხუმთან, ხალხური ლექსის მიხედვითაც ლუხუმი გველი მკურნალობს.

ვერ დავეთანხმებით მკვლევარის იმ აზრს, რომ „ლუხუმი მთის პოეზიის მიხედვით ფშაველთა ტომობრივი გმირია“ (გვ. 50). იგი ფშაველთა ტომობრივი გმირი მხოლოდ ვივას პოემის მიხედვითაა. მთის პოეზიის მიხედვით კი ლუხუმი თუშია. ჩვენ არ ვიცნობთ ისეთ ხალხურ ლექსს, რომელიც ლუხუმს ფშაველად მიიჩნევს, სამაგიეროდ, არსებობს მთელი რიგი ლექსები, რომელთა მიხედვითაც ლუხუმი თუშია. თვით იმავე ლექსის დასაწყისი, რომლის ციტირებასაც მკვლევარი ახდენს, ასე იწყება: „მზირი შფერილა მზირზედა თუშისა, ლეკებისაო“ (ა. შანიძე, ხალხური პოეზია, ტ. I, № 91), ლუხუმი რომ თუში მებრძოლია, ამას სხვა ლექსებიც ადასტურებენ (იქვე № 142 — 143), ერთ-ერთ ხალხურ ლექსში კი ლუხუმი მთელს თუშეთში ყველაზე მამაც გმირადაც ცნობილი:

მითხროს ილდი ჯობ მამაცად,
შშავლებს ჯობ კუქუშაური
თუშებსა ლუს ლუხუმი...

(იქვე № 47)

პოემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გმირი მებრძოლი ქალი ლელა, დღემდე მიჩნეული იყო

ვივას ფანტაზიის ნაყოფად. ნაწარმის ავტორი ფაქტებზე მითითებით ამტკიცებს, რომ „ლევაჩეალებად არსებული პიროვნება... იქვე ყველაფერზე შესულა მთის ხალხურ პოეზიაში. ხოლო ვივა-ფშაველს იგი სრულად სხვა სიტუაციაში — ბახტრიონის ბრძოლაში გამოიყენა.

წიგნში რატომღაც არაფერია ნათქვამი პოემის ერთ-ერთ წამყვან პერსონაჟზე — ზოზარაელზე, როგორც ბახტრიონის ბრძოლების მამაც ზეშაქვანელზე. მასზე მრავალი ხალხური ლექსი და თქმულება არსებობს.

გამოკვლევაში განხილულია პოემის „გველის მკამელის“ ხალხურ-პოეტური წინამძღვრებიც. დიდი ხანია, რაც ცნობილი ვახდა ვივას პოემის მთავარი გმირის მინდიას ხალხური პროტოტიპი. მართლაც, ჯადოქარი მეომარზე-ხოვანის მინდიანზე არსებობს როგორც თქმულებათა ვერსიები, აგრეთვე ლექსები. ვივა გაცივრით იხსენიებს ამ მასალებს. როგორც ჩანს, ვივას მითითებასაც კი არ უწყევს ანგარიშს ზოგიერთი მკვლევარი და გველის ქამის არაკი ვივას მიერ უტყობური ლაგენდიდან გადმოკეთებულად მიიჩნია. ნაწარმის ავტორი მიუთითებს იმ მდლდაც ქართულ ხალხურ მასალაზე, რაც პოემა „გველის მკამელს“ უნდა დასდებოდეს. ამასთან ერთად, ავტორი ასაბუთებს, რომ „გველის მკამელობა“ მართკ ქართული კი არა, არამედ მსოფლიო ზეპირსიტყვიერების კუთვნილებაა. მკვლევარის მიერ „გველის მკამელის“ ხალხური წყაროების ფართოდ განხილვა შექსა ფენს ერთ შეტად მნიშვნელოვან საკითხსაც: ვივას შემოქმედების ზოგიერთა მკვლევარი, იხილავს რა „გველის მკამელს“ როგორც ფილოსოფიურ პოემას, ცალკეულ ადგილებს მიხედვით მსჯელობს ვივა-ფშაველს მსოფლმხედველობაზე და მას შიკუთვნებს რომელიმე ფილოსოფიურ „იზმებს“, ხედავს იქ „წინააღმდეგობას“ და „ულოგიკობას“, მაშინ როდესაც, ეს ყველაფერი ხალხის კუთვნილებაა და არა ვივას „ულოგიკობა“, ხოლო თქმულებაში რომ ულოგიკობა არ არის, ამას ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს.

სასურველად მიგვაჩნია მონოგრაფიის სხვა ნაწილის გამოკვეთება, რაც უშუალოდ დიდ სამსახურს გაუწევს ვივა-ფშაველს შემოქმედების შესწავლის საქმეს.

დავით გოგოხუარი

იაკობ გოგევაშვილი და ქართული ენის საკითხები

დიდ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგევაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღ

ვს ლეის ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოო ჩამოყალიბების პროცესში, მისი დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ი. გოგევაშვილი იყო თავდადებული დამკველი და მოამავე შრომობიერი ენისა იმ მძიმე დროს, როცა რუსეთის იმპერიაში შემავალი მრავალი

ევ. ქავთარაძე, იაკობ გოგევაშვილი და ქართული ენა. საქართველოს მეცნ. აკადემიის გამოცემა 1958

ხალხის ეროვნული ინტერესები აბურხად იყო აგდებული, ფეხ-ქვეშ ითვლებოდა, უმოწყალოდ იწინებოდა, მათ შორის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა და ეროვნული კულტურა. ქართული ენა განდევნილი იყო სკოლებიდან, წარმოება — დაწესებულებებიდან, მას არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი ფუნქციები. სწორედ ამ პერიოდში ქართული ენის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში უღედესი როლი შეასრულა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილმა სახელმძღვანელოებმა, რომლებითაც გაიყვითა ანბანი და შეიტყობო შრომობიური ენა ქართულ მოზარდთა მრავალმა თაობამ.

ი. გოგებაშვილს ენა მიანდა „ბურჯად ეროვნებისა“, რომლის დაცვასაც შეაღია მან მთელი თავისი სიცოცხლე. ენის საეთნოებს იაკობმა უძღვნა მრავალი შესანიშნავი წერილი და მხატვრული ნაწარმოებები.

ი. გოგებაშვილის მრავალმხრივი დამსახურება ქართული ენის დაცვა — განვითარების საქმეში დაწვრილებით არის განხილული ივ. ჭავჭავაძის შეცნობიერულ — პოეტურულ ნაშრომში „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ი. გოგებაშვილის ღვაწლს შრომობიური ენის უფლების აღდგენისათვის ბრძოლაში. ნათელია, თუ რაოდენ მძიმე და სასტიკი უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა მეფის რუსეთის რეაქციული მმართველობის პირობებში. როგორც ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, „დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო, რომ ი. გოგებაშვილმა განგავი ასტეხა ციხის მთავრის მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ და მოწინავე საზოგადოება დარაზმა“ შრომობიური კულტურის განვითარებისათვის საბრძოლველად, ერთგული ხალხის ზნეობრივი თავმოყვარობის შენარჩუნებისათვის. მის ძალიან კარგად ესმოდა, თუ რა უბედურებას მოასწავებდა ქართველი ხალხისათვის ქართული ენის ისეთი დევნა — შევიწროება და დაუფარავად, მთელი საშწავით სემადა ამ საკითხს მოწინავე ქართველი საზოგადოების სამსჯავროდ: „მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ დენაციონალიზაციას მოსდევს დემორალიზაცია, გახრწნა და დაცემა ერისა, მეტადრე იმისთანასი, რომელსაც თავისი საკუთარი ისტორიული ცხოვრება ჰქონია მრავალი საუკუნის განმავლობაში და საკუთარი კულტურის შეუქმნია“.

